ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებების დეპარტამენტი

პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ლევან მათეშვილი

სეკულარული სახელმწიფო და რელიგიური საგნების სწავლების საკითხები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ჭკუასელი, პედაგოგიკის
მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი

2017

სარჩევი

შესავალი ----------4

I თავი - სეკულარობა და განათლება ----------7

1.1 სეკულარობა და იდენტობა----------7

1.1.1 სეკულარობის ცნება ----------7

1.1.2 ეროვნულ-კულტურული და რელიგიური იდენტობის ცნება და უფლებები----------14

1.1.3 კულტურული ფასეულობებისადმი წვდომის, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა და კულტურული განვითარების უფლება----------32

1.2 სეკულარულობა და განათლება----------36

1.2.1 სეკულარული განათლების ნიშნები საქართველოს საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში----------36

1.2.2 რელიგიური განათლების ცნება----------47

1.2.3.რელიგიური განათლების საკითხები დამოუკიდებელ საქართველოში - ისტორია და თანამედროვეობა----------57

1.2.4. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური განათლების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები----------64

თავი II - საჯარო სკოლებში რელიგიური განათლების საერთაშორისო საკანონმდებლო პრაქტიკის ასპექტები ----------76

2.1 ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობა----------76

2.2 რელიგიური განათლება და შესაბამისი კანონმდებლობა მუსლიმურ ქვეყნებში----------118

2.3 სხვა სახელმწიფოების კანონმდებლობა რელიგიური განათლების შესახებ----------128

2.4 საერთაშორისო და რეგიონული რეკომენდაციები რელიგიურ განათლებასთან დაკავშირებით ----------137

თავი III - რელიგიასთან დაკავშირებული საგნების სწავლების საკითხი
და შესაბამისი ანალიზი ----------151
დასკვნა----------176
გამოყენებული ლიტერატურა----------179

შესავალი

თემის აქტუალობა

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურმა პროცესებმა წინა პლანზე წამოწია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: გლობალიზაცია, ადამიანთა უფლებების დაცვის პრობლემები, ტერორისტული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლა, მოსახლეობის გახშირებული მიგრაციები. საერთო და მთავარ მდგენელს ამ პრობლემებში წარმოადგენს რელიგია და რელიგიათაშორისი ურთიერთობები. ამ ფონზე მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანია რელიგიასთან დაკავშირებული თემების ხელახალი გააზრება და შესწავლა, რაც მიმართული იქნება რელიგიათაშორისი ურთიერთობების დარეგულირებისაკენ. მსოფლიო ისტორია რელიგიური ურთიერთობების დიდი ხნის გამოცდილებას შეიცავს, შესაბამისად, რელიგიის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა მეტ აქტუალობას იძენს. თანამედროვე სეკულარულ სამყაროში, გლობალიზაციის პირობებში, განათლება ხდება ის მთავარი მექანიზმი, რითაც შეგვეძლება უზრუნველვყოთ ისეთი სოციუმის ჩამოყალიბება, რომელიც ტოლერანტული იქნება სხვათა რელიგიური გრძნობებისადმი და არ დაუშვებს ამ ნიადაგზე შუღლს. ამისათვის აუცილებელია საშუალო სკოლაში მოზარდი დაეუფლოს რელიგიური განათლების საწყისებს, კერძოდ, ცოდნას რელიგიის შესახებ, რელიგიისა და კულტურის ურთიერთობის შესახებ, სხვადასხვა ერებში რელიგიების არსებობისა და მათი კულტურული თანაცხოვრების შესახებ და სხვ. ამასთან, სკოლა ვალდებულია მისცეს ბავშვს რელიგიური აღზრდა, რადგანაც ის საჭიროა მისი პიროვნული ზრდისთვის, მისი მომწიფებისათვის, მისი ეთიკური და საზოგადოებრივი განვითარებისათვის, იმისათვის, რომ ცხოვრების აზრი შეიცნოს, მოემზადოს იმ გამოწვევების დასაძლევად, რასაც მას დრო და ეპოქა შესთავაზებს და დაიმკვიდროს ადგილი საზოგადოებაში. დღეს, როდესაც მოზარდებს უწევთ მრავალფეროვან და მულტირელიგიურ გარემოებებში ცხოვრება, სწორედ რელიგიური აღზრდა–განათლება ამზადებს მას იმისათვის, რომ გაუმკლავდეს თანამედროვეობის პრობლემებს, ამასთან ჰქონდეს ღიაობა, სხვა რელიგიებისა და კულტურების მიმღებლობა და კრიტიკული აზროვნება.

ასეთ ვითარებაში, საქართველოსთვის, რომელიც ისტორიულად მრავალეთნიკური ქვეყანაა, რელიგიური განათლების სწორად წარმართვის საკითხი, მისი ფორმისა და შინაარსის განსაზღვრის საკითხი საჯარო სკოლებში, ძალზე მნიშვნელოვანი და აქტუალურია. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საქართველო სეკულარული ქვეყანაა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დადგინდეს საერთაშორისო სეკულარულ სახელმწიფოებში რელიგიური განათლების სამართლებრივი ნორმები და საკითხები და, მათი გამოცდილების შეჯერებით ადგილობრივ რელიგიურ-კულტურულ ნორმებთან, შემუშავდეს რელიგიური განათლების სამართლებრივი საფუძვლები საქართვლოში. ამ მიმართებით კვლევა საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა და ჩვენი ნაშრომის **სიახლეს** წარმოადგენს.

კვლევის მიზანია დავადგინოთ:

- სეკულარულ სახელმწიფოში რელიგიური საგნების სწავლების საკითხების საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები
- საქართველოს საჯარო სკოლებისთვის რელიგიასთან დაკავშირებული საგნების სწავლების ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც არსებულ საზოგადოებრივ ცნობიერებასთან და განათლების ეროვნულ პროგრამასთან წინააღმდეგობაში არ იქნება.

კვლევის ამოცანები:

- ➢ მეორადი ინფორმაციის შესწავლა:
- ▪ განისაზღვროს სეკულარობა და განათლების პრინციპები
- ▪ განისაზღვროს ეროვნულ-კულტურული და რელიგიური იდენტობის ცნება და უფლებები
- ▪ განისაზღვროს კულტურული ფასეულობებისადმი წვდომის, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა და კულტურული განვითარების უფლება
- ▪ განისაზღვროს რელიგიური განათლების ცნება
- ▪ განისაზღვროს სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური განათლების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები
- ▪ დადგინდეს საჯარო სკოლებში რელიგიური განათლების საერთაშორისო საკანონმდებლო პრაქტიკის ასპექტები

- განისაზღვროს საერთაშორისო და რეგიონული რეკომენდაციები
- საერთაშორისო სივრცეში რელიგიური განათლების სფეროში მოღვაწე ექსპერტების მოსაზრებების შესწავლა და გაანალიზება;
- საქართველოში რელიგიური განათლების სფეროში მოღვაწე ექსპერტების მოსაზრებების შესწავლა და გაანალიზება - ჩაღრმავებული ინტერვიუ;

კვლევის ჰიპოთეზა: საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში რელიგიური განათლების მიღების უფლება აქვს ყველას, რაც ქვეყნების განათლების საერო მიმართულებას არ ეწინააღმდეგება.

კვლევის ობიექტია სეკულარული სახელმწიფო და რელიგიური განათლების სამართლებრივ/თეორიული ასპექტები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

კვლევის საგანია სეკულარულ სახელმწიფოში რელიგიური საგნების სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

კვლევის მეთოდები: სამაგიდე კვლევა/მეორადი ინფორმაცია, ჩაღრმავებული ინტერვიუ.

შერჩევა - რელიგიური განათლების საერთაშორისო ექსპერტი, საქართველოში რელიგიური განათლების სფეროში მოღვაწე ექსპერტები.

კვლევის თეორიული ღირებულება მდგომარეობს საერთასორისო საგანმანათლებლო სივრცეში რელიგიური განათლების შესწავლასა და, მის საფუძველზე, საქართველოში ამ მიმართებით თავისებურებებისა და საჭიროებების განსაზღვრაში.

კვლევის პრაქტიკული ღირებულება გულისხმობს კონკრეტული რეკომენდაციის შემუშავებას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში რელიგიური განათლების თვალსაზრისით.

კვლევის შედეგები გაწერილია ნაშრომის კვლევით ნაწილში

ავტორის სტილი დაცულია

I თავი

სეკულარობა და განათლება

1.1 სეკულარობა და იდენტობა

1.1.1 სეკულარობის ცნება

ტერმინი „სეკულარული“ დღეს ყველაზე ხშირად გამოიყენება სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის ურთიერთობებზე კამათისას. ზოგიერთი მკვლევარი იცავს იმ თვალსაზრისს, რომ სეკულარული სახელმწიფო ანტირელიგიურია, ათეიზმი მეცნიერებაა, რელიგიამ კი „თავისი ადგილი უნდა იცოდეს“ ტაძრის, მეჩეთის და ა. შ. ფარგლებში. სხვები აცხადებენ, რომ ნებისმიერი სეკულარული სახელმწიფო რელიგიისადმი (მართლმადიდებლობა, ისლამი და ა. შ.) მტრულად არის განწყობილი და შესაბამისად, კონსტიტუციის შეცვლას და მისგან სეკულარული სახელმწიფოს ცნებისა და სახელმწიფო დაწესებულებებში სეკულარული განათლების პრინციპის ამოღებას მოითხოვენ. სეკულარული სახელმწიფოს პრინციპის მრავალი ინტერპრეტაცია მეტყველებს იმაზე, რომ სეკულარობა არც თუ ისეთი მარტივი და ცალსახა კატეგორიაა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს.

სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის ურთიერთქმედების დასაშვები დონე სამართლებრივი ნორმებით რეგულირდება, რომლებიც, თავისი ერთობლიობით, სახელმწიფოს სეკულარულ ხასიათს ადგენენ. სახელმწიფოსა და რელიგიური გაერთიანებების გაყოფის ზღვარს სამართლებრივი ნორმები განსაზღვრავს, რომლებიც მოქალაქეთა რელიგიური კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციას კრძალავენ, ეროვნული კულტურის ფარგლებში კულტურულ განვითარებას უზრუნველყოფენ, პოლიტიკურ მრავალფეროვნებასა და მსოფლმხედველობრივ პლურალიზმს, სამოქალაქო საზოგადოების უფლებებსა და თავისუფლებას ადგენენ.

1982 წელს, ფოლკლენდის კუნძულების დაპყრობასთან დაკავშირებული წირვისას კენტერბერის არქიეპისკოპოსი კონფლიქტის დროს დაღუპული როგორც ბრიტანელი, ისე არგენტინელი ჯარისკაცებისათვის ლოცულობდა, რითიც პრემიერ-

მინისტრ მარგარეტ ტეტჩერის უკმაყოფილება გამოიწვია[1]. შედეგად, ზოგიერთი პოლიტიკოსი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კენტერბერის არქიეპისკოპოსს პოლიტიკაში ჩარევის გამო აკრიტიკებდნენ.

1917-დან 1950-იანი წლების პერიოდამდე სახელმწიფოს სეკულარული მოწყობა და განათლება საბჭოთა სივრცეში სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მებრძოლ ათეიზმთან და კომუნისტური ტიპის პოლიტიკურ იდეოლოგიასთან ასოცირდებოდა. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან სეკულარულობის პრინციპი გაგებულ იქნა, როგორც რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფოსა და საზოგადოებისგან იზოლაცია. სეკულარულობის პრინციპის დღევანდელი გაგება წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ პერიოდში, როდესაც საზოგადოებრივი ცნობიერებიდან, კულტურიდან და პოლიტიკიდან დიდი სიძნელით ხდება მრავალი ძველი იდეოლოგიური ფასეულობის განდევნა, ხოლო ახალი ფასეულობების დანერგვა კი უფრო მეტ სირთულესთან არის დაკავშირებული. სეკულარული სახელმწიფოს მშენებლობისადმი მიდგომების კონცეფტუალურ განახლებას, ფასეულობების, წარმოდგენებისა და სტერეოტიპების მტკივნეულ გაანალიზებას და ცვლას ტოტალიტარული წარსულის ჩვეული სქემების გადალახვის აუცილებლობა ართულებს.

მორწმუნეთა დევნის პერიოდის რეციდივები ჩვენს საზოგადოებაში ფაქტიურად ყველგან ვლინდება და ეს სხვადასხვა სახით ხდება: მაგალითად, სკოლებში დარვინიზმის, როგორც აქსიომური სწავლებისადმი, რომელიც მტკიცებულებას არ მოითხოვს, დოგმატური მიდგომა; მოსწავლეებს არც ეუბნებიან, რომ ჩ. დარვინის თეორია მხოლოდ სამეცნიერო ჰიპოთეზაა, რომელიც საკმარისად არ არის გამყარებული მეცნიერული მტკიცებულებებით და რომ ქვეყნიერებისა და ადამიანის წარმოშობის სხვა თეორიებიც არსებობს. „რელიგიასთან ბრძოლის“ ასეთივე რეციდივებს წარმოადგენს აგრესიული ანტირელიგიური მიმართულების საზოგადოებრივი ორგანიზაციების მცდელობები წინ აღუდგნენ მოქალაქეების

[1] კამპერ პ. რელიგიური თავისუფლება დიდი ბრიტანეთში//სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობების მსოფლიო გამოცდილება: სასწ. სახელმძღვანელო / ფ. მ. დ. პროფ. ნ. ა. ტროფიმჩუკის საერთო რედ. - მე-2 გამ. შევს. და გადამ. - მ. : გამომც. РАГС, 1999, - გვ. 59.

უფლებას შვილებისათვის თავიანთი შეხედულებების შესაბამისი აღზრდა-განათლება აირჩიონ. ასეთი ორგანიზაციების აქტივისტები ხშირად ვერ აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ თავისი იდეოლოგიის თავზე მოხვევით ისინი პირდაპირ არღვევენ კონსტიტუციას, რომელიც ქვეყანაში იდეოლოგიურ მრავალფეროვნებას იცავს და რომელიმე იდეოლოგიისათვის სახელმწიფო ან სავალდებულო ხასიათის მინიჭებას კრძალავს.

სეკულარიზმის ცნების ტრანსფორმირების ისტორია

1. ,,სეკულარიზმი ერთი მხრივ, მოუწოდებს სარწმუნოების თავისუფლებას, უფრო ზუსტად, მთავრობის მიერ ხალხზე რელიგიის თავსმოხვევისგან თავისუფლებას, სახელმწიფოში, რომელიც ნეიტრალურია სარწმუნოების საკითხების მიმართ და არ აძლევს პირივილეგიას და ასევე ფინანსურ დახმარებას არ უწევს არც ერთ რელიგიას.''

2. ,,სეკულარიზმი, სხვა გაგებით, მიუთითებს რწმენაზე, რომ ადამიანთა საქმიანობა და გადაწყვეტილებები, განსაკუთრებით პოლიტიკური, დამყარებულია ფაქტზე და რეალობაზე და არა რაიმე რელიგიურ რწმენაზე. მაშინ, როდესაც რელიგიები დაფუძვნებულია აბსოლიტურ ჭეშმარიტებაზე ან ღვთის კანონზე, სეკულარული კანონი ემყარება გონებრივ განსჯას, რომელიც განმანათლებლობის ეპოქაში განვითარდა. სეკულარისტები მიიჩნევენ, რომ ყველა სახის საქმიანობა, რომელიც პირად სფეროს სცილდება უნდა იყოს სეკულარული, ანუ არარელიგიური.''

ახლა კი გადავხედოთ ქრისტიანულ ლექსიკონს:

,, სამყაროს იმანენტისტური ხედვა, რომელიც ვარაოდობს რელიგიის გაქრობას და გამორიცხავს ღმერთისა და ტრანსცენდენტულისადმი მიმართების ნებისმიერ ფორმას; რეალურად მიიჩნევს მხოლოდ ხილული სამყაროს, შესაბამისად, სეკულარისტული მსოფლმხედველობისათვის სრულიად უცხოა ღმრთისა და სულის განზომილება.

ძალიან ადვილია ამ ორი განმარტებისას წაკითხვისას ადამიანი დაიბნეს და რეალურად ვერ მიხვდეს რა არის სეკულარიზაცია და ზოგადად მისი არსი. რელიგიური ადამიანი მას მაშინვე დაგმობს და მის მომხრეებს უღმერთოებად

შერაცხავს. სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ თანმიმდევრულად განვიხილოთ ეს თემა.

,,სეკულარიზაცია, ანუ გასაეროება, როგორც ცნება, თავის თავში მოიცავს იმ ფენომენებს (საგნებს), რომლებიც მისი ცნების არსს შეადგენენ - რელიგიას და სახელმწიფოს, ბოლო, მეორე მხრივ, როგორც ხდომილება, როგორც პროცესი მისი განხორციელების სფეროები სწორედ რელიგია და სახელმწიფოა. იმავდროულად, რელიგიისა და სახელმწიფოს განვითარების გარკვეულ ეტაპზე სეკულარიზაციის პროცესი მათ ურთიერთმიმართების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ტერმინი ''სეკულარიზაცია'' თავდაპირველად, როგორც terminius technicus, გამოიყენებოდა კანინიკურ და სახელმწიფო-საეკლესიო სამართალში. ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მან განსაკუთრებული სემანტიკური განვრცობა განიცადა და პირველად დამკვიდრდა სამართლებრივ პოლიტიკურ სფეროში, შემდგომ მას დაეთმო ადგილი ისტორიის ფილოსოფისი, ფილოსოფიის ისტორიასა და ტეოლოგიის ისტორიაში, ხოლო, საბოლოოდ, დიდი გამოყენება პოვა ეთიკასა და სოციოლოგიაში. განსაკუთრებით ამ უკანასკნელში სეკულარიზაციამ იმდენად დიდი ადგილი დაიმკვიდრა, რომ ლუმანი წერდა: ''კონტის დროიდან სეკულარიზაცია სოციოლოგიისთვის თემაა, რომლითაც ის თვით თავისი თავს თანაგულისხმობს.''[2]

,,კანონიკურ სამართალში ''სეკულარიზაცია'' აღნიშნავდა სასულიერო პირის საერო სტატუსში დაბრუნებას. ამის შემდეგ ტერმინმა შეიძინა მნიშვნელობა, რომლითაც აღინიშნებოდა საეკლესიო ქონების საერო ხელისფლებისათვის გადაცემა; ტერმინის ეს ცვლილება მეტ-ნაკლებად ემთხვევა 1648 წელს ვესფალიის ზავის შედეგად გაჩენილ სახელმწიფოთა თანამედროვე სისტემის წარმოშობას. შესაბამისად, ტერმინის ამ ახალი, პოლიტიკურ-იურიდიული მნიშვნელობით ხდება ეკლესიის ძალაუფლების შეზღუდვისა და საერო ხელისუფლების მონოპოლიის პროცესების ინვოცირება''.

მაგრამ სეკულარიზაციის ცნება მალე ამ პოლიტიკურ-იურიდიულ მნიშვნელობის ფარგლებს გარეთაც გავა და იქცევა ფილოსოფიურ-ისტორიულ კატეგორიად, რომლის საფუძველზეც საბოლოოდ მისი სოციოლოგიური

[2] მამუკა ბერიაშვილი „სეკულარიზაციის არსის გაგებისათვის“

ოპერაციონალიზაციის მცდელობას ექნება ადგილი''. (გიგი ზედანია) იმისათვის, რომ საკვლევ თემას ბოლომდე ჩავუღრმავდეთ უპრიანი იქნება მის გარშემო, შეძლებისდაგვარად, ყველა ის ძირითადი შეკითხვა განვიხილოთ, რაც შეიძლება თემის განხილვისას გარშემო გაჩნდეს.

არსებობდა მოსაზრება[3], რომ ტერმინი პირველად 1646 წელს იქნა გამოყენებული, თუმცა იქვე ვკითხულობთ, ეს ტერმინი ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეს იქნა გამოყენებული. როგორც ვიცით მეცნიერები უმეტესად ალბათობის თეორიას ეყრდნობიან და არ არის გამორიცხული ამ ტერმინის წარმომავლობა უფრო მეტ წელს ითვლიდეს ვიდრე ოფიციალურად არის ცნობილი.

მე-19 საუკუნეში სეკულარიზაცია განხილული იყო, როგორც ეკლესიის დაკნინება, საგულისხმოა რომ ის არასდროს განხილულა, როგორც რელიგიასთან დაუკავშირებელი რამ. მსოფლიოს განვითარებასა და დემოკრატიის პრინციპების ჰეგემონიზაციის შემდეგ განვითარებულ ქვეყნებში ეს გათავისებულია და არ იწვევს მძაფრ დაპირისპირებებსა და პოლემიკას. ისეთ ქვეყნებში კი სადაც სეკულარიზაციის ცნებას დააგვიანდა, აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა მის ავ-კარგობის შესახებ. ასეთი ქვეყნები ძირითადად განვითარებადი სახელმწიფოებია, როგორიც საქართველოა.

სეკულარიზაციის ბუნების საყურადღებო მნიშვნელობათა გამოყოფა

სეკულარიზმის ყველაზე მნიშვნელოვან ცნებებად გამოყოფენ - დიფერენციაციას, პრივატიზაციასა და რელიგიის მნიშვნელობის დაკნინებას[4].

1) დიფერენციაცია - ეს არის პროცესი რომლის შედეგადაც რელიგია კარგავს სხვადასხვა საზოგადოებრივ სფეროებზე გავლენას. იქნება ეს პოლიტიკა, ხელოვნება თუ მეცნიერება.

ადვილი წარმოსადგენია რამდენად წინააღმდეგი იქნებოდა კათოლიკური ეკლესია სეკულარიზმის. ვინც ისტორიაში ცოტა მაინც ერკვევა იცის თუ რა გავლენა ჰქონდა კათოლიკურ ეკლესიას საზოგადოებრივ სფეროზე და მითუმეტეს

[3] მამუკა ბერიაშვილი „სეკულარიზაციის არსის გაგებისათვის“, კრებული სეკულარიზაცია: კონცეპტი და კონტექსტები : თბ. : ილიას სახელმწ. უნ-ტის გამ-ბა, 2009.
[4] გიგი ზედანია “სეკულარიზაცია თუ დესეკულარიზაცია?”, კრებული სეკულარიზაცია: კონცეპტი და კონტექსტები : თბ. : ილიას სახელმწ. უნ-ტის გამ-ბა, 2009.

პოლიტიკაზე. იყო შემთხვევები, როდესაც პოლიტიკა პირდაპირი მნიშვნელობით ეკლესიის მიერ იმართებოდა. ეს თემა ყოველთვის მტკივნეული და მნიშვნელოვანი იყო მმართველებისათვის. შორს, რომ არ წავიდეთ გავიხსენოთ ვახტანგ გორგასალი. მისი წარმატებულად გატარებული ეკლესიასთან დაკავშირებული რეფორმები. მართალია მემატიანებ ეს პროცეში აღწერა, როგორც ეკლესიის გასუფთავება მანკიერი მმართველისაგან, მაგრამ ჩემთვის, როგორც მომავალი პოლიტოლოგისთვის ეს იყო პროცესი, რომელიც თანამედროვე სეკულარიზაციის ელემენტებს შეიცავდა.

აქვე შეიძლება გაგვახსენდნენ მონარქები, რომელთა მრჩევლებიც სასულიერო პირები იყვნენ, ეს უკანასკნელნი იკავებდნენ პოლიტიკურ თანამდებობებს. ეს იყო არაჩვეულებრივი გზა ეკლესიის გასაკონტროლებლად. არც ერთ მმართველისთვისა და პოლიტიკოსისთვის არ იქნება მისაღები ეკლესიის მხრიდან პოლიტიკის გაკონტროლება ან თუნდაც მცდელობა. რელიგია და პოლიტიკა ორი განსხვავებული სფეროა და მათი ურთიერთ კავშირი დემოკრატიულ პრინციპებს უნდა ემყარებოდეს.

2) პრივატიზაცია - ,, როდესაც ამ დიფერენცაციის შედეგად რელიგია ადამიანის პირად საქმედ იქცევა და არა კოლექტიური ცხოვრების აუცილებელ პირობად''.

რელიგია არის პრივატული სივრცე, ყველა ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს საკუთარი რწმენიდან გამომდინარე. პირი რომელიც არ დადის ყოველკვირეულ ლოცვაზე ნამდვილად არ დაიწვება ჯოჯოხეთის ცეცხლში.

,,არ არის ძალადობა რელიგიაში'', ასეთი სახის მესიჯები ყველა რელიგიურ მრწამსში გვხვდება. ეს სიტყვები ისლამში გაშიფრული იქნა, რომ სხვა რელიგიის მქონე ადამიანს არ უნდა დააძალო მიიღოს ისლამი. არსობრივად კი მისი გაშიფრვა მრავალმხრივ შეიძლება. პირველ რიგში კი, ადამიანი არ უნდა აიძულო ირწმუნოს, არ უნდა დაავალდებულო იცხოვროს რელიგიური კანონების მიხედვით. ღმერთმა ხომ ადამიანს თავისუფალი არჩევანის საშუალება მისცა. სწორედ ამ არჩევანის თავისუფლებაზეა , არაპირდაპირ, საუბარი დოსტოევსკის ''ძმები კარამაზოვებ''- ში. თუ სადაა ზღვარი საკუთარი თავისუფლებიდან სხვის თავისუფლებამდე და რა თქმა უნდა ,, ჩემი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი თავისუფლება''.

3) რელიგიის მნიშვნელობის დაკნინება - ,,ეს უკანასკნელი წინა ორი პროცესის ლოგიკურ შედეგად წარმოჩინდება ხოლმე თანამედროვე საზოგადოებაში''. სწორედ

ეს არის სეკულარიზმის მოწინააღმდეგეთა არგუმენტი. ვითომდა ეს პროცესი ღმერთს და რწმენას ართმევდეს ადამიანებს. ის რომ საზოგადოებაში რელიგიის როლი მნიშვნელოვანი ნათელია. სეკულარულ ქვეყნებში ადამიანები ქორწინდებიან რელიგიური წესის მიხედვით, ნათლავენ შვილებს, ესწრებიან საკვირაო წირვას და ცხოვრობენ რელიგიურად. არც ერთი სახელმწიფოს კანონი არ კრძალავს რელიგიას, პირიქით ყველა ქვეყნის კონსტიტუცია არეგულიერებს ამ სფეროს და აღნიშნულია, რომ ყველა ადამიანს აქვს არჩევანის თავისუფლება. თუმცა არსებობს თეორიები, რომლებიც მესამე კონცეფციის შენარჩუნებას ცდილობენ და არგუმენტად ემპირიული კვლევის მასალებს დებენ. ასეთია რონალდ ინგლჰარტსის. ის ეყრდნობა რაოდენობრივი კვლევებით მიღებულ შედეგებს, რის მიხედვითაც, საზოგადოებისთვის, რომლისთვისაც სეკულარულ-რაციონალური ღირებულებებია მიღებული,არ არის მნიშვნელოვანი აბსოლიტური ნორმები და ტრადიციული ოჯახური ღირებულებები, ისინი ასევე არ აღიარებენ მნიშვნელოვნად ავტორიტეტის პატივისცემას. ტრადიციული საზოგადოება კი საპირისპირო დამოკიდებულებას ავლენს.

ავტორის სტილი დაცულია

1.1.2 ეროვნულ-კულტურული და რელიგიური იდენტობის ცნება და უფლებები

სახელმწიფოს სეკულარულობის კვლევისას ეროვნულ-კულტურული და რელიგიური იდენტობის საკითხების უგულებელყოფას ჩიხში შევყავართ. მყარ საკვებზე გადასვლამდე, ბავშვი დედის რძით იკვებება, სანამ ბავშვს სხვა ქვეყნებისა და ხალხების სიყვარულს ვასწავლიდეთ, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის პატივისცემა უნდა ვასწავლოთ.

სეკულარულობის კვლევისადმი ცივილიზაციურ მიდგომას მივყავართ იმის გაცნობიერებისაკენ, რომ ადამიანის უფლებების დამკვიდრებისა და გარანტირების მსოფლიო ტრადიციას საფუძველი ქრისტიანულ რელიგიურ ტრადიციაში უდევს. ჩვენ გულწრფელად უნდა ვაღიაროთ - ისტორიული თვალსაზრისით მაინც - რომ ჰუმანიტარული ფასეულობების ევროპული სისტემა სულ უფრო „გლობალურ“ ხასიათს იძენს და რომ ის სახარებისეული გამოცხადების შუქზე ანტიკური გამოცდილების გააზრებიდან აღმოცენდა[5].

ნებისმიერი სხვა სოციალური პროცესების მსგავსად, ეროვნული კულტურისა და რელიგიური იდენტობის პროცესების აქტუალიზაციამ (შეად. - ლათ. identificare - გაიგივება; identicus - იგივე, ერთნაირი), რომელიც გამოიხატება სახელმწიფოს კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაში რელიგიის როლის გაძლიერებაში, მოქალაქეთა რიცხვის მატებაში, რომლებიც საკუთარ რელიგიურ იდენტობას გამოხატავენ და მას საკუთარ ეროვნულ-კულტურულ იდენტობასთან აკავშირებენ, შეიძლება როგორც საზოგადოებისათვის ნეგატიური და არასასურველი მიმართულება მიიღოს, ასევე სტაბილურობის ფაქტორად, აღმშენებელ ძალად მოგვევლინოს. ამიტომ სახელმწიფოს ამოცანა მდგომარეობს არა ამ პროცესების იგნორირებაში, არამედ იმაში, რომ მოქალაქეებს მსოფლმხედველობრივი თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციაში დაეხმაროს.

1993 წლის 25 ივნისის ვენის დეკლარაციისა და მოქმედების პროგრამის I ნაწილის მე-8 პუნქტი ადგენს ხალხის უფლებას, თავისუფლად ჩამოაყალიბოს თავიანთი კულტურული სისტემა: „... დემოკრატია ეფუძნება ხალხის მიერ

[5] დრუზენკო გ. ნიადაგის ძებნაში, 2004 წ.

თავისუფლად გამოხატულ ნებას, განსაზღვროს თავისი პოლიტიკური... და კულტურული სისტემა და ხალხის ცხოვრების ყველა ასპექტში სრულ მონაწილეობას...“[6] როგორც ჟ. ბობერო აღნიშნავს: „თუ, ერთის მხრივ, არავინ არავის არ უნდა აიძულებდეს რელიგიური შეხედულებების გაცხადებას, მაშინ, მეორეს მხრივ, არავის უნდა აეკრძალოს ეს გააკეთოს თავისი ნებით ისე, რომ ამის გაცხადების შედეგების არ ეშინოდეს“[7].

ეროვნულ-კულტურული იდენტობა ეს არის პიროვნული ან ჯგუფური თვითიდენტიფიკაციის ფსიქოლოგიური პროცესი, რომელსაც თან სდევს ქცევის სტერეოტიპიზაცია და კომპლიმენტარულობის შეგრძნება. თვითიდენტიფიკაცია გულისხმობს მყარ, ბუნებრივად ჩამოყალიბებულ ეროვნულ ჯგუფთან და მისთვის დამახასიათებელ ეროვნულ კულტურასთან იდენტიფიკაციას.

რელიგიური იდენტურობა - პიროვნული ან ჯგუფური თვითიდენტიფიკაციის ფსიქოლოგიური პროცესი, რომლის კრიტერიუმი და მოტივი არის ამა თუ იმ რელიგიისადმი ან მისი წარმომადგენელი რელიგიური ორგანიზაციისადმი კუთვნილება ან უპირატესობის მინიჭება.

რ. ტორფსის აზრით, სეკულარიზაცია სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობების მთელს სისტემაზე თანდათან აისახება. სეკულარიზაციას ვერ დავახასიათებთ, როგორც რელიგიაზე ფრონტალურ შეტევას, მაგრამ მას შედეგად მრავალ სფეროში ეკლესიების ავტონომიის დაკარგვა მოაქვს. ამის ნათელი მაგალითი, რ. ტორფსის აზრით, შრომითი კანონმდებლობის ეკლესიურ ცხოვრებაზე გავლენა და შიდასაეკლესიო პროცედურების აღსრულებაზე ზომიერი სახელმწიფო კონტროლის დადგენაა[8]. ამა თუ იმ ქვეყანაში სეკულარიზაციის პროცესების მიმართულება და ხასიათი დამოკიდებულია იმაზე, თუ სეკულარული ან არასეკულარული სახელმწიფოს როგორი მოდელია მასში რეალიზებული.

სეკულარიზაციის მომხრეები ყველა მსოფლმხედველობრივი გაერთიანების მიმართ მის ნეიტრალურობაზე საუბრობენ, მაგრამ სულ ასეც არ არის. უ. კ. დურემი ყურადღებას აქცევს იმას, რომ განმანათლებლობის ეპოქაში ჩასახული სეკულარიზმი

[6] ადამიანის უფლებების საერთაშორისო აქტები. გვ. 81.
[7] ბობერო ჟ. საეროობა: ფრანგული გამონაკლისი, თუ უნივერსალური ღირებულება?
[8] ტორფსი რ. ეკლესია და სახელმწიფო ბელგიაში//სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობების მსოფლიო გამოცდილება. გვ. 147.

თავს ხშირად „ნეიტრალურ“ და „სამეცნიერო“ პოზიციად ასაღებს, მაგრამ მსოფლიო რელიგიების თვალსაზრისით, ეს სულაც არ არის ნეიტრალური პოზიცია და მას უფრო ხშირად სხვადასხვა რელიგიური ჯგუფებისადმი საფრთხის წყაროდ აღიქვავენ[9].

საფრანგეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრის, ჟ.-მ. ბელორჟეის, აზრით, სეკულარულობისა და სეკულარიზაციის მცდარმა გაგებამ საზოგადოებაში სერიოზული პრობლემები შეიძლება გამოიწვიოს: „სეკულარიზაცია არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს ანტირელიგიურ ბრძოლას, საზოგადოებიდან რელიგიის გაძევებას ან რელიგიის კულტურულ ფაქტორამდე დაყვანას. რწმენის წინააღმდეგ ბრძოლა გაბოროტების პროვოცირებას ახდენს და ინტეგრიზმი, მილენარიზმი, მესიანობა და მათთვის დამახასიათებელი ძალადობრივი მეთოდები მოაქვს“. საფრანგეთის მიერ ისლამის თავის სეკულარულ სისტემაში მიღებაზე უარის თქმამ ისლამური ფუნდამენტალიზმის მოზღვავება გამოიწვია. მაგრამ სეკულარიზაცია სახელმწიფოს მიერ რელიგიის მართვას არ გულისხმობს, რაც, დევნასთან ერთად, სეკულარული სტრატეგიის საინტერესო თავისებურებას წარმოადგენდა. ის, რაზეც სეკულარიზებული მსოფლიო რელიგიას უარს ეუბნება - უცდომელობა, მთლიანობა და ტრანსცენდენტულობა, სახელმწიფოსაც ეხება. აქ ჩნდება საკითხი, თუ რამდენად კანონიერია სახელმწიფოს მიერ სასულიერო სფეროში მარეგულირებელი როლის თამაში და რამდენად მართებულია რელიგიური ინსტიტუტების მიერ ასეთ გარე მმართველობაზე თანხმობა[10].

სეკულარიზაცია დღეს ბევრისათვის მიმზიდველი მექანიზმია, რომლის მეშვეობითაც ისინი პირადი პრობლემების გადაწყვეტას ან საზოგადოების ხარჯზე თავისი პირადი ინეტერესების რეალიზებას ცდილობენ. სეკულარიზაცია ხშირად აიხსნება, როგორც ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების ეროვნული კულტურის ფასეულობებზე პრიორიტეტის უზრუნველყოფა. მაგრამ კაცობრიობა აბსტრაქცია არ არის. აზრი არ აქვს ადამიანის უფლებებზე საუბარს, თუ კი ვერ ვხედავთ და არ გვესმის, რომ კაცობრიობა კონკრეტული ადამიანებისგან, კონკრეტული ერებისგან, ხალხებისგან, ეთნიკური და კულტურული ჯგუფებისგან შედგება.

[9] დურემ უ. კ. რელიგიური თავისუფლების პერსპექტივები: შედარებითი ანალიზი. გვ. 13.
[10] Belorgey J. M. Laicite et democratie. LA laicite dans une societe ouverte''Istanbul. 25-26 novembre 1999.

მოქალაქეების საერო-კულტურულ და რელიგიურ იდენტობის უფლების რეალიზებისათვის წინააღმდეგობის გაწევას, მათთვის სეკულარული კვაზირელიგიური იდეოლოგიების თავზე მოხვევას, შეიძლება კულტურული გენოციდის კვალიფიკაცია მივანიჭოთ.

დღეს სახელმწიფომ სეკულარულობის პრინციპი უფრო მეტად სეკულარული კვაზირელიგიებისგან უნდა დაიცვას, ვიდრე რელიგიური ექსპანსიისგან. ყველაზე გამოკვეთილად ეს განათლების სისტემაში ჩანს, სადაც საქართველოს საზოგადოებას სხვადასხვა სეკულარულ კვაზირელიგიებს ახვევენ თავს. (მაგ, დარვინისტული თეორიები, სასკოლო სივრცეში ჰელოუინი და სხვა „დასავლური“ ღონისძიებების მოწყობა და ა. შ.)

აღზრდას საფუძვლად გარკვეული მსოფლმხედველობრივი ფასეულობები უდევს. სოციოლოგები განათლებას, როგორც პროცესს განსაზღვრავენ, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება ერთი ადამიანისგან ან ჯგუფისგან მეორეს ფასეულობებს, უნარებსა და ცოდნას გადასცემს. ემილ დურკჰეიმი მიიჩნევდა, რომ განათლების ძირითადი ფუნქცია გაბატონებული კულტურის ფასეულობების გადაცემაა, ფუნქციაში კი ერთი მოვლენის მეორესთან შესაბამისობას გულისხმობდა[11]. ამიტომ, დღესდღეობით, კულტურულ ფასეულობებთან თანაზიარების სრული რეალიზება ზოგადი და პროფესიული განათლების პროცესში ხდება.

რელიგია არა მხოლოდ კულტურული ფასეულობების მატარებელია, არამედ თვითონაც წარმოადგენს კულტურის ერთ-ერთ ფორმას.

რელიგიურ გაერთიანებებს განსაკუთრებული სოციალურ ფუნქცია გააჩნიათ, რომელსაც საზოგადოების ზნეობრივი საფუძვლების, მისი სამართლებრივი და კულტურული ფასეულობების ჩამოყალიბების და შენარჩუნების ფუნქცია ახასიათეს.

დასავლეთ ევროპის პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში სახელმწიფოს სეკულარული ხასიათი კანონმდებლობით არის დადგენილი. ამასთან ერთად, ამ ქვეყნებში, სახელმწიფოსა და ისტორიულ, ტრადიციულ რელიგიურ ორგანიზაციებს შორის ჩამოყალიბდა და იურიდიულად გამყარდა პარტნიორული ურთიერთობები.

[11] შკატულა . ი. საგანმანათლებლო სამართალი. მ.: НОРМА (НОРМА-ИНФРА-М), 2001. გვ. 200.

ამ რელიგიურ გაერთიანებებს თავს განუკუთვნებს ან უპირატესობას ანიჭებს ამ ქვეყნების მოქალაქეთა უმეტესობა. ასეთი პარტნიორული ურთიერთობები ამ ქვეყნების მოქალაქეთა ნების გამოხატვაა, რაც სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით ხორციელდება.

ამ ქვეყნების ხელისუფლებები აცნობიერებენ, რომ ეროვნული სასულიერო-ზნეობრივი და რელიგიური ფასეულობები ეროვნული კულტურის ნაწილს შეადგენენ და ამ ტრადიციებზე უარის თქმა ეროვნული კულტურის მნიშვნელოვან გაღარიბებას, შემდგომში კი მის სრულ განადგურებას გამოიწვევდა. სამართლის კონტინენტალური სისტემის მქონე ქვეყნებში, ეროვნულ-კულტურული იდენტობის საკითხებში, ეროვნულ-კულტურული ტრადიციულისა და რელიგიურისგან განუყოფელია, რელიგიური კი ეროვნულთან მჭიდრო კავშირშია. ეს არა მხოლოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, არამედ ახლო აღმოსავლეთი, აზიის რეგიონისა და და სხვა ქვეყნებისთვისაც.

ასე, რიგი მკვლევრებისა აღნიშნავს, რომ ისრაელს თავი რომ ანტირელიგიურ სახელმწიფოდ გამოეცხადებინა და იუდაურ სამართალზე უარი ეთქვა, ეს „ებრაელი ხალხის მთელ წარსულთან ტრაგიკული წყვეტა იქნებოდა“[12], რადგან „ებრაული სახელმწიფოს მომავალი მნიშვნელოვან წილად მის მიერ კულტურული იდენტობის (identity) შენარჩუნების უნარზე და ებრაელების უწყვეტ რელიგიურობაზეა დამოკიდებული“[13] ზუსტად ასევე, ქართველთა უმეტესობა თავს კულტუროლოგიურად მართლმადიდებლობას განაკუთვნებს. რელიგია, რომელიც ერის კულტურის წარმომქმნელ საფუძვლად იქცა ხალხის ეროვნულ შეგნებასთან და ეროვნულ თვითმყოფადობასთან მჭიდრო კავშირშია.

საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა თავის ეროვნულ კულტურულ თვითიდენტიფიკაციაში იქიდან ამოდის, რომ მათი კულტურული ტრადიციები კონკრეტული, ისტორიულად ჩამოყალიბებული რელიგიისა და მისი წარმომადგენელი ორგანიზაციის ტრადიციებთან უწყვეტ კავშირშია. ასეთ

[12] დოზორცევი პ. N. რუსეთში საერო სახელმწიფოებრიობის განვითარება: ისტორია და თანამედროვეობა. გვ. 134.
[13] Falk Z. Jewish Family law//International Encyclopedia of Comparative Law. L.: 1983. P. 52.

შემთხვევაში სახელმწიფომ კულტურისა და განათლების სფეროში თავისი პოლიტიკის წარმოებისას უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ საქართველოში ისტორიულად არსებული რელიგიური ორგანიზაციებისადმი თავის კუთვნილებას ან მათდამი უპირატესობას საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა გამოხატავს. სახელმწიფო ვერ იქნება ყველა რელიგიური ორგანიზაციისგან „თანაბრად დაშორებული“, მას არ აქვს თავის მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების იგნორირების უფლება, მით უმეტეს, როდესაც მოქალაქეები ქვეყანაში ისტორიულად არსებულ ამა თუ იმ რელიგიურ ორგანიზაციებს განუკუთვნებენ თავს, ან უპირატესობას ანიჭებენ მათ, ან კუტუროლოგიულად განუკუთვნებენ მათ თავს.

ადამიანის უფლებების შეზღუდვა სხვათა უფლებების დაცვის მიზნით დემოკრატიული ქვეყნების ჩვეულებრივი პრაქტიკაა. ასე, მაგალითად, ესტონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-19 სტატია (1992 წ. 28 ივნისი) ადგენს: „თითოეული, სარგებლობს რა უფლებებითა და თავისუფლებით და ასრულებს ვალდებულებებს, ასევე ვალდებულია სხვათა უფლებებს და თავისუფლებას პატივი სცეს და დაიცვას კანონები“[14]. გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-2 სტატიის 1 ნაწილი ადგენს: „ყველას აქვს თავისი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, რამდენადაც ის არ არღვევს სხვა პირთა უფლებებსა და არ ხელყოფს კონსტიტუციურ წესრიგსა და ზნეობრივ კანონს“[15]

ევროპული საკანონმდებლო სივრცეში, როგორც ევროკავშირის, ასევე ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა უფლებები დაცულია, კერძოდ:

- აზრის, შეხედულებებისა და აღმსარებლობის თავისუფლება;
- აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება;
- დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება;
- ეროვნულ-კულტურული და რელიგიური იდენტობის უფლება - ეროვნულ კულტურული და რელიგიური იდენტობის, თვითიდენტიფიკაციისა და თვითმყოფადობის, ეროვნული კულტურის

[14] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუციები. ტ. 3. გვ. 717.
[15] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუციები. ტ. 1. გვ. 580.

შენარჩუნების, კულტურული განვითარების, კულტურული ფასეულობებისადმი წვდომის და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის, ხალხების თვითგამორკვევის და საკუთარი კულტურული განვითარების დადგენისა და განხორციელების უფლების ჩათვლით; თავისუფლებისა და ღირსების პირობებში სულიერი განვითარების უფლება; ბავშვის სულიერი განვითარების უფლება; მშობლების უფლება აირჩიონ თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისათვის აღზრდა-განათლების ფორმა; ბავშვში მისი კულტურული თვითმყოფადობისადმი, ენისა და ფასეულობებისადმი, იმ ქვეყნის ეროვნული ფასეულობებისადმი, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს პატივისცემიც ჩამოყალიბების უფლება; ცხოვრების სულიერი დონის ამაღლების უფლება.

კანონმდებელმა აქცენტირება მოახდინა იმაზე, რომ განათლება არის პროცესი, რომელიც ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს, და არა რომელიმე ახალი რელიგიური წარმონაქმნების, განათლების მმართველი ორგანოებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ცალკეული მოხელეების ინტერესებს იცავს.

საქართველოს საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა უმრავლესობა თავს მიაკუთვნებს ან უპირატესობას ანიჭებს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ან საქართველოსათვის ტრადიციულ სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს. ამ ფაქტის გათვალისწინებით კი მიუღებელია მათთვის, მათი ან მათი მშობლების (კანონიერი წარმომადგენლების) ნების საწინააღმდეგოდ უცხო რელიგიური ორგანიზაციების სწავლებების თავზე მოხვევა, (მაგ, ვალდორფის სკოლა - სასწავლო პროცესი წარმართულია თეოსოფია-შტაინერის მსოფლმხედველობების მიხედვით) რაც მათი უფლებების, მათ შორის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლების, საკუთარი ეროვნული კულტურის ფარგლებში კულტურული განვითარების, საკუთარი შეხედულებების შესაბამისად განათლების არჩევის უფლებების უხეში დარღვევაა. ეს უფლებები კი საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით არის გარანტირებული.

„ამა თუ იმ ერისათვის ტრადიციული რელიგია მისი ეროვნული კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ამიტომ საჯარო სასწავლო დაწესებულებების

მოსწავლეთა მათთვის უცხო რელიგიურ გაერთიანებებში (რომლებსაც ისინი თვითონ თავს არ განუკუთვნებენ ან უპირატესობას არ ანიჭებენ) გაწევრიანების მცდელობა თუ დაფიქსირდება, კულტურული და რელიგიური დისკრიმინაციის ფორმას მივიღებთ. ხოლო თუ მოსწავლეთა ეროვნულ-კულტურული იდენტობის ნგრევა მასობრივ ხასიათს შეიძენს, მაშინ ეს შეიძლება კულტურულ და რელიგიურ გენოციდად მივიჩნიოთ, თუკი ამ უკანასკნელ ცნებას უფრო ფართოდ განვიხილავთ, ვიდრე ეს 1948 წლის 9 დეკემბრის გენოციდისა და მისთვის დაკისრებული სასჯელის კონვენციაშია მოცემული[16]".

საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მსოფლმხედველობრივი ჩამოყალიბების უფლების დარღვევათა ანალიზი შემდეგი ტიპური შემთხვევების გამოყოფის საშუალებას გვაძლევს:

- საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ისეთი სასწავლო-მეთოდური ან სხვა სახის მასალების გავრცელება, რომლებიც თავს ახვევენ იმ რელიგიური (რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებების) სწავლებების ელემენტებს, რომლებზეც მოსწავლეთა ან მათი მშობლების მხრიდან მოთხოვნა არ არის, ანუ მათი (მოსწავლეებისა და მათი მშობლების) მხრიდან თანხმობის გარეშე;
- მეცადინეობებისა და კლასგარეშე ღონისძიებების დროს მოსწავლეებისათვის მასწავლებლების (მათ შორის ასეთ რელიგიების მიმდევარი მასწავლებლების) მხრიდან რელიგიური სწავლებების ელემენტების თავზე მოხვევა, თუ ამ სწავლებებზე მოსწავლეთა ან მათი მშობლების (ან მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების) მხრიდან მოთხოვნა არ არის;
- მოსწავლეთა და მათი მშობლებისათვის (ან კანონიერი წარმომადგენლებისათვის) მათი სურვილის წინააღმდეგ რელიგიური გაერთიანებების თავზე მოხვევა ან მათთვის რაიმე სახის რელიგიური რიტუალების, მათ შორის, რელიგიური მედიტაციისა და იოგის სახეობების

[16] ადამიანის უფლებების საერთაშორისო აქტები. გვ. 497.

(რაჯა-იოგა, აგნი-იოგა და ა. შ.), „მაგიური რიტუალების“, ე. წ. „ჩაკრებთან“, „მესამე თვალთან“ დაკავშირებული ტექნიკების შესრულების იძულება;

- მოსწავლეთა, მათი მშობლების (ან კანონიერი წარმოადგენლების) ნების საწინააღმდეგოდ ამგვარი რელიგიური გაერთიანებების მიერ მოწყობილ ღონისძიებებში (კონცერტები, სადღესასწაულო ან სხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული, გამაჯანსაღებელი, ნარკომანიასთან, ალკოჰოლიზმთან, ზნეობრივ აღვირახსნილობასთან ბრძოლისადმი მიძღვნილი ღონისძიებები) ჩათრევა, მიუხედავად იმისა, თუ სად ტარდება ეს ღონისძიებები - სასწავლო დაწესებულებებში, თუ მათ ფარგლებს გარეთ;
- საჯარო სასწავლო დაწესებულებების პრაქტიკაში ქართული ეროვნული კულტურისათვის უცხო „დღესასწაულების“ ჩართვის მცდელობა, მაგალითად „ჰელოუინი“ და მოსწავლეთათვის ასეთ დღესასწაულებზე დასწრების იძულება.

რელიგიური გაერთიანებისთვის შეუზღუდავი პროპაგანდის წარმართვისათვის სინდისის თავისუფლების არგუმენტს არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია.

საკუთარი ეროვნულ-კულტურული და რელიგიური იდენტობის შესაბამისი განათლების მიღების უფლება მოქალაქეების განუყოფელი უფლებაა, იგი წარმოდგება მსოფლმხედველობრივი თვითგამორკვევის, აზრის, სინდისისა და რელიგიის, აზრის გამოხატვის თავისუფლების, დისკრიმინაციისგან დაცვისა და ეროვნულ-კულტურული და რელიგიური იდენტობის შენარჩუნების უფლებებისგან.

მოქალაქეთა უფლება, მიიღონ განათლება თავიანთი ეროვნულ-კულტურული და რელიგიური იდნეტობის შესაბამისად, ეროვნულ-კულტურული და რელიგიური იდენტობის უფლების ნაწილს წარმოადგენს - აქვე შედის ეროვნულ-კულტურული და მსოფლმხედველობრივი, მათ შორის რელიგიური თვითიდენტიფიკაციის და თვითმყოფადობის, ეროვნული კულტურის შენარჩუნების, კულტურული განვითების, კულტურულ ფასეულობებზე წვდომის და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, ერების თვითგამორკვევის და თავისი კულტურული

განვითარების თავისუფლად დადგენისა და განხორციელების უფლება (10.12. 1948 წ. *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის* 22 მუხლი, 26 მუხლის მე-2 ნაწილი, 27 მუხლის 1 ნაწილი[17]; 16.12.1966 წ. *ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის* 1 სტატიის 1 ნწაილი, მე-13 სტატიის 1 ნაწილი, მე -15 სტატიის 1 და 2 ნაწილები[18]; 16.12. 1966 წ. *სამოქალაქო და პოლიტიკური ეფლებების პაქტის* 1 სტატიის 1 ნაწილი[19]; 1986 წ. 4 დეკემბრის *განვითარების უფლების დეკლარაციის* 1 სტატია, მე-3 სტატიის 1 ნაწილი, მე-8 სტატიის 1 ნაწილი[20]; 20.11.1989 წ. ბავშვთა უფლებების კონვენციის პრეამბულა, მე-8 სტატია, 29 სტატიის 1 ნაწილის „c“ პუნქტი, 30 და 31 სტატიები[21]; 1978 წ. 27 ნოემბრის *რასებისა და რასობრივი ცრურწმენების შესახებ დეკლარაციის* 1 სტატიის მე-2 და მე-3 ნაწილები, მე-5 სტატიის 1 ნაწილი[22]; 14.12.1960 წ. *განათლების სფეროში დისკრიმინაციასთან ბრძოლის კონვენციის* მე-5 სტატია[23]; 18.12.1992 წ. *ეროვნული ან ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელ პირთა უფლებების დეკლარაციის* 1 სტატიის 1 ნაწილი[24]; 14.12.1960 წ. *კოლონიალური ხალხებისა და ქვეყნებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის* მე-2 პუნქტი[25]; 1969 წ. 11 *დეკემბრის სოციალური პროგრესისა და განვითარების დეკლარაციის* მე-10 სტატიის „პუნქტი“[26]; 04.11.1966 წ. *საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის პრინციპების დეკლარაციის* I, VI, VIII, IX სტატიები[27]; 25.06.1993 წ. *ვენის სამოქმედო პროგრამის და დეკლარაციის* I განაყოფის მე-2, მე-5, მე-8 და მე-10 პუნქტები, I განაყოფის მე-19 პუნქტის მე-3 აბზაცი, I განაყოფის მე-20 პუნქტი, II განაყოფის „A“ ქვეგანაყოვიფის 72 პუნქტი[28]; *დამოუკიდებელ ქვეყნებში მომთაბარე წესით მცხოვრები ხალხების და ძირძველი ხალხების შესახებ კონვენციის / 1989 წ.*

---

[17] ადამიანის უფლებებეის საერთაშორისო აქტები. გვ. 42-43.
[18] იქვე. გვ. 44, 48-49.
[19] იქვე. გვ. 53.
[20] იქვე. გვ. 106-108.
[21] იქვე. გვ. 307, 308, 315, 316.
[22] იქვე. გვ. 115-117.
[23] იქვე. გვ. 161.
[24] იქვე. გვ. 111.
[25] იქვე. გვ. 100.
[26] იქვე. გვ. 328.
[27] იქვე. გვ. 392-393.
[28] იქვე. გვ. 80-83.

შრომის საერთაშორისო ორგაანიზაციის №169 კონვენციის მე-5 სტატია[29]; 01.08.1975 წ. *ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტის* VII და VIII ნაწილები[30]; 15.01.1989 წ. *ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის* მე-4, მე-14, მე-19 პუნქტები[31]; 29.06.1990 წ. *ეუთოს ადამიანური განზომილების კონფერენციის კოპენჰაგენის თათბირის დოკუმენტის* მე-4, მე-32, მე-33, მე-35 პუნქტები[32]; 03.10.1991 წ. *ეუთოს ადამიანური განზომილების კონფერენციის მოსკოვის თათბირის 35 პუნქტი*[33];);

სულიერი კეთილდღეობის უფელება (*დამოუკიდებელ ქვეყნებში მომთაბარე წესით მცხოვრები ხალხების და ძირძველი ხალხების შესახებ კონვენციის / 1989 წ. შრომის საერთაშორისო ორგაანიზაციის №169 კონვენციის მე-7 სტატიის 1 ნაწილი*);

თავისუფლებისა და ღირსების პირობებში სულიერი განვითარების უფლება (*25.06.1958 წ. შრომისა და მეცადინეობის სფეროში დისკრიმინაციის შესახებ კონვენციის* პრეამბულა[34]);

ბავშვის სულიერი განვითარების უფლება (20.11.1989 წ. ბავშვის უფლებათა კონვენციის 23 სტატიის მე-3 ნაწილი, 27 სტატიის 1 ნაწილი[35]);

მშობლების უფლება აირჩიონ თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისათვის აღზრდა და განათლება (*10.12.1948 წ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის* 26 სტატიის მე-3 ნაწილი[36]; *16.12.1996 წ. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის* 13 სტატიის მე-3 ნაწილი[37]; *16.12. 1966 წ. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის*[38]; *25.11.1985 წ. რელიგიისა და სეხედულებების ნიადაგზე არსებული არატოლერანტობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ*

[29] იქვე. გვ. 122.
[30] იქვე. გვ. 341-342.
[31] იქვე. გვ. 648, 650, 652.
[32] იქვე. გვ. 653, 661, 662.
[33] იქვე. გვ. 672.
[34] იქვე. გვ. 122.
[35] იქვე. გვ. 155.
[36] იქვე. გვ. 313, 314.
[37] იქვე. გვ. 43.
[38] იქვე. გვ. 48.

დეკლარაციის მე-5 სტატია[39]; *14.12.1960 წ. განათლების სფეროში დისკრიმინაციასთან ბრძოლის კონვენციის* მე-5 სტატიის 1 ნაწილის „b“ პუნქტი[40]; *ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის №1 პროტოკოლის* მე-*2 სტატია 20.03.01952 წ. (პარიზი)*[41]*; 15.01.1989 ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოების ვენის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის* 16.6 და 16.7 პუნქტები[42]);

ბავშვში მისი კულტურული თვითმოყოფადობის, ენის, ფასეულობებისა და იმ ქვეყნის ეროვნული ფასეულობებისადმი, რომელშიც ის ცხოვრობს, პატივისცემი აღზრდის უფლება (*20.11.1989 წ. ბავშვთა უფლებების კონვენციის* 29 სტატიის 1 ნაწილის „c“ პუნქტი[43]);

ცხოვრების სულიერ დონის ამაღლების უფლება (*11.12.1969 წ. სოციალური პროგრესისა და განვითარების დეკლარაციის* II ნაწილის 1 აბზაცი[44]).

აზრის, სინდისის, რელიგიის თავისუფლება, აზრის გამოხატვის თავისუფლება დაფიქსირებულია შემდეგ საერთაშორისო ადამიანის უფლებების აქტებში.

10.12.1948 წ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია: „ყოველ ადამიანს აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება; ეს უფლება მოიცავს რელიგიისა და შეხედულებების შეცვლის თავისუფლებას და საკუთარი რელიგიის ან შეხედულებების აღმსარებლობის თავისუფლებას, როგორც ერთპიროვნულად, ისე სხვებთან ერთად, როგორც კერძო, ისე საზოგადო წესით, სწავლების, ღვთისმსახურების და რელიგიური და რიტუალური წესების აღსრულების სახით“ (სტატია 18)[45]; „ყოველ ადამიანს აქვს შეხედულებების ქონისა და მათი თავისუფლად გამოხატვის უფლება; ეს გულისხმობს შეხედულებების დაუბრკოლებლად გამოხატვის უფლებას...“ (სტატია 19)[46].

[39] იქვე. გვ. 59.
[40] იქვე. გვ. 133-134.
[41] იქვე. გვ. 161.
[42] იქვე. გვ. 551.
[43] იქვე. გვ. 651.
[44] იქვე. გვ. 315.
[45] იქვე. გვ. 41-42.
[46] იქვე. გვ. 42.

16.12.1966 წ. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი: „1. ყოველ ადამიანს აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება. ეს უფლება გულისხმობს რელიგიისა და შეხედულებების პირადი არჩევანით ქონასა და არჩევას და საკუთარი რელიგიისა და შეხედულებების აღმსარებლობის უფლებას, როგორც ერთპიროვნულად, ისე სხვებთან ერთად, საზოგადო ან კერძო წესით...2. არავის მიმართ არ უნდა ხორციელდებოდეს ძალდატანება, რომელიც ზღუდავს მის თავისუფლებას თავისი არჩევანით იქონიოს ან აირჩიოს რელიგია და შეხედულებები. 3. შეხედულებებისა და რელიგიის აღმსარებლობის თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ კანონით დადგენილ შეზღუდევებს, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და ზნეობის, ასევე სხვა პირთა ძირითადი უფლებების დაცვისათვის“ (სტატია 18)[47]; „ყოველ ადამიანს აქვს უფლება დაუბრკოლებლად ჰქონდეს თავისი აზრი“ (19 სტატიის 1 ნაწილი)[48].

14.12. 1960 წ. განათლების სფეროში დისკრიმინაციასთან ბრძოლის კონვენცია: „...არავის, არც ცალკეულად და არც ადამიანთა ჯგუფს, არ უნდა მოეხვიოს მათ შეხედულებებთან შეუთავსებელი რელიგიური აღზრდა“ (სტატია 5)[49].

20.11.1989 წ. ბავშვთა უფლებებეის კონვენცია: „მონაწილე ქვეყნები უზრუნველყოფენ ბავშვებისათვის, რომელთაც თავიანთი შეხედულებების ჩამოყალიბება შეუძლიათ, უფლებას გამოხატონ თავიანთი შეხედულებები საკითხებზე, რომლებიც ბავშვებს ეხება...“ (12 სტატიის 1 ნაწილი)[50]; „ბავშვს აქვს თავისი აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლება...“ (13 სტატიის 1 ნაწილი)[51]; „მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვის აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლების უფლებას... რელიგიის ან სარწმუნოების აღმსარებლობა შეიძლება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს დაექვემდებაროს, რომლებიც კანონით არის დადგენილი და აუცილებელია სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების,

[47] იქვე. გვ. 59.
[48] იქვე. გვ. 59.
[49] იქვე. გვ. 161..
[50] იქვე. გვ. 309-310.
[51] იქვე. გვ. 310.

საზოგადოებრივი წესრიგის, ზნეობის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სხვათა უფლებების დასაცავად“ (14 სტატიის 1 და მე-4 ნაწილები)[52].

04.11.1954 წ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია: „1. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და აგრეთვე, თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით. 2. რელიგიის ან რწმერის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებირივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის, ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად“ (9 სტატია)[53].

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტი (ჰელსინკი, 01.08.1975 წ.): „მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, მათ შორის აზრის, სინდისის, რელიგიისა და შეხედულებების თავისფლებას ყველასათვის, რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად. ისინი წაახალისებენ და განავითარებენ კულტურული და სხვა უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტურ განხორციელებას, რომლებიც წარმოდგება ადამინის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ღირსებიდან და არსებითნი არიან მისი თავისუფალი და სრული განვითარებისათვის. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ და პატივს სცემენ პიროვნების თავისუფლებას განაცხადოს ერთპიროვნულად ან სხვებთან ერთად რელიგია ან სარწმუნოება და იმოქმედოს საკუთარი სინდისის კარნახით...“ (VII ნაწილი)[54].

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის ვენის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი (ვენა, 15.01.1989 წ.): „ისინი [წევრი სახელმწიფოები] ადასტურებენ, რომ პატივს სცემენ ადამიანის ეფლებებსა და ძირითად

[52] იქვე. გვ. 310.
[53] იქვე. გვ. 542
[54] იქვე. გვ. 542.

თავისუფლებებს აზრის, სინდისის, რელიგიის და შეხედულებებსი თავისუფლების ჩათვლით ყველასთვის რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად“ (11 პუნქტი)[55].

დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება დაფიქსირებულია ადამიანის უფლებების შემდეგ საერთაშორისო აქტებში.

10.12.1948 წ. ადამინის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია: „ყველა ადამიანი თანაბარი ღირსებითა და უფლებებით იბადება“ (1 სტატია)[56]; „ყოველი ადამიანი უნდა ფლობდეს ყველა იმ თავისუფლებასა და ყველა იმ უფლებას, რომელიც ამ დეკლარიაციაში არის აღიარებული, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალურ წარმომავლობის, ქონებრივი, საგავრეულო ან სხვა მდგომარეობის განურჩევლად“ (2 სტატია)[57]; „თითოეულ ადამიანს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, აქვს მისი სუბიექტურობის უფლება“ (6 სტატია)[58]; „ყველა ადამიანი თანაბარია კანონის წინაშე და განურჩევლად აქვს კანონით დაცულობის უფლება. ყველა ადამიანს აქვს ამ დეკარაციის დამრღვევი ყოველგვარი დისკრიმინაციისგან და ამგვარი დისკრიმინაციისკენ წაქეზებისგან დაცვის უფლება“ (7 სტატია)[59].

16.12.1966 წ. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი: „ამ პაქტში არაფერი არ უნდა განიმარტებოდეს ისე, თითქოს რომელიმე სახელმწიფოს, რომელიმე ჯგუფს ან რომელიმე პირს აქვს ისეთი საქმიანობის ან ქმედებების უფლება, რომელიც ნებისმიერი იმ უფლებისა და თავისუფლების განადგურებისკენ ან ამ პაქტით გათვალისწინებულზე მეტად შეზღუდვისკენ იქნება მიმართული“ (მე-5 სტატიის 1 ნაწილი)[60].

16.12.1966 წ. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი: „ყველა ადამიანი თანაბარია კანონის წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე აქვს კანონით თანაბარი დაცვის უფლება. ამ მხრივ, ყოველი სახის დისკრიმინაცია

[55] იქვე. გვ. 641.
[56] იქვე. გვ. 649.
[57] იქვე. გვ. 40.
[58] იქვე. გვ. 40.
[59] იქვე. გვ. 45.
[60] იქვე. გვ. 61.

კანონით უნდა იკრძალებოდეს და კანონი ყველა პირისთვის უნდა უზრუნველყოფდეს თანაბარ და ეფექტურ დაცვას ნებისმიერი საბაბით დისკრიმინაციის წინააღმდეგ, იქნება ეს: რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალურ წარმომავლობის, ქონებრივი, საგავრეულო ან სხვა მდგომარეობის განურჩევლად“ (26 სტატია)[61].

25.11.1981 წ. არატოლერანტობის და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ დეკლარაცია: „1. არავინ არ უნდა განიცდიდეს დისკრიმინაციას რელიგიისა და შეხედულებების საფუძველზე სახელმწიფოს, დაწესებულების, ადამიანთა ჯგუფის ან ცალკეული პირების მხრიდან. 2. ამ დეკლარაციაში ნახსენები „დისკრიმინაცია რელიგიისა და შეხედულებების საფუძველზე“ ნიშნავს რელიგიურ ან შეხედულებების ნიადაგზე ნებისმიერ განსხვავებას, შეზღუდვას, უპირატესობის მინიჭებას, რომელიც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობის განადგურებას ან დაკნინებას გულისხმობს“ (2 სტატია)[62]; „რელიგიისა და შეხედულებების საფუძველზე ადამიანების დისკრიმინაცია ადამიანის პიროვნების ღირსების დაკნინებას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების უარყოფას წარმოადგენს და იგმობა, როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევა, რომლებიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით არის აღიარებული და დაწვრილებით არის გადმოცემული ადამიანის უფლებების საერთაშორისო პაქტებში, როგორც სახელმწიფოთა შორის მეგობრული და მშვიდობიანი ურთიერთობების დაბრკოლება“ (3 სტატია)[63].

20.11.1989 წ. ბავშვის უფლებათა კონვენცია: „1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ ყველა უფლებას, რომელიც მათ იურისდიქციაში მყოფი ბავშვებისთვის ამ კონვენციით არის გათვალისწინებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური

[61] იქვე. გვ. 133.
[62] იქვე. გვ. 133.
[63] იქვე. გვ. 307.

წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან დაბადების, მისი მშობლებისა და კანონიერი მზრუნველების ან სხვა გარემოებების მიუხედავად. 2. მონაწილე სახელმწიფოები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა დაიცვან ბავშვი, მისი მსობლები ან კანონიერი მზრუნველები ან ოჯახის სხვა წევრები სტატუსის, საქმიანობის, გაცხადებული აზრების ან შეხედულებების ნიადაგზე არსებული ყველა სახის დისკრიმინაციის ან დასჯისგან“ (2 სტატია)[64].

04.11.1950 წ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია: „ამ კონვენციაში გადმოცემული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, იქნება ეს დისკრიმინაცია რელიგიური, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული თუ რელიგიური უმცირესობებისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების თუ სხვა ნიშნის ნიადაგზე“ (14 სტატია)[65].

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო ატქი (ჰელსინკი 01.08.1975 წ.): „მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, აზრის, სინდისის, რელიგიის და შეხედულებების თავისუფლების ჩათვლით ყველასთვის რასის, სქესის, ენისა და რელიგიის მიუხედავად. ისინი წაახალისებენ და განავითარებენ იმ კულტურული და სხვა უფლებებისა და თავისფულებების ეფექტურ განხორციელებას, რომლებიც ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელი ღირსებიდან გამომდინარეობს და არსებითი მნიშვნელობა გააჩნია მისი თავისუფალი და სრული განვითარებისათვის. ამ ფარგლებში მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ და პატივს სცემენ ადამიანის უფლებას ერთპიროვნულად ან სხვებთან ერთად განაცხადოს რელიგია ან რწმენა, საკუთარი სინდისის კარნახით...“ (VIII სტატია)[66].

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის ვენის შეხვედრის მონაწილე სახელმწიფოების შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი (ვენა, 15.01.1989 წ.): „13. ამასთან დაკავშირებით ისინი [მონაწილე სახელმწიფოები] თავს იდებენ: 13.7.

[64] იქვე. გვ. 542.
[65] იქვე. გვ. 542.
[66] იქვე. გვ. 641.

საკუთარ ტერიტორიაზე ნებისმიერი ადამიანისათვის, რომელიც მათ იურისდიქციას ექვემდებარება, უზრუნველყონ ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები ყოველგვარი გარჩევის გარეშე, იქნება ეს: რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებები, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობა, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება ან სხვა გარემოებები...16. მონაწილე სახელმწიფოები, ადამიანის მიერ რელიგიის ან რწმენის აღმსარებლობის უფლების უზრუნველყოფის მიზნით, სხვა ყველაფერთან ერთად, თავს იდებენ: 16.1.- მიიღონ ეფექტური ზომები დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რომელიც მიმართულია პირთა ან გაერთიანებათა წინააღმდეგ, განახორციელონ ადამიანის უფლებები და ზირითადი თავისუფლებები სამოქალაქო, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში და უზრუნველყონ მორწმუნეთა და ურწმუნოთა შორის ნამდვილი თანასწორობა...“[67]

[67] იქვე. გვ. 650-651.

1.1.3 კულტურული ფასეულობებისადმი წვდომის, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა და კულტურული განვითარების უფლება

10.12.1948 წ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია: „განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის განმტკიცებისაკენ“ (26 სტატიის მე-2 ნაწილი)[68]; „ყველას აქვს უფლება თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ტკბებოდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს მეცნიერულ პროგრესში და სარგებლობდეს მისი სიკეთით“ (27 სტატიის 1 ნაწილი)[69]; „ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს ... უფლება მოახდინოს თავისი ღირსების შენარჩუნება და პიროვნების თავისუფალი განვითარება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა განხორციელებით, ეროვნული ძალისხმევისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და თითოეული სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად“ (22 სტატია)[70].

14.12.1960 წ. განათლების სფეროში დისკრიმაციასთან ბრძოლის კონვენცია: „1. სახელმწიფოები, რომლებიც ამ კონვენციის მხარეებს წარმოადგენენ მიიჩნევენ, რომ: ა) განათლება ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისკენ უნდა იყოს მიმართული...2. სახელმწიფოები, რომლებიც ამ კონვენციის მხარეებს წარმოადგენენ, კისრულობენ, რომ მიმართავენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა უზრუნველყონ იმ პრინციპების განხორციელება, რომლებიც მოცემული სტატიის 1 პუნქტშია გადმოცემული“ (5 სტატია)[71].

04.11.1966 წ. საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის პრინციპების დეკლარაცია: „1. ყოველი კულტურა ფლობს ღირსებასა და ფასეულობას, რომლებიც პატივისცემას და დაცვას იმსახურებენ. 2. საკუთარი კულტურის განვითარება თითოეული ერის უფლება და ვალდებულებაა. 3. კულტურები, მათი

[68] იქვე. გვ. 43.
[69] იქვე. გვ. 43.
[70] იქვე. გვ. 42.
[71] იქვე. გვ.161.

მრავალფეროვნებითა და ურთიერთგავლენით, კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობის ნაწილს წარმოადგენენ“ (1 სტატია)[72].

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტი (ჰელსინკი, 01.08.1975 წ.): „ხალხების თანაბარი უფლებიდან, თავად განკარგონ თავისი ბედი, გამომდინარეობს, რომ მსოფლიოს ყველა ხალხს სრული თავისუფლების პირობებში აქვს უფლება, როდესაც და როგორც უნდა, განსაზღვროს საკუთარი საშინაო და საგარეო სტატუსი გარედან ჩარევის გარეშე და განახორციელონ, საკუთარი ნებით, თავიანთი კულტურული განვითარება“ (VIII ნაწილი)[73].

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოების ვენის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი (ვენა, 15.01.1989 წ.): „14. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული, ასევე, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ხელშეწყობას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ადამიანური ღირსებისა და ყოველი პიროვნების კანონიერი მისწრაფებების მიღწევისათვის... ამასთან დაკავშირებით, განათლებისა და კულტურის სფეორში არსებულ პრობლემებს ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაღწევენ“[74].

მშობლების პრიორიტეტული უფლება, თავად აირჩიონ თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისათვის განათლების ფორმა.

10.12.1948 წ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია: „მშობლებს აქვთ პრიორიტეტული უფლება, აირჩიონ განათლების ფორმა თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისათვის“ (26 სტატიის მე-3 ნაწილი)[75].

16.12. 1966 წ. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი; „პაქტში მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ, რომ პატივს სცემენ მშობლებისა და კანონიერი მზრუნველების უფლებას, აირჩიონ თავიანთი

[72] იქვე. გვ. 392.
[73] იქვე. გვ. 642.
[74] იქვე. გვ. 650.
[75] იქვე. გვ. 43.

შვილების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდის ფორმა თავიანთი შეხედულებების შესაბამისად“ (13 სტატიის მე-3 ნაწილი)[76].

25.11.1981 წ. რელიგიისა და შეხედულებების საფუძველზე არსებული ყოველგვარი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ დეკლარაცია: „ბავშვის მშობლებს, ან შესაბამის შემთხვევებში მის კანონიერ მზრუნველებს, ოჯახის ფარგლებში თავისი რელიგიისა და შეხედულებების თანახმად და ზნეობრივი აღზრდიდან გამომდინარე, რომელიც მათი აზრით, ბავშვმა უნდა მიიღოს, ცხოვრების წესის განსაზღვრის უფლება გააჩნიათ. 2. ყოველ ბავშვს მისი მშობლების ან, შესაბამის შემთხვევებში, მისი კანონიერი მზრუნველების სურვილის თანახმად რელიგიისა და შეხედულებების სფეროში განათლებისადმი წვდომის უფლება აქვს; მშობლებისა და კანონიერი მზრუნველების სურვილის საწინააღმდეგოდ რელიგიის და შეხულებების სფეროში ბავშვისთვის სწავლების ძალდატანება დაუშვებელია, ამასთან, მთავარ პრინციპად ბავშვის ინტერესები რჩება... 4. თუ ბავშვი თავისი მშობლების ან კანონიერი მზრუნველების კმაყოფაზე არ არის, მაშინ მხედველობაში მიიღება მათ მიერ გამოხატული ნება ან რელიგიისა და შეხედულებების სფეროში მათ მიერ გამოხატული ნებისმიერი ნება, ამასთან, მთავარ პრინციპად ბავშვის ინტერესები რჩება. 5. იმ რელიგიისა და შეხედულებების პრაქტიკა, რომლებშიც ბავშვი იზრდება, მის ფიზიკურ და გონებრივ ჯანმრთელობას, არც მის სრულ განვითარებას ზიანს არ უნდა აყენებდეს...“ (5 სტატია)[77].

14.12.1960 წ. განათლების სფეროში დისკრიმინაციასთან ბრძოლის კონვენცია: „1. სახელმწიფოები, რომლებიც კონვენციის მხარეებს წარმოადგენენ, მიიჩნევენ, რომ.. b) მშობლებს და შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მზრუნველებს, უნდა გააჩნდეთ შესაძლებლობა, პირველ რიგში, თითოეული სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, თავისუფლად გაუშვან თავისი შვილები არა სახელმწიფო, არამედ სხვა სასწავლო დაწესებულებებში, რომლებიც განათლების კომპეტენტური ორგანოების მიერ დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს პასუხობენ და მეორეც, უზრუნველყონ ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა მათი შეხედულებების თანახმად; არავის, ცალკეულად და არც პირთა ჯგუფს, არ შეიძლება

[76] იქვე. გვ. 48.
[77] იქვე. გვ. 133-134.

თავზე მოეხვიოს მათი შეხედულებების შეუსაბამო რელიგიური აღზრდა... 2. სახელმწიფოები, რომლებიც ამ კონვენციის მხარეებს წარმოადგენენ, თავს იდებენ, რომ მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა ამ სტატიის 1 პუნქტში გადმოცემული პრინციპების გამოყენება უზრუნველყონ“ (მე-5 სტატია)[78].

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის კონვენციის №1 პროტოკოლი (პარიზი, 20.03.1952 წ.); „არავის არ უნდა ეთქვას უარი განათლების უფლებაზე. სახელმწიფო, განათლებისა და სწავლების სფეროში თავის თავზე აღებული ნებისმიერი ფუნქციის შესრულებისას პატივს სცემს მშობლების უფლებას თავიანთი შვილებისათვის განათლება და სწავლება უზრუნველყონ თავისი რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებების თანახმად“ (მე-2 სტატია)[79].

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის წევრი სახელმწიფოების ვენის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტი (ვენა, 15.01.1989 წ.): „16. მონაწილე სახელმწიფოები, ადამიანის მიერ რელიგიის ან რწმენის აღმსარებლობის უფლების უზრუნველყოფის მიზნით, ყვლაფერთან ერთად ... 16.6 - პატივს სცემენ თითოეულის უფლებას მისცეს ან მიიღოს რელიგიური განათლება მისთვის სასურველ ენაზე ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად;...“

[78] იქვე. გვ. 161.
[79] იქვე. გვ. 551.

1.2 სეკულარულობა და განათლება

1.2.1 სეკულარული განათლების ნიშნები საქართველოს საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში

საგანმანათლებლო დაწესებულების მოღვაწეობა დემოკრატიის, ჰუმანიზმის, მისაწვდომობის, ზოგადადამიანური ფასეულობების პრიორიტეტის, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მოქალაქეობის, პიროვნების თავისუფალი განვითარების, განათლების ავტონომიურობისა და სეკულარული ხასიათის პრინციპებს ეფუძნება.

სახელმწიფოს სეკულარულობის, როგორც მისი სრული არარელიგიურობის მცდარი განმარტების მსგავსად უსაფუძვლოა მტკიცება, რომ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების სეკულარული ხასიათი რელიგიისა და რელიგიური გაერთიანებების ყოველგვარ გავლენას გამორიცხავს.

და მაინც, აღნიშნული სამართლებრივი ნორმა მორწმუნე მოქალაქეების მიმართ ხშირად დისკრიმინაციულად განიმარტება.

განათლების ეროვნული სისტემისგან რელიგის სრული იზოლაცია საქართველოს განათლების შესახებ კანონს ეწინააღმდეგება, რომელიც ადგენს, რომ განათლების შინაარსი უნდა უზრუნველყოფდეს მოსწავლისათვის თანამედროვეობისა და საგანმანათლებლო პროგრამის (სწავლების საფეხურის) ადექვატურ სამყაროს ხედვის ჩამოყალიბებას; საზოგადოებაში ინტეგრირებული და მისი სრულყოფისკენ ორიენტირებული ადამიანისა და მოქალაქის ჩამოყალიბებას. ეროვნულ კულტურასა და თანამედროვე საზოგადოებაში პრივონების ინტეგრაცია მოსწავლეთათვის მათი ეროვნული კულტურის გაცნობას გულისხმობს - ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და ა. შ., რომლებიც კონკრეტული რელიგიების - მართლმადიდებლობის ან ისლამის საფუძველზე - იქმნებოდა.

რელიგიურ ორგანიზაციებს, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებს, განათლებაზე გავლენის უფლება აქვთ. ამასთან, რელიგიურ ორგანიზაციებს განათლების მართვის სახელმწიფო ორგანოების ჩანაცვლების უფლება არ გააჩნიათ.

დოქტორ ჟ. ბობეროს აზრით: „თუმცა სეკულარულობის ფუნდამენტური პრინციპები უკვე კარგა ხანია შეიქმნა, სასკოლო დაწესებულებები რჩება იმ სფეროდ, სადაც მათი გამოყენება მეტ მოქნილობას მოითხოვს. ეს ლოგიკურიც არის, რადგან სეკულარულობა სინდისის თავისუფლების პატივისცემას ფართო გაგებით გულისხმობს, რაც რელიგიური კულტების შესრულებისა და რელიგიური გაერთიანებების თავისუფლებას გულისხმობს. ამავდროულად, ის აზრის თავისუფლებასაც გულისხმობს, ე. ი. რელიგიური კუთვნილებისა და მასზე უარის თქმის თანაბარ უფლებას“[80].

განათლების სეკულარული ხასიათი საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური ცოდნის მიწოდების აკრძალვას არ ითვალისწინებს.

მაგალითისათვის: მხოლოდ რამდენიმე უცხო სახელმწიფოს კონსტიტუცია კრძალავს სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მათივე რესურსით რელიგიური განათლების მიწოდებას. ასეთი აკრძალვა შესაბამის ნორმატიული აქტების ცალსახა ფორმულირებებით არის დაფიქსირებული. მაგალითად, **იაპონიის** კონსტიტუციის 1947 წლის 3 მაისის მე-20 სტატია ადგენს: „სახელმწიფო და მისი ორგანოების რელიგიური სწავლებისა და სხვა სახის რელიგიური საქმიანობისაგან თავს უნდა იკავებდნენ“[81].

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფორმულირება სახელმწიფო ორგანოების მიერ რელიგიური განათლების განხორციელების მიზნით რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენელთა (მოსწავლეთა თანხმობის შემთხვევაში) მოწვევას პირდაპირ არ კრძალავს, აღნიშნულ ნორმაში სახელმწიფო ორგანოების რელიგიურ განათლებაში მონაწილეობის, ანუ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და განათლების მართვის ორგანოების თანამშრომელთა მიერ რელიგიური განათლების რეალიზების აკრძალვაა მითითებული. იაპონელმა კანონმდებელმა, იაპონურ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული პრიორიტეტებიდან გამომდინარე, სპეციალური შეზღუდვა შეიმუშავა.

პორტუგალიის რესპუბლიკის 1976 წლის 2 აპრილის კონსტიტუციის 43 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები: „სახელმწიფო ვერ მიითვისებს უფლებას რაიმე სახის

[80] ბობერო ჟ. საეროობა: ფრანგული თავისებურება და უნივერსალური ფასეულობა?
[81] უცხო ქვეყნების კონსტიტუციები. გვ. 432.

ფილოსოფიური, ესთეტიური, პოლიტიკური, იდეოლოგიური ან რელიგიური დირექტივების თანახმად სწავლებისა და კულტურის განვითარების პროგრამები შეიმუშავოს. სახელმწიფო სწავლება რელიგიურ ხასიათს არ უნდა ატარებდეს“[82].

საკმაოდ კატეგორიულია ამ მხრივ ჰონდურასის რესპუბლიკის კონსტიტუციის მოთხოვნები (1936 წ. 28 მარტი): „ეკლესია სახელმწიფოსგან გამოყოფილია. ნებისმიერი რელიგიის თავისუფალი აღმსარებლობა გარანტირებულია, რადგან ეს ქვეყნის კანონებს არ ეწინააღმდეგება. რელიგიური კულტებისა და რელიგიური სწავლების სუბსიდირება აკრძალულია“ (სტატია 57); „პირის სამოქალაქო მდგომარეობა რელიგიური აქტით ვერ დადგინდება“ (სტატია 28); „სწავლების თავისუფლება გარანტირებულია. სახელმწიფო ფონდებიდან დაფინანსებული განათლება სეკულარულია...“ (სტატია 60)[83]. სკოლაში რელიგიის იმპერატიული აკრძალვის კიდევ ერთ მაგალითად შეიძლება მექსიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის ნორმები მოვიყვანოთ (1917 წ. 5 თებერვალი), რომლებიც (შემდგომი ცვლილებებით) ამტკიცებენ: „სახელმწიფოს - ფედერაცია, შტატები, მუნიციპიები - მიერ მიწოდებული განათლება ყველა ადამიანური უნარის განვითარებას და ამავე დროს სამშობლოსადმის სიყვარულის და დამოუკიდებლობისა და სამართლიანობის სულისკვეთებით აღსავსე საერთაშორისო სოლიდარობის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. I. იმდენად, რამდენადაც 24 სტატია აღმსარებლობის თავისუფლების გარანტიას იძლევა, პრინციპებს, რომლებითაც ამგვარი განათლება უნდა ხელმძღვანელობდეს, რომელიმე რელიგიურ დოქტრინასთან არაფერი საერთო არ უნდა გააჩნდეთ და ეფუძნებიან რა მეცნიერების პროგრესს, ემსახურებიან უცოდინრობასთან და მის შედეგებთან, მონობასთან, ფანატიზმთან და ცრურწმენებთან ბრძოლას. ამგვარი განათლება: ა) უნდა იყოს დემოკრატიული, ამასთან, დემოკრატიაში არა მხოლოდ სამართლებრივი წყობილება ან პოლიტიკური რეჟიმი, არამედ ცხოვრების წესიც იგულისხმება, რომელიც ხალხის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მდგომარეობის უწყვეტ გაუმჯობესებას ეფუძნება; ბ) უნდა იყოს ეროვნული, რამდენადაც, ერიდება რა მტრულ განწყობას და კატეგორიულობას, ის ჩვენი ამოცანების გაგებაში, ჩვენი რესუსრების გამოყენებაში,

[82] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუციები. ტ. 2. გვ. 761.
[83] მსოფლიოს ქვეყნების კონსტიტუციები. CD.

ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობის და ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაცვაში და გამყარებაში, ჩვენი კულტურის მემკვიდრეობითობასა და განვითარებაში გვეხმარება; გ) ადამიანებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას უნდა უწყობდეს ხელს, პიროვნების ღირსებისა და ოჯახის მთლიანობის პატივისცემასთან ერთად საზოგადოებრივი ინტერესების აღიარებას, ძმობისა და ადამიანებს შორის თანასწორობის იდეალების განვითარებას უნდა უწყობდეს ხელს და გაურბოდეს რასის, სექტის, ჯგუფის, სქესის ან პიროვნების ნიშნით პრივილეგიების მინიჭებას. II. კერძო პირებს შეუძლიათ ყველა სახისა და საფეხურის განათლება გაავრცელონ. თუმცა, დაწყებითი, საშუალო და პედაგოგიური განათლების სფეროში კერძო მასწავლებლებმა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სახელმწიფოსგან სპეციალური ნებართვა უნდა მიიღონ. ამ ნებართვაზე პირმა შეიძლება უარიც მიიღოს, ხოლო უკვე გაცემული ნებართვა შეიძლება გაუქმდეს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც არ ექვემდებარება გასაჩივრებას სასამართლო ან რომელიმე სხვა წესით. III. წინა პუნქტში მითითებული სახეობისა და დონის კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები გამონაკლისის გარეშე უნდა აკმაყოფილებდნენ ამ სტატიის I და II პუნქტების მოთხოვნებს და ოფიციალური გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად უნდა მოქმედებდნენ. IV. რელიგიური კორპორაციები, კულტის მსახურები, აქციონერული საზოგადოებები, რომლებიც ცალსახად ან უმეტესწილად საგანმანათლებლო საქმიანობას აწარმოებენ, ასევე ასოციაციები და საზოგადოებები, რომლებიც რელიგიური სწავლებების გავრცელებით არიან დაკავებულნი, ვერავითარი სახით ვერ მიიღებენ მონაწილეობას იმ დაწესებულებების საქმიანობაში, რომლებიც დაწყებით, საშუალო და პედაგოგიურ და მუშებისა და გლეხებისათვის განათლებას უზრუნველყოფენ“ (3 სტატიის I-IV ნაწილები)[84].

განათლების სეკულარულობის კრიტერიუმს აქ რელიგიური გაერთიანების შიდა სისტემისადმი (შიდასაკონფეციო, შიდაეკლესიური, შიდადენომინაციური) - პროფესიული რელიგიური (სასულიერო) განათლების სისტემისადმი კუთვნილება წარმოადგენს. თუ განათლებას უშუალოდ კულტის მსახურთა მომზადება აქვს მიზნად დასახული (მართლმადიდებელი მღვდლები, დიაკვნები, პროტესტანტი

[84] იქვე.

პასტორები, მოლები, რაბინები და ა. შ.), ის რელიგიური გაერთიანების შიდა განათლების სისტემას მიეკუთვნება (ე. წ. სასულიერო სკოლები - სასულიერო სემინარიები, მედრესე და ა. შ.), მაშინ ეს არ არის სეკულარული განათლება - მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც კულტის მსახურთა პროფესიულ რელიგიურ განათლებაზე არის უშუალოდ ორიენტირებული[85].

არასეკულარულ სისტემებს უნდა ასევე განვუკუთვნოთ რელიგიური გაერთიანებების საგანმანათლებლო სისტემები, რომლებიც სამრევლო განათლებას ახორციელებენ (მართლმადიდებელი საეკლესიო-სამრევლო და სამონასტრო სკოლები, მეჩეთთან არსებული სკოლები და ა. შ.).

არასეკულარულ (შიდაკონფესიური პროფესიული სასულიერო) განათლების საპირისპიროა განათლება საჯარო და კერძო დაწესებულებებში, რომლებიც სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად მოქმედებენ. ზუსტად ასეთი სახის საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად მოქმედებენ და კულტის მსახურთა მომზადებას არ ისახავენ მიზნად და არ იმართებიან მხოლოდ რელიგიური ორგანიზაციებით - არიან სეკულარული.

ზოგადი განათლება, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინებში, მეცნიერებათა საფუძვლებში, პროფესიულ უნარებში ცოდნის ჩამოყალიბებას გულისხმობს და რელიგიური განათლება - ეს პრინციპულად სხვადასხვა სფეროებია, თუკი უკანასკნელში დავინახავთ ადამიანის მიერ რელიგიის შესახებ ცოდნის ათვისებას, რადგან ზოგადი განათლება არ შემოიფარგლება მოსწავლეთა მიერ მხოლოდ რელიგიის შესახებ ცოდნის მიღებით.

განათლების სფეროს კანონმდებლობა მის სეკულარულ პრინციპს, ზოგადსოციალურ და კონფესიურ მიმართულებას გულისხმობს. ამასთან, ეკლესია უფლებამოსილია... განახორციელოს სარწმუნოების საფუძვლების სწავლება.

---

[85] ეს არ გამორიცხავს პროფესიული რელიგიური განათლების დაწესებულებების (სასულიერო სკოლების) შექმნასა და ფუნქციონირებას არასახელმწიფოებრივი საერო საგანმანათლებლო დაწესებულებების სახით, რომლებიც თავის საგანმანათლებლო საქმიანობას სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად აწარმოებენ და საერო დარგებში სპეციალისტებს ამზადებენ. ამასთან, ასეთ დაწესებულებებში მღვდელმსახურთა მომზადებაზე მიმართული განათლება მხოლოდ სასწავლო პროცესის ნაწილს წარმოადგენს, ხოლო სასწავლო პროცესის საფუძველი კი საერო განათლებაა (იხ. ქვემოთ).

ამგვარად, რელიგიური განათლება სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელიც ზოგადსამოქალაქო (არარელიგიური) განათლების მიღებას ხელს არ უშლის, ნებაყოფლობითობის პრინციპს ეფუძნება, რელიგიური გაერთიანებებისთვის მსახურების გამოშვებაზე არ არის ორიენტირებული, სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების სეკულარულ პრინციპს არ არღვევს.

განათლების სეკულარული ხასიათი, რომელიც ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებში საჯარო საგანმანათლებლო დაწსებულებებში მიმდინარე აღზრდისა და სწავლების მიზანმიმართული პროცესია, **გულისხმობს შემდეგს**:

- ძირითადი საგნების სწავლება სახელმწიფო სტანდარტებით ხორციელდება და არ ისახავს მიზნად მოსწავლეთა ნების საწინააღმდეგოდ რომელიმე რელიგიური სწავლების ან არარელიგიური, მათ შორის ანტირელიგიური, იდეოლოგიის შესწავლაში მათ ჩართვას, ასევე არ არის მიმართული მათი რელიგიურ ან სხვა გაერთიანებებში გაწევრიანებისკენ;
- სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური სწავლება ან არარელიგიური იდეოლოგია, მათ შორის - ათეისტური ან ანტირელიგიური - ვერ იქნება დადგენილი სავალდებულო სახით;
- სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების შინაარსი ვერ იქნება რელიგიური კულტის მსახურთა პროფესიული მომზადებისკენ მიმართული;
- რელიგიური განათლება არ ანაცვლებს სამოქალაქო, ზოგად ან პროფესიულ განათლებას, არ უქმნის წინაღობას და არ ავიწროვებს ასეთ განათლებას;
- რელიგიური გაერთიანებები არ ერევიან განათლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის ორგანოების საქმიანობაში; რაც არ გამორიცხავს რელიგიური გაერთიანებების სეკულარული განათლების სისტემის საზოგადოებრივ კონტროლში მონაწილეობას სხვა სამოქალაქო ინსტიტუტებთან თანაბარ საფუძვლებზე და განათლების მართვის

სახელმწიფო ორგანოებთან ერთობლივად საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნებას;

- რელიგიური გაერთიანებები, მათი ორგანოები და თანამდებობის პირები არ ანაცვლებენ განათლების მართვის სახელმწიფო ორგანოებსა და საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციებს, რომელთა უფლებამოსილებები და ფუნქციები რელიგიურ გაერთიანებებს, მათ ორგანოებს, დაწესებულებებსა და წარმომადგენლებს ვერ გადაეცემა;
- რელიგიურ განათლებასთან დაკავშირებული რელიგიური მომსახურების მიღების ნებაყოფლობითობის პრინციპი დაცულია, ე. ი. მოსწავლეები სწავლობენ თავისი ან თავიანთი მშობლების (კანონიერი წარმომადგენლების) გაცნობიერებული, ინფორმირებული და ნებაყოფლობითი ნების გამოხატვის საფუძველზე;
- რელიგიურ განათლებას, რომელიც სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხორციელდება, თან არ ახლავს ღვთისმსახურების, რელიგიური წესებისა და ცერემონიების ჩატარება[86];
- რეგილიური განათლების საგნის[87] საგანმანათლებლო სტანდარტი ინვარიანტული მაკეტის სახით არის შედგენილი, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლებს შეუძლიათ მათი მოთხოვნების შესაბამისი სტანდარტი ჩამოაყალიბონ, რომელიც რელიგიურ განათლებასთან დაკავშირებული რელიგიური მომსახურების მიღების ნებაყოფლობითობის პრინციპზე განხორციელდება.

თუ ყველაზე მნიშვნელოვან ნიშან-თვისებებს გამოვყოფთ, მაშინ სეკულარული (სამოქალაქო, ზოგადსამოქალაქო, ზოგადსპეციალური) განათლების შემდეგი განსაზღვრების შეთავაზება არის შესაძლებელი.

---

[86] აღნიშნული მოთხოვნა არ გამორიცხავს, მაგალითად, რელიგიური განათლების მეცადინეობის დაწყებისა და დამთავრების შემდეგ მოკლე ლოცვის წაკითხვას, ასეთ მეცადინეობებზე დასწრების ნებაყოფლობითობის გათვალისწინებით.

[87] სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური განათლების საგნების სწავლება კონფესიური უნდა იყოს, ანუ „ზე-რელიგიურობის“ ათეისტურ-რელიგიათმცოდნეობის პრინციპს კი არ უნდა ეყრდნობოდეს, არამედ კონკრეტულ რელიგიურ ტრადიციასა და გამოცდილებას, რაც ზემოთმოყვანილი მოთხოვნების დაცვისას სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების საეროობის მოთხოვნას არ ეწინააღმდეგება.

სეკულარული განათლება - ეს არის ნებისმიერი განათლება, რომელიც რომელიმე რელიგიის ან არარელიგიური იდეოლოგიის, მათ შორის სეკულარული კვაზირელიგიების სწავლებასთან ან თავზე მოხვევასთან არ არის დაკავშირებული, კულტის მსახურთა ვიწროპროფესიულ მომზადებაზე, კატეხიზაციზე ან მოსწავლეთა არაქრისტიანულ რელიგიურ გაერთიანებებსი მოზიდვაზე არ არის ორიენტირებული და არ ითვალისწინებს და არ მოიცავს ღვთისმსახურების, რელიგიური წესებისა და ცერემონიების ჩატარებას[88]. განათლების სეკულარული ხასიათი გულისხმობს საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულების პირდაპირი რელიგიური (კონფესიური) ზეწოლისგან თავისუფლებას. განათლების სეკულარული ხასიათი მოქალაქეთა სინდისის თავისუფლებას ეფუძნება.

სახელმწიფოს თანამშრომლობა ამა თუ იმ რელიგიურ გაერთიანებებთან, მათთვის სხვადასხვა სახის შეღავათების გაწევა, ამ რელიგიური გაერთიანებების ცალკეული სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტებისა და ინიციატივების დაფინანსება ამ გაერთიანებებს სახელმწიფო გაერთიანებებად არ აქცევს. საგანმანათლებლო სტანდარტში თეოლოგიის სპეცალობის მხრივ არაფერია ნათქვამი რომელიმე რელიგიის ან მისი წარმოამდგენელი რელიგიური ორგანიზაციის სახელმწიფო სტატუსის შესახებ. პროფესიული განათლება - მოქალაქის თავისუფალი არჩევანია, ეს არ არის ზოგადი განათლება. თუ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში რელიგიის სწავლება სტანდარტით მიმდინარეობს, მაშინ ეს სეკულარული განათლებაა. მითითებული საგანმანათლებლო სტანდარტი რომელიმე რელიგიისთვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭებას არ გულისხმობს, რადგან თელოგიის სპეციალობის სტანდარტი ინვარიანტული მაკეტის სახით არსებობს, რომლის მეშვეობითაც სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს შეუძლიათ მათი მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი სტანდარტის ჩამოყალიბება, მაგრამ ეს სტანდარტი რელიგიურ განათლებასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო მომსახურების მიღებას ნებაყოფლობითობის საფუძველზე განხორციელდება. თეოლოგიის სპეციალობით სწავლებაზე ჩაბარება, აღნიშნული სტანდარტის

[88] პონკინი ი. ვ. საეროობა: კონსტიტუციურ სამართლებრივი კვლევა / სახელმწიფო-კონფესიური ურთიერთობებისა და სამართლის ინსტიტუტი. მ., 2002. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებლური კულტურის სწავლების სამართლებრივი საფუძვლები კითხვა-პასუხის სახით. მ., 2003.

შესაბამისად არის ორგანიზებული, ნებაყოფლობითია და თეოლოგიის სპეციალობით განათლების მიღების მსურველის ნების გამოხატვაზეა დაფუძნებული.

სეკულარული სახელმწიფოში რელიგიური გაერთიანებები სახელმწიფოსგან არის გამოყოფილი, მაგრამ არა საზოგადოებისგან და წარმოადგენენ რა მის მნიშვნელოვან ნაწილს, საგანმანათლებლო საქმიანობას აწარმოებენ, არ ანაცვლებენ სახელმწიფო ორგანოებს და მოქალაქეთა კანონით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს პატივს სცემენ.

რ. ბალოდისი სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რელიგიური განათლების საგნების სწავლებისადმი დასავლეთ ევროპაში არსებულ სამ მიდგომას აღწერს[89]:

1) ღვთის რჯულის სწავლების წესი კანონშია დათქმული, სახელმწიფო აფინანსებს სხვადასხვა კონფესიების პედაგოგებს (მღვდლებს), რომლებიც ღვთის რჯულს სახელმწიფო და თვითმმართველს სკოლებში (ფინეთი) ასწავლიან, სკოლის მოსწავლეებს ალტერნატიული ეთიკური სწავლების არჩევის უფლება აქვთ;

2) საჯარო სკოლებში „რელიგიის ზოგადი ისტორია“ სავალდებულო საგნად ისწავლება და ეკლესიას აქვს უფლება საჯარო სკოლებს კერძო სკოლებიც მიაკუთვნოს, რომლებშიც კონფესიური ღვთის რჯული ისწავლება (შვედეთი);

3) ეკლესიის (მაგალითად, რომის კათოლიკური ეკლესიის) განკარგულებაშია განათლება ძირითად სკოლებში, რომლებსაც სახელმწიფო აფინანსებს; საშუალო სკოლებში ღვთის რჯული ნებაყოფლობითი საგანია (ირლანდია).

სახელმწიფოს უფლება აქვს რელიგიურ გაერთიანებებთან განათლების სფეროში თანამშრომლობის (აღმზრდელობითი, კულტურულ-საგანმანათლებლო, გამაჯანსაღებელი და ა. შ.) ნებისმიერი ფორმები განახორციელოს (შემდეგ საფუძვლებზე:

- რელიგიური გაერთიანებებისა და განათლების მართვის სახელმწიფო ორგანოების ურთიერთქმედებასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო მომსახურების მიღება საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა და მათი მშობლების (კანონიერ წარმომადგენლების) საკუთარი რელიგიურ-

[89] ბალოდისი რ. რელიგიური გაერთიანებები და ლატვიის სახელმწიფო. გვ. 15.

კულტურულ და რელიგიურ იდენტობაზე დაფუძნებული ნებაყოფლობითი თანხმობის საფუძველზე;

- მცირეწლოვანთა რელიგიურ გაერთიანებებში ამა თუ იმ სახით ჩართვის, ასევე მცირეწლოვანთათვის მათი ნების საწინააღმდეგოდ და მათ მშობელთა ან მათ შემცვლელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ რელიგიის სწავლების აკრძალვის საფუძველზე;
- რელიგიური გაერთიანებებისა და განათლების მართვის სახელმწიფო ორგანოების ურთიერთქმედებასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო მომსახურების ნებაყოფლობით მიღების მსურველთა რაოდენობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით;
- რელიგიური განათლების, რომელიც ზოგადსაზოგადოებრივი განათლების საზიანოდ არ ხორციელდება, საგნების არჩევის ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვით;
- რელიგიური და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ვალდებულების - იცოდნენ ქვეყნის მრავალეროვნული ხალხის კულტურა - გათვალისწინებით;

სახელმწიფოსა და რელიგიური გაერთიანებების ურთიერთქმედება მოქალაქეთა ეროვნულ-კელტურული და რელიგიური იდენტობის გათვალისწინებაზე უნდა იყოს დაფუძნებული და შესაბამისი სოციალური მოთხოვნებით უნდა იყოს განპირობებული. უცხოური რელიგიური გაერთიანებების მხრიდან ახალი მორმწუნეების „ყიდვის“ პრაქტიკას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, არ უნდა ხდებოდეს რელიგიურ გაერთიანებებში არა ნებაყოფლობითი გაწევრიანება, რომელიც ეფუძნება მოქალაქეების მხრიდან რელიგიური გაერთიანების სწავლების არა ნებაყოფლობით მიღებას, არამედ ჰუმანიტარული დახმარების მიღების სურვილს. თუ მოცემულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ყველა ბავშვი მუსულმანია, მაშინ, მაგალითად, მეშვიდე დღის ადვენტისტების მისიონერებს იქ არაფერი ესაქმებათ, მისიონერობის როგორი სურვილიც არ უნდა ჰქონოდეთ. რელიგიური გაერთიანების წარმომადგენელს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მხოლოდ იმ მოსწავლესთან შეუძლია მისვლა, რომელიც მოცემული რელიგიური გაერთიანების (რელიგიური

სწავლების) მიმართ თავის კუთვნილებას გამოხატავს. რელიგიური ან სხვა შეხედულებების გავრცელების უფლების აბსოლუტიზირება არ შეიძლება, ეს უფლება სულაც არ ავალდებულებს მოქალაქეებს მქადაგებელთა რელიგიური პროპაგანდის მოსმენას. რელიგიური ან სხვა შეხედულებების გავრცელების უფლების აბსოლუტიზაცია (მათ შორის კულტურულ-მასობრივი და საქველმოქმედო ღონისძიებების ჩატარების გზით) იმ მოქალაქეების უფლებებსა და თავისუფლებებს არღვევს, რომლებიც მოცემულ რელიგიურ გაერთიანებასთან თავის იდენტიფიკაციას არ ახდენენ და არ სურთ მათთვის უცხო რელიგიის სწავლების თავზე მოხვევას დაექვემდებარონ.

1.2.2 რელიგიური განათლების ცნება

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოში არსებული სხვა ტრადიციული რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობისადმი ინტერესის და ნდობის ზრდა საქართველოს სახელმწიფოსა და საზოგადოების და რელიგიური გაერთიანებების ოჯახური აღზრდის, სკოლამდელი, ზოგადი და პროფესიული განათლების, სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების საგანმანათლებლო საქმიანობის - განათლების, ჯანდაცვის, მეცნიერებისა და კულტურის, შეიარაღებული ძალების, სამართალდამცავი დაწესებულებების, სოციალური მომსახურებისა და ქველმოქმედების სისტემების და ა. შ. - სფეროებში თანამშრომლობას უწყობს ხელს.

განათლების სფეროს ფუნქციონირება ნებისმიერ სახელმწიფოში ეროვნული კულტურის დაცვასა და განვითარებაზეა ორინტირებული. საქართველოს ხალხებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ეროვნულ-კულტურული და რელიგიური იდენტობის ბუნებრივად ჩამოყალიბებული შერევა. ამიტომ სახელმწიფო რელიგიური და რელიგიათმცოდნეობითი განათლების რეალიზაციის პრობლემას გვერდს ვერ აუქცევს.

რელიგიური გაერთიანებების სახელმწიფოსა და საზოგადოებისადმი დამოკიდებულების სწორი გაგება (როგორც მინიმუმ, საუბარია საქართველოს და დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის ტრადიციულ რელიგიურ ორგანიზაციებზე), რომელიც სახელმწიფოს სეკულარულობისა და საზოგადოებაში პიროვნების თავისუფალი მსოფლმხედველობრივი არჩევნის და თვითგამორკვევის პატივისცემაში გამოიხატება, საშუალებას გვაძლევს, რომ განათლების ეროვნულ სისტემაში რელიგიური განათლების ადგილი და რელიგიური და სეკულარული განათლების ურთიერთმიმართება გავაცნობიეროთ.

რელიგიური განათლება არის სწავლებისა და აღზრდის მიზანმიმართული პროცესი, რომელიც გარკვეული რელიგიური სწავლების საფუძველზე ხორციელდება რელიგიური გაერთიანებისა და პიროვნების საფუძველზე, რომელსაც მოსწავლის რელიგიურ გაერთიანებაში მოწვევა, მის მიერ რელიგიური გაერთიანების, რელიგიის

და მისი წარმომადგენელი რელიგიური გაერთიანების რელიგიური პარქტიკის, კულტურის და ცხოვრების შესახებ ცოდნის მიღება თან ახლავს, შესაბამისი რელიგიური სწავლების და მასთან დაკავშირებული ზნეობრივი ტრადიციების საფუძველზე პიროვნების თვისებებისა და ცხოვრების წესის ჩამოყალიბება[90].

რელიგიური განათლება შეიძლება ორი ფორმით ხორციელდებიდეს:

- რელიგიის სწავლება;
- რელიგიურ-კულტუროლოგიური განათლება, როგორც რელიგიის შესახებ ცოდნის მიწოდების ერთ-ერთი ფორმა.

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ ცოდნის მიწოდების ორი ძირითადი ფორმა არსებობს:

- რელიგიის სწავლება;
- რელიგიის შესახებ ცოდნის მიწოდება.

შესაძლებელია სხვა განმარტებებიც[91].

რელიგიის სწავლება - ეს არის რელიგიური განათლების არასეკულარული ფორმა, რელიგიური ორგანიზაციის კონტროლით ან მართვით განხორციელებული კულტის მსახურთა ვიწრო პროფესიული მომზადება, ასევე კატეხიზაცია ან არაქრისტიანულ რელიგიურ ორგანიზაციებში მიმდინარე ანალოგიური პროცესები, რომლებიც მოსწავლის რელიგიურ გაერთიანებაში გაწევრიანებისკენ არის მომართული.

რელიგიის სწავლებასა და რელიგიისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ ცოდნის მიწოდების სხვა ფორმებს შორის მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ რელიგიის სწავლება აუცილებლად გულისხმობს რელიგიური პრაქტიკის სწავლებას და თავად რელიგიურ პრააქტიკასაც - რელიგიური კულტის შესრულება, ღვთისმსახურებისა და სხვა რელიგიური წესებისა და ცერემონიების აღსრულება. ამით და მოსწავლეთა რელიგიურ გაერთიანებაში მოზიდვისკენ ორიენტაციით განპირობებულია რელიგიისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ ცოდნის

[90] უფრო დაწვრილებით იხ. ავტორის წიგნში: სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებლური კულტურის სწავლების სამართლებრივი საფუძვლები. მ., 2003.
[91] იქვე, გვ. 9-11.

ასეთი ფორმით მიწოდების არასეკულარულობა და ნებაყოფობითობის, როგორც მისი საფუძვლის, პრინციპის დაცვის აუცილებლობა.

რელიგიის სწავლება რელიგიურ გაერთიანებებში, რელიგიური ორგანიზაციის შიდა განათლების სისტემის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ხორციელდება, ანუ იმ საგანმანათლებლო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომლებიც მოცემული რელიგიური ორგანიზაციის მიერ არის დაფუძნებული ან მის შემადგენლობაში სხვა რელიგიურ დაწესებულებებთან ერთად შედის (ინდივიდუალურად ან სხვა დამფუძნებლებთან), მის მიერ აღიარებულია[92] ან მის ოჯახშია.

რელიგიური სწავლება შეიძლება საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც ხორციელდებოდეს.

საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლე ბავშვების, მათი მშობლებისა და მათი შემცვლელი პირების თხოვნით, აღნიშნული დაწესებულებების ადმინისტრაცია ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებით რელიგიური ორგანიზაციას ნებას რთავს ასწავლოს ბავშვებს რელიგია საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებს გარეთ, რელიგიური ორგანიზაციების მიერ საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიის სწავლების რეალიზების მხოლოდ ერთ-ერთ ფორმას ადგენს.

რელიგიის შესახებ ცოდნის სწავლება - ეს არის რელიგიის შესახებ ცოდნის შემცველი საგნების სეკულარული სწავლება, რელიგიის სამეცნიერო-კულტუროლოგიური განხილვის გზით.

რელიგიის შესახებ ცოდნის მიწოდება შეიძლება ორი გზით განხორციელდეს:

- რელიგიურ-კულტუროლოგიური განათლება,
- რელიგიათმცოდნეობითი განათლება.

რელიგიის შესახებ ცოდნის მიწოდება, რეალიზაციის ფორმის მიხედვით, შეიძლება იყოს როგორც სავალდებულო, ისე ნებაყოფლობითი - მოსწავლეთა და

[92] ე. ი. იმ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც მოცემული რელიგიური ორგანიზაციის მიერ არის დაფუძნებული ან მის შემადგენლობაში სხვა რელიგიური დაწესებულებებით შედის (ინდივიდუალურად ან სხვა დამფუძნებლებთან) ან არაკომერციული და კომერციული გაერთიანებებით, მაგრამ რელიგიური ორგანიზაცის მიერ „აღიარების“ პროცედურა გაიარეს.

მათი მშობლების (კანონიერი წარმომადგენლების) თავისუფალი არჩევანის შესაბამისად.

რელიგიურ-კულტუროლოგიური განათლება - ეს არის სწავლებისა და აღზრდის მიზანმიმართული პროცესი, რომელიც გარკვეული რელიგიური მსოფლმხედველობის საფუძველზწ ხორციელდება პირვონებისა და საზოგადოების ინტერესებში, რასაც თან ახლავს მოსწავლის მიერ რელიგიური სწავლების შესახებ, იმ რელიგიისა და მისი წარმომადგენელი რელიგიური გაერთიანების კულტურისა და ცხოვრების შესახებ ცოდნის მიღება, რომელიც მოსწავლემ შესწავლისათვის აირჩია, შესაბამისი რელიგიური სწავლების და მასთან დაკავშირებული ზნეობრივი ტრადიციების საფუძველზე პირვონების თვისებებისა და ცხოვრების წესის ფორმირება.

რელიგიურ-კულტუროლოგიური განათლება, არის რა შინაარსით რელიგიური, რეალიზების ფორმით კი - სეკულარული, არ გულისხმობს რელიგიური პრაქტიკის სწავლებას და არც თავად ასეთ პრაქტიკას - ღვთისმსახურებების, რელიგიური წესებისა და ცერემონიების ჩატარებას, არ არის მიმართული მოსწავლის რელიგიურ გაერთიანებაში გაწევრიანებისკენ (სასწავლო კურსი „მართლმადიდებლური კულტურა“ - მართლმადიდებელი ქრისტიანობის ტრადიციის შესწავლის მსურველთათვის, სასწავლო კურსები „ჩვენ ვსწავლობთ ისლამს“, „ისლამური კულტურის საფუძვლები“ და ა. შ. - მუსულმანური ტრადიცის შესწავლის მსურველთათვის, სასწავლო კურსი „ტრადიცია“ იუდაიზმის ტრადიციის შესწავლის მსურველთათვის, სასწავლო კურსი „პროტესტანტიზმის კულტურა“ - მისი შესწავლის მსურველთათვის).

რელიგიურ-კულტუროლოგიური განათლება შეიძლება განხორციელდეს:

- სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური განათლების სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების (მაგალითად, თეოლოგიის პროფესიულ ჰუმანიტარული სპეციალობის ფარგლებში), რელიგიური ორგანიზაციების საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო გეგმების, სასწავლო კურსებისა და დისციპლინის შესაბამისად,

- რელიგიური ორგანიზაციების მიერ შექმნილ ან აღიარებულ საგანმანათლებლო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ,
- აგრეთვე, ოჯახში ან სხვა სოციალურ ინსტიტუტებსი (შეიარაღებული ძალები, სასჯელაღსრულების დაწესებულებები და ა. შ.).

საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიურ-კულტუროლოგიური განათლება შეიძლება მხოლოდ ნებაყოფლობით ხორციელდებოდეს, ანუ მოსწავლეთა და მათი მშობლების (კანონიერი წარმომადგენლების) თავისუფალი არჩევანის შესაბამისად[93].

საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიურ-კულტუროლოგიური განათლება შესაძლოა როგორც სპეციალური სასწავლო კურსის, ისე სხვა სასწავლო კურსების ფარგლებში ხორციელდებოდეს.

საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიათმცოდნეობითი განათლება - ეს არის მოსწავლეთა ზოგადკულტურულ შემეცნებით ინტერესთან დაკავშირებული და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად განხორციელებეული რელიგიების და მათი წარმომადგენელი რელიგიური ორგანიზაციების სწავლებისა და პრაქტიკის თავისებურებების ძირითადი არსებითი განსხვავებების, იერარქიული თვითორგანიზაციის, ძირითადი მოვლენებისა და ისტორიულად მნიშვნელოვანი პიროვნებების, რელიგიის და მისი წარმომადგენელი რელიგიური გაერთიანებების ისტორიულ-პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული როლის, აგრეთვე, რელიგიის, როგორც კულტურის სპეციფიური ფორმისა და სოციალური ცხოვრების მოვლენის შესახებ აღწერილობითი ხასიათის ცოდნის მიწოდება.

რელიგიის შესახებ ცოდნის ასეთი ფორმით მიწოდება მოსწავლეთა და მათი მშობლების (კანონიერი წარმომადგენლების) მხრიდან არჩევანის ნებაყოფლობითობას არ გულისხმობს.

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიათმცოდნეობითი განათლება, არის რა სეკულარული განათლება, ზოგადი წესით, არ ხორციელდება

[93] ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის შესრულებისა და სხვა მოსწავლეთა კანონიერი უფლებების და ინტერესების დაცვის პირობით.

რელიგიური ან სხვა გაერთიანებების მმართველობით[94]. კერძოდ, რელიგიათმცოდნეობითი განათლება არ უნდა იყოს ათეისტური. ამასთან ერთად, რელიგიათმცოდნეობითი განათლება შეიძლება სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად, მაგრამ რელიგიური გაერთიანების მართვით ხორციელდებოდეს (მაგალითად,რელიგიათმცოდნეობითი განათლება რელიგიური ორგანიზაციის პროფესიული რელიგიური განათლების დაწესებულებაში). რელიგიათ-მცოდნეობითი განათლება შეიძლება რელიგიური გაერთიანების მიერ სახელმწიფო სტანდარტისგან დამოუკიდებლადაც ხორციელდებოდეს.

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიასა და რელიგიურ ორგანიზაციებთან დაკავშირებული ცოდნის მიწოდების ასეთ ფორმას განეკუთვნება როგორც რელიგიათმცოდნეობის კურსები, სადაც რამოდენიმე რელიგიასთან (რეილგიურ ორგანიზაციასთან) დაკავშირებულ ცოდნას აწვდიან, ასევე სასწავლო კურსები, რომელიც ერთი რელიგიის (რელიგიური ორგანიზაციის) შესწავლასთან არის დაკავშირებული.

შერეულ ფორმას (რელიგიათმცდონეობით და რელიგიურ-კულტუროლოგიური განათლებას) წარმოადგენს **ეთნოკულტურულ განათლებაში შემავალი ეთნოკონფესიური განათლება** სახელმწიფო და საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში - მოსწავლეთა ტრადიციული (ეროვნული) რელიგიის სულიერ-ზნეობრივ ფასეულობებთან და კულტურასთან, როგორც ეროვნული კულტურის განუყოფელ ნაწილთან, ზიარება. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ასეთი რელიგიათმცოდნეობითი ეთნოკონფესიური განათლება მოსწავლეთა რელიგიურ გაერთიანებაში გაწევრიანებას არ ისახავს მიზნად.

ამა თუ იმ საგანმანათლებლო მომსახურებაზე საზოგადოებაში ჩამოყალიბებული შეკვეთა, მათ შორის რელიგიური განათლების რეალიზაციასთან დაკავშირებული შეკვეთა, სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტის ფორმით ფიქსირდება, რომელიც ამა თუ იმ ტიპის, დონის, მიმართულების განათლების მიღების პირობასა და ფორმას განსაზღვრავს. ზოგიერთ შემთხვევაში საქართველოს

[94] რელიგიათმცოდნეობითი განათლება არ უნდა განიცდიდეს გავლენას მოქალაქეთა იმ გაერთიანებების მხრიდან, რომლებიც სახვადასხვა იდელოგიების, მათ შორის, სეკულარულ კვაზირელიგიებს („მსოფლიოს კულუტრის“, ათეისტური ჰუმანიზმის, ათეიზმის და ა. შ .) პროპაგანდირებენ და ავრცელებენ.

განათლების სამინისტრო შეიძლება შეკვეთაზე რეაგირებდეს კონკრეტული სასწავლო საგნის სამაგალითო შინაარსის შემუშავებით, რომელიც შემდგომ საინფორმაციო წერილის ფორმით იგზავნება. ამასთან, მოქალაქისა და სოციალური ჯგუფის მხრიდან თანხმობის, არჩევანის გამოხატვის მრავალი ვარიანტი არსებობს. განათლების ნებაყოფლობითი არჩევის ფაქტი შეიძლება სხვდასხვა ფორმით გამოიხატებოდეს - არა მხოლოდ წერილობითი ან ზეპირი ფორმებით. არსებობს საზოგადოებათა უმეტესობაში მიღებული და არა მხოლოდ კანონმდებლობაში, არამედ საზოგადოებრივ ცნობიერებაში დაფიქსირებული, მოქალაქეთა და ხალხთა რელიგიურ-კულტურულ და რელიგიურ იდენტობასთან მჭიდროდ დაკავშირებული მყარი სტერეოტიპები. ამიტომ, ამ მსოფლმხედველობითი არჩევანის გამოხატვის სხვა ფორმებიც შესაძლებელია - საკუთარი თავის მართლმადიდებლობისადმი განკუთვნებით, უთანხმოების, უკმაყოფილების და ა. შ. არარსებობის შემთხვევაში.

ამასთან, მოსწავლეთა და მათი მშობლების (კანონიერი წარმომადგენლების) თანხმობა, მიიღონ რელიგიურ-კულტუროლოგიური ან რელიგიური განათლება, წერილობითი ფორმით უნდა განხორციელდეს. ასეთი მოთხოვნა ნორმატიულად არსად არ არის დაფიქსირებული, მაგრამ პრობლემის სპეციფიკისა და სინდისის თავისუფლების დარღვევაზე მოქალაქეთა ძალზე მტკივნეული რეაქციის გათვალისწინებით, წესი ასეთი უნდა იყოს, თუმცა მშობელთა თანხმობის ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერა აუცილებელი არ არის.

საზოგადოებაში ნებისმიერი რელიგიური განათლება რელიგიური ორგანიზაციის ამა თუ იმ სახით მონაწილეობით - უშუალო თუ ირიბი - ხორციელდება. ეს მოქალაქეთა და საზოგადოების მიერ თავისი ეროვნულ-კულტურული და რელიგიური იდენტობის რეალიზებით და შედეგად, მოსწავლისადმი გადაცემული ცოდნის პირველწყაროსთან შესაბამისობით განისაზღვრება - რელიგიური ორგანიზაციის ცხოვრებისა და ისტორიის სხვადასხვა ასპექტების შესახებ სწორი წარმოდგენების სწავლებით. რელიგიური ორგანიზაციის ასეთი მონაწილეობა შეიძლება მის მიერ დაფუძნებულ (ინდივიდუალურად ან სხვებთა ერთად) საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური განათლების შინაარსის კონტროლში სეკულარული საგანმანათლებლო დაწესებულებებში

გამოყენებადი რელიგიური განათლების საგანმანათლებლო მასალების კონფესიური ექსპერტიზის ფორმით გამოიხატებოდეს.

ასევე მნიშვნელოვანია რელიგიური განათლების ორი ფორმის - რელიგიის სწავლების და რელიგიის შესახებ ცოდნის მიწოდება - ურთიერთდამოკიდებულების განხილვა პროფესიული რელიგიური განათლების საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობაში.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული რელიგიური განათლების სამი სახე შეიძლება გამოვყოთ:

- პროფესიული რელიგიური განათლების სახელმწიფო სეკულარული საგანმანათლებლო დაწესებულებები (პროფესიულ უმაღლეს განათლებას ახორციელებენ თელოგიის დარგში სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად);
- პროფესიული რელიგიური განათლების არასახელმწიფო სეკულარული საგანმანათლებლო დაწესებულებები (პროფესიულ უმაღლეს განათლებას ახორციელებენ თეოლოგიის დარგში სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად, ამავდროულად, შეუძლიათ კულტის მსახურთა ვიწროპროფესიული განათლების განხორციელება);
- სასულიერო საგანმანათლებლო დაწესებულებები (სწავლების პროცესი არ არის სახელმწიფოს მიერ სტანდარტიზებული, რელიგიის სწავლება „ვიწრო გაგებით“, ანუ კატეხიზაციის სახით მიმდინარეობს არაქრისტიანულ რელიგიურ გაერთიანებებში; ან კულტის მსახურთა ვიწროპროფესიულ მომზადებას ახორციელებენ).

რელიგიური ორგანიზაციები მათ მიერ ან მათი მონაწილეობით დაარსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სხვადასხვა ტიპის, დონის და მიმართულების სეკულარული საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებენ სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის რელიგიური განათლების პროგრამებსაც. მაგალითად, მართლმადიდებლური ქრისტიანული თეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამები იმ ფორმითა და ზომით, რამდენადაც მათზე მოთხოვნაა საზოგადოებაში, მოსწავლეთა და მათი მშობლების თავისუფალი მსოფლმხედველობრივი თვითგამორკვევის საფუძველზე.

რელიგიური ორგანიზაციების პროფესიული რელიგიური განათლების სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში (სასულიერო სკოლებში - აკადემიებში, სემინარიებში, სასწავლებლებში, მედრესეებში და ა. შ.) კულტის მსახურთა მომზადების განხორციელება არ გამორიცხავს პროფესიული რელიგიური განათლების დაწესებულებების (სასულიერო სკოლების) შექმნასა და ფუნქციონირებას არასახელმწიფო სეკულარული საგანმანათლებლო დაწესებულებების სახით, რომლებიც თავიანთ საგანმანათლებლო საქმიანობას სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად ახორციელებენ და სეკულარული დარგებში სპეციალისტებს ამზადებენ. ამასთან, კულტის მსახურთა უშუალო მომზადებაზე მიმართული განათლება ასეთ დაწესებულებებში მთელი საგანმანათლებლო პროცესის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს, რომლის საფუძველს სეკულარული განათლება წარმოადგენს.

რელიგიური ორგანიზაციების პროფესიული რელიგიური განათლების დაწესებულებებში ორი საგანმანათლებლო კომპონენტი ხორციელდება.

პირველი კომპონენტი - მოსწავლეთა სპეციალური მომზადება, რომელიც გულისხმობს მოსწავლეებში რელიგიური ორგანიზაციის ღვთისმსახურების და სხვა რელიგიური საქმიანობის ორგანიზებისა და პრაქტიკული განხორციელების უნარების ჩამოყალიბებას. ასეთ მომზადებას კულტის მსახურთა (მართლმადიდებელი მღვდლებისა და დიაკვნების, პროტესტანტი პასტორრების, მოლების, რაბინების და ა. შ.) პროფესიულ მომზადებასთან უშუალო კავშირშია და თავისი სპეციფიკაციის გამო სეკულარული განათლებას არ განეკუთვნება.

რელიგიური ორგანიზაციების პროფესიული რელიგიური განათლების დაწესებულებებში მეორე საგანმანათლებლო კომპონენტი თავისი მოცულობით ძირითადია, ხასიათით კი - სეკულარული. ეს კომპონენტი სეკულარული განათლების სპეციალობით - ისტორია, ფილოლოგია, თეოლოგია (მართლმადიდებლური განათლებისათვის - მართლმადიდებლური ქრისტიანული თეოლოგეია) - მოსწავლეთა საბაზო მომზადებას უზრუნველყოფს და სახელმწიფო ლიცენზირებას, იდეალურ შემთხვევაში კი - სახელმწიფო აკრედიტაციას უნდა გადიოდეს. მოცემული კომპონენტის რეალიზაციის შედეგად რელიგიური

ორგანიზაციების პროფესიული რელიგიური განათლების დაწესებულებების კურსდამთავრებულები სახელმწიფო ტიპის დიპლომს იღებენ და სპეციალისტები ხდებიან, რომელთაც არა მხოლოდ თავისი რელიგიური ორგანიზაციისათვის შეუძლიათ სარგებლობის მოტანა, რამედ მთელი საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის. ამასთან, რელიგიური ორგანიზაციის პროფესიული რელიგიური განათლების დაწესებულებებს მეორე კომპონენტის განხორციელებაზე უარის თქმა შეუძლიათ. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი გადაწყვეტილება მას თავს უნად მოახვიონ, რადგან რელიგიური ორგანიზაციები, თავისი შიდა განაწესით მოქმედებენ, რომელსაც სახელმწიფო პატივს სცემს, თუ კი ეს განაწესი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

1.2.3. რელიგიური განათლების საკითხები დამოუკიდებელ საქართველოში - ისტორია და თანამედროვეობა

საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ საქართველოს მთავრობამ და ქართველმა ხალხმა, ბუნებრივია, განიზრახა საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემიდან განსხვავებული, ქართული განათლების სისტემის შექმნა, რომელიც გათვლილი იქნებოდა ქართული საზოგადოების სოციო-კულტურულ თავისებურებებსა და ქართული სახელმწიფოს განვითარებაზე. ამ პროცესების შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ, რადიკალური ცვლილებების განხორციელებამდე, დაიწყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო გეგმების ცვლილებები. კერძოდ, სასწავლო გეგმაში გაჩნდა საბჭოთა იდეოლოგიის მიერ აკრძალული საგნები - საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია, რელიგია და კულტურა და სხვ. ჩვენთვის კონკრეტულად საინტერესოა რელიგიის სწავლების ფორმისა და შინაარსის მიმოხილვა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში 90-იანი წლებიდან დღემდე.

1991 წელს, საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანება #34 11.03.1991 -ით შეიქმნა რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებული სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა განესაზღვრა რელიგიის სწავლების ფორმა და შინაარსი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. თუმც, როგორც 1991-92 სასწავლო წლის სასწავლო გეგმის შესწავლამ ცხადყო, რელიგია, როგორც საგანი, გაცხადებულია, მაგრამ არ ფიგურირებს სასწავლო ბადეში და მხოლოდ ფაკულტატური ხასიათი აქვს. შემდეგ ეტაპზე სახელმწიფო სწავლების დაწყებით საფეხურზე საგნის - **„რელიგია და კულტურა —** სავალდებულო სასწავლო საგანთა ნუსხაში შეტანას ახორციელებს. იგი 3 სასწავლო წლის განმავლობაში ითვლებოდა სავალდებულო საგნად და დასწაყისში 2 საათი (მესამე-მეოთხე კლასებში) და შემდეგ წლებში 3 საათი (მესამე, მეოთხე, მეხუთე კლასები, თითო საათი) ეთმობოდა. თუმც, მალევე საგან **„რელიგია და კულტურას“** შეეცვალა სახელი და დაერქვა **„რელიგიის ისტორია და კულტურა. საგანი** იხსნება სავალდებულო ბადიდან და ინვარიანტული სასწავლო ბლოკის (ერთგვარი არჩევითი საგნები) საგანს წარმოადგენს. (ზაქარია ქიტიაშვილი ზოგადი განათლების რეფორმა საქართველოში /1991 – 2013 წლები/).

შემდეგ პერიოდში, საქართველოს განათლების სამინისტროს 2003 წლის 22 აგვისტოს **ბრძანება №156 -ის** საფუძველზე რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით განისაზღვრა, რომ იმ სკოლებში, სადაც რელიგიის ისტორი და კულტურა ისწავლება მე-3 -მე-7 კლასებში, დაემატოს მითოლოგიის სწავლება მე-8 - მე- 11 კლასებში.

2006 წელს, საქართველოს განათლების სამინისტროს **28 სექტემბრის ბრძანების N 841**საფუძველზე ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩნდება „გაუთვალისწინებელი დამატებითი საგნები“, კერძოდ, ვხვდებით ჩანაწერს: „სკოლას უფლება აქვს, მოსწავლეებს შესთავაზოს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგნები (მაგ., ცეკვა, ტოლერანტობის პროგრამა, ფოტოგრაფია, ასტრონომია, ჯანსაღი ცხოვრების წესი, **რელიგიების ისტორია** და სხვა). ამ საგნების სწავლება წლის დასაწყისშივე უნდა იყოს შეთანხმებული სამეურვეო საბჭოსთან და ასახული უნდა იყოს სასკოლო სასწავლო გეგმაში. ამ საგნის/საგნების პროგრამა უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ კომპონენტებს:

1. საგნის მიზნები და ამოცანები და დასაბუთება, თუ რამდენად ემსახურება ეს მიზნები და ამოცანები ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში მოცემულ იდეალებს;

2. საგნის ორგანიზების ფორმები (საგნის მასწავლებლის ვინაობა, საგაკვეთილო დატვირთვა, დავალებების ხასიათი და სიხშირე, შეფასების კრიტერიუმები).“

   ამ გეგმის სასწავლო ბადეში რელიგიური განათლების თვალსაზრისით მე-5 კლასიდან მე-12 კლასამდე წარმოდგენილია არჩევითი საგანი **კულტურა და რელიგია.**

   (ზაქარია ქიტიაშვილი ზოგადი განათლების რეფორმა საქართველოში /1991 – 2013 წლები/).

რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით საქართველოში თანამედროვე სკოლაში. ეროვნული სასწავლო გეგმის შემდეგი რედაქცია **2011-2016 წლებით თარიღდება** (ამჟამად მოქმედი, ახალ რედაქციაზე მუშაობა დაწყებულია). ამ გეგმის მიხედვით რელიგიის სწავლება საჯარო სკოლაში არც ერთი ფორმით - არც დამოუკიდებელი და არც ინტეგრირებული, არც სავალდებულო და არც არჩევითი - გათვალისწინებული არ არის. სწავლების მესამე საფეხურზე დასაშვებია არჩევითი

საგნები და წარმოდგენილია საგნთა ნუსხა. 30 საგნის ჩამონათვალშიც კი, რელიგიის ადგილი არ მოიძებნა. როგორც ჩვენი ნაშრომიდან ჩანს, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ამგვარ ვითარებას ადგილი არ აქვს. საქართველოს კულტურის ისტორია მთლიანად ეფუძნება ქართველი ხალხის რელიგიურ ფესვებს. ასე განსაჯეთ, ამ ეროვნული სასწავლო გეგმით, ქართველი ხალხის კულტურული მონაპოვრების სწავლებასაც გამოცლილი აქვს თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი.

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია `საქართველოს სამოციქული ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში~  და რომ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმდიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების პრეამბულაში ნათქვამია: `მართლმადიდებლობა, ევროპის ერთ-ერთი ტრადიციული აღმსარებლობა, საქართველოში ისტორიულად სახელმწიფო რელიგია იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ფასეულობები; საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია~ , სამწუხაროდ, იგივე შეთანხმება არ ითვალისწინებს საჯარო სკოლებში, სადაც მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლია, მართლმადიდებელი სარწმუნოების სწავლების აუცილებლობას. აღნიშნული დოკუმენტის მე-5 მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, `საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ საგნის სწავლება ნებაყოფლობითია.~

2005 წლის 8 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი ზოგადი განათლების შესახებ. ძველი კანონის პირველი თავის მე-13 მუხლი ითვალისწინებდა თანამშრომლობას მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ახალ კანონში მსგავსი შინაარსის მუხლი აღარ არსებობს. სამაგიეროდ იკრძალება სასწავლო პროცესის დროს რელიგიური ინდოქტრინაცია, პროზელიტიზმი და საჯარო სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების განთავსება არააკადემიური მიზნებისთვის. (თავი II, მუხლი 13, 18). იმდენად, რამდენადაც აღნიშნული კანონი არ განმარტავს, რას ნიშნავს რელიგიური ინდოქტრინაცია და პროზელიტიზმი, ეს ტერმინები რჩება სამართლებრივად გაუგებარი და ინტერპრეტირებადი. ასევე, რა

კრიტერიუმებით უნდა განისაზღვროს საკლასო კედელზე დაკიდებული ხატი ან ჯვარი ემსახურება აკადემიურ თუ არააკადემიურ მიზნებს? სამწუხაროდ, არც ეს საკითხი არის განმარტებული მოქმედი კანონით და შესაბამისად, ტოვებს თავისუფალი ინტერპრეტაციისთვის საკმაოდ დიდ სივრცეს. ხატებთან დაკავშირებით გაკვირვებას იწვევს შემდეგი გარემოება: იმ დროს, როცა რელიგიური სიმბოლოები განთავსებულია საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკაზე - წმინდა გიორგის ხატი გერბზე და ჯვრები დროშაზე – რატომ უნდა იზღუდებოდეს ხატებისა და ჯვრების თავისუფალი განთავსება საკლასო ოთახებში? რატომ ჩათვალეს ქართველმა კანონმდებლებმა, რომ მაცხოვრის, დედა ღვთისმშობლისა თუ რომელიმე წმინდანის ხატს შეუძლია ძირი ამოუთხაროს ახალგაზრდა ქართულ დემოკრატიას?

ზოგადი განათლების შესახებ 18-ე მუხლის თანახმად, საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ მხოლოდ `სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი, თუ იგი ემსახურება რელიგიური განათლების მიღებას.~ საინტერესოა, რა განმარტებას აძლევს იგივე კანონის 2-ე მუხლი ტერმინს `სასკოლო დრო~: ესაა `სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროცესის, აგრეთვე სკოლის მიერ ინიცირებული, ორგანიზებული, კონტროლირებული, დაფინანსებული, აგრეთვე მისი სპონსორობით ჩატარებული ნებისმიერი ღონისძიების მიმდინარეობის დრო.~ ამ განმარტებიდან გამომდინარე, რელიგიის გაკვეთილებს საერთოდ ერთმევათ შესაძლებლობა, იქონიონ რაიმე ოფიციალური სტატუსი საშუალო საგანმანათლებლო სისტემაში, იმიტომ, რომ ის ვერ იქნება ვერც სასწავლო გეგმით განსაზღვრული, ვერც სკოლის მიერ ინიციირებული, ორგანიზებული, კონტროლირებული, დაფინანსებული თუ მისი სპონსორობით ჩატარებული საგანი.

2005 წლის 22 ივნისს საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს. დოკუმენტი ითვალისწინებს თანმშრომლობას ისეთ საკითხებში, როგორიცაა:

მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების სწავლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოებისა და სასწავლო პროგრამების შედგენის, პედაგოგიური

კადრების შერჩევის, მომზადებისა და დანიშვნა-გათავისუფლების პროცედურების შემუშავება;

მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების საკითხების შემცველი საგნების სასწავლო გეგმების მომზადებისა და შესაბამისი სახელმძღვანელოების განხილვის პროცესში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა მონაწილეობის პროცედურის შემუშავება;

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსებისა და ქონებრივი საკითხების სამართლებრივი უზრუნველყოფა;

მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თანამშრომლობის ფორმებისა და პირობების დადგენა.~

ციტირებული მუხლები, ნამდვილად, შეიძლება ჩაითვალოს წინ გადადგმულ ნაბიჯად და გვაძლევენ იმედს, რომ ზოგადი განათლების შესახებ კანონში ახლო მომავალში იქნება შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებები და ქართველ მოსწავლეებს მიეცემათ საშუალება, სკოლის კედლებში დაუბრკოლებლად შეისწავლონ მართლმადიდებელი სარწმუნოება.

სამწუხაროა, რომ ქართულ საზოგადოებაში მემორანდუმი არ იყო ყველას მიერ აღქმული, როგორც დადებითი დოკუმენტი. მაგალითად, საქართველო სახალხო დამცველმა, სოზარ სუბარმა 2005 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტში წარდგენილ მოხსენებაში მემორანდუმი მიიჩნია, როგორც ანტიკონსტიტუციური და დისკრიმინაციული სხვა აღმსარებლობებთან მიმართებაში, რადგან:

1. სახელმწიფო შეიძლება აფინანსებდეს მართლმადიდებლობის შესწავლას, როგორც სახელმწიფო საზოგადო, ასევე საეკლესიო სასწავლო დაწესებულებებში;

2. საზოგადო სკოლებში რელიგიის პედაგოგის დანიშვნისას გადამწყვეტი როლი შეიძლება იქონიოს პედაგოგის აღმსარებლობამ და არა მისმა კვალიფიკაციამ, ომბუდსმენის თვალსაზრისით, ამით დაირღვევა აკადემიური თავისუფლება და მოხდება არამართლმადიდებელი პედაგოგების დისკრიმინაცია;

3. საგნები და სახელმძღვანელოები, რომლებიც შეიცავენ მართლმადიდებლურ სწავლებას, შეიძლება იყოს რელიგია, ლიტერატურა, ისტორია, ბუნებრივი დისციპლინები. შესაბამისად, საპატრიარქომ შეიძლება მიიღოს მონაწილეობა ამ სახელმძღვანელოების შედგენაში. სოზარ სუბარი თვლის, რომ ამით: ა) დაირღვევა საგნების შესწავლის მეცნიერული მიდგომა, მაგალითად, შეიძლება დაინერგოს კრეაციონიზმის თეორიის შესწავლა; ბ) საგანმანათლებლო სისტემაში შეიძლება შეიჭრას რელიგიური ცენზურა; გ) სხვა აღმსარებლობების შესწავლისას, განათლების სისტემამ შეიძლება მიიღოს არა პლურალისტური, არამედ ტენდენციური ხასიათი.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით, პასუხი გავცეთ საქართველოს ომბუდსმენის მიერ წაყენებულ ბრალდებებს და ვნახოთ, რა წესებს ამყარებს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საკანონდებლო პრაქტიკა და ადამიანთა უფლებების შესახებ საერთაშორისო სამართალი.

მანამდე კი უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სახალხო დამცველის კრიტიკაში შეინიშნება პოსტ-საბჭოური მენტალიტეტისთვის დამახასიათებელი თვისება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მიერ გაცემული ფული აღიქმება, როგორც საჩუქარი, რის გამოც საზოგადოება მუდმივ ვალში უნდა იყოს მთავრობის მიმართ. სინამდვილეში კი რეალობა სულ სხვაა: სახელმწიფოს ბიუჯეტი შედგება მოქალაქეების მიერ გაღებული გადასახადებისაგან. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეების სურვილია, რომ მათ შვილებს საზოგადო სკოლებში ეძლეოდეთ რელიგიური განათლება, მთავრობა ვალდებულია ფინანსურად და ლოგისტიკურად უზრუნველყოს რელიგის გაკვეთილების არსებობა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში.

ამავდროულად პასუხს საჭიროებს შემდეგი საკითხიც: რელიგიის გაკვეთილებს უნდა ჰქონდეთ კონფესიური თუ ზოგადი ხასიათი? ნებისმიერი ერის განათლების ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია საკუთარი თვითმყოფადობის განმსაზღვრელი საგნების - ქვეყნის ისტორიის, კულტურის, ტრადიციებისა და რელიგიის - შესწავლა, რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს მსოფლიო ისტორიის, კულტურისა და რელიგიების შესწავლას. შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უნდა ისწავლებოდეს მსოფლიო რელიგიების ისტორიაც, რაც ხელს შეუწყობს ბავშვებში

რელიგიური ტოლერანტობის გრძნობის განვითარებას, მაგრამ ძირითადი აქცენტი უნდა კეთდებოდეს მართლმადიდებელი ქრისტიანული მოძღვრების შესწავლაზე. ახალგაზრდა თაობას ნათლად უნდა ესმოდეს, თუ რატომაა საქართველოს კონსტიტუციაში აღიარებული `საქართველოს სამოციქული ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში~ და რატომაა ნათქვამი საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების პრეამბულაში: `მართლმადიდებლობა, ევროპის ერთ-ერთი ტრადიციული აღმსარებლობა, საქართველოში ისტორიულად სახელმწიფო რელიგია იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ფასეულობები .

ავტორის სტილი დაცულია

1.2.4 სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური განათლების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები

მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოში - თურქეთიდან აშშ-მდე და ევროპიდან ისრაელამდე - რელიგიის გაკვეთილები ტარდება. სახელმწიფო სკოლებში რელიგიური განათლების უარყოფისას დემოკრატიაზე აპელირება დემოკრატიული სახელმწიფოს არსის არცოდნას ავლენს. პოლონელი მკვლევარი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ხ. სუხოცკა თავის ნაშრომში „სასკოლო რელიგიური განათლება ზოგიერთი ევროპული ქვეყნის კონსტიტუციაში“[95] მიუთითებს, რომ რელიგიური განათლების უფლება აზრის, სინდისის და რელიგიის აღმსარებლობის თავისფულების ელემენტია. ეს უკანასკნელი დაბადებიდანვე ადამიანის ბუნებრივი უფლებაა და ამიტომ, ვერც სახელმწიფო და ვერც საზოგადოება ვერ მიანიჭებს მას ამ უფლებას - სახელმწიფომ ეს უფლება უნდა აღიაროს.

თუმცა დღეს, საქართველოს იმ მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლება, რომლებიც მართლმადიდებლობისადმი კუთვნილებას გამოხატავენ ან მას უპირატესობას ანიჭებენ, ეროვნულ-კულტურული და რელიგიური იდენტობის შესაბამისი განათლება მიიღონ, ეჭვქვეშ არის. შთაბეჭდილება იქმნება, რომ მართლმადიდებლური კულტურის მოწინააღმდეგეთა მოტივაციის მთავარი დომინანტი მართლმადიდებლობისადმი პირადი უარყოფითი დამოკიდებულება და სამართლებრივი დუალიზმია.

როგორც ე. ასკეროვი აღნიშნავს: „მარად ცვალებადი სამყაროს გაჩენიდანვე ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში სულიერი ფასეულობების ადგილი მუდმივი განხილვის საგანია. ბოლო ასწლეულში, მსოფლიო რუკაზე სეკულარული სახელმწიფოების გაჩენასთან ერთად, ასეთ სახელმწიფოებში რელიგიური განათლების სისტემის გამოყენების შესაძლებლობასთან და სეკულარული სახელმწიფოზე რელიგიის გავლენასთან დაკავშირებით განხილვის ახალი თემები წარმოიშვა. დისკუსიების ძირითადი თემა მდგომარეობს შემდეგში: შეიძლება თუ არა პატარებისა და მოზარდებისათვის სკოლაში რელიგიის სწავლება და შეესაბამება თუ

[95] Suchocka H. Nauczanie religii w szkole w swietle kostitucij i ustawodawstwa wybranych panstw europejskich // Nauczanie religii w szkole w panstwie demokratycznym. Lublin, 1991. S. 58-99.

არა რელიგიის სწავლება სახელმწიფოს სეკულარული წყობას. ლიბერალიზმის გასულ საუკუნეში ეს დისკუსიები დასავლეთის ქვეყნებში ლამის ყველაზე აქტუალურ საკითხად იქცა“[96].

სეკულარულ სკოლებში რელიგიურ განათლების რეალიზაციის წინააღმდეგ სხვადასხვა არგუმენტი მოჰყავთ. ყველა ამ არგუმენტს ერთი საერთო ნაკლი აქვს - მათ არ გააჩნიათ explicite, ანუ სიცხადე და თანმიმდევრულობა. პრაქტიკულად ყველა კრიტიკოსი ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე სენტენციებს გამოთქვავს ან მათი არგუმენტაცია არალოგიკურია.

სეკულარულ სკოლებში რელიგიური განათლების კრიტიკოსთა მტკიცებები სეკულარულ სკოლებში რელიგიური განათლების საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამობის თაობაზე, უსაფუძვლოა. სეკულარულ სკოლაში რელიგიური განათლების საწინააღმდეგო ტიპური არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ რელიგია პირადი და ოჯახური საქმეა და ამიტომ საჯარო სკოლაში მისი ადგილი არ არის.

რელიგია თითოეული ადამიანის ინდივიდუალური საქმეა. თუ ოჯახში მიაჩნიათ, რომ ბავშვმს ანგელოზებისა და სულების შესახებ ცოდნა უნდა გააჩნდეს, მას საეკლესიო საკვირაო სკოლაში წაიყვანენ. თუ სახელმწიფოს დასაშვებად მიაჩნია მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ჩარევა და მითითება, თუ რა უნდა სწამდეთ მათ - ეს ტოტალიტარიზმის პირველი ნიშანია.

აღმსარებლობის ამგვარ „თავისუფლებას“ ძლივს თუ მივიჩნევთ ასეთად, რადგან ის რელიგიის მხოლოდ შინაგან თავისუფლებას უშვებს და რელიგიური თავისუფლების გამოვლენას ზღუდავს მანამ, სანამ რწმენა რაიმე სახით არ ვლინდება. აღმსარებლობის თავისუფლების სახლის კედლებით, ოჯახის ფარგლებით, მინიმალური ფსიქოლოგიური გამოვლენით შეზღუდვა აღმსარებლობის თავისუფლების უფლების დარღვევაა. თუ მორწმუნეთათვის კანონმდებლობის შესაბამისი ფორმებით საკუთარი რელიგიური კუთვნილების გამოხატვა მნიშვნელოვანია, თუ მორწმუნეთათვის მნიშვნელოვანია, რომ მათი შვილები სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში თავისი ეროვნული

[96] ასკეროვი ე. სკოლა და ზნეობა. მსოფლიო პრაქტიკა // http://www.islam.az/statyi/teh3.htm.

რელიგიურკულტურული ტრადიცის შესახებ ცოდნას იღებდნენ და ამ მოთხოვნის რეალიზება საქართველოს კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება, მაშინ სახელმწიფოს არ აქვს უფლება რელიგიური ცხოვრება ოჯახის ან საკულტო ნაგებობის ჩარჩოებში „შეამწყვდიოს“, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი სახელმწიფო სეკულარული არ იქნება.

თუ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოხატავს მოთხოვნას, რომ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეები ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე საკუთარი ეროვნული რელიგიურ-კულტურული ტრადიციის შესახებ ცოდნას იღებდნენ, მაშინ განათლების მართვის ორგანოები ვალდებულნი არიან, კანონმდებლობის ფარგლებში, მსურველებს ასეთი შესაძლებლობა შესთავაზონ.

მრავალი კრიტიკოსი ამტკიცებს, რომ საქართველოს საჯარო სკოლებში რელიგიური განათლება ამ ფორმით დაუშვებელია, რადგან საქართველო მრავალკონფესიური და მრავალეროვნული სახელმწიფოა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-18 სტატიის შესაბამისად რელიგიური განათლების უფლება სინდისის თავისუფლების, უფრო ზუსტად კი - აღმსარებლობის თავისფულების რეალიზაციის ერთ-ერთი ფორმაა: „ყოველ ადამიანს აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება გააჩნია“, კერძოდ, საკუთარი რელიგიისა და შეხედულებების გაცხადების უფლება[97].

ნებისმიერი სახელმწიფოს საჯარო სკოლებში აუცილებლად დგება საკითხი, თუ რა შინაარსის უნდა იყოს განათლება, როდესაც სკოლაში სხვადასხვა ეროვნების ბავშვები სწავლობენ.

14.12.1960 წ. განათლების სფეროში დისკრიმინაციასთან ბრძოლის კონვენციის მე-5 სტატია ადგენს: „სახელმწიფოები, რომელბიც კონვენციის მხარეებს წარმოადგენენ, მიიჩნევენ, რომ: ა) განათლება ადამიანის პიროვნების სრულ განვითარებაზე უნდა იყოს მიმართული და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უფრო მეტი პატივისცემისკენ; ყველა ხალხს, რასობრივ ან რელიგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგებას, ტოლერანტობას და მეგობრობის

[97] ადამიანის უფლებების საერთაშორისო აქტები. გვ. 41-42.

ხელშეწყობისკენ, აგრეთვე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობის შენარჩუნებისკენ მიმართული საქმიანობის განვითარებისკენ; ბ) მშობლებს და შესაბამის შემთხვევაში, კანონიერ მზრუნველებს, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, პირველ რიგში, სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში, თავისუფლად გაუშვან შვილები არა სახელმწიფო, არამედ სხვა საწსავლო დაწესებულებებში, რომლების განათლების ორგანოების მიერ დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს პასუხობენ და მეორეც, უზრუნველყონ შვილების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა თავისი შეხედულებების შესაბამისად; გ) უნდა ვაღიაროთ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ პირთა უფელა, აწარმოონ თავიანთი საგანმანათლებლო საქმიანობა, სკოლების მართვის ჩათვლით და თითოეული სახელმწიფოს განათლების სფეროს პოლიტიკის შესაბამისად გამოიყენოს და ასწავლოს თავისი ენა იმ პირობით, რომ: დ) ამ უფლების რეალიზება არ უშლის უმცირესობების წარმოადგენელ პირებს, საკუთარ კოლექტივს გაუგონ და რომ ეს უფლება ქვეყნის სუვერენიტეტს არ ლახავს; ე) განათლების დონე ასეთი ტიპის სკოლებში კომპეტენტური ორგანოების მიერ დადგენილ ზოგად დონეს არ ჩამოუვარდება...“[98].

ამგვარად, 14.12.1960 წ. განათლების სფეროში დისკრიმინაციასთან ბრძოლის კონვენციის მე-5 სტატია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ პირთათვის უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოებისა და საკუთარი ენის გამოყენებისა და სწავლების უფლებას იმ პირობით, რომ ამ უფლების რეალიზება არ უშლის უმცირესობების წარმოადგენელ პირებს, საკუთარ კოლექტივს გაუგონ და რომ ეს უფლება ქვეყნის სუვერენიტეტს არ ლახავს.

მაშასადამე, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების მიერ უმრავლესობის კულტურის სწავლა მათ უფლებებს არ ლახავს შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- რელიგიური განათლების გაკვეთილებზე დასწრება ნებაყოფლობითია;
- უმცირესობებს საკუთარი საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვის, მათ შორის, სკოლების მართვის უფლება აქვთ და სახელმწიფოს განათლების სფეროს

[98] იქვე. გვ. 161.

პოლიტიკის შესაბამისად გამოიყენონ და ასწავლონ თავისი ენა (14.12.1960 წ. განათლების სფეროში დისკრიმინაციასთან ბრძოლის კონვენციის 5 სტატიის „i“ „ii“ „iii“ პუნქტებით განსაზღვრული პირობების შესრულების შემთხვევაში);

- მშობლებს და შესაბამის შემთხვევაში, კანონიერ მზრუნველებს, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, პირველ რიგში, სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში, თავისუფლად გაუშვან შვილები არა სახელმწიფო, არამედ სხვა საწსავლო დაწესებულებებში, რომლებიც განათლების ორგანოების მიერ დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს პასუხობენ;
- მშობლებს და შესაბამის შემთხვევაში, კანონიერ მზრუნველებს, უფლება აქვთ უზრუნველყონ შვილების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა თავისი შეხედულებების შესაბამისად.

ამიტომ, თუ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს გავყვებით, ეროვნული უმცირესობების განათლების ეთნოკულტურული შინაარსის საკითხს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს. ამასთან, საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქრისტიანულ ფასეულობებზე დაფუძნებული ეთიკის, ლიტერატურის და ისტორიის სწავლებას ეს ყოველივე არ უშლის ხელს, ასევე არ უნდა უშლიდეს ხელს საზოგადოების სოციალური ერთობის განმტკიცებას და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც თავს მართლმადიდებლობას განუკუთვნებენ ან უპირატესობას ანიჭებენ მას, თავისუფალი მსოფლმხედველობრივი თვითგამორკვევის, თავისი და თავისი მშობლების (კანონიერი წარმომადგენლების) მსოფლმხედველობითი ფასეულობებისა და სულიერი არჩევანის შესაბამისი განათლების მიღების უფლებით ისარგებლონ. მათ შორის, საქართველოს საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქრისტიანულ სულიერ-ზნეობრივ ფასეულობებსა და ტრადიციებზე დაფუძნებული განათლება მიიღონ ჰუმანიტარულ საგნებში.

ო. რ. კვირკველია წერს[99], რომ საფრანგეთისა და იტალიისგან განსხვავებით საქართველო პოლიკონფესიური ქვეყანაა. თუმცა, დასავლეთ ევროპული საზომით საქართველო მონოკონფესიური და მონოეთნიკური ქვეყანაა, რაც არ ნიშნავს იმას,

[99] კვირკველია ო. რ. მრავალღმერთიანობა საერო სკოლაში. როგორ ვუზრუნველყოთ მორწმუნეთა და ათეისტების უფლებების თანასწორობა?

რომ საქართველოში რელიგიური მრავალფეროვნება არ არის. მაგრამ საფრანგეთსა და იტალიაშიც ხომ სხვადასხვა კონფესიური გაერთიანება მოქმედებს. 4-5 მილიონი ფრანგი თავს ისლამურ ტრადიციას განუკუთვნებს, თუმცა პრაქტიკაში ისლამს მათგან მხოლოდ 10% მისდევს. სხვადასხვა შეფასებებით საფრანგეთში 100 000-დან 300 000-მდე ბუდისტი ცხოვრობს. ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველო საფრანგეთსა და იატალიაზე უფრო მეტად პოლიკონფესიური არ არის, მითუმეტეს, თუ დღესდღეობით ამ ქვეყნებში მიმდინარე მიგრაციულ პროცესებს გავითვალისწინებთ, რასაც ამ ქვეყნებში ისლამის აღმსარებელი მოსახლეობის მოდინება მოჰყვება შედეგად. გარდა ამისა, პოლიკონფესიურ და მრავალეროვნულ ქვეყანაში მოქალაქეებს რელიგიური განათლების მიღების უფლება აქვთ, სახელმწიფოს კი შესწევს უნარი ეს პროცესი იმგვარად მოაწყოს, რომ არავის მიმართ მოხდეს ძალდატანება ან დისკრიმინაცია.

ამასთან, საქართველოში მცხოვრები ეროვნული და რელიგიური უმცირესობები ჩვენი ქვეყნის უმრავლესობის კულტურას უნდა იცნობდნენ. 14.12.1960 წ. განათლების სფეროში დისკრიმინაციასთან ბრძოლის კონვენციის შესაბამისად საქართველოს საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჰუმანიტარული საგნების სწავლების კულტურული მიზანშეწონილობის უზრუნველყოფა, ანუ მოსწავლეთათვის ქართული მართლმადიდებლური კულტურისა და საქართველოსათვის სხვა ტრადიციული რელიგიების კულტურის შესახებ ცოდნის გაღრმავება არანაირად არ არღვევს ათეისტების ან სხვა რელიგიათა მორწმუნეების უფლებებს. აქ მთავარია ზომიერების დაცვა.

როგორც გ. მ. მორანი წერს, ესპანეთში „სახელმწიფოსა და კათოლიკური ეკლესიას მჭიდრო კავშირი აქვთ, რაც ქვეყნის ისტორიისთვის ტრადიცულია, ამ კავშირს კანონი ვერ გააუქმებს, რადგან ის თვით საზოგადოების კულტურით არის განპირობებული“[100]. ამიტომ საეჭვოა მტკიცებები იმის თაობაზე, რომ ესპანურ სკოლებში სწავლება ესპანურ კულტურას არ უნდა ეყრდნობოდეს ან რომ ესპანურ სკოლებში კათოლიციზმის შესახებ ცოდნის სწავლება უნდა აიკრძალოს.

[100] ესპანური თვალსაზრისი: საუბარი პროფესორ გლორია მორანთან // რელიგია და ადამიანის უფლებები: სინდისის თავისუფლებისკენ გზაზე. გამ III. შეად. ლ. მ. ვორონცოვამ, ა. ვ. პჩელინცევმა, ც. ბ. ფილატოვმა. ს.ბ. ფილატოვის საერთო რედ. М.: Наука, 1996.გვ. 91.

აქ სამაგალითოა ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში ისრაელის პოზიცია, რომელიც, ისრაელის განათლების სამინისტროს გენერალური დირექტორის, რონიტ ტიროშის[101] თქმით, იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მყოფი ებრაელისთვის ისრაელის ისტორიის, კულტურისა და ენის სწავლება უზრუნველყოს.

რელიგიის სწავლება და რელიგიურ-კულტუროლოგიური განათლება, როგორც რელიგიის შესახებ ცოდნის მიწოდების ფორმა ნებაყოფლობითობის პრინციპის საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს. საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ასეთ სასწავლო საგნებზე დასწრება სავალდებულო არავისათვის არ უნდა იყოს. თუ სკოლაში სხვა რელიგიის აღმსარებელი თუნდაც ერთი მოსწავლე არის, ან მოსწავლე, რომელსაც არ სურს რელიგიური განათლების მიღება, მისი აღმსარებლობის თავისუფლება დაცული უნდა იყოს. თუმცა, რელიგიური უმცირესობების უფლება ვერ გახდება საქართველოს საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში იმის საფუძველი, რომ მოსწავლეებმა საკუთარი შეხედულებებისა და მშობლების (კანონიერი წარმომადგენლების) არჩევანის შესაბამისად განათლების მიღებაზე უარი მიიღონ. საქართველოს სახელმწიფო და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, საქართველოს ხალხთა სხვა ტრადიციული რელიგიური ორგანიზაციები მოწოდებულნი არიან, ამ პრობლემების გადაჭრისათვის ერთობლივად იმუშავონ, როგორც ყველა ცივილიზებულ საზოგადოებაში ხდება. მუსლიმებს და საქართველოს ხალხთა ტრადიციული რელიგიური ორგანიზაციების მორმწუნეებს, ნებაყოფლობითობის პრინციპის საფუძველზე, რელიგიური განათლების საკუთარი რელიგიური შეხედულებების შესაბამისად მიღების უფლება აქვთ.

აზრი იმის შესახებ, რომ სეკულარული სკოლაში მართლმადიდებლური განათლება დაუშვებელია სკოლაში სხვა რელიგიების წარმომადგენელი ან ურწმუნო ბავშვების არსებობის გამო, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების მცდარი გაგების შედეგია. საქართველოს მოქალაქეებს - ქართველებს და სხვა ეროვნებების წარმომადგენლებს, რომლებიც მართლმადიდებლობისადმი კუთვნილებას

[101] რონიტ ტიროში, ისრაელის განათლების სამინისტროს გენერალური დირექტორი: „შვენს შვილებს სამხედრო მომზადება არ სჭირდებატ - ამისათვის არსებობს ჯარი“//Известия. 2002 წ. 10 ივნისი. № 98.

გამოხატავენ ან მას ანიჭებენ უპირატესობას, უფლება აქვთ ნებაყოფლობითობის საფუძველზე მოითხოვონ საგანმანათლებლო მომსახურება - საკუთარ კულტურასა და მისი საფუძვლების შესახებ ცოდნის მიღება. მათ მიერ ასეთი საგანმანათლებლო მომსახურების მიღება ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვის შემთხვევაში სხვა პირთა კონსტიტუციურ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, სინდისის თავისუფლების ჩათვლით, არ ლახავს, არ შეურაცხყოფს მათ რელიგიურ გრძნობებს და არ უშლის ხელს მათი უფლებების რეალიზებას. ამასთან, მოსწავლეთა და მათი მშობლების (კანონიერი წარმომადგენლების) მიერ რელიგიური განათლების საგნების არჩევის ნებაყოფლობითობის პრინციპი უნდა იყოს დაცული.

საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური განათლების ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე განხორციელება საქართველოს მოქალაქეებისათვის გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების სახით, რომლებიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ თავის კუთვნილებას გამოხატავენ ან უპირატესობას ანიჭებენ მას ვერ გახდება რელიგიური უმცირესობების უკმაყოფილების საგანი, რადგან ეს მათ კანონიერ უფლებებს არ ზღუდავს და არ ახდენს მათ დისკრიმინირებას. საქართველოს მოქალაქეები არ არიან ვალდებულნი ყველა რელიგიას მისდევნდენ ერთდროულად, საქართველოს სახელმწიფოს კი არ აქვს უფლება რელიგიური უმცირესობების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად საქართველოს მოსახლეობის უმეტესობის ინტერესების და კონსტიტუციური უფლებების იგნორირება მოახდინოს. რელიგიური უმცირესობების კანონიერი ინტერესი ვერ იქნება ემოციური უარყოფის ნიადაგზე საქართველოში მართლმადიდებლობის ობსტრუქცია, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისადმი, როგორც ტრადიციული რელიგიური ორგანიზაციისადმი მისსავე კანონიკურ ტერიტორიაზე აგრესიული წინააღმდეგობის გაწევა, წინააღმდეგობა გაუწიონ საქართველოს მოქალაქეების, რომლებიც თავს მართლმადიდებელ ეკლესიას განუკუთვნებენ ან უპირატესობას ანიჭებენ მას, რელიგიური განათლების მიღების კონსტიტუციური უფლების განხორციელებას. ასეთ შემთხვევაში, რელიგიური უმცირესობების ამგვარი ინტერესები, როგორც სხვა მოქალაქეების უფლებების დამრღვევი ინტერესები, იგნორირებულ უნდა იქნას საქართველოს

სახელმწიფოს მიერ. ასეთი პრაქტიკა დემოკრატიულ სახელმწიფოებშია გავრცელებული.

მოსწავლეთა ტრადიციული (ეროვნული) რელიგიის კულტურულ-ზნეობრივ ფასეულობებსა და კულტურასთან, როგორც ერვონული კკულტურის განუყოფელ ნაწილთან საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ზიარება მოსწავლეთა და მათ მშობლების (კანონიერი წარმომადგენლების) საკუთარი ეროვნული კულტურის ფასეულობების შესაბამისად განათლების მიღების უფლების რეალიზაციას წარმოადგენს, რაც გარნატირებულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე ადამიანის უფლებების საერთაშორისო აქტებით. მოსწავლეთათვის ასეთი შესაძლებლობის უზრუნველყოფა განათლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სახელმწიფო ორგანოების ვალდებულებას წარმოადგენს.

საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებიც თავს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას განუკუთვნებენ ან უპირატესობას ანიჭებენ მას, თავისუფალი მსოფლმხედველობრივი არჩევანის და საკუთარი მხოფლმხედველობრივი არჩევანის და კულტურული და სულიერ-ზნეობრივი შეხედულებების შესაბამისი განათლების მიღების უფლებაზე უარის თქმა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ფორმას წარმოადგენს. ეს მთელი რიგი საერთაშორისო აქტების დარღვევაა.

საქართველოს საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური განათლების ნებაყოფლობითობის საფუძველზე შემოღების წინააღმდეგ კიდევ ერთი არგუმენტი ის არის, რომ ასეთი განათლება, თითქოს, ათეისტების და სხვა რელიგიების მიმდევართა უფლებებს დაარღვევს.

სეკულარულობის დარღვევა არის იმ მოსწავლეთათვის ღვთის სჯულის სავალდებულო სწავლება, რომლებიც თავად და მათი მშობლები (ან მათი შემეცვლელი პირები) ამის წინააღმდეგნი არიან. მაგრამ სეკულარულობის ასეთივე დარღვევა არის იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც თვითონ და მათი მშობლებიც (ან მათი შემცვლელი პირები) თავს მართლმადიდებლობასთან (ისლამთან და ა. შ.) აიგივებენ, ამა თუ იმ რელიგიასთან მჭიდროდ დაკავშირებული ეროვნული კულტურის შესწავლაზე უარის თქმა იმ საფუძველზე, რომ კლასის ათეისტური

უმცირესობა ან მეზობელ ქალაქში არსებული ათეისტების საზოგადოებრივი გაერთიანება ამის წინააღმდეგია. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობების მკვლევართა საყვარელ სიტყვა „კლერიკალიზმს“ თუ გამოვიყენებთ, მაშინ სახელმწიფოს სეკულარულობას არა მხოლოდ რელიგიური, არამედ ანტირელიგიური კლერიკალიზმიც ეწინააღმდეგება.

სეკულარულობა - გონივრული შუალედია სახელმწიფოსგან რელიგიური გაერთიანებების გამოყოფისა და კულტურასა და სახელმწიფოზე რელიგიის გავლენის არეკლვას შორის ოპტიმიზაციის შედეგი.

საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში[102] რელიგიური განათლების შეტანის წინააღმდეგ მოსაზრებები გამოწვეულია ან იმის არ ცოდნით, რომ მოქალაქეებს, რომლებიც თავს მართლადიდებლურ ეკლესიას განუკუთვნებენ ან მას ანიჭებენ უპირატესობას, თავისუფალი მსოფლმხედველობრივი თვითგამორკვევისა და თავისი მსოფლმხედველობრივი არჩევანისა და თავისი კულტურული და სულიერ-ზნეობრივი შეხედულებების, ტრადიციებისა და ფასეულობების შესაბამისად განათლების მიღების უფლება აქვთ ან ასეთი მცდელობები სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით პროზელიტიზმის საშუალების მოპოვების მცდელობით არის გამოწვეული[103].

ამ მხრივ სამაგალითოა ფაქტი, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიამ რელიგიური უმცირესობების მიმართვები არ დააკმაყოფილა, რომლებსაც შვედეთის სახელმწიფო სკოლებში შვედეთის სახელმწიფო ლუთერანული ეკლესიის მიერ სავალდებულო რელიგიური განათლების რეალიზაცია უკანონოდ მიაჩნდათ. ორ მიმართვაში ნათქვამია, რომ კანონი მხოლოდ შვედეთის სახელმწიფო ლუთერანული ეკლესიის ინტერესებს უზრუნველყოფს. პირველ შემთხვევაში კომისიამ მიიღო შვედეთის ლუთერანული ევანგელისტური ეკლესიის მიმართვა და კონფლიქტის დარეგულირების მიზნით მთავრობასთან მოლაპარაკებები დაიწყო. მოლაპარაკებები

[102] რელიგიური განათლება საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებაში რელიგიური გაერთიანების შექმნის ან რელიგიური საქმიანობის ფორმას არ წარმოადგენს, თუ ადგილი არ აქვს ვიწროპროფესიულ რელიგიურ (სასულიერო) განათლებას.

[103] შევნიშნავთ, რომ მუსულმანების, პროტესტანტების, იუდეველების და სხვათა მხრიდან თავისი სულიერ-ზნეობრივი შეხედულებებისა და ფასეულობების შესაბამისი განათლების მიღების უფლების რეალიზაცია ასევე სამართლებრივია, მაგრამ გამოგონილი საბაბით მათაც ეუბნებიან ამაზე უარს.

კომპრომისით დასრულდა და ევანგელისტური ლუთერანული ეკლესიის მიმდევრებს ნება მიეცათ სახელმწიფო სკოლებში რელიგიის გაკვეთილებს არ დასწრებოდნენ. როდესაც ათეისტებმა თავისთვისაც მოითხოვეს ასეთივე გამონაკლისი, კომისიამ განაცხადა, რომ მათი მიმართვა „სრულიად უსაფუძვლოა“[104].

არც იმ პრეტენზიას აქვს საფუძველი, თითქოს საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური განათლები სეკულარული განათლებას აყენებს ზიანს. საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური განათლებით ნამეტან გატაცებას სეკულარული განათლების საზიანოდ ამ უკანასკნელის პროფანაციისკენ და განათლების ეროვნული სისტემის ნგრევისკენ მივყავართ, ეს საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების სეკულარულობას ეწინააღმდეგება.

მაგრამ რელიგიის საქართველოს განათლების ეროვნული სისტემისგან სრული იზოლირებაც სეკულარულობის პრინციპისგან გადახვევაა და შედეგად როგორც განათლების სისტემის, ასევე ეროვნული კულტურის დეგრადაციას მივიღებთ, ეს რელიგიისადმი დამოკიდებულების ნიშნით მორწმუნეთა დისკრიმინაციას წარმოადგენს, რითიც ადამიანის უფლებების რიგი საერთაშორისო აქტები ირღვევა, მათ შორის 10.12.1948 წ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 1, მე-2, მე-6, მე-7, მე-18 სტატიების ნორმები, 1981 წ. 25 ნოემბრის რელიგიისა ან შეხედულებების საფუძველზე არსებული არატოლერანტობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ დეკლარაციის მე-2 სტატიის მე-2 ნაწილი, მე-5 სტატიის 1 და მე-2 ნაწილები, 16.12. 1966 წ. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთასორისო პაქტის მე-15 სტატიის 1 ნაწილი, 16.12.1966 წ. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-2, მე-5, მე-18, მე-19 სტატიების 1 ნაწილი 24 სტატიის 1 ნაწილი, 26 სტატია, 20.11.1989 წ. ბავშვთა უფლებების კონვენცია და სხვ.

არის ისეთი პრობლემებიც, რომლებსაც არარელიგიური განათლება ვერ გადაწყვეტს. ერთ-ერთ მათგანს სამოქალაქო-პატრიოტული და სულიერ-ზნეობრივი

[104] ტროფიმჩუკი ნ. ა. საერთაშორისო დოკუმენტები სახელმწიფოსა და რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთობის პრინციპების, ადამიანის სინდისი თავისუფლების უფლების შესახებ // სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერტობების მსოფლიო გამოცდილება. გვ. 15.

აღზრდა წარმოადგენს. სულიერ-ზნეობრივი აღზრდა ვერ იქნება რომელიმე მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული. საზოგადოების ცხოვრებაში სულიერი კომპონენტის დაკარგვას სულიერი ორიენტირების კარგვა მოსდევს. სულიერება და ზნეობა ნებისმიერი ხალხის ერთგვარი სოციალური იმუნიტეტია.

ურთიერთქმედების კიდევ ერთი მიმართულება შეიძლება ეკოლოგიური განათლება იყოს. ადამიანური ეთიკის დასავლელი სპეციალისტების დასკვნების თანახმად ინდივიდუალური ცნობიერების ეკოლოგიზაციაში სასურველი შედეგის მიღწევაში „რელიგიას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია“[105].

[105] Religion and Environmental Crisis / Ed. by E. C. Hargrove. Athens. University of Georgia, 1986.

ავტორის სტილი დაცულია

თავი II

საჯარო სკოლებში რელიგიური განათლების საერთაშორისო საკანონმდებლო პრაქტიკის ასპექტები

2.1 ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობა

საერო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიურ განათლების უფლება საკუთარი ეროვნულ-კულტურული იდენტობის შესაბამისად განათლების მიღების უფლების შემადგენელი ნაწილია.

ცხადია, იმისათვის რომ პასუხი გავცეთ კითხვას, შესაძლებელია თუ არა რელიგიური განათლების საგნების სწავლება საჯარო სკოლაში, უნდა შევისწავლოთ უცხოური გამოცდილება. ჩვენს ქვეყანაში განათლების სფეროში რელიგიურ გაერთიანებებთან ურთიერთობის ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისათვის აუცილებელია სხვა ქვეყნების შესაბამისი გამოცდილების კვლევა. ყველაზე ფასეულია იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებიც ბოლო ასწლეულის მანძილზე არა სტაბილურად და თანდათანობით ვითარდებოდნენ, არამედ საზოგადოებრივი განვითარების კრიზისები გაიარეს და ეფექტურად შეძლეს კატაკლიზმების ნეგატიური შედეგების გადალახვა, პირველ რიგში ეს გერმანიის გამოცდილებაა.

საკუთარი შეხედულებების შესაბამისად განათლების მიღების უფლების რეალიზაციის საკითხი, მათ შორის რელიგიური განათლების მეშვეობით საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ბევრ უცხოურ სახელმწიფოში დადებით ჭრილშია გადაწყვეტილი. სახელმწიფოსა და განათლების საერო ხასიათის შენარჩუნებასთან და რელიგიური გაერთიანებების სახელმწიფოსგან გამოყოფასთან ერთად, მრავალი დასავლეთ ევროპული ქვეყნის სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში რელიგიური განათლების საგნები ისწავლება. ეს კანონზე დაფუძნებული პრაქტიკაა, რომლითაც, უპირველეს ყოვლისა, ხდება მშობლების უფლების რეალიზება, აირჩიონ მათი შვილებისათვის განათლება და აღზრდა.

დღესდღეობით, მსოფლიოში სახელმწიფო სკოლებში საერო განათლების მრავალი მოდელი არსებობს, რაც სხვადასხვა სახელმწიფოს ეროვნულ-

კულტურული, ისტორიული და სოციალური თავისებურებებით განისაზღვრება. ერთ ქვეყანაში საერო განათლების ჩამოყალიბების ერთი სახის გამოცდილებაა, მეორეში - მეორე. სხვადასხვა ქვეყნებში არსებული სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის ურთიერთობების მოდელების უნიფიცირების მოთხოვნა ისეთივე აბსურდულია, როგორც გამოთქმა „საავადმყოფოში ავადმყოფთა საშუალო ტემპერატურა“.

ევროპულ ნორმებთან შეწყობის მოთხოვნის შესრულება, როგორც რ. დებრე[106] აღნიშნავს ანაქრონიზმი იქნებოდა: „სისულელეა, რომ ერთ ცხვარს აიძულო სხვა ცხვრებს დაემსგავსოს“. ისინი, ვინც უნიფიკაციისკენ მოგვიწოდებენ ჩუმდებიან (ან ავიწყდებათ) იმაზე, რომ რელიგიური განათლების სფეროში არ არსებობს და ვერც იარსებებს ერთიანი მოდელი. რამდენი ქვეყანაც არსებობს, იმდენივე სიტუაციაა. ირლანდიაში, სადაც კონსტიტუცია წმინდა სამებას ხოტბას ასხამს, საბერძნეთში, სადაც ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია სახელმწიფო ეკლესიის სტაუსით სარგებლობს, განათლებას კონფესიური და სავალდებულო ხაისათი აქვს. ესპანეთში, სადაც ღვთის რჯულს სპეციალისტები ასწავლიან, რომელთაც საერო ადმინისტრაცია ეპარქიის მიერ წარმოდგენილი კანდიდატების სიიდან ირჩევს, რელიგიური განათლება ფაკულტატიურია. პორტუგალიაში, ნეიტრალიტეტის პრინციპის მიუხედავად, 2002 წლამდე რელიგიის სწავლებას სახელმწიფო სკოლებში კათოლიკური ეკლესია ახორციელებდა. დანიაში, სადაც ლუთერანული ეკლესია სახელმწიფო ეკლესიაა, საღვთო სჯუს არ ასწავლიან, მაგრამ სახელმწიფო სკოლის ყოველ საფეხურზე ასწავლიან „ქრისტიანული ცოდნის“ ფაკულტატიურ კურსს. გერმანიაში, სადაც ყოველ მიწას თავისი საგანმანათლებლო პროგრამა გააჩნია, ქრისტიანული რელიგიური განათლება სავალდებულო პროგრამაში შედის და ხშირად ეკლესიის კონტროლის ქვეშ ხორციელდება, ხოლო რელიგიურ საგნებში მიღებულ ნიშნებს უფროს კლასებში გადაყვანისას ითვალისწინებენ. ბელგიაში, სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებს საშუალება აქვთ აირჩიონ რელიგიური კურსი ან ზნეობის არაკონფესიური კურსი. ამგვარად, ამ სფეროში ერთიანი ევროპული ნორმა არ არსებობს, ყოველი ქვეყნის ეროვნული

[106] Debray Regis. Raport a Monsieur le Ministre d l'Education nationale "L'eneignement du fait religieux dans l'Ecolelaique". Praris. Fevrier. 2002.

შეგნება თავის ისტორიულ მემკვიდრეობას თავისებურად ეპყრობა და სულიერი მემკვიდრეობის მიმართ დამოკიდებულებას თავისებურად აყალიბებს, მათ შორის ეროვნული განათლების სფეროშიც. დღესდღეობით, მსოფლიოში საერო სახელმწიფოს რამოდენიმე მოდელია რეალიზებული, მაგრამ ათეიზმის გასახელმწიფოებისკენ არც ერთი მათგანი არ არის მიმართული.

ავსტრია. ავსტრიის კონსტიტუციის 14 სტატიის მე-10 ნაწილი ადგენს: „ადმინისტრაციული რაიონების მიწებზე მოქმედი ფედერალური სასკოლო ორგანოების, სავალდებულო სასკოლო სწავლების, სკოლების, კერძო სკოლებისა და სკოლასა და ეკლესიას (რელიგიურ საზოგადოებებს) შორის ურთიერთობის, სკოლაში რელიგიის სწავლების ჩათვლით, ორგანიზების საკითხებთან დაკავშირებით, თუ ეს საკითხები უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებსა და ხელოვნებათა აკადემიას არ ეხება, ფედერალური კანონების მიღება მხოლოდ ეროვნული საბჭოს მიერ არის შესაძლებელი წევრთა, არა ნაკლებ, ნახევრის დასწრებისას და ხმების ორი მესამედის უმრავლესობით...“[107] ავსტრიის კონსტიტუციის 14ა სტატიის მე-3 ნაწილი: „თუ ეს მე-2 აბზაცში დასახელებულ საკითხებს არ ეხება, მაშინ ფედერაციის განკარგულებაში შედის კანონმდებლობა, მიწების განკარგულებაში - აღმასრულებელი საქმიანობა ა) რელიგიის სწავლების საკითხებში...“[108]

ანდორა. ანდორას სათავადოს 1993 14 მარტის კონსტიტუცია: „კონსტიტუცია აზრის, რელიგიის და კულტის, საკუთარი აზრის, რელიგიის ან რწმენის გამოვლენისა და გამოთქმის გარანტიას იძლევა... კონსტიტუცია კათოლიკურ ეკლესიას თავისი საქმიანობის თავისუფლად და საჯაროდ განხორციელების და ანდორის ტრადიციაზე დაფუძნებული მის სახელმწიფოსთან თანამშრომლობის ურთიერთობების მხარდაჭერის გარანტიას აძლევს. კონსტიტუცია აღიარებს კათოლიკური ეკლესიის მიერ დაფუძნებული გაერთიანებებს, რომელთაც მის ნორმებთან შესაბამისობაში იურიდიული პირის უფლება და სრული ქმედითუანიარობა გააჩნიათ, რაც საერთო ანდორული წესიდან გამომდინარეობს“

[107] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუცია. ტ. 1. / ლ. ა. ოკუნკოვის საერთო რედაქციით. M.: НОРМА, 2001. გვ. 35.
[108] იქვე. გვ. 36.

(სტატია11)[109]; „1. ნებისმიერ პირს აქვს განათლების უფლება, რომლის მიზანია ადამიანის პიროვნების სრული განვითარება და თავისუფლებისა და ძირითადი უფლებების პატივისცემა. 2. განათლებისა და საგანმანათლებლო ცენტრების შემნის უფლება აღიარებულია. 3. მშობლებს უფლება აქვთ თავიანთი შვილებისათვის განათლება აირჩიონ. ასევე, მათ, თავისი შეხედულებების შესაბამისად, აქვთ შვილების ზნეობრივი და რელიგიური აღზრდის უფლება“ (სტატია 20)[110].

ბელგია. ბელგიაში სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ არჩევანი გააკეთონ რელიგიურ კურსსა და ზნეობის არაკონფესიურ კურსებს შორის[111]. ეს უფლება ბელგიის კონსტიტუციია 24 სტატიის 1 პარაგრაფშია დაფიქსირებული: „განათლება თავისუფალია... საზოგადოება უზრუნველყოფს მშობლების თავისუფლებას, აირჩიონ თავიანთი შვილებისათვის განათლება. საზოგადოება ნეიტრალურ განათლებას ახორციელებს. ნეიტრალობა, კერძოდ, გულისხმობს მოსწავლეთა და მშობელთა ფილოსოფიური, იდეოლოგიური და რელიგიური შეხედულებების პატივისცემას. სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ორგანიზებული სკოლები სავალდებულო სასწავლო პერიოდში ერთ-ერთ აღიარებულ რელიგიასა და არაკონფესიური ზნეობის სწავლებას შორის არჩევანს უზრუნველყოფს“[112]. ბელგიის კონსტიტუციია 24 სტატიის მე-3 პარაგრაფი: „ყველას აქვს განათლების უფლება ფუნდამენტური თავისუფლებებისა და უფლებების დაცვის პირობებში. განათლებისადმი წვდომა უფასოა სავალდებულო სასკოლო განათლების დასრულებამდე. ყველა მოსწავლეს, ვინც სავალდებულო სასკოლო განათლებას ექვემდებარება, უფლებას აქვს სახლემწიფოს ხარჯზე სულიერი და რელიგიური განათლება მიიღოს“[113].

როგორც ე. ასკეროვი წერს, ბელგიის განათლების სისტემაში სკოლები 4 ჯგუფად იყოფა: 1) საეკლესიო სკოლები (რელიგიური განათლების გაკვეთილები კათოლიკური სწავლების ფარგლებში ტარდება); 2) საჯარო სკოლები (კომუნების

[109] იქვე. გვ. 230.
[110] იქვე. გვ. 231.
[111] Debray Regis. Raport a Monsieur le Ministre d l’Education nationale “L’eneignement du fait religieux dans l‘Ecolelaique”. Praris. Fevrier. 2002.
[112] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუცია. ტ. 1. გვ. 344.
[113] იქვე. გვ. 344.

სკოლები); 3) სახელმწიფო სკოლები; 4) სპეციალური სკოლები. ბოლო სამი ტიპის სკოლებში რელიგიური განათლება სავალდებულოდ ითვლება და ბელგიის სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად აღიარებული რელიგიების მიხედვით წარმოებს (კათოლიკური ქრისტიანობა, პროტესტანტიზმი, ისლამი, იუადაიზმი, ზნეობა). ქვეყანაში ყველა მოსწავლემ, რომელიც ნებისმიერი ტიპის სკოლაში სწავლობს, აუცილებლად უნდა აირჩიოს რელიგიური განათლების საგნებიდან ერთ-ერთი: კათოლიკური ქრისტიანობა, პროტესტანტიზმი, ისლამი, იუადაიზმი, ზნეობა. თუ საგანმანათლებლო დაწესებულების (გარდა რელიგიურისა) მოსწავლე არც ერთ რელიგიას არ მისდევს, რომელიმე სხვა რელიგიას მისდევს ან ათეისტად აცხადებს თავს, მას რელიგიური განათლების საგნებზე უარის თქმის და ზნეობის გაკვეთილების არჩევის უფლება აქვს. საზოგადოებას აუცილებლად მიაჩნია ამ მოსწავლეებს ზნეობის გაკვეთილებზე ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივ ფასეულობები გააცნოს, მიაწოდოს ცოდნა საზოგადოებაში ქცევის ნორმების შესახებ. ორ ნახევარი წლის ასაკის ბავშვების რელიგიური განათლება ბელგიაში საბავშვო ბაღებში იწყება ლოცვით, რელიგიური ცოდნა მიეწოდება ნახატების, გასაფერადებელი წიგნების, სათამაშოების მეშვეობით. 1980 წლის ბოლომდე კათოლიკური ქრისტიანული რელიგიის გაკვეთილებს დაწყებითი სკოლის 1-2 კლასებში კვირაში ოთხი საათი ეთმობოდა, 3-4 კლასებში - სამი საათი, 5-6 კლასებსა და ლიცეუმებში - ორი საათი. 1980-იანი წლების ბოლოდან დღემდე დაწყებით და საშუალო კლასებში, ასევე, ლიცეუმებში რელიგიურ გაკვეთილებს კვირაში ორი საათი ეთმობა, ზოგიერთ იდეოლოგიურ სკოლაში - სამი საათი კვირაში. აქვე დავამატებთ, რომ ბელგიის კათოლიკური უნივერსიტეტის სოციოლოგიური განყოფილების Louvain მკვლევრები 1968 წ. ისლამის კულტურული ცენტრის გახსნას, 1974 წ. ისლამის ოფიციალურ აღიარებას, 1976 წლიდან კი - სკოლებში (საეკლესიო სკოლების გარდა) სოციალური დაკვეთის საფუძველზე ისლამის რელიგიური განათლების გაკვეთილების ჩატარებას და სხვა მოვლენებს ბელგიაში ისლამის ისტორიის დასაწყისად განიხილავენ[114].

მართლმადიდებელი ეკლესია ბელგიაში ოფიციალურად 1985 წელს აღიარეს და 1997 წლის 1 სექტემბრიდან ბელგიის ფრანგული საზოგადოების/თემის სახელმწიფო

[114] ასკეროვი ე. სკოლა და ზნეობა. მსოფლიო პრაქტიკა.

სკოლებში მართლმადიდებლობის შესახებ ცოდნის მიწოდება ნებადართული გახდა. 1989 წლის სექტემბრიდან ბელგიის ფლამანდიური საზოგადოების/თემის სახელმწიფო სკოლებში ოფიციალურად ნებადართულია „მართლმადიდებლობის“ კურსის სწავლება. ბელგიელებს შორის მართლმადიდებლობისადმი ინტერესი იზრდება და როგორც ნიკოლაი ლილზოვი აღნიშნავს, ეს კურსი ფლამანდიის ტერიტორიაზე ათეულობით სკოლაში ისწავლება[115].

ბულგარეთი. საღვთისმეტყველო ფაკულტეტი მოქმედებს სოფიის სახელმწიფო უნივერსიტეტში „წმ. კლიმენტ ოქრიდელი“, რომელიც ბულგარეთის პირველი უმაღლესი სკოლაა, ბულგარელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურული და საგანმანათლებლო ტრადიციის განსახიერება. საღვთისმეტყველო ფაკულტეტი 1908 წ. შეიქმნა ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და აღმსარებლობის სამინისტროს მონაწილეობით. 1921 წ. ბულგარეთის სახალხო განათლების შესახებ კანონის 285 სტატიის «ж» პუნქტის ნორმამ განსაზღვრა უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო 8 კათედრიანი ფაკულტეტი დაარსება. აღნიშნული კანონის 298 და 309 სტატიებით გათვალისწინებული იყო, რომ ახლადგახსნილი სპეციალური კომისიის დავალებით ფაკულტეტის პირველ სამ პროფესორს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო აირჩევს. ფაკულტეტმა ბულგარეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ასობით ღვთისმეტყველი, ღვთისმსახური, რელიგიის მასწავლებელი და ა. შ. მოამზადა. 1951 წ. პოლიტიკური მიზეზების გამო ფაკულტეტი უნივერსიტეტს გამოეყო და „უმაღლეს სასულიერო სასწავლებლად“ იქცა სახელწოდებით სასულერო აკადემია „წმ. კლიმენტ ოქრიდელი“, ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობით. 1991 წლის ივლისში სოფიის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ სასულიერო აკადემიაში ბრძანება გააგზავნა იმის თაობაზე, რომ ის კვლავ უნივერსიტეტის ფაკულტეტი განხდარიყო, რაც 1991 წლის აგვისტოში განხორციელდა. დღესდღეობით საღვთისმეტყველო ფაკულტეტს ორი კათედრა გააჩნია: „წმინდა წერილი (ძველი და ახალი აღთქმა), ეკლესიის ისტორია და ეკლესიური სამართალი“ და „სისტემატური და პრაქტიკული ღვითსმეტყველება“. ფაკულტეტის სპეციალობებია: ისტორიული ღვთისმეტყველება, ბიბლიური

[115] ლიზლოვი ნ. რელიგიური განათლება უცხოეთში // http://www.state-religion.ru.

ღვთისმეტყველება, სისტემატური ღვთისმეტყველება, პრაქტიკული ღვთისმეტყველება. დღეს საღვთისმეტყველო ფაკულტეტი სხვა ფაკულტეტებთან ერთად სოფიის უნივერსიტეტის საფუძველს წარმოადგენს. ფაკულტეტზე 15 მასწავლებელი, 23 ასისტენტი და უფროსი მასწავლებელი მუშაობს, სულ 38 ადამიანი. 2000 – 2001 სასწავლო წელს საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე 700-ზე მეტი სტუდენტი და 15 დოქტორანტი სწავლობდა[116].

დიდი ბრიტანეთი. დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობაში 10.12.1948 წ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26 სტატიის მე-3 ნაწილის დებულება აისახება, რომელიც მცირეწლოვანი შვილებისათვის განათლების არჩევის საკითხში მშობლების პრიორიტეტეს ადგენს[117]. 1944 წ. განათლების აქტის 77 ნაწილში დაფიქსირდა, რომ ბავშვები მათი მშობლების სურვილი თანახმად უნდა იღებდნენ განათლებას, თუ ეს სურვილები განათლების ეფექტურობასა არ უშლის ხელს და დამატებით საზოგადოებრივ ხარჯებს არ მოითხოვს[118].

როგორც ე. ასკეროვი წერს, 1870 წლამდე ინგლისის სკოლების უმეტესობა ანგლიკანურ ეკლსიას იყო მიმაგრებული. ამიტომ რელიგიური განათლება განათლების განუყოფლ ნაწილს წარმოადგენდა. საეკლესიო სკოლებში რელიგიური განათლება ერთადერთ მიზანს - რელიგიის შესწავლას ემსახურებოდა. ამ სკოლებში გამოყენებული რეიგიური სახელმძღვანელოები ქრისტიანული რელიგიის შესახებ ენციკლოპედიურ ცოდნას მოიცავდა. სახელმწიფო სკოლებში კი კატეგორიულად იყო აკრძალული ყველა რეგილიური მიმდინარეობის სწავლება (denominational რელიგიური სწავლება) და რელიგიის სწავლების საკითხებს სკოლა წყვეტდა. თუ სკოლის ადმინისტრაცია სკოლაში რელიგიის სწავლებას გადაწყვეტდა , მაშინ 1870 წ. რწმენის თავისუფლების კანონის თანახმად მას უნდა დაეცვა ამ კანონის ნორმა იმის თაობაზე, რომ რელიგიის გაკვეთილები არც ერთ სახელმწიფო სკოლაში არ უნდა ეფუძნებოდეს რელიგიურ განშტოებებს. ამ კანონის სხვა სტატიის თანახმად ოჯახს უფელბა ჰქონდა თავისი შვილი ამ გაკვეთილებისგან გაენთავისუფლებინა. ამგვარად,

[116] საღვთისმეტყველო ფაკულტეტი - http://bgru.net/intr/education/sun_f.htm#S15.
[117] ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტები. გვ. 73.
[118] კამპერ. პ. რელიგიური თავისუფლება დიდ ბრიტანეთში. გვ. 73.

1870 წლის კანონი პირველ პლანზე სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კომპრომისს წამოწევდა[119].

1944 წ. განათლების შესახებ აქტი განათლებას ქრისიტანულ ფასეულობებს უკავშირებდა. 1944 წ. განათლების შესახებ აქტის შესაბამისად ანგლიკანურმა ეკლესიამ საეკლესიო სკოლებსა და განათლებაში სახელმწიფოს ჩარევას დათანხმდა. სანაცვლოდ, სახელმწიფომ მის დაქვემდებარებაში მყოფ სკოლებში სავალდებულო რელიგიური განათლება შემოიღო. 1944 განათლების შესახებ აქტის 25 სტატია ასე ხსნიდა რელიგიური განათლების მიზანს: „ყველა სკოლაში, როგორც რელიგიურში, ისე სახელმწიფოშო, განათლება ყოველდღე ღვთისმსახურებით იწყება. ასევე ყველა სკოლაში, როგორც საეკლესიოში, ისე სახელმწიფოში მოსწავლეები რელიგიურ განათლებას იღებენ“[120].

თავისი შვილებისათვის განათლების არჩევის უფლება 1980 წლის კანონით არის დადასტურებული. დიდ ბრიტანეთში 4500-მდე სახელმწიფო რელიგიური სკოლა ფუნქციონირებს, მათგან 99% კათოლიკური ან პროტესტანტულია[121].

ინგლისში ორი სახის საეკლესიო სკოლები არსებობს[122]:

Voluntary-aided school - საეკლესიო სკოლები, რომლებიც სახელმწიფო დახმარებას იღებენ (განათლების 2/3-ს ეკლესია ახორციელებს, 1/3-ს - სახელმწიფო; ამ სკოლების დანახარჯები ეკლესიისა და სახელმწიფოს მიერ ერთობლივად ხორციელდება);

Voluntary-controlled school - საეკლესიო სკოლები, რომლებსაც სახელმწიფო აკონტროლებს (ამ სკოლებში განათლება 1/3-ით ეკლესიის მიერ, 2/3-ით სახელმწიფოს მიერ ხორციელდება; განათლების ხარჯებს მთლიანად სახელმწიფო ფარავს, თუმცა დაშვებულია გარკვეული რელიგიური მიმდინარეობის გამოყოფა)

1988 წლის განათლების რეფორმის აქტი, თავისი არსით, 1944 წლის განათლების შესახებ აქტის გაგრძელება გახდა და მიზნად ისახავდა განათლების სფეროში 1944 წლის შემდეგ წარმოქმნილი სადავო საკითხების მოგვარებას. 1988 წლის განათლების რეფორმის აქტის შესაბამისად სასკოლო პროგრამა სამ ნაწილად დაიყო: 1)

[119] ასკეროვი ე. სკოლა და ზნეობა: მსოფლიო პრაქტიკა.
[120] იქვე.
[121] კამპერ პ. რელიგიური თავისუფლება დიდ ბრიტანეთში. გვ. 73-74.
[122] ასკეროვი ე. სკოლა და ზნეობა: მსოფლიო პრაქტიკა.

სპეციალური საგნები (მათემატიკა, ინგლისრული ენა და სხვ.); 2) ძირითადი საგნები (ისტორია, გეოგრაფია, ტექნოლოგია, მუსიკა, ხელოვნება, ფიზკულტურა და სხვ.); 3) ფუნდამენტური საგნები - ამ ჯგუფში მხოლოდ რელიგიური განათლებაა ჩართული. განათლების სამინისტრო ყველა საგნის, რელიგიის გაკვეთილების გარდა, გამოცდების პროგრამას, მიზანს და ფორმას განსაზღვრავს. თუმცა რელიგიის გაკვეთილები ძირითადი საგნების ჯგუფში ნახსენები არ არის, მათ ერთნაირი სტატუსი აქვს (Cox 1989, 23 / Hull 1989, 5). ეს დებულება №3/89 DES (მეცნიერებისა და განათლების განყოფილება) განკარგულებით არის არგუმენტირებული: „სკოლებში რელიგიური განათლება სპეციფიურ სტატუსის გამო ერთ-ერთ ფუნდამენტურ საგანს წარმოადგენს. რელიგიური განათლების პროგრამებს, მიზნებს და ფორმებს სახელმწიფო არ განსაზღვრავს, მაგრამ განათლების ამ ფორმას სხვა გაკვეთილების მსგავსი სტატუსი გააჩნია“[123].

1988 წლის განათლების რეფორმის აქტის მე-6 განაყოფი აფიქსირებს სახელმწიფო სკოლებში მოსწავლე ყველა ბავშვის მოვალეობას ყოველდღიურად დაესწროს კოლექტიურ ღვთისმსახურებას. საოლქო სკოლებში (რომლებშიც ინგლისისა და უელსის ბავშვების 75% სწავლობს) ღვთისმსახურება ქრისტიანული უნდ აიყოს, ამ სიტყვის ფართო გაგებით, და არ უნდა გააჩნდეს ქრისტიანული რელიგიის გარკვეული მიმდინარეობისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. არჩევანის თავისუფლება აქ დაფიქსირებულია არაქრისტიანი მოსწავლეებისათვის სკოლაში ქრისტიანული შეკრებების სავალდებულო დასწრების აკრძალვით. მოსწავლეთა ცალკეული ჯგუფებისათვის მათი აღმსარებლობის შესაბამისი რელიგიური მსახურებების ორგანიზება დაშვებულია. თუ სკოლის მოსწავლეთა უმეტესობა ქრისტიანულ რელიგიას არ განეკუთვნება, მაშინ დირექტორმა რელიგიური განათლების ადგილობრივ მუდმივ მოქმედ საბჭოს უნდა მიმართოს, რომელსაც უფლება აქვს აღიაროს, რომ ქრისტიანული ღვთისმსახურებები ამ სკოლის ზოგიერთ ან არც ერთ მოსწავლეს არ უხდება. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დირექტორი ვალდებულია ალტერნატიულ ღვთისმსახურებებზე უფასოდ დასწრება უზრუნველყოს. თუ ზოგიერთი მშობელი კოლექტიური

[123] იქვე.

ღვთისმსახურების იდეას არ ეთანხმება, მაშინ მათ უფლება აქვთ თავიანთი შვილები რელიგიურ შეკრებებზე დასწრებისგან გაანთავისუფლონ. განათლების დეპარტამენტი მიიჩნევს, რომ ეს უფლება „ყველასათვის მისაწვდომია“ და „განხილვას არ ექვემდებარება“[124]. ისევე, როგორც კოლექტიური ღვთისმსახურების შემთხვევაში, მშობლებს უფლება აქვთ შვილების რელიგიური განათლებისგან განთავისუფლება მოითხოვონ. სახელმწიფო სკოლებში რელიგიას ადგილობრივი სასწავლო გეგმის შესაბამისად ასწავლიან. 1988 წლიდან ეს გეგმა უნდა „ასახავდეს იმ ფაქტს, რომ დიდი ბრიტანეთის რელიგიური ტრადიციები, ძირითადად, ქრისტიანულია, მაგრამ ამავე დროს, მხედველობაში უნდა მივიღოთ დიდ ბირტანეთში არსებული სხვა რელიგიების სწავლება და პრაქტიკა“. კანონის თანახმად ყოველმა სკოლამ თავის რელიგიური განათლების სასწავლო გეგმას ყოველ ხუთ წელიწადში უნდა გადახედოს. ეს სასწავლო გეგმები გარკვეულ ბალანსს უნდა უზრუნველყოფდეს: ერთის მხრივ, მათ ქრისტიანობა დომინანტური რწმენის სახით უნდა დაამტკიცონ, მეორეს მხრივ - მხედველობაში მიიღონ მოსახლეობის სურვილი. პრობლემები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მოსწავლეთა უმეტესობა არაქრისტიანები არიან. იგეგმება, რომ სკოლებში მეცადინეობების უმეტესი ნაწილი დაეთმობა ქრისტიანობის შესახებ ცოდნის მიწოდებას, მაგრამ ამავდროულად დარეგულირდება სხვა ხუთი რელიგიის (ისლამის, იუდაიზმის, სიქჰიზმის, ინდუიზმისა და ბუდიზმის) სწავლებაც. მოსწავლეები, რომლებიც რელიგიურ უმცირესობებს განეკუთვნებიან და რელიგიის გაკვეთილებისგან განთავისუფლებულნი არიან, ამ დროს ან სხვა სახის სასწავლო სამუშაოს შესრულებას შეძლებენ ან რელიგიურ განათლებას თავისი რელიგიური კუთვნილების შესაბამისად მიიღებენ, თუ ეს სკოლის მხრიდან დამატებით ფინანსურ დანახარჯებს არ მოითხოვს[125].

გარკვეული პრობლემები არის დაკავშირებული ეთნო-რელიგიური უმცირესობების მიერ რელიგური განათლების რეალიზაციასთან. დიდ ბირტანეშთი მცხოვრებ რელიგიურ უმცირესობათა შორის, მუსლიმები ყველაზე მოშურნენი არიან სახელმწიფო ისლამური სკოლების შექმნის მოთხოვნაში. როდესაც 28 დამოუკიდებელმა მუსლიმურმა სკოლამ განათლების დეპარტამენტს ფინანსური

[124] კამპერ. პ. რელიგიური თავისუფლება დიდ ბრიტანეთში. გვ. 76.
[125] იქვე. გვ. 76-77.

მხარდაჭერის თხოვნით მიმართა, მათ უარი უთხრეს იმ მოტივაციით, რომ ამ ოლქებში უკვე მოქმედებდა სახელმწიფო სკოლები, რომლებშიც თავისუფალი ადგილები იყო და შესაბამისად, ამ რაიონებში ახალი სახელმწიფო სკოლები ვერ შეიქმნება. ამასთან, ცნობილია ლორდთა პალატის დადგენილება იმის შესახებ, რომ სახელმწიფო კათოლიკურ სკოლებს შეუძლიათ უპირატესობა კათოლიკებს მიანიჭონ და არ მიიღონ არაკათოლიკეთა ან არაქრისტიანთა შვილები[126]. 1988 წ. განათლების რეფორმის აქტის შესაბამისად ინგლისის დაწყებით და საშუალო სკოლებში ისლამიც უნდა ისწავლებოდეს. ისლამის სწავლება პირველად 1975 წ. ბირმინგემის მერიამ განახორციელა და იმ დროიდან ის განათლების ეროვნული პროგრამის ოფიციალური ნაწილი გახდა. თუმცა ისლამის სწავლებასთან დაკავშირებით პრობლემები წარმოიქმნა. 1966 წლის დასაწყისში 1500 მოსწავლის მუსულმანურმა ოჯახმა, დასავლეთი იორქშირის დასახლება მათლიდან, სადაც ყველაზე მეტი მუსლიმი ცხოვრობს, თავის შვილებს რელიგიის გაკვეთილებზე დასწრება აუკრძალა. მუსლიმური თემის ერთ-ერთი წარმომადგენლის სიტყვებით ამის მიზეზი გახდა ის, რომ პედაგოგები არ იყვნენ მუსლიმები და მოსწავლეებს ისლამური რელიგიის შესახებ მცდარ წარმოდგენებს უყალიბებდნენ[127].

ამასთან, მკვლევარ პეტერ კამპერის შეფასებით, დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა რელიგიური განათლების სფეროში საერთაშორისო ნორმებს შეესაბამება, რადგან რელიგიური განათლება ნეიტრალურად და ობიექტურად ტარდება[128].

უნგრეთი. უნგრეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 67 პარაგრაფის 1 და მე-2 ნაწილები ადგენენ: „უნგრეთის რესპუბლიკაში ყოველ ბავშვს აქვს მშობლებისა და საზოგადოებისგან ისეთი დაცვის და მზრუნველობის მიღების უფლება, რომელიც შესაბამისი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი განვითარებისათვის არის აუცილებელი. მშობლებს შვილების აღზრდის არჩევის უფლება აქვთ“[129].

---

[126] იქვე. გვ. 73-76.
[127] The Muslim News. 26 January 1996; The Independent. 25 January 1996. ასკეროვი ე. სკოლა და ზნეობა. მსოფლიო პრაქტიკა.
[128] კამპერ პ. რელიგიური თავისუფლება დიდ ბრიტანეთში. გვ. 76-77.
[129] იქვე. გვ. 632.

გერმანია. ყველა გერმანულ მიწაში სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის ურთიერთობებისა და სინდისის თავისუფლების საკითხებში საერთო ნორმატიულ-სამართლებრივ საფუძველს 1949 წლის 23 მაისს მიღებული გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკის ძირითადი კანონი წარმოადგენს. მისი დებულებები, რომლებიც სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებებს შორის ურთიერთობას არეგულირებენ, 1919 წლის 11 აგვისტოს გერმანიის იმპერიის კონსტიტუციიდან არის აღებული.

გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკის ძირითადი კანონის 140 სტატიის შესაბამისად 1919 წლის 11 აგვისტოს გერმანიის იმპერიის კონსტიტუციის 136, 137, 138, 139 და 141 სტატიებიდან ამონარიდები გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკის ძირითადი კანონის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ:

„სტატია 136. 1. რელიგიის თავისუფლების განხორციელება კერძო და საზოგადო სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებს ვერ განაპირობებს და ვერ შეზღუდავს.

2. კერძო და საზოგადო სამოქალაქო უფლებებით სარგებლობა, ისევე როგორც საზოგადო თანამდებობების წვდომა, აღმსარებლობაზე დამოკიდებული არ არის.

3. არავინ არის ვალდებული თავისი რელიგიური შეხედულებები გააცხადოს. ხელისუფლებას აქვს უფლება იკითხოს რელიგიური კუთვნილების შესახებ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამაზე დამოკიდებულია უფლებები და მოვალეობები ან ამას კანონით გათვალისწინებული სტატისტიკური კვლევა მოითხოვს.

4. დაუშვებელია ვინმესთვის საეკლესიო ღონისძიებებსა და დღესასწაულებში, რელიგიურ წესებში მონაწილეობის და ფიცის რელიგიური ფორმით მიღების თავზე მოხვევა.

სტატია 137. 1. სახელმწიფო ეკლესია არ არსებობს.

რელიგიურ საზოგადოებებში გაწევრიანების თავისუფლება გარანტირებულია. იმპერიის ტერიტორიაზე რელიგიური საზოგადოებების გაერთიანება არანაირ შეზღუდვებს არ ემორჩილება.

3. ყოველი რელიგიური საზოგადოება დამოუკიდებლად აწყობს თავის საქმეებს და მართავს მათ ყველასათვის სავალდებულო კანონის ფარგლებში. ის ანაცვლებს თავის თანამდებობებს სახელმწიფოს ან სამოქალაქო თემის მონაწილეობის გარეშე.

4. რელიგიური საზოგადოებები სამართლებრივ უფლებებს სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნორმების საფუძველზე იღებენ.

5. რელიგიური საზოგადოებები საზოგადო-სამართლებრივ კორპორაციებს წარმოადგენენ. სხვა რელიგიურ გაერთიანებებს, მათი თხოვნით, იგივე უფლებები უნდა მიენიჭოთ, თუ საკუთარი მოწყობისა და წევრთა რაოდენობის მიხედვით ისინი ხანგრძლივი არსებობის გარანტიას იძლევიან. თუ რამოდენიმე საზოგადოებრივ-სამართლებრივი საზოგადოება კავშირში ერთიანდება, ის საზოგადოებრივ-სამართლებრივ კორპორაციას წარმოადგენს.

6. რელიგიურ საზოგადოებებს, რომლებიც საზოგადოებრივ-სამართლებრივ კორპორაციებს წარმოადგენენ, მიწების სამართლებრივი დებულებების და სამოქალაქო საგადასახადო სიების საფუძველზე გადასახადის აკრეფის უფლება აქვთ

7. რელიგიურ საზოგადოებებს განეკუთვნება გაერთიანებები, რომლებიც რომელიმე მსოფლმხედველობის საზოგადოებრივ წახალისებას ისახავენ მიზნად.

8. რამდენადაც ამ დებულებების განხორციელებას შემდგომი რეგულირება დასჭირდება, იგი საკანონმდებლო მიწების განკარგულებაშია.

სტატია 138. 1. კანონზე, ხელშეკრულებაზე ან განსაკუთრებულ სმართლებრივ საფუძველზე დაფუძნებული რელიგიური საზოგადოოებების სახელმწიფო მხარდაჭერა მიწების კანონმდებლობით უნდა შეწყდეს. ამის ზოგადი საწყისები იმპერიის მიერ არის დადგენილი.

2. რელიგიური საზოგადოებებისა და რელიგიური კავშირების საკუთრება და მათ დაწესებულებებზე, დაბანდებებზე და ღვთისმსახურების, სასწავლო და საქველმოქმედო მიზენიბისათვის განკუთვნილ საკუთრებაზე მათი უფლებები გარანტირებულია.

3. კვირა დღე და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სხვა დღესასწაულები კანონით დაცულია, როგორც სამუშაოსგან დასვენებისა და სულიერი ამაღლების დღეები.

სტატია 141. რამდენადაც ჯარში, საავადმყოფოებში, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და სხვა საზოგადო დაწესებულებებში ღვთისმსახურებისა და სულიერი მზრუნველობის საჭიროება არსებობს, რელიგიურ საზოგადოებებს უნდა მიეცეთ რელიგიური ქმედებების შესრულების საშუალება, ამასთან, ყოველგვარი ძალდატანება დაუშვებელია“[130].

გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-7 სტატია სახელმწიფო სკოლებში რელიგიურ განათლებას სავალდებულოდ აღიარებს და მისი რეალიზაციის წესს ადგენს: „სასკოლო საქმე სახელმწიფოს მეთვალყურეობის ქვეშ არის. 2. პირებს, რომელთაც აღზრდა აქვთ მინდობილი, უფლება აქვთ გადაწყვიტონ, მიიღებს თუ არა ბავშვი რელიგიურ განათლებას. 3. რელიგიის სწავლება სახელმწიფო სკოლებში, არაკონფესიური სკოლების გარდა, სავალდებულოა (ხაზს ვუსვამთ, რომ საუბარია არა რომელიმე ოკულტური სარწმუნოების სწავლებაზე, არამედ იმ სარწმუნოებაზე, რომელსაც მოსწავლეები და მათი მშობლები (მათი შემცვლელი პირები) მოითხოვენ). - ავტორის შენიშვნა). რელიგიური განათლება რელიგიური თემების პრინციპების შესაბამისად წარმოებს სახელმწიფოს მხრიდან მეთვალყურეობის უფლების შელახვის გარეშე. არც ერთი მასწავლებელი არ არის ვალდებული საკუთარი ნების წინააღმდეგ ასწავლოს რელიგია. 4. გარანტირებულია კერძო სკოლების დაფუძნების უფლება. კერძო სკოლები, როგორც სახელმწიფო სკოლების შემცვლელნი, სახელმწიფოს ნებართვას საჭიროებენ და მიწების კანონებს ემორჩილებიან. ნებართვა გაიცემა, თუ კერძო სკოლები თავისი სასწავლო მიზნებითა და ორგანიზებით, ასევე, სასწავლო პერსონალის სამეცნიერო მომზადებით სახელმწიფო სკოლებს არ ჩამოუვარდებიან და არ ყოფენ მოსწავლეებს მათი მშობლების ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე. ნებართვაზე უარი ითქმის, თუ პედაგოგიური პერსონალის ეკონომიკური და სამართლებრივი მდგომარეობა არ არის საკმარისად უზრუნველყოფილი. 5. კერძო სკოლის ორგანიზება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განათლების მართვის ორგანო განსაკუთრებული პედაგოგიური ინტერესის არსებობას აღიარებს, აგრეთვე იმ პირთა შუამდგომლობით, რომლებსაც აღზრდა აქვთ მინდობილი, თუ კი ის ზოგადი,

[130] იქვე. გვ. 635-636.

კონფესიური ან არაკონფესიური სკოლის სახით არსდება და თემში ასეთი ტიპის სახელმწიფო სკოლა არ არსებობს...“[131].

გერმანიის ფედერატიულ რესპუბლიკაში სახელმწიფო რელიგია არ არის, მაგრამ არსებობს რელიგიური გაერთიანებები, რომლებსაც ორიდან ერთ-ერთი სახის სტატუსი გააჩნიათ: განსაკუთრებული და ჩვეულებრივი. განსაკუთრებული სტატუსი რელიგიურ გაერთიანებებს სახელმწიფო მხარდაჭერის მოთხოვნის და ისეთ დაწესებულებებში შესვლის, როგორებიცაა საავადმყოფოები, სკოლები, შეიარაღებული ძალები და ა. შ. უფლებას აძლევს[132]. ამასთან, გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკის ძირითადი კანონი ამ სფეროში უნივერსალურ, ზოგადად აღიარებულ სტანდარტებს ადგენს: აღმსარებლობის, სინდისის და რელიგიური და მსოფლმხედველობრივი შეხედულებების თავისუფლებას (მე-4 სტატია)[133], საკუთარი აზრის გამოხატვისა და გავრცელების თავისუფლებას (მე-5 სტატიის 1 ნაწილი)[134], მშობლების (ან მათი სმცვლელი პირების) უფლება განსაზღვრონ, მიიღებს თუ არა მათი ბავშვი რელიგიურ განათლებას (მე-7 სტატიის 2 ნაწილი)[135], მშობლების ბუნებრივი უფლება და მოვალეობა, თავისი შვილებს მოუარონ და აღზარდონ (მე-6 სტატიის 2 ნაწილი)[136], კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, მათი რელიგიისადმი დამოკიდებულების მიუხედავად (მე-3 სტატიის 1 და მე-3 ნაწილები)[137] და სხვ.

აქ ძალიან მნიშვნელოვანია, წერს გ. დრუზენკო[138], გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ თანამედროვე გერმანია კლასიკურ სამართლებრივ სახელმწიფოდ მიიჩნევა, სადაც ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი ყველაზე ეფქტური სისტემაა შექმნილი. როგორც ევროპის საბჭოს დამფუძნებელმა, გერმანიის ფედერატიულმა რესპუბლიკამ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქცია მისი შექმნის დროიდანვე აღიარა. მიუხედავად ამისა, სკოლაში

---

[131] იქვე. გვ. 581-582.
[132] სმისლოვა ე. ა. რელიგიური პლურალიზმი: თანასწორობა გათანაბრების გარეშე // რელიგია და სამართაი. 1998. № 1-2 (4-5). გვ. 49
[133] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუცია. ტ. 1. გვ. 581
[134] იქვე გვ. 581.
[135] იქვე გვ. 581.
[136] იქვე გვ. 581.
[137] იქვე გვ. 580.
[138] დრუზენკო გ. ნიადაგის ძიებაში.

რელიგიური დისციპლინის სავალდებულო სწავლების შესახებ კონსტიტუციური ნორმა რელიგიური თავისუფლების შეზღუდვა არ მიიჩნევა. როგორც მინიმუმ, ეს ნიშნავს იმას, რომ გაეროს, ეუთოს და ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების მიერ თავის თავზე აღებული ვალდებულებები რელიგიური განათლების საერო განათლებისგგან მკაცრ იმპერატიულ იზოლაციას არ გულისხმობენ. თუ ნებისმიერ პიროვნებას, ბავშვებთან მიმართებაში კი - მათ მშობლებს ან მზრუნველებს საერო სასწავლო დაწესებულებებში რელიგიურ აღზრდაზე უარის თქმის უფლება აქვთ, მაშინ სკოლაში რელიგიის სავალდებულო სწავლება სინდისის, აღმსარებლობისა და შეხედულებების უფლებას არ არღვევს.

გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-7 სტატიის შესაბამისად საჯარო სკოლებსი რელიგიური განათლების გაკვეთილები სავალდებულოა და სხვა სასკოლო საგნების ტოლფასია. ამ სტატიის საფუძველზე, რომელიც განათლებასა და სწავლებას არეგულირებს, გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკის მიწები წესდებებს და საგანმანათლებლო პროგრამებს ადგენენ და განათლებაზე პასუხიმსგებლობას იღებენ[139]. ქრისტიანული რელიგიური განათლება შედის ოფიციალურ პროგრამებში და ხშირად ეკლესიის მიერ კონტროლდება, რელიგიურ საგნებში მიღებულ ნიშნებს კი უფროს კლასებში გადაყვანისას ითვალისწინებენ[140]. გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-7 სტატიის მე-3 ნაწილის და მე-4 სტატიის სამართლებრივი ნორმები განათლებაში სინდისის თავისუფლების გარანტიას იძლევიან, რადგან სახელმწიფოსა და განათლების საეროობის მთავარ მოთხოვნას - ნებაყოფლობითობას უზრუნველყოფენ.

გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკის ძირითადი კანონის 7 სტატიის 2 ნაწილი ადგენს, რომ „აღზრდაზე უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ გადაწყვიტონ, მიიღებს თუ არა ბავშვი რელიგიურ განათლებას“[141]. ხაზს ვუსვამთ: მხოლოდ ამ პირებს და არავის სხვას - არც „სამეცნიერო ათეისტებს“, არც რელიგიათმცოდნეებს, არც „უფლებების დამცველებს“, არც სხვა რელიგიების

[139] აკეროვი ე. სკოლა და ზნეობა. მსოფლიო პრაქტიკა.
[140] Debray Regis. Rapport a Monsieur le Ministre de ‘Education nationale “L’enseignement du fait religieux dans l’Ecole laique”. Paris, Fevrier. 2002.
[141] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუცია. ტ. 1. გვ. 581.

მორწმუნეებს! არავის, მშობლების (ან მათი შემცვლელი პირების) და თავად ბავშვების გარდა არ აქვს უფლება რელიგიური განათლების მიღება ან მასზე უარის თქმა გადაწყვიტოს, არავის, აღნიშნული პირების გარდა, არ აქვს უფლება რელიგიური განათლების მიღების უფლების რეალიზაციის საკითხების გადაწყვეტაში შეიჭრას.

მონოკონფესიური ქვეყნებისაგან განსხვავებით (საბერძნეთში მოსახლეობის 90% მართლმადიდებელია, ესპანეთსა და იტალიაში - უმრავლესობას კათოლიკები წარმოადგენენ), სადაც რელიგიური განათლების საგნები საერო საჯარო სკოლების პროგრამებშია შეტანილი, გერმანია სპეციფიურია თავისი მულტირელიგიურობით. ამიტომ ფედერალური მიწების უმეტესობაში ე. წ. ზოგადი ქრისტიანული სწავლების სისტემაა შემოღებული. სისტემის თანახმად რელიგიის გაკვეთილები დიფერენცირებული მიდგომის საფუძველზე ტარდება - მოსწავლეთა კონფესიური კუთვნილების შესაბამისად.

ასეთ სისტემას გონივრული შეზღუდვები გააჩნია, რომლებიც ვლინდება იმაში, რომ აუცილებელია ერთნაირი კონფესიური უპირატესობების მქონე მოსწავლეების შეგროვება, რათა რელიგიის შესწავლის შესაბამისი კლასი ჩამოყალიბდეს. სისტემის კიდევ ერთ თავისებურება ის არის, რომ სახელმწიფო მოქალაქეების მიერ რელიგიური განათლების მიღების უფლების რეალიზაციის ხელშეწყობისა და ამ უფლებების უზრუნველყოფისათვის საჭირო ფინანსური სახსრების ოპტიმიზაციას ახდენს.

გერმანიის ფედერატიულ რესპუბლიკაში შენარჩუნელბულია სახელმწიფო უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში თეოლოგიური ფაკულტეტების სახელმწიფო ფინანსირება.

მაგალითად, ბონის უნივერსიტეტში ორი თეოლოგიური ფაკულტეტი ფუნქციონირებს - ევანგელისტური და კათოლიკური თეოლოგიის, სადაც რამოდენიმე ასეული ადამიანი სწავლობს[142].

[142] კლოჩკოვი ვ. ვ. რელიგია, სახელმწიფო, სამართალი. გვ. 230.

1998 წელს გერმანიის მუსლიმურ თემს ორგანიზაცია „ევროპის ნაციონალური შეხვედრების ორგანიზაციის“ მიერ რელიგიური განათლების პროპაგანდის ნებართვა მიეცა[143].

რადგანაც განათლების სფეროში სახელმწიფოსა და რელიგიური გაერთიანებების თავისებურებებისა და კონკრეტული ფორმების სამართლებრივი რეგულირება მიწების კანონმდებლობის კომპეტენიცაშია, გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკის მიწების კონსტიტუციები სახელმწიფო სკოლებში განათლების შინაარსის და მასში რელიგიური განათლების რეალიზაცის საკითხების დეტალიზაციას ახდენენ. მოქალაქეთა უფლება, საკუთარი ფასეულობებისა და მსოფლმხედველობრივი არჩევანის შესაბამისად მიიღონ განათლება ბავარიის რესპუბლიკის 2 დეკემბრის 1946 წლის კონსტიტუციაშია ყველაზე მკაფიოდ ასახული (1998 წლის 1 დეკემბრიდან მოქმედი რედ.):

„სტატია 127. [რელიგიური თემების გავლენა აღზრდაზე] სახელმწიფოს მიერ აღიარებულ რელიგიურ თემების და მსოფლმეხდველობრივ საზოგადოებებს ბავშვებში რელიგიური შეხედულებების ან მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე გავლენის მოხდენი უფლების გარანტია ეძლევათ, ამასთან მშობლების უფლება, აღზარდონ თავიანთი შვილები, არ უნდა ილახებოდეს.

სტატია 131 [განათლების მიზნები] (1) სკოლა არა მხოლოდ ცოდნას უნდა იძლეოდეს და უნარებს აყალიბებდეს, არამედ სულიერ თვისებებსა და ხასიათს უნდა აყალიბებდეს. (2) განათლების უმაღლესი მიზნებია ღვთის თაყვანისცემა, რელიგიური შეხედულებებისა და ადმიანური ღირსების პატივისცემა, თავშეკავებულობის, პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება და პასუხისმგებლბის გამოვლენისაგან სიამოვნების მიღების გაღვივება, დახმარებისადმი მზადყოფნის, ყოველივე ჭეშმარიტის, კეთილის და მშვენიერის აღქმის და გარესამყაროსა და ბუნების მიმართ პასუხიმსგებლობის გაცნობიერების ჩამოყალიბება. (3) მოსწავლეები დემოკრატიის, მათი ბავარიული სამშობლოსა და გერმანელი ხალხისადმი სიყვარულის და ხალხებს შორის მშვიდობის სულისკვეთებით უნდა აღიზარდნონ...

[143] ასკეროვი ე. სკოლა და ზნეობა.: მსოფლიო პრაქტიკა.

სტატია 135. [სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები] სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები სკოლის ასაკის ყველა ბავშვისათვის არის ხელმისაწვდომი. ამ სკოლებში ბავშვებს ქრისტიანული რწმენის პრინციპებით ასწავლიან და ზრდიან. დეტალებს ზოგადქრისტიანული სკოლის შესახებ კანონი აზუსტებს.

სტატია 136 [ღვთის სჯულის სწავლება] (1) ყველა სკოლაში მეცადინეობებზე მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების პატივისცემა დაცულია. (2). ღვთის სჯული ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, პროფესიულ სასწავლებელში და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ჩვეულებრივ საგანს წარმოადგენს. მას შესაბამისი კონფესიის ძირითადი დებულების შესაბამისად ასწავლიან. (3) არ შეიძლება მასწავლებლების იძულება, ასწავლოს ღვთის სჯული, არც ამის აკრძალვა შეიძლება მათთვის. (4) მასწავლებლისათვის აუცილებელია ეკლესიის უფლებამოსილება, რათა ასწავლიდეს ღვთის სჯულს. (5) ღვთის სჯულის სწავლებისათვის გამოყოფილია სასკოლო სივრცე

სტატია 137. [ღვთის სჯულის გაკვეთილებზე დასწრება] (1) ღვთის სჯულის გაკვეთილებზე დასწრებისა და საეკლესიო წესებსა და დღესასწაულებზე დასწრების საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია ბავშვის აღმზრდელთა ნების გამოხატვაზე, 18 წლის ასაკის მიღწევისთანავე კი - მოსწავლის ნებაზე.

(2) მოსწავლეებს, რომლებიც ღვთის სჯულის გაკვეთილებს არ ესწრებიან, უტარდებათ მორალისა და ზნეობის ზოგადად აღიარებული საფუძვლების გაკვეთილები.

სტატია 138 [უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები] (1) უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების დაარსება და შენახვა მიწის ვალდებულებაა. გამონაკლისს საეკლესიო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები წარმოადგენენ (სტატია 150, აბზაცი 1). სხვა გამონაკლისებბისათვის მიწის თანხმობაა საჭირო. (2) უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს თვითმმართველობის უფლება გააჩნიათ. სტუდენტები მასში დაინტერესებულობის დონიდან გამომდინარე მონაწილეობენ.

სტატია 150. [საღვთისმეტყველო ინსტიტუტები და ფაკულტეტები] (1) ეკლესიებს აქვთ უფლება საკუთარ უმაღლეს სასულიერო სასწავლო

დაწესებულებებში სასულიერო წოდების მქონე პირები მოამზადონ და იქვე აამაღლონ მათი კვალიფიკაცია. (2) უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ნარჩუნდება თეოლოგიური ფაკულტეტები“[144].

ჩრდილოეთი-რეინი ვესტფალიის მიწაზე სკოლაში რელიგიის სწავლების წესი 1950 წ. (1992 წ. რედაქცია) ჩრდილოეთი-რეინი ვესტფალიის მიწის კონსტიტუციით, ჩრდილოეთი-რეინი ვესტფალიის მიწის საშუალო განათლების შესახებ 1952 წლის (1994 წ. რედაქცია) კანონით რეგულირდება („სასკოლო წესდების შესახებ კანონი“). რელიგიური განათლების სააგნების სახელმწიფო სკოლაში სწავლების წესი, გარდა ამისა, სპეციალური შეთანხმებებით რეგულირდება, რომლებიც მიწის მთავრობასა და მიწის ეკლესიების (რეინის, ვესტფალიის და ლიპის) ხელმძღვანელობას შორის არის დადებული და რომლებიც სკოლებში რელიგიური განათლების გაკვეთილების ჩატარების წესსა და რელიგიური განათლების საგნების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების წესს ამტკიცებენ, ასევე, საეკლესიო უფლებებისა და უფლებამოსილებების გადაცემის შესახებ საეკლესიო წესებითა და დებულებებით, რომლებიც შესაბამის ტერიტორიაზე რელიგიური განათლენის საგნების მასწავლებელთათვის თითოეული ეკლესიის მიერ არის დადგენილი. ამ მიწაზე, ასევე, მოქმედებს გერმანიის იმპერიის 1921 წლის კანონი ბავშვთა რელიგიური აღზრდის შესახებ, რომლის თანახმად 12 წლის ასაკის მიღწევისას, ბავშვის თანხმობის გარეშე მისი სხვა რელიგიაში, ვიდრე აქამდე იყო, აღზრდა არ შეიძლება.

1950 წლის (1992 წლის რედ.) ჩრდილოეთი რეინი ვესტფალიის მიწის კონსტიტუციის მე-7 სტატია ადგენს აღზრდის ძირითად მიზნებს, რომელთაც უნდა ისახავდნენ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის ორგანიზებისას.

მე-12 სტატია სკოლების ტიპებსა და მათი გახსნის წესს ამტკიცებს. მასში მითითებულია, რომ „ერთიანი აღმსარებლობის სკოლებში...კათოლიკური ან ევანგელისტური აღმსარებლობის ბავშვები სწავლობენ თავისი სარწმუნოების სულისკვეთებით. სხვადასხვა აღმსარებლობის ბავშვების სწავლება ზოგადი

[144] უცხო ქვეყნების კონსტიტუციები. გვ. 192-194, 196.

ქრისტიანული და საგანმანათლებლო ფასეულობების საფუძველზე ტარდება“. 13 სტატიაში ნათქვამია, რომ „ღვთის სჯულის გაკვეთილებიდან განთავისუფლება ბავშვის აღმზრდელი პირების ან სრულწლოვანი მოსწავლის წერილობითი განცხადების საფუძველზე ხდება“. მე-14 სტატია საგანმანათლებლო დაწესებულებებში „რელიგიის“ საგნის სტატუსს ადგენს, მე-15 სტატიაში კი რელიგიური განათლების საგნების მასწავლებელთა მომზადების მოთხოვნებია დაფიქსირებული.

ჩრდილოეთი-რეინ ვესტფალიის მიწაზე რელიგიური განათლების რეალიზაცის დეტალურად არის აღწერილი მ. ნ. კოსტიკოვას კვლევებში[145]: „ჩრდილოეთი-რეინ ვესტფალიის მიწაზე სკოლებში აღზრდის ძირითად მიზნებს ღვთის მორჩილების, ადამიანის ღირსებისადმი პატივისცემისა და სოციალური მსახურებისათვის მზადყოფნის სულისკვეთებაში აღზრდა განკუთვნება. ჩამოყალიბებულია აღმზრდელობითი ამოცანები, რომლებიც ამ კეთილშობილურ მიზნებს აკონკრეტებენ“. ახალაგაზრდობა ადამიანობის, დემოკრატიისა და თავისუფლების სულისკვეთებით უნდა აღიზარდოს, იყოს ტოლერანტი და სხვა ადამიანის შეხედულებებს პატივი სცეს, სიცოცხლის ბუნებრივი საფუძვლების შენარჩუნებაზე პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს, უყვარდეს თავისი ხალხი, სამშობლო, სხვა ხალხები და მშვიდობას ესწრაფოდეს.

მშობლების უფლებებისა და სასკოლო მოვალეობების განაწილებისას დგინდება, რომ აღზრდისა და განათლების უფლება ყოველი ბავშვის განუყოფელი უფლებაა. მშობლების ბუნებრივი უფლება - განსაზღვრონ თავიანთი შვილების აღზრდა და განათლება - სასკოლო სისტემის საფუძველს ქმნის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასკოლო აღზრდის მოწყობის საკითხში ბოლო სიტყვა მშობლს ეკუთვნის. სახელმწიფო იღებს თავის თავზე ვალდებულებას იზრუნოს იმაზე, რომ სასკოლო განათლების სიტემა ქვეყნის კულტურულ და სოციალურ მოთხოვნებს

[145] კოსტიკოვა მ. ნ. სკოლა და ეკლესია გერმანიის ფედერატიულ რესპუბლიკაში; ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირების გამოცდილება // სახელმწიფო, რელიგია და ეკლესია რუსეთსა და უცხოეთში: საინფორმაციო ანალიტიკური ბიულეტენი РАГС. 1998. № 3-4(15-16). გვ. 131-137; კოსტიკოვა მ. ნ., კუდრინა ტ. ს. სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობები განათლების სფეროში გერმანიაში: საკანონმდებლო-სამართლებრივი ასპექტები // სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობების მსოფლიო გამოცდილება. გვ. 271-291.

აკმაყოფილებდეს. სავალდებულო სასკოლო განათლების მიღება, კონსტიტუციის თანახმად, სავალდებულოა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა სახალხო და პროფესიულ სკოლებს ენიჭება. მიწა და თემები ვალდებულნი არიან გახსნან სკოლები და მათ განვითარებას ხელი შეუწყონ. სასკოლო განათლების სისტემა მიწის კონტროლს ექვემდებარება. სკოლის კონტროლს პროფესიულად კომპეტენტური მოხელეები აწარმოებენ. სავალდებულო განათლების სტრუქტურა, სკოლების შექმნის და რეორგანიზაციის წესი კონსტიტუციურად არის დაფიქსირებული. ჩრდილეოთი რეინის ვესტფალიის მიწაზე, კონსტიტუციურად, ორი ტიპის სკოლაა დადგენილი: დაწყებით და ძირითადი. დაწყებითი სკოლები საჯარო და რელიგიურად, ანუ/ან მსოფლმხედველობირვად იყოფა. ძირითადი სკოლები საჯარო სკოლების სახით იხსნება. მშობლის უფლებების მქონე პირთა განცხადებით შეიძლება რელიგიური ან მსოფლმხედველობრივი სკოლების გახსნა იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი იქნება მათი ხარისხიანი სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის უზრუნველყოფა და იქ საკმარისი რაოდენობის მოსწავლე ივლის. არ შეიძლება ბავშვს უარი ეთქვას საჯარო სკოლაში მიღებაზე მისი რელიგიური კუთვნილებიდან გამომდინარე. კონსტიტუციაში რელიგიის სწავლების საკითხები მოიცავს როგორც ამ საგნის სასკოლო განათლებაში სტატუსის დადგენას, ისე კომპეტენციების გამიჯვნას სასწავლო საპროგრამო დოკუმენტაციის შედგენასა და კონტროლის განხორციელებას. მე-14 სტატიის თანახმად, „რელიგიის“ საგანი ყველა სკოლაში სხვა საგნების თანაბარია, გარდა მსოფლმხედველობრივი სკოლებისა (რომლებიც რელიგიისგან თავისუფალნი არიან). „რელიგიის“ საგნის სწავლებისათვის მასწავლებელმა ეკლესიისგან ან რელიგიური საზოგადოებისგან ნებართვა ან თანხმობა უნდა მიიღოს. არ შეიძლება მასწავლებლებს დაევალოთ რელიგიის სწავლება. რელიგიის სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების შემუშავება ეკლესისთან ან რელიგიურ საზოგადოებასთან უნდა შეთანხმდეს. ეკლესიას ან რელიგიურ საზოგადოებებს, თუ სასკოლო კონტროლის სახელმწიფო უფლება არ დაარღვევენ, განათლების მართვის სახელმწიფო ორგანოებთან შეთანახმებით უფლება აქვთ თვალყური ადევნონ, რომ რელიგიის გაკვეთილები მათი სწავლებისა და მოთხოვნების თანახმად წარიმართებოდეს“.

საბერძნეთი. საბერძნეთში, სადაც საბერძნეთის მართლმადიდებელ ეკლესიას სახელმწიფო სტატუსი აქვს, განათლება კონფესიური და სავალდებულოა[146]. 1975 წლის 11 ივნისის საბერძნეთის კონსტიტუციის 16 სტატიის მე-2 ნაწილი: „განათლება სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს და ბერძნების ზნეობრივ, სულიერ, პროფესიულ და ფიზიკურ აღზრდას, მათი რელიგიური და ეროვნული შეგნების განვითარებას, მათი თავისუფალ და პასუხისმგებელ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად“[147].

საბერძნეთის დაწყებით და საშუალო სკოლებში რელიგიური განათლება საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმატებისა და ტრადიციების თანახმად ხორციელდება. არამართლმადიდებელი მოსწავლეები არ არიან ვალდებულნი შესაბამის გაკვეთილებს დაესწრონ. მშობლებს აქვთ უფლება შვილები თავისი რელიგიური რწმენის შესაბამისად აღზარდონ[148].

დანია. დანიაში, სადაც ევანგელისტურ ლუთერანულ ეკლესიას (დანიის სახალხო ეკლესია) სახელმწიფო სტატუსი აქვს, ღვთის სჯული არ ისწავლება, მაგრამ სახელმწიფო სკოლის ყოველ საფეხურზე „ქრისიტიანული ცოდნის“ ფაკულტატიური (1976 წილდან არ არის სავალდებულო) კურსი ისწავლება[149]. ევანგელისტურ ლუთერანულ ეკლესიის (დანიის სახალხო ეკლესიის) გავლენა აღზრდაზე ჯერ კიდევ სკოლამდელ დაწესებულებებში - საბავშვო ბაგებსა და ბაგა-ბაღებში - იწყება, რომელთაგან ბევრი რელიგიურ ორგანიზაციებს ეკუთვნის ან მათ მოვლა-პატრონობას ექვემდებარება. ეკლესიის გავლენა სკოლაზეც ვრცელდება. მიუხედავად იმისა, რომ დანიის სკოლებში ქრისტიანობის სწავლების კონფესიური ხასიათი გაუქმდა, სახელმწიფო სკოლების მოსწავლეები ქრისტიანული დოგმატებისა და კანონების შესწავლას საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე განაგრძობენ. ამავდროულად, სახელმწიფო დიდ ფინანსურ მხარდაჭერას უწევს იმ კერძო სკოლებსა და სასწავლო დაწესებულებებს, სადაც მოზარდი თაობის აღზრდისა და

---

[146] Debray Regis. Rapport a Monsieur le Ministre de ‘Education nationale “L’enseignement du fait religieux dans l’Ecole laique”. Paris, Fevrier. 2002.

[147] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუცია. ტ. 1. გვ. 651.

[148] პაპასტასისი ჰ. კ. სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობები საბერძნეთში // სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობების მსოფლიო გამოცდილება. გვ. 151-152.

[149] Debray Regis. Rapport a Monsieur le Ministre de ‘Education nationale “L’enseignement du fait religieux dans l’Ecole laique”. Paris, Fevrier. 2002.

სწავლების პროცესი ქრისტიანული რწმენის საფუძველზე ხორციელდება. სახელმწიფო საკვირაო სკოლებისა (1980-იან წლებში დანიაში 1100-ზე მეტი საკვირაო სკოლა ამოქმედდა, სადაც 30 ათასზე მეტი მოსწავლე მეცადინეობდა) და ე. წ. სახალხო უნივერსიტეტების (18 – 25 წლის ასაკის ახალგაზრდობის ქრისტიანული ეთიკის სულისკვეთების აღზრდის ფორმა) საქმიანობას მხარს უჭერს. 1980 - იანი წლების პირველ ნახევარში დანიაში 100-მდე სახალხო უნივერსიტეტი ფუნქციონირებდა (1950-იანების დასწაყიში 60 -მდე ასეთი უნივერსიტეტი იყო), რომლებშიც ყოველწლიურად 50 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობდა. სწავლების ვადა 1-2 კვირიდან 4-6 თვემდე. სახალხო უნივერსიტეტებში სწავლებას ყოველწლიურად დანიელი ახალგაზრდების 10-12% გადის[150]. კოპენჰაგენისა და ორხუსის უნივერსიტეტებში თეოლოგიური ფაკულტეტები ფუნქციონირებს. 1962 წელს ამ ფაკულტეტებზე შესაბამისად 285 და 140 სტუდენტი სწავლობდა, 1970 წლისათვის სტუდენტების რაოდენობა 400 და 300-მდე გაიზარდა და 1970-1980-იანი წლების მანძილზე უცვლელი რჩებოდა. თეოლოგიური ფაკულტეტების კურსდამთავრებულებს შეუძლიათ სასულიერო პირის წოდება მიიღონ, წინასწარი პროცედურის გავლის შემდეგ[151].

ირლანდია. 1937 წლის 29 დეკემბრის ირლანდიის კონსტიტუციის პრეამბულაში ყოვლადწმინდა სამება იდიდება[152], განათლება კი სავალდებულო და კონფესიურ ხასიათს ატარებს[153]. ირლანდიის კონსტიტუციის 42 სტატია: "1. სახელმწიფო ადასტურებს, რომ ბავშვის პირველი და ბუნებრივი აღმზრდელი არის ოჯახი და მშობლების განუყოფელი უფლებისა და მოვალეობისადმი, შეძლებისდაგვარ მისცენ თავის შვილებს რელიგიური და ზნეობრივი, ინტელექტუალური, ფიზკური და სოციალური აღზრდა, პატივისცემი გარანტიას იძლევა. 2. მშობლები თავისუფალნი არიან შვილები აღზარდონ სახლში, კერძო სახლებსა და სკოლებში, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არიან აღიარებულნი. 3.1⁰. სახელმწიფო არ ავალდებულებს მშობლებს მათი სინდისის და სურვილის წინააღმდეგ გააგზავნონ შვილები

[150] ჩერნიშოვა ო. ვ. ომაროვი ი. დ. ეკლესია სკანდინავიის ქვეყნებში
[151] იქვე. გვ. 97.
[152] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუციები. გვ. 1. გვ. 785.
[153] Debray Regis. Rapport a Monsieur le Ministre de 'Education nationale "L'enseignement du fait religieux dans l'Ecole laique". Paris, Fevrier. 2002.

სახელმწიფოს მიერ დაარსებულ ან მის მიერ მითითებულ სკოლებში. 2°. თანამედროვე პირობებიდან გამომდინარე, სახელმწიფომ, როგორც საყოველთაო სიკეთის დამცველმა, უნდა მოითხოვოს, რომ ბავშვებმა სოციალური ცოდნისა და ზნეობის გარკვეული მინიმუმი მიიღონ. 4. სახლემწიფომ უნდა უზრუნველყოს უფასო დაწყებითი განათლება და უნდა ესწრაფოდეს დახმარება გაუწიოს კერძო და საზოგადოებრივ საგანმანათლებლო ინიციატივებს და როდესაც ეს საზოგადოებრივი სიკეთისათვის იქნება საჭირო, სხვა შესაძლებლობები და დაწესებულებები შესთავაზოს და ამასთან ერთად, მშობლების უფლებები, განსაკუთრებით რელიგიური და ზნეობრივი ფორმირების საკითხებში, გაითვალისწინოს. 5. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მშობლებს შვილების მიმართ მოვალეობის შესრულება არ შეუძლიათ, ფიზიკური თუ მორალური მიზეზების გამო, სახელმწიფომ, როგორც საზოგადო სიკეთის გარანტმა, უნდა ეცადოს, შესაბამისი სახსრების მეშვეობით, ჩაანაცვლოს მშობლები, მაგრამ ამავე დროს, ყოველთვის უნდა ჰქონედს მხედველობაში ბავშვების ბუნებრივი და განუყოფელი უფლებები”[154]. ირლანდიის კონსტიტუციის 44 სტატია:“1. სახელწიფო აღიარებს, რომ საზოგადო თაყვანისცემისადმი პატივისცემა ყოვლისშემძლე ღმერთის წინაშე ვალდებულებას წარმოადგენს. მისი სახელის წინაშე რელიგიის პატივისცემა მართებულია... 4°. კანონმდებლობა, რომელიც სკოლებს სახელმწიფო დასმარებას სთავაზობს, არ უნდა იწვევდეს იმ სკოლების დისკრიმინაციას, რომლებიც სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობებს ექვემდებარებიან, არ უნდა ზღუდავდეს ბავშვების უფლებას იარონ სკოლებში, რომლებიც საზოგადოებრივი სახსრებით ფინანსდებიან და რომლებშიც რელიგიური სწავლება არ წარმოებს“[155].

რელიგიური განათლება ირლანდიის კერძო სკოლებშიც ხორციელდება. ასე, დუბლინის სამხრეთით მდებარე გოგონების ერთ-ერთ საუკთესო სკოლაში Rathdown College, რელიგიურ განათლებას კვირაში ერთი-საათი ეთმობა. ირლანდიელი მღველმსახურები ქრისტიანული რელიგიისა და მისი კონფესიების ზოგად ისტორიას ასწავლიან[156].

---

[154] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუციები. ტ. 1. გვ. 812-813.
[155] იქვე. გვ. 813.
[156] კაზანსკაია ო. რობინზონების კუნზული // კარიერა. 1988 წლის 1 დეკემბერი.

ესპანეთი. 1978 წლის 27 დეკემბრის ესპანეთის კონსტიტუციის 27 სტატია ადგენს: „1. ყველას აქვს განათლების უფლება. განათლების თავისუფლება აღიარებულია. 2. განათლების მიზანია ადამიანის პიროვნების ყოვემხრივი განვითარება საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიული პრინციპებისა და ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის საფუძველზე. 3. სახლემწიფო ორგანოები უზრუნველოფენ მშობლების უფლებას, თავიანთი შვილებისათვის ისეთი ფორმის აღზრდა აირჩიონ, რომელიც მათ მორალურ და ზნეობრივ შეხედულებებს შეესაბამება“[157].

რელიგიურ ორგანიზაციებს, რომლებთანაც ესპანეთის სახელმწიფომ თანამშრომლობის შეთანხმება დადო, საჯარო და კერძო სკოლებში რელიგური განათლების რეალიზაციის გარანტია ეძლევათ, მოსწავლეების და მათი მშობლების მხრიდან შესაბამისი სურვილის არსებობის შემთხვევაში.

იტალია. იტალიის რესპუბლიკაში რელიგიური განათლება ნებადართულია სახელმწიფო სკოლებში. 1984 წლის 18 თებერვლის კონკორდატის მე-9 სტატია ამბობს: „1. კონსტიტუციით გათვალისწინებულ ფარგლებში განათლებისა და სწავლების თავისუფლების პრინციპის შესაბამისად, იტალიის რესპუბლიკა კათოლიკურ ეკლესიას აძლევს უფლებას, თავისუფლად შექმნას ყველა სახის და საფეხურის სასწავლო და აღმზრდელობითი დაწესებულებების, რომლებიც სტატუსით სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებს უთანაბრდება, მათ სრული თავისუფლება ეძლევათ, მათ მოსწავლეებს კი - სახელმწიფო დაწესებულებების და სხვა ტერიტორიული ერთეულების მოსწავლეთა თანაბარი პირობები; ერთნაირი მოთხოვნებია გამოცდებზეც. 2. იტალიის რესპუბლიკა, აღიარებს რა რელიგიური კულტური ფასეულობას და ითვალისწინებს, რომ კათოლიციზმის პრინციპები იტალიელი ხალხის ისტორიულ მემკვიდრეობას წარმოადგენენ, განათლების ზოგადი მიზნების ფარგლებში განაგრძობს ყველა სახისა და საფეხურის სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში, უნივერსიტეტების გარდა, კათოლიკური რელიგიის სწავლებას“[158]. „დამატებითი პროტოკოლის“ მე-5 სტატია: „მე-9 სტატიის

[157] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუციები. ტ. 2. გვ. 56.
[158] რელიგია და კანონი: სინდისის, აღმსარებლობი და რელიგიური ორგანიზაციების მოღვაწეობის თავისუფლების. გვ. 48.

მიმართებაში: a) მე-2 პუნქტში მითითებულ სასწავლო დაწესებულებებში კათოლიკურ რელიგიას ეკლესიის დოქტრინის შესაბამისად და მოსწავლეთა სინდისის თავისუფლების დაცვით საეკლესიო ხელისუფლების მიერ აღიარებული და საგანმანათლებლო ორგანოებთან შეთანხმებით დანიშნული მასწავლებლები ასწავლიან. b) კომპეტენტური სასწავლო ორგანოებისა და იტალიის საეპისკოპოსო კონფერენციას შორის დადებული შეთანხმებით განისაზღვრება: 1) სხვადასხვა სახისა და საფეხურის სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში კათოლიკური რელიგიის სწავლების პროგრამები; 2) რელიგიის სწავლების ორგანიზების წესი და გაკვეთილების ცხრილში მისი ადგილი; 3) სასწავლო სახელმძღვანელოების შერჩევის კრიტერიუმები; 4) მასწავლებეთა პროფესიული კვალიფიკაციის მიმართულება“[159]. 1947 წლის 22 დეკემბრის იტალიის რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-20 სტატია ადგენს: „საზოგადოების ეკლესიური ხასიათი და რელიგიური ან საკულტო მიზნები ვერ გახდება სპეცალური საკანონმდებლო შეზღუდვების მიზეზი...“[160].

იტალიაში, როგორც ს. ფერარი აღნიშნავს, განათლების სფეროში არსებობს მკვეთრი სხვაობა კანონის დებულებებს შორის, რომლებიც კათოლიკურ ეკლესიაში გამოიყენება და დებულებებს შორის, რომლებიც სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიმართ გამოიყენება. 1984 წლის კონკორდატი ითვალისწინებდა, რომ კათოლიკურ კატეხიზმოს საბავშვო ბაღებსა და დაწყებით სკოლაში კვირაში ორჯერ თითო საათი დაეთმობა, საშუალო სკოლაში კი - ერთი საათი. უნივერსიტეტის დონეზე რელიგიური განათლება არ არის შემოღებული. სახელმწიფო სრულად აფინანსებს კათოლიკურ რელიგიურ განათლებას.

ყოველ წელს, ჩაწერისას, მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა უნდა განაცხადონ, აპირებენ თუ არა კათოლიკურ რელიგიურ მეცადინეობებზე დასწრებას. თუ მოსწავლეები რელიგიური განათლების მეცადინეობებზე დასწრებაზე უარს ამბობენ, მათ ამ მეცადინეობის დრო შეუძლიათ სხვა საგნებს დააუთმონ ან საერთო გავიდნენ სკოლის შენობიდან. თუ მშობლებს არ სურთ, რომ მათი შვილები რელიგის გაკვეთილებს დაესწრონ, მათ, შესაბამისი განცხადების დაწერისას, ამაზე უარის თქმის უფლება აქვთ. რელიგიური განათლების მასწავლებლები განათლების

[159] იქვე. გვ. 50.
[160] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუცია. ტ. 2. გვ. 107.

სახელმწიფო ორგანოების მიერ, ეპარქიული ეპისკოპოსის განსაზღვრებით, ინიშნებიან. მათ განათლების გარკვეული დამადასტურებელი საბუთები უნდა გააჩნდეთ, რაც თეოლგიასა და საეკლესიო დისციპლინაში მათი კვალიფიკაციის მტკიცებულება იქნება. გარდა ამისა, ისინი ეკლესიის შესაბამისმა ხელისუფლებამ, ეპარქიალურმა ეპისკოპოსმა, უნდა აღიაროს, რომელიც მათ კვალიფიკაციას წერილობით ადასტურებს. თუ ეს დამადასტურებელი საბუთი არ არის, მაშინ სახელმწიფო სკოლის ხელმძღვანელობას შეუძლია არ დანიშნოს მსწავლებელი. თუ დამდასტურებელი საბუთი უქმდება, მასწავლებელი მთელი სასწავლო წლის მანძილზე ჩამოცილდება პროფესიულ საქმიანობას. აუცილებლობის შემთხვევაში, არაკათოლიკე ბავშვების მშობლებს შეუძლიათ მოითხოვონ მათი შვილებისათვის ცალკე სასკოლო ნაგებობის გამოყოფა, რათა ბავშვებს თავიანთი რელიგიის ფარგლებში ასწავლონ. რელიგიური განათლების მეცადინეობები ტარდება მხოლოდ იმ რელიგიური გაერთიანებათა (დენომინაციათა) მიმდევარი მოსწავლეების მოთხოვნით, რომლებსაც სახელმწიფოსთან აქვთ დადებული ხელშეკრულება, ამასთან სწავლება მათივე ხარჯით განხორციელდება. არაკათოლიკური რელიგიური გაერთიანებებს, რომლებთანაც სახელმწიფოს შეთანხმება აქვს დადებული, შეუძლიათ თავიანთი მასწავლებლები სახელმწიფო სკოლებში გააგზავნონ, თუ მოსწავლეები, მშობლები და სკოლის ხელმძღვანელობა ამის საჭიროებას გამოხატავენ, თუმცა რელიგიური განათლების უზრუნველყოფის ტვირთი ამ რელიგიურ გაერთიანებებზე რჩება[161].

კვიპროსი. 1960 წლის 16 აგვისტოს კვიპროსის რესპუბლიკის კონსტიტუცია ადგენს: „კონსტიტუციის განხორციელების მიზნით დგინდება. 1. რესპუბლიკის ბერძნულ თემს ბერძნული წარმოშობის მოქალაქეები წარმოადგენენ, რომელთა მშობლიური ენა ბერძნულია, პირები, როომლებიც ბრძნულ კულტურულ ტრადიციებს იცავენ ან ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის წევრები არიან. 2. რეპსუბლიკის თურქრულ თემს თურქული წარმოშობის მოქალაქეები წარმოადგენენ, რომელთა მშობლიური ენა თურქულია, პირები, რომლებიც თურქულ

[161] ფერარი ს. ეკლესია და სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში: იტალიური მოდეილ // სახელმწიფო სა და ეკლესიის ურთიერთობების მსოფლიო გამოცდილება. გვ. 126-127.

კულტურულ ტრადიციებს იცავენ ან მუსლიმები არიან...“ (სტატია2)[162]; „1. თითოეულს აქვს განათლების უფლება, ხოლო ყოველ პირსა და დაწესებულებას განათლების შეთავაზების აქვს უფლება აქვს იმ პროცედურების, პირობების და შეზღუდვების დაცვით, რომლებიც თემის შესაბამისი კანონებით არის გათვალისწინებული და რომლებიც რესპუბლიკის უსაფრთხოებისათვის, კონსტიტუციური წესრიგისათვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგის, ჯანმრთელობის, ზნეობისათვის და სხვა პირთა განათლების დონისა და ხარისხის, მათ შორის მშობელთა უფლების, თავიანთი შვილებისათვის თავისი რელიგიური შეხედულებების შესაბამისი განათლების მიწოდების უფლების უზრუნველოფისათვის არის აუცილებელი 2. ბერძნული და თურქული თემის ყრილობებს შესაბამის თემურ დაწყებით სკოლებში უფასო დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა ეკისრებათ. 4. ბერძნული და თურქული თემის ყრილობებს ევალებათ უზრუნველყონ არა მხოლოდ დაწყებითი, არამედ შემდგომი განათლებაც პირებისათვის, რომლებიც ამას იმსახურებენ და მხარდაჭერას საჭიროებენ, შესაბამისი თემური კანონით გათვალისწინებული წესისა და რიგის შესაბამისადდ“ (სტატია 20)[163].

ლატვია. ლატვიაში ქრისტიანული ღვთის სჯულის სწავლება სახელმწიფოს მიერ ფინანსდება, მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის თანახმად რელიგიური გაერთიანებები სახელმწიფოსგან გამოყოფილია[164].

ლატვიის რესპუბლიკის 1995 წლის 7 სექტემბრის „რელიგიური ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მე-6 სტატია „რელიგიური ორგანიზაციები და განათლება“ (1996 წლის 17 ივნისის, 1998 წლის 19 თებერვლის, 2000 წლის 15 ივნისის ცვლილებებით): „...(2) სახელმწიფო და თითვმმართველ სკოლებში ქრისტიანული სწავლება ეძლევათ პირებს, რომლებმა წერილობით დაადასტურეს მისი მიღეის სურვილი. არასრულწლოვანი პირები ქრისტიანული მოძღვრების შესწავლის სურვილის შესახებ განცხადებას მშობელთა ან მზრუნველთა წერილობითი თანხმობის შემთხვევაში წერენ. თუ არასრულწლოვან პირს 14 წელი ჯერ არ

[162] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუცია. ტ. 2. გვ. 210.
[163] იქვე. გვ. 217.
[164] ბალოდისი რ. რელიგიური გაერთიანებები და ლატვიის სახელმწიფო.

შეუსრლუდა, მის ნაცვლად განცხადებას ამ პირის მშობლები ან მზრუნველები წერენ. (3) ქრისტიანულ მოძღვრებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამით ისწავლება. სწავლება იწყება იმ შემთხვევაში თუ სკოლაში შესაბამისი ქრისტიანული კონფესიის მოძღვრების შესწავლის, მინიმუმ, 10 მსურველი არსებობს (რომის კათოლიკური, მართლმადიდებლური, ძველმოწესეთა და ბაპტისტური კონფესიები). პედაგოგებს კონფესიის ხელმძღვანელობა წარადგენს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კი მათ ატესტაციას უტარებს. (4) ეროვნული უმცირესობების სკოლებში, რომლებიც სახელმწიფოსა და თვითმმართველობების განკარგულებაში არიან შესაძლოა შესაბამისი ეროვნული უმცირესობის რელიგიის სწავლება, მოსწავლეების, მშობლებისა და მზრუნველების სურვილის შემთხვევაში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. (5) ქრისტიანული მოძღვრებისა და ეთიკის სწავლება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება“[165].

ლიტვა. ლიტვის რესპუბლიკი 1992 წლის 22 ოქტიმბის მე-40 სტატია (1996 წლის 20 ივნისისა და 1996 წლის 12 დეკემბრის ცვლილებებით) ადგენს: „სახელმწიფო და თვითმმართველობების სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები საერო დაწესებულებებს წარმოადგენენ. მშობლების თანხმობის შემთვევაში ამ დაწესებულებებში ღვთის სჯული ისწავლება“[166]. კონსტიტუციის 26-ე სტატია: „მშობლები და მზრუნველები ზრუნავენ თავისი შვილების რელიგიურ და ზნეობრივ აღზრდაზე საკუთარი შეხედულებების შესაბამისად“[167].

ლიტვის რესპუბლიკის „რელიგიური თემებისა და საზოგადოებების შესახებ“ 1995 წლის 4 ოქტომბრის კანონის № I-1057 მე-9 სტატია „რელიგიური სწავლება“: „რელიგიური სწავლება შეიძლება ხორციელდებოდეს სამლოცველო სახლებში, სახელმწიფო და არასახელმწიფო სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში, ასევე სხვა ნაგებობებსა და ადგილებში. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მშობლების (მზრუნველების) სურვილით შეიძლება ტრადიციული და სხვა, სახელმწიფოს მიერ აღიარებული რელიგიური თემების და

[165] რელიგია და კანონი: დსთ-სა და ბალტიის ქვეყნებში რელიგიური გაერთიანებების საქმიანობისა და სინდისის თავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები. გვ. 196.
[166] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუცია. ტ. 2. გვ. 338.
[167] იქვე. გვ. 35.

საზოგადოებების, რელიგიის სწავლება. სახელმწიფო, ტრადიციული და სხვა , სახელმწიფოს მიერ აღიარებული რელიგიური თემების და საზოგადოებების, რელიგიის სწავლებას აღიარებს კონფესიურ სასწავლო დაწესებულებებში (ამ კონფესიების საკვირაო სკოლებში ან სხვა სასწავლო ჯგუფებში) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში რელიგიის სწავლების პროგრამების რეგისტრაცის, მასწავლებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთების წარდგენის და შესაბამისი რელიგიური თემისა და საზოგადოების სულიერი მეთაურობის შუამდგომლობის შემთხვევაში. სახელმწიფო მეურვეობის ქვეშ მყოფ მოსწავლეებს, რომლებიც აღმსარებლობის საგნებს სწავლობენ, სწავლება მათ ოჯახში მიღებული რელიგიის შესაბამისად უტარდებათ. სახელმწიფო სასწავლეო-აღმზრდელობით დაწესებულებებში რელიგიის სწავლების წესი განათლების შესახებ კანონებით რეგულირდება“[168].

ლიხტენშტეინი. ლიხტენშტეინის სამთავროს 1921 წლის 5 ოქტომბრის კონსტიტუციია მე-14, მე-15, და მე-16 სტატიები: „სახელმწიფოს უმაღლესი ვალდებულება საზოგადოებრივი კეთილდღეობის ხელშეწყობაა. ამ მიზნით სახელმწიფო კანონების დადგენასა და შესრულებაზე და თავისი ხალხის რელიგიური, ზნეობრივი და ეკონომიკური ინტერესების დაცვაზე იზრუნებს. სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას სახლახო განათლებასა და აღზრდას მიაქცევს. ეს იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ახალგაზრდობამ ოჯახის, სკოლისა და ეკლესიის თანამშრომლობის გზით რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა მიიღოს, პატრიოტული გრძნობები და პროფესიული თვისებები შეიძინოს. აღზრდისა და განათლების მთელი სისტემა სახელმწიფოს კონტროლს ექვემდებარება ეკლესიის მოძღვრების ხელუხლებლობის დაცვის პირობით...“[169].

მალტა. მალტის რესპუბლიკის 1964 წლის კონსტიტუციი მე-2 სტატია: „1. მატლის რელიგიას რომის კათოლიკური სამოციქულო რელიგია წარმოადგენს. . 2. რომის კათოლიკური სამოციქულო ეკლესიის ორგანოებს ავქთ უფლება და მოვალენი არიან ასწავლონ, თუ რომელი პრინციპებია სამართლიანი და რომელი - მცდარი. 3.

[168] რელიგია და კანონი: დსთ-სა და ბალტიის ქვეყნებში რელიგიური გაერთიანებების საქმიანობისა და სინდისის თავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები. გვ. 209.
[169] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუციები. ტ. 2. გვ. 376.

რომის კათოლიკური სამოციქულო რწმენის რელიგიური მოძღვრება ყველა სახელმწიფო სკოლაში უნდა ისწავლებოდეს სავალდებულო განათლების სახით“[170]მე-40 სტატიის 1 და მე-2 ნაწილები: „ნებისმიერი პირი მალტაში სინდისის სრულ თავისუფლებას უნდა ფლობდეს და თავისი რელიგიური კულტის განხორციელების თავისუფლებით უნდა სარგებლობდეს. არც ერთ პირს არ უნდა წარედგინოს მოთხოვნა, რომ მან რელიგიური სწავლება მიიღოს ან რელიგიის საქმეებში ცოდნა ან გამოცდილება გამოავლინოს, თუ საუბარია პირზე, რომელსაც თექვსმეტი წელი არ შესრულებია და ასეთ მოთხოვნას აპროტესტებს პირი, რომელსაც ამ არასრულწლოვანზე, კანონის თანახმად, ძალაუფლება გააჩნია და ნებისმიერ შემთხვევაში, თუ პირი, რომელსაც ეს მოთხოვნა წაუყენეს, ამის წინააღმდეგია: იმ პირობით, რომ არანაირი ასეთი მოთხოვნა ამ სტატიის საწინააღმდეგოდ ვერ ჩაითვლება, როდესაც რელიგიის ცოდნა და მის საქმეებში გამოცდილება, ან მისი შესწავლა საჭიროა ამ რელიგიის სწავლებისათვის, ან მის მღვდელმსახურთა რიგებში ან რელიგიურ ორდენში მიღებისათვის ან სხვა რელიგიური მიზნებისათვის და იმ შემთხვევების გარდა, როდესაც აღმოჩნდა, რომ ასეთი მოთხოვნა დემოკრატიულ საზოგადოებაში გონივრულად ვერ დასაბუთდება“[171].

ნიდერლანდები. ნიდერლანდების სამეფოს 1983 წლის 17 თებერვლის კონსტიტუციის მე-3 და მე-5 პუნქტები: „სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიწოდებული განათლების მიმართ წაყენებული მოთხოვნები პარლამენტის აქტით დგინდება თითოეული მოსწავლის რელიგიური კუთვნილებისა და რელიგიური შეხედულებების ჯეროვანი გათვალისწინებით... სახელმწიფოს მხრიდან მთლიანი ან ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სკოლებში განათლების სტანდარტები პარლამენტის აქტით დგინდება იმ ფაქტორების ჯეროვანი გათვალისწინებით, რომლებიც კერძო სკოლებს, რელიგიური თუ სხვა შეხედულებების შესაბამისად განათლების მიღების თავისუფლების სტანდარტებს შეეხება“[172].

---

[170] იქვე. გვ. 469.
[171] იქვე. გვ. 486-487.
[172] იქვე. გვ. 626-627.

1948 წლის 3 ივნისის კანონი კონფესიური სკოლებისათვის, უნივერსიტეტებისათვის სუბსიდიების გამოყოფას აფიქსირებდა, ხოლო 1955 წლის 7 ივლისის კანონით შემოღებულ იქნა კერძო საშუალო სკოლებისა და მასწავლებლების მოსამზადებელი კერძო კოლეჯების სრული სახელმწიფო უზრუნველყოფა[173].

ნიდერლანდები 15 მილიონი მაცხოვრებლიდან ორი მესამედი კათოლიკეა, მესამედი კი - პროტესტანტი. ორი მთავარი რეფორმატორული ეკლესია ითვლის 2,5 მილიონსა და 800 ათას ადმიანს შესაბამისად. სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ისლამის მიმდევარი - 700 ათასი, ბუდისტები და ინდუისტები - 80 ათასზე მეტი. საზოგადო განათლება ნებისმიერი რელიგიისადმი პატივისცემას გულისხმობს; სხვადასხვა საგანმანათლებლო დოკუმენტები სხვადასხვა რელიგიების ტრადიციებისა და ფასეულობების მიმართ პატივისცემას უზრუნველყოფენ. სასამართლო გადაწყვეტილებების მთელი სერია, ამავდროულად, ადგენს, რომ არარელიგიური (ჰუმანისტური) ხასიათის რელიგიური სწავლება წარმოებს და ფინანსდება რელიგიური განათლების მსგავსი პირობებით. კერძო სკოლებს სახელმწიფო აფინანსებს, თუ მათი პირობები გარკვეულ საგანმანათლებლო სტანდარტებს პასუხობს. ქვეყანაში დაწყებითი სკოლების დაახლოებით 60% - კერძო სკოლებია, რომლებიც რელიგიურ გაერთიანებებს (კათოლიკურს და პროტესტანტულს) ეკუთვნის. გასული საუკუნის ბოლოდან ფუნქციონირებს დენომინაციური უნივერსიტეტები - მათი შექმნაც გარკვეული პირობებით არის განპირობებული, საქმიანობას კი სახელმწიფო აფინანსებს[174].

ნორვეგია. ნორვეგიაში სეკულარიზაციის პროცესებმა განათლებაზე გარკვული გავლეა მოახდინეს. 1956 წლის ნოემბერში სტორტინგმა გააუქმა დებულება, რომლის თანახმადაც უმაღლესი და სხვა სკოლების ხელმძღვანელები ნორვეგიის ეკლესიას უნდა ეკუთვნოდნენ. მიუხედავად ამისა, როგორც ო. ვ. ჩერნიშოვა და ი. დ. კომაროვი აღნიშნავენ, რელიგიისა და ნორვეგიული ეკლესიის გავლენა განათლებაზე საკმაოდ ძლიერია. ნორვეგიული ეკლესიისა და ეროვნული განათლების მართვა ერთ

[173] კლოცკოვი ვ. ვ. რელიგია, სახელმწიფო, სამართალი. გვ. 232.
[174] ბისბერველდი სან ს. თავისუფლება და ერლიგია ნიდერლანდებში // სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობების მსოფლიო გამოცდილება. გვ. 143, 145.

სამინისტროშია გაერთიანებული[175]. ნირვეგიის სამეფოს 1814 წლის 17 მაისის კონსტიტუციის მ-2 პარაგრაფი (1964 წლის 4 მაისის რედაქციით) ადგენს: „სამეფოს ყველა მაცხოვრებელს სინდისის თავისუფლება გააჩნია. ევანგელიკურ-ლუთერანული რელიგია სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენს. მისი აღმსარებელი მაცხოვრებლები ვალდებულნი არიან თავიანთი შვილები ამ რელიგიაში აღზარდონ“[176]; პარაგრაფი 4: „მეფე ყოველთვის ევანგელიკურ -ლუთერანული რელიგიის აღმსარებელი უნდა იყოს, მხარს უჭერდეს და მფარველობდეს მას“[177].

1983 წელს მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც სკოლამდელი დაწესებულებების შესახებ დებულებაში ქრისტიანული აღზრდის პრინციპების დაცვის აუცილებლობის შესახებ პარაგრაფი უნდა შესულიყო. გამოშვებულ იქნა სპეციალური ცირკულარი, რომელიც სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომლებისგან ბავშვების ქრისტიანული მორალით და რელიგიური სულისკვეთებით აღზრდას მოითხოვს. ქვეყნის კომუნალური საბჭოების 57%-მა მხარი დაუჭირეს სკოლამდელ დაწესებულებებში ქრისტიანული აღზრდის შესახებ პარაგრაფის მიღებას. ო. ვ. ჩერნიშოვა და ი. დ. კომაროვი ხაზს უსვამენ, რომ რელიგიისა და ეროვნული ხასიათის თავისებურებების რაც შეიძლება მჭიდროდ დაკავშირების სურვილი ნორვეგიის სახელმწიფო-ეკლესიური პოლიტიკის სპეციფიური მიმართულებაა. 1959 წლის სკოლის შესახებ კანონის 1 პარაგრაფი ადგენდა, რომ „სკოლა ბავშვებს ქრისტიანულ და ზნეობრივ აღზრდას უნდა აძლევდეს“. კანონი ქრისტიანობას ძირითად სასწავლო საგნებს შორის მოიხსენიებდა და მოითხოვდა, რომ მისი სწავლება ევანგელიკურ-ლუთერანული ეკლესიის ნორმების შესაბამისი ყოფილიყო. სასულიერო პირებს აღნიშნული საგნის სწავლების ხარისხის კონტროლის უფლება ეძლეოდა. 70-იან წლებში ეკლესია სასკოლო პროგრამებში ქრისტიანობის სწავლებისათვის გამოყოფილი საათების შემცირების მცდელობებს მკვეთრად შეეწინააღმდეგა. 1980-იან წლებამდე ნორვეგიულ სკოლებში სასწავლო დღე ლოცვით ან ფსალმუნის გალობით იწყებოდა, რელიგიურ

[175] ჩერნიშოვა ო. ვ. და კომაროვი ი. დ. ეკლესია სკანდინავიის ქვეყნებში. გვ. 150.
[176] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუციები. ტ. 2. გვ. 658.
[177] იქვე გვ. 658.

დღესასწაულებზე კი მოსწავლეები ეკლესიებში სადღესასწაულო ცერემონიებს ესწრებოდნენ[178].

ნორვეგიის სახელმწიფო საბავშვო ბაღები და სკოლები დღესდღეობით კანონით ვალდებულნი არიან ყველა მოსწავლეს ქრისტიანული აღზრდის საფუძვლები ასწავლონ[179].

ბოლო წლებში მიმდინარე სახელმწიფო რელიგიაზე უარის თქმის პროცესის მიუხედავად რელიგიური განათლება არ აკრძალულა.

პოლონეთი. პოლონეთის რესპუბლიკის 1997 წლის 2 აპრილის კონსტიტუციის 48 სტატიის 1 ნაწილი: „მშობლებს აქვთ უფლება შვილების აკუთარი შეხედულებებისამებრ აღზარდონ. აღზრდა ბავშვის მომწიფებულობის დონეს, მისი სინდისის, აღმსარებლობის და შეხედულებების თვისუფლებას უნდა ითვალისწინებდეს“[180]. პოლონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 53 სტატიის მე-3 და მე-4 ნაწილები: „მშობლებს უფლება აქვთ თავისი შვილებისათვის მორალური და რელიგიური აღზრდა და სწავლება უზრუნველყონ თავისი შეხედულებების შესაბამისად. 48 სტატიის 1 ნაწილი შესაბამისად ხორციელდება. ეკლესიის ან სხვა სააღმსარებლობლო კავშირის რელიგია, თუ მისი სამართლებრივი მდგომარეობა დარეგულირებულია, შეიძლება სკოლაში სასწავლო საგნის სახით იყოს, ამასთან სახვა პირთა სონდისისა და რელიგიის თავისუფლება არ უნდა ირღვევოდეს“[181].

პოლონეთის კონსტიტუციის გარდა, სახელმწიფოსა და რომის კათოლიკური ეკლესიის ურთიერთობებს ვატიკანთან დადებული შეთანხმება (კონკორდატი) არეგულირებს, რომლესაც პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა 1993 წლის 28 ივნისს მოაწერა ხელი და რომლის რატიფიკაციაც სეიმმა 1998 წლის 8 იანვარს მოახდინა. კონკორდატი პრეამბულისა და 29 სტატიისგან შედგება და აღნიშნავს, რომ სახელმწიფო და კათოლიკური ეკლესია პოლონეთში - თითოეული სუბიექტია თავის სფეროში - დამოუკიდებელი და ავტონომიურია. ეკლესიას აქვს „საკუთარი მისიის თავისუფლად და საზოგაგდოდ შესრულების“, საკუთარი საქმეების

[178] ჩერნიშოვა ო. ვ. და კომაროვი ი. დ. ეკლესია სკანდინავიის ქვეყნებში. გვ. 135, 151-152.
[179] ლინდჰოლმ ტორე. კონფესიათშორისი დიალოგის წარმოშობა: ნორვეგიული გამოცდილება. გვ. 64-71.
[180] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუციები. ტ. 2. გვ. 693.
[181] იქვე. გვ. 694.

ავტორის სტილი დაცულია

კანონიკური სამართლის საფუძველზე წარმართვის გარანტია. სახელმწიფო თავის თავზე იღებს ლუბლინის უნივერსიტეტის და კრაკოვის თეოლოგიური აკადემიის სუბსიდირებას. ეკლესიას სკოლებსა და საბავშვო ბაღებში რელიგიის საფუძვლების სწავლებისა და უმაღლესი რელიგიური განათლების ორგანიზების საშუალება ეძლევა[182].

პოლონეთის განათლების სახელმწიფო სისტემაში ბოლოს საგანმანათლებლო ინიციატივებისა და ცვლილებების უმეტესობა 1991 წლის 7 სექტემბრის განათლების სისტემის შესახებ კანონს ეფუძნება, რომლის შესაბამისადაც სკოლა საზოგადოებას, უფრო ზუსტად კი თემს ეკუთვნის და მის ამოცანებში, პირველ რიგში, პიროვნების და მხოლოდ ამის შემდეგ დიდი თუ პატარა ჯგუფების, კოლექტივების წევრის ჩამოყალიბება შედის. ამ მხრივ სკოლა სოციალურ შუამავლად არის მიჩნეული: ის ახალგაზრდობას პასუხისმგებლობით აღსავსე დამოუკიდებლობისთვის ამზადებს. მისი მთავარი ამოცანაა - ახლგაზრდობა ზრდასრული ცხოვრებისთვის მოამზადოს. ახალი საგანმანათლებლო პოლიტიკის თანახმად სკოლა უნდა გახდეს ადგილი, სადაც ადამიანის უფლებებია დაცული და სოციალური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში პლურალისტული მიდგომები გამოიყენება. ამ მხრივ გადახედვას დაექვემდებარა ფასეულობათა სისტემა და და განათლებისა და აღზრდის მიზნების თეორია. ორიენტირები ადამიანისკენ გადაიხარა. აღზრდამ და განათლებამ პიროვნებაზე ორიენტირებული ხასიათი შეიძინა[183]. მოსკოვის კათოლიკური სამოციქულო ადმინისტრატურის კანცლერის, მამა ო. კოვალენკოს, თქმით, პოლონეთის სკოლებში რელიგია კატეხიზაციის სახით ისწავლება. არჩევანი ნებაყოფლობითია. მოსწავლეებს აქვთ უფლება კათოლიკური, მართლმადიდებლური ან პროტესტანტული კატეხიზაცია ან ეთიკის სწავლების საერო საგანი აირჩიონ[184].

---

[182] ოვსიენკო ფ. გ. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში // სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობების მსოფლიო გამოცდილება. გვ. 179.

[183] მაიორეკ ჩ. მაისნერ ა. პოლონეთი //მსოფლიოს ხალხთა პედაგოგიკა: ისტორია და თანამედროვეობა. მ.: რუსეთის პედაგოგიური კავშირი. 2001. გვ. 287-288.

[184] გამოსვლები „მრგვალ მაგიდასთან“ // სახელმწიფო, რელიგია, ეკლესია რუსეთსა და საზღვარგარეთ: საინფორმაციო-ანალიტიკური ბიულეტენი РАГС. 2000. № 2 (23). გვ. 19.

პორტუგალია. ნეიტრალიტეტის პრინციპის მიუხედავად 2002 წლის თებერვლამდე პორტუგალიის სახელმწიფო სკოლებში რელიგიის სწავლებას კათოლიკური ეკლესია ანხორციელებდა[185].

რუმინეთი. 1991 წლის 21 ნოემბრის რუმინეთის კონსტიტუციის 32 სტატიის მე-7 ნაწილი: „სახელმწიფო რელიგიური განათლების თავისუფლებას თითოეული კულტის სპეციფიური მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყოფს. რელიგიურ განათლებას სახელმწიფო სკოლებში კანონი არეგულირებს და უზრუნველყოფს“[186].

სლოვენია. სლოვენიის რესპუბლიკის 1991 წლის 28 დეკემბრის 41 სტატია: „სინდისის, აღმსარებლობის და სხვა შეხდულებების თვისუფლება როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში უზრუნველყოფილია. არ შეიძლება, რომ პიროვნება იძულებით გამოხატავდეს თავისი რელიგიურ ან სხვა შეხედულებებს. მშობლებს აქვთ უფლება თავიანთი შვილებისათვის რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა თავისი შეხედულებების შესაბამისად უზრუნველყონ. რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა ბავშვის ასაკსა და მომწიფებულობის დონეს უნდა შეესაბამებოდეს და არ უნდა არღვევდეს მის სინდისის, რელიგიური ან სხვა შეხედეულებების და აზრის თავისუფლებას“[187].

ხორვატია. ხორვატიის რესპუბლიკის 1990 წლის 22 დეკემბრის 63 სტატია: „მშობლებმა უნდა აღზარდონ, არჩინონ თავიანთი შვილები და მისცენ მათ განათლება. მათ უფლება და თავისუფლება აქვთ დამოუკიდებლად გადაწყვიტონ შვილთა აღზრდის საკითხები. მშობლების პასუხისმგებლობაა ბავშვის პიროვნების სრულფასოვანი და ჰარმონიული განვითარების უფლება უზრუნველყონ“[188].

ჩეხეთი. ჩეხეთის რესპუბლიკის 1992 წლის 16 დეკემბრის კონსტიტუციის 16 სტატია: „1. ყველას აქვს უფლება თავისუფლად განაცხადოს თავისი რწმენა ინდივიდუალურად ან სხვა პირებთან ერთად, კერძოდ ან საზოგადოდ, ღვთისმსახურების ჩატარების, რელიგიური რიტუალებისა და წესეების დაცვით 2. ეკლესიები ან რელიგიური გაერთიანებები თავის საქმეებს დამოუკიდებლად

---

[185] Debray Regis. Rapport a Monsieur le Ministre de ‘Education nationale “L’enseignement du fait religieux dans l’Ecole laique”. Paris, Fevrier. 2002.
[186] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუციები. ტ. 3. გვ. 69.
[187] იქვე. გვ. 177-178.
.

წარმართავენ, კერძოდ, თავიანთ ორგანოებს აწესებენ, სასულიერო პირებს ნიშნავენ, მონასტრებსა და სხვა რელიგიურ გაერთიანებებს აწესებენ, სახელწიფო ორგანოებისგან დამოუკიდებლად. 3. სახელმწიფო სკოლებში რელიგიის სწავლების პირობები კანონით არის გათვალისწინებული. 4. აღნიშნული უფლებების რეალიზება შესაძლოა კანონით იყოს შეზღუდული იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ზომები აუცილებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის, ჯანმრთელობისა და ზნეობის ან სხვა პირთა თავისუფლებისა და უსაფრთოხოების დაცვისათვის“[189].

შვედეთი. შვედეთის გამოცდილება სამაგალითოა. შვედეთის სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე სეკულარიზაციის პროცესი დაწვრილებით არის აღწერილი ო. ვ. ჩერნიშოვას ნაშრომებში[190]. 1862 წლის რეფორმის შემდეგ სკოლები და სოციალური სამსახური ეკლესიის განკრაგულებაში აღმოჩნდა. სახალხო სკოლაში სწავლება, რომელიც XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან 14 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის სავალდებულო გახდა, რელიგიურ ხასიათს ატარებდა. სწავლების მნიშვნელოვან ნაწილს ლუთერის კატეხიზმოს შესწავლა შეადგენდა. 1919 წელს იგი ქრისტიანობის შეაწავლამ ჩაანაცვლა. 1924 წელს სკოლების ზედამხედველობის ფუნქცია საერო ხელისუფლებას დაეკისრა, მაგრამ 1930 წლამდე ეკლესიის წინამძღვარს სასკოლო საბჭოს თავმჯდომარეს თანამდებობა ეკავა. 1960 წლამდე სამრევლო მღვდელი ბავშვთა ზედამხედველობის კომუნალური კომისიის წევრი იყო, ეპისკოპოსის მოვალეობებში კი გიმნაზიების ინსპექტირება შედიოდა. 1930-იანი წლების განმავლობაში და განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სახელმწიფო განათლების სისტემა სულ უფრო დაცილდა შვედეთის ეკლესიას და სასულიერო პირებს. 1954 წელს მიღებულ იქნა კანონი, რომელიც ძალაში 1958 წლის 1 ივლისს შევიდა და რომელიც სკოლას ეკლესიისგან სრულად გამოყოფდა, გაუქმდა აუცილებელი ლოცვები, რომლებიც სასწავლო წლის დასწაყისსა და ბოლოში ტარდებოდა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა (1962 წლიდან) და გიმნაზიებში (1964 წლიდან) რელიგიური ქრისტიანული განათლების

[189] იქვე.გვ. 524.

[190] ჩერნიშოვა ო. ვ. კომაროვი ი. დ. ეკლესია სკანდინავიის ქვეყნებში. 176 გვ.; ჩერნიშოვა ო. ვ. ეკლესია და დემოკრატია: შვედეტის გამოცდილება / საყოველთაო ისტორიის ინსტიტუტი РАН. მ.: Наука, 1994. 190 გვ.

საგნების სწავლება რელიგიათმცოდნეობამ ჩაანაცვლა. ეკლესიის ისტორიის გაკვეთილების შემცირების ხარჯზე გაიზარდა გაკვეთილების რაოდენობა, რომლებზეც არაქრისტიანული ერლიგიების შესახებ ზოგად ცოდნას აწვდიდნენ[191]. 1962-1970 -იან წლებში ჩატარებულმა ზოგადსაგანმანათლებლო რეფორმამ განათლების ქრისტიანული მიზნები საერო მიზნებით, მრავალმხრივ განათლებული ახალგაზრდობის მომზადებით - შეცვალა; ახალგაზრდობამ ქვეყნის სოციალურ-კულტურული და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარება უნდა უზრუნველყოს. ამასთან, 1980 წელს მიღებული რელიგიათმცოდნეობის სწავლების გეგმის თანახმად მოსწავლეებს „უნდა გაუღრმავდეთ ქრისტიანული რელიგიისა და, განსაკუთრებით, ბიბლიის შესახებ ცოდნა“. როდესაც, 1963 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში რელიგიის სწავლების საკითხი განიხილებოდა 7,6 მილიონიანი მოსახლეობიდან 2-მა მილიონმაშვედმა ქრისტიანობის შესწავლისათვის გამოყოფილი საათების შემცირება გააპროტესტა[192].

შვედური გამოცდილება ორი პრინციპის - სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში საეროობისა და განათლების კულტურულ შესაბამისობის - სრულიად ჰარმონიულ თანაარსებობას გვიჩვენებს.

ესტონეთი. ესტონეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის 37 სტატია: „... ბავშვებისათვის განათლების ფორმის არჩევის საკითხში გადამწყვეტი სიტყვა მშობლებს ეკუთვნის...“[193].

2002 წლის 12 თებერვლის „სამედიცინო, სასწავლო, მოვლა-პატრონობის დაწესებულებებში, თავისუფლების აღკვეთის ადგილებსა და სამხედრო ნაწილებში რელიგიური წესების შესრულების შესახებ“ კანონის მე-9 პარაგრაფის მე-2 პუნქტი (დამტკიცებულია 2002 წლის 27 თებერვალს ესტონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის № 110 ბრძანებით): „ღვთისმსახურება და რელიგიური წესები სასწავლო დაწესებულებებში... რელიგიური გაერთიანების მიერ სრულდება დაწესებულების ხელმძღვანელის ან მეპატრონის თანხმობით...“[194].

---

[191] ჩერნიშოვა ო. ვ. კომაროვი ი. დ. ეკლესია სკანდინავიის ქვეყნებში. გვ. 39.
[192] იქვე. გვ. 28, 39-40.
[193] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუცია. ტ. 3. გვ. 721.
[194] რელიგია და კანონი: დსთ-სა და ბალტიის ქვეყნებში სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები. გვ. 218.

1992 წლის 23 მარტის ესტონეთის რესპუბლიკის „სახალხო განათლების“ შესახებ მე-4 კანონის მე-4 ნაწილი: „ღვთის სჯულის შესწავლა, ისევე, როგორც მისი სწავლება, ნებაყოფლობითია“, ამავე კანონის მე-2 სტატიის მე-2 ნაწილი: „სახალხო განათლება ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ფასეულობების, პიროვნების, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლების აღიარებას ეფუძნება“[195].

საფრანგეთი. როგორც ვ. ვ. კლოჩკოვი აღნიშნავს, საფრანგეთში რელიგიური სკოლები ფალუს 1850 წლის კანონის საფუძველზე მოქმედებდნენ. ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის შესახებ 1905 წლის კანონი, რომელმაც კონფესიური სკოლების გაუქმებისათვის ათი წლის ვადა დაადგინა, სრულად არ განხორციელებულა. მათი ადგილი კერძო სკოლებმა დაიკავეს, რომელთაგან უმრავლესობა კათოლიკურ ორგანიზაციებს ეკუთვნის. 31.12.1959 წლის კანონი, რომელიც 15 ათას კერძო სკოლას შეეხო, რომლებშიც იმ დროისათვის 31 ათასი მღვდელი და ბერი მუშაობდა, ითვალისწინებდა ამ სკოლებისათვის სახელმწიფო სუბსიდიების გამოყოფას; ყველა მასწავლებლისათვის, მათ შორის სასულიერო პირებისათვის, სახელმწიფო ხელფასის გამოყოფას; საშუალო და ტექნიკური კერძო სკოლების მოსწავლეთათვის სტიპენდიების დანიშვნას; კომუნებისთვის კერძო სკოლების სამეურნეო ხარჯების დაფარვის და მოსწავლეთათვის მატერიაულური დახმარების (უფასო სახელმძღვანელოები, მგზავრობა და ა. შ.) გაწევის შესაძლებლობას ითვალისწინებდა[196].

საფრანგეთის აღმოსავლეთით, სამ დეპარტამენტში - ზედა რეინი და ქვედა რეინი (რომლებიც ელზასს ქმნიან) და მოზელში (რომელიც ლოტარინგიის შემადგენლობაში შედის) - რომლებიც 1817 – 1918 წლებში გერმანიის სემადგენლობაში შედიოდა ოფიციალურად აღიარებული რელიგიების სტატუსი რომის კათოლიკურ ეკლესიას, ლუთერანულ, რეფორმისტულ და იუდაურ რელიგიურ გაერთიანებებს უნარჩუნდებათ. კერძო რელიგიური სკოლები

[195] ლაზუტოვა მ. ნ., სელეზნიოვა ნ. ა., დსთ-სა და ბალტიის ქვეყნების განათლების შესახებ კანონების შედარებითი ანალიზი. გვ. 271.
[196] კოჩკოვი ვ. ვ. რელიგია და სახელმწიფო, სამართალი. გვ 232.

განაგრძობენ სახელმწიფო სუბსიდიების მიღებას, ხოლო 1905 წლამდე აგებული რელიგიური შენობები ან სახელმწიფოს ეკუთვნის ან მისი მეურვეობის ქვეშ არის[197].

საფრანგეთის აღმოსავლეთით მდებარე ზემო რაინის, ქვემო რაინის და მოზელის დეპარტამენტებში, 1871-1918 წლებში[198] გერმანიის შემადგენლობაში ყოფნის შედეგად, ძალაში რჩება სასკოლო სტატუსი, რომელიც ფალუს 1850 წლის კანონიდან მომდინარეობს: ცხრილი რელიგიურ განათლებას მოიცავს[199].

საფრანგეთის სკოლებში რელიგიური ნეიტრალობა არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო სათანადოდ არ აფასებს რელიგიის როლს განათლებასა და აღზრდაში როგორც სასწავლო, ისე სწავლისაგან თავისუფალ პერიოდებში. როგორც საფრანგეთის ეროვნული განათლების სამინისტროს მოხელე ჟ. სიმონი[200] აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური განათლება საერო სკოლის პროგრამიდან ამოღებულია, სკოლამ უნდა საშუალება მისცეს მსურველებს, რომ მიიღონ რელიგიური განათლება სკოლის ფარგლებს გარეთ. 1882 წლის 28 მარტის კანონის მე-2 სტატიის ნორმის შესაბამისად დადგინდა დაწყებითი განათლებისათვის რელიგიური განათლების მეცადინეობების (კატეხიზმო) ჩატარების წესი. ასეთი მეცადინეობები ნებაყოფლობით (მოსწავლეთა მშობლების თხოვნით) დღემდე ტარდება ოთხშაბათობით და პარასკევობით (ერთ-ორი საათი). ასეთივე წესით არის ორგანიზებული რელიგიური განათლება საშუალო განათლებისათვის. რელიგიური განათლების ასეთი ფორმა სახელმწიფო სკოლების პასუხისმგებლობისა და კომპეტენციის ფარგლებს მიღმა ხორციელდება, ანუ მისი რეალიზაცია რელიგიური ორგანიზაციების მიერ ხდება. კერძო კონფესიური სკოლები, რომლებშიც საფრანგეთის სკოლის მოსწავლეების დაახლოებით 20% სწავლობს, რელიგიური განათლების ამ ნაირსახეობას სასწავლო პროგრამების ჩარჩოებში ახორციელებენ. ამასთან ერთად, რელიგიის შესახებ ცოდნის მიწოდება და ჰუმანიტარული საგნების ქრისტიანულ საფუძვლებზე სწავლება სარფანგეთის სახელმწიფო სკოლების

---

[197] ბობერო. ჟ. სახელმწიფოს საერო ხასიათი.
მორენო კ. პ. აღმსარებლობის თავისუფლება საფრანგეთში // სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობების მსოფლიო გამოცდილება. გვ. 96.
[198] ბობერო. ჟ. სახელმწიფოს საერო ხასიათი.
[199] დაწყებითი და საშუალო განათლება საფრანგეთში. მ., 1994, (საინფორმაციო და სასწავლო მასალების რუსეთ-საფრანგეთის სერია, № 34).
[200] ავტორის არქივი.

საქმიანობაში საკმაოდ ფართოდ ხორციელდება. დაწყებითი და საუალო განათლებისას, ისტორიის გაკვეთილებზე მოსწავლეების რელიგიის, როგორც ცივილიზაციური ელემენტის შესახებ ცოდნას იღებენ, მათ აწვდიან გარკვეულ ცონდას ისლამის, იუდაიზმის, ძველი ეგვიპტეს რელიგიის შესახებ და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ ისლამი დღეს საფრანგეთში მორწმუნეთა რაოდენობის მიხედვით მეორე რელიგიაა, მის შესახებ ინფორმაცია (ისევე, როგორც ბუდიზმის, მართლმადიდებლობის და სხვა რელიგიების შესახებ) ძალიან მოკლე და შეზღუდული სახით მიეწოდება. ძირითადი აქცენტი კათოლიციზმისა და პროტესტანტიზმის შესწავლაზე კეთდება. დომინანტ ფაქტორს განათლების, განსაკუთრებით კი ჰუმანიტარული საგნების მულტიკულტურული მიზანშეწონილობა წარმოადგენს. საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით მოსწავლეები საკამოდ ფართო ცოდნას იძენენ დასავლური კულტურის რელიგიური ტრადიციების - ქრისტიანული რელიგიის შესახებ. ეს კეთდება ადექვატური სკოლადამთავრებულების გამოსაშვების მიზნით, რომლებიც, ასეთი მომზადების საფუძველზე სრული სისავსით შეძლებენ ფრანგული ლიტერატურისა და ხელოვნების სილამაზის აღქმას. განათლების სფეროში სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ამ კონცეფციის რეალიზაციის ფარგლებში საფრანგეთის ეროვნული განათლების ახალმა მინისტრმა ლუკ ფერიმ ხელი მოაწერა 2002 წლის 26 ივნისის დადგენილებას რელიგიის შესწავლის ევროპული ინსტიტუტის დაარსების შესახებ (l'institute europeen des sciences des religions). ამ გადწყვეტილებაზე დიდი გავლენა რეჟი დებრეს 2002 წლის თებერვლის მოხსენებამ „რელიგიის საგნების სწავლება საერო სკოებში"[201] მოახდინა. მოხსენებაში იმ დროინდელი ეროვნული განათლების მინისტრის, ჯაკ ლანგის დავალებით მოცემული იყო საფრანგეთი სახელმწიფო სკოლებში საერო ხასიათისა და სწავლების კულუტურული შესაბამისობის აუცილებლობის დეტალური ანალიზი.

[201] Debray Regis. Rapport a Monsieur le Ministre de 'Education nationale "L'enseignement du fait religieux dans l'Ecole laique". Paris, Fevrier. 2002.
[201] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუციები. ტ. 3. გვ. 458.

ავტორის სტილი დაცულია

2.2 რელიგიური განათლება და შესაბამისი კანონმდებლობა მუსლიმურ ქვეყნებში

ი. ა. ალექსანდროვს, აღმოსავლეთმცოდნეს, რომელმაც მრავალი წელი არაბულ ქვეყნებში იმუშავა, თავის წიგნში „სპარსეთის ყურის მონარქიები: მოდერნიზაციის ეტაპი“[202] სპარსეთის ყურის მონარქიებში საერო და რელიგიური განათლების თანაფარდობის დაწვრილებითი აღწერილობა მოჰყავს. საუდის არაბეთის სამეფოში ისლამური თვითშეგნება, პირველ რიგში, ოჯახში ყალიბდება, შემდეგ კი სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლება. ასეთი ხაზი კულტურულ დაწესებულებებთან მჭიდრო კავშირში ტარდება. **საუდის არაბეთის სამეფოს** „ძალაუფლების საფუძვლების სისტემის“ მე-9 სტატიაში წერია: „საუდის საზოგადოების საფუძველს იჯახი წარმოადგენს. ოჯახის წევრები ისლამური რწმენის, უპირველეს ყოვლისა, უზენაესი ალაჰისა და მისი წინასწარმეტყველის ერთგულებისა და მორჩილების საფუძველზე უნდა იზრდებოდნენ... პატის სცემდნენ და ასრულებდნენ კანონებს, აფასებდნენ თავის მამულსა და მის დიდებულ ისტორიას“[203]. ამ სტატიამ იმპერატიული საკანონმდებლო ნორმა დაამტკიცა, რომელიც მკაცრად ავალდებულებს ოჯახს, რომ ისლამურ რელიგიგაზე დააფუძნოს თავისი ცხოვრება. ალაჰის მორჩილება და კანონების შესრულება პრაქტიკაზე ხელისუფლების მორჩილებას ნიშნავს, რომელიც უზენაესის და მისი წინასწარმეტყეველი ნებას ასრულებს, რადგან ხელისუფლების ქმედება ყორანსა და სუნას ეფუძნება. მმართველი დინასტია ავალდებულებს ოჯახს, თავისი წევრები ისლამური რწმენის შესაბამისად აღზარდოს, რითიც მასებს მორჩილებისკენ განაწყობს. იგივე იდეა საუდის საზოგადოების მიმართაც გამოიყენება. მე-11 სტატიაში ამის თაობაზე ნათქვამია, რომ საუდის საზოგადოება „მისი წევრების მიერ ისლამის აღიარებას ეფუძნება“[204]. სახელმწიფო ადამიანის უფლებებს შარიათის შესაბამისად იცავს. განათლების უპირველესი მიზანი, რომელიც საუდის არაბეთის

[202] ალექსანდროვი ი. ა. სპარსეთის ყურის მონარქიები: მოდერნიზაციის ეტაპი. გვ. 215-218.
[203] საუდის არაბეთი სამეფოს ძალაუფლების სისტემის საფუძვლები (1992 წ.) // იქვე. გვ. 466.
[204] იქვე.

სამეფოს „ძალაუფლების საფუძვლების სისტემის“ მე-13 მუხლშია დაფიქსირებული, სპეციფიურია, - „მოზარდი თაობის სულებში ისლამური რწმენის ზრდა“[205].

2002 წლის ზაფხულში საუდის ხელისუფლებამ სამეფოს ტერიტორიაზე მოქმედ უცხოურ სკოლებს მოსთხოვა ყველა იმ მოთხოვნის შესრულება, რაც ადგილობრივი სკოლების მიმართ არის წაყენებული. უცხოურმა სკოლებმა ბიჭების და გოგოების განცალკევებული სწავლება უნდა განახორციელონ, შემოიღონ ისლამის სწავლება და იმ სკოლებში ლოცვების ჩატარების საშუალება უზრუნველყონ, სადაც მუსულმანი მოსწავლეები არიან, ასევე ტანისამოსისა და ქცევის ადგილობრივი კოდექსი დაიცვან. მამაკაცი მასწავლებლები მხოლოდ ბიჭებისთვის შეძლებენ გაკვეთილების ჩატარებას, ქალები კი გოგოებისთვის. სასწავლო პროგრამებიდან უნდა ამოღებულ იქნას საგნები და დისციპლინები, რომელთა შინაარსი „ისლამს ეწინააღმდეგება“. როგორც საუდის ცოდნის მინისტრმა მუჰამედ აშ-შარიფმა განაცხადა, სამინისტროს შესაბამისი ცირკულარი ყველა უცხოურ სკოლას გაეგზავნა, ხოლო მისი შესრულების კონტროლი სპეციალურ ინსპექტორებს დაევალა. სასწავლო დაწესებულებებს, რომლებიც ამ მოთხოვნას არ შეასრულებენ, ლიცენზია ჩამოერთმევათ და ისინი დაიხურებიან[206].

კუვეიტისა და **ბაჰრეინის** კონსტიტუციებში ერთიანი ფორმულირებაა: „ოჯახი საზოგადოების საფუძველია, მისი საყრდენი - რელიგიაა..“, ამასთან საუდის არაბეთის სამეფოს „ძალაუფლების სისტემის საფუძვლებისგან განსხვავებით“, ბაჰრეინის და კუვეიტის კონსტიტუციებში რელიგიურობის ზოგადი ნორმა ისლამს არ უკავშირდება. კატარის დროებითი კონსტიტუციის მე-7 სტატიაში დაფიქსირებულია, რომ „რელიგია“ ოჯახის საყრდენს წარმოადგენს. ამ პრინციპს ემატება პუნქტი იმის შესახებ, რომ სახელმწიფომ უნდა „დანერგოს“ ისლამური რწმენის პრინციპების და მისი ფასეულობები, საზოგადოება სხვასხვა სახის გადახრებისგან დაიცვას. ამგვარი ფორმულირებისას ნორმა კარგავს ცალსახა ხასიათს და სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. სახელმწიფოს მოვალეობა, „დანერგოს“ ისლამი არ ნიშნავს იმას, რომ ოჯახი აუცილებლად მას უნდა აღიარებდეს. თუმცა კატარის ულემები მას განმარტავენ, როგორც

[205] იქვე.
[206] საუდის არაბეთს უცხოეთის სკოლებში თავისი კანონები შემოაქვს // НГ – религии. 19 ივნისი 2002 წ.

საზოგადოებისათვის ისლამის დაცვის ბრძანებას. ყველაზე საეროდ **ომანის** კონსტიტუცია წარმოჩნდება, რომელიც რელიგიური პრობლემატიკის მინიმუმს შეიცავს. აღიარებს რა ისლამს სახელმწიფო რელიგიად და საკანონმდებლო ბაზად, ის ოჯახის მიმართ კონკრეტულ რელიგიურ მითითებებს არ შეიცავს. სასკოლო განათლების ისლამური ხასიათი სახელმწიფოთა ამ ჯგუფის ყველა კონსტიტუციაში არ გვხვდება, რაც ამ მიმართულებით სეკულარიზაციის წინსვლაზე მეტყველებს. სწავლების რელიგიური ხასიათის შესახებ არაფერია ნათქვამი კუვეიტის, არაბეთის გაერთიანებული ემირატების და ომანის კონსტიტუციებში. ბაჰრეინის, კატარის და საუდის არაბეთის სამეფოს ძირითად კანონებში ასეთი ნორმა გაწერილია. ბაჰრეინის კონსტიტუციის მე-7 სტატია „ისლამურ აღზრდას“ ყველა სახის განათლების ყოველ ეტაპზე გულისხმობს. კატარის კონსტიტუცია ამ იდეას უფრო მსუბუქი ფორმით გადმოსცემს - განათლების სხვა მიზნებთან ერთად მე-8 სტატია „ისლამურ-არაბული მემკვიდრეობით სიამაყის“ აღზრდას გულისხმობს. აღზრდისა და განათების ისლამური ხასიათის შესახებ მითითებები სახელმწიფო სტრუქტურების განათლების სამინისტროს - მეშვეობით ხორციელდება. სკოლებში ისლამური აღზრდა იმ ქვეყნებშიც არსებობს, სადაც კონსტიტუციებში ამგვარი ნორმა არ არის, მარგამ ისლამის სახელმწიფო რელიგიად აღიარების ფაქტი სასწავლო პროგრამებში ისლამთმცოდნეობის ჩართვას გულისხმობს. განსხვავება აქ იმაშია, რომ ულემები სკოლების პრაქტიკულ საქმიანობაში ნაკლებად ერევიან. საერო განათლების ჩამოყალიბებასთან ერთად რელიგიური საგნები სასკოლო პროგრამაში კლებულობს და საბოლოო ჯამში საათების რაოდენობის 10%-ზე მეტს არ იკავებს. თუმცა, მთლიანობაში, ჰუმანიტარული კურსი ისლამური კულტურის, მორალისა და ეთიკის ფარგლებშია მოქცეული. კუვეიტის შესახებ შედარებითი ინფორმაცია 1996/97 წლებში ასე გამოიყურებოდა: საერო სახელმწიფო და კერძო სკოლებში დაახლოებით 405,2 ათასი ადამიანი სწავლობდა, მაშინ როდესაც რელიგიურ სკოლებში - 2 ათასამდე ადამიანი, ანუ ყოველ სემინარისტზე 200-ზე მეტი სკოლის მოსწავლე მოდიოდა. საერო და რელიგიური სკოლების თანაფარდობა 147:1 შეადგენდა. ბაჰრეინის, კატარის და არაბეთის გაერთიანებული ემირატების სტატისტიკური მონაცემების თანაფარდობები მცირედით განსხვავდება. ისეთ ისლამიზირებულ

ქვეყანაშიც კი, როგორიც არის საუდის არაბეთი, პროპორცია მსგავსია, თუმცა საერო სკოლებში რელიგიური თემატიკისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობა 2-3-ჯერ მეტია. კოლეჯებისა და უნივერსიტეტების სტუდენტები საერო სპეციალობებს ანიჭებენ უპირატესობას, რომლებიც მათ ინდუსტრიალიზაციისა და მოდერნიზაციის პირობებში ფართო პერსპექტივებს უხსნიან. კუვეიტში, შარიათის ფაკულტეტებზე კოლეჯების სტუდენტების საერთო რაოდენობის 7.2% სწავლობს, უნივერსიტეტებში კი - 6%. შარიათის ფაკულტეტები სპარსეთის ყურის ქვეყნების ყველა უნივერსიტეტშია, საუდის არაბეთის სამეფოში კი ორი სპეციალიზირებული ისლამური უნივერსიტეტია - ერ-რიადსა და მექაში[207].

ი. ა. ალექსანდროვი, პირად დაკვირვებებსა და აღწერილ ქვეყნებში საერო და რელიგიური განათლების თანაფარდობის ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულირების კვლევაზე დაყრდნობით, ამტკიცებს: „ყურის ყველა არაბული მონარქიის შემთხვევაში ცალსახა დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ საუკუნის ბოლოს აქ დამკვიდრებული განათლების სისტემა უპირატესად საერო ხასიათს ატარებს“[208]. ეგვიპტეს არაბული რესპუბლიკის 1971 წლის 11 სექტემბრის მუდმივი კონსტიტუციის მე-2 სტატია: „ისლამი სახელმწიფო რელიგია არის, არაბული ენა სახელმწიფოს ოფიციალური ენაა. მუსულმანური სამართლის - შარიათის ნორმები კანონმდებლობის საფუძველს წარმოადგენს“. კონსტიტუციის მე-9, მე-11, მე-12 და მე-19 მუხლები ამ ნორმას აკონკრეტებენ. მე-9 სტატია: „ოჯახი საზოგადოების საფუძველია. რელიგია, ზნეობა და ეროვნული თვითშეგნება ოჯახის ძირითადი საძირკველია“. მე-11 სტატია: „სახელმწიფო ქალს საზოგადოებრივი შრომისა და ოჯახური მოვალეობების შეთავსების საშუალებას აძლევს და მუსულმანური სამართლის - შარიათის ნორმების შესაბამისად, ცხოვრების საზოგადეობრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში ქალს მამაკაცის თანაბარ უფლებებს სთავაზობს“. კონსტიტუიის მე-12 და მე-19 სტატიებს რელიგიური აღზრდა-განათლება სახელმწფო პოლიტიკის რანგში აჰყავს. სტატია 12: „ზნეობის ნორმების დაცვაზე, თვუთმყოფადი ეგვიპტური ტრადიცების განვითარებაზე, რელიგიურ განათლებაზე, ზნეობრივ და ეროვნული ფასეულობების, ერის ისტორიული

[207] ალექსანდროვი ი. ა. სპარსეთის ყურის მონარქიები: მოდერნიზაციის ეტაპი. გვ. 215-218.
[208] იქვე. გვ. 218.

მემკვიდრეობის მაღალი დონის შენარჩუნებაზე ზრუნვა... საზოგადოების მოვალეობაა კანონით გათვალისწინებული ფარგლებში. სახელმწიფო ვალდებულია ხელმძღვანელობდეს ამ პრინციპებით და იცავდეს მათ“. სახელმწიფო სკოლებში რელიგიური განათლება სავალდებულოა. კონსტიტუციის მე-19 სტატია: „რელიგიური აღზრდა სახელმწიფო განათლების სისტემის ძირითადი საგანია“[209]. 1980 წლის № 95 კანონი ახალგაზრდობის „რელიგიური ფასეულობებსა და სამშობლოსადმი ერთგულებაზე უარის თქმისკენ“ და „სამი წმინდა რელიგიის უარყოფისკენ“ წაქეზებას კრძალავს[210].

ბრუნეის საერო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიის შესწავლა სავალდებულოა. იმის მიხედვით, თუ რომელ ენაზე მიმდინარეობს სწავლება, მალაიური, ჩინური და ინგლისური სკოლები მოქმედებს. მუსულმანურ სკოლებში იღებენ მოსწავლეებს, რომლებმაც მალაიური სკოლის ოთხი დაწყებითი კლასი დაამთავრეს. მუსულმანურ სკოლებში მნიშვნელოვანი დრო ისლამი საფუძვლებს, ყორანის შესწავლას და არაბულ ენას ეთმობა. მოქმედებს კოლეჯი, რომელიც მუსულმანური მოძღვრების საფუძვლების მასწავლებლებს ასწავლიან[211].

ინდონეზიაში 1950 წლიდან მოქმედებს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომლის შესაბამისადაც რელიგიური განათლება სახელმწიფო სკოლებში ხორციელდება მოსწავლეთა მშობლების (ან მათი შემცვლელი პირების) თანხმობით. 1951 წლის დასაწყისში რელიგის სამინისტროს მინისტრმა და განათლების სამინისტროს მინისტრმა ყველა სახელმწიფო და სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებულ კერძო სკოლაში მეოთხე კლასიდან - ცალკეულ შემთხვევებში, პირველი კლასიდანაც - რელიგიის სავალდებულო სწავლების შესახებ ბრძანება გამოაქვეყნეს. მოსწავლეებს უნდა ესწავლათ ის რელიგია, რომელიც მათთვის აუცილებლად მიაჩნდათ მათ მშობლებს ან მშობლების შემცვლელ პირებს. ზოგიერთი კერძო სკოლა და სასწავლო დაწესებულება არ დაემორჩილა ამბრძანებას და რელიგიური განათლება არ შემოუღიათ. 1960 წელს ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო როგანომ - მსოფლიო

[209] რელიგია და კანონი: სინდისის, აღმსარებლობის და რელიგიური გაერთიანებების საქმიანობის თავისუფლების საკონსტიტუციო-სამართლებრივი საფუძვლები. გვ. 41-42.
[210] ვრუბლოვსკი გ. ა., ბაშიროვი ლ.ს. სახელმწიფო და რელიგიური ორგანიზაციები ისლამის ტრადიციული გავრცელების ქვეყნებში. გვ. 322.
[211] ბრუნეი: ისტორია, ეკონომიკა, პოლიტიკა / ა. ი. ივანოვის რედაქციით. მ.: Наука, 1984. გვ. 101-102.

სახალხო საკონსულტაციო კონგრესმა მიიღო დადგენილება №2, რომელშიც უკლებლივ ყველა ინდონეზიურ სასწავლო დაწესებულებაში რელიგიური განათლების აუცილებლობა მტკიცდებოდა. დაშვებული იყო რელიგის გაკვეთილების გაცდენა, თუ მშობელი ან ზრდასრული მზრუნველი ასეთ გაკვეთილებზე მოსწავლის დასწრების წინააღმდეგი იყო[212].

ერაყში, 1981 წლის 19 სექტემბრის №32 დეკრეტის თანახმად, რელიგიურ თემთა საქმიანობის, მათ შორის რელიგიური საქმიანობის კონტროლი, ფაკუფებისა და რელიფიური საქმეების სამინისტროს ევალებოდა. აღნიშნული დეკრეტის 206 პარაგრაფი ამტკიცებს, რომ „ყველა სკოლის პროგრამა შეიცვას რელიგიურ კურსებს მოსწავლეთა რელიგიური შეხედულებების შესაბამისად“ და რომ არავინ არის ვალდებული, რომ მისთვის უცხო რელიგია შეისწავლოს.

ირანის ისლამური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-12 სტატია ისლამს სახელმწიფო რელიგიად აცხადებს: „ირანის ისლამური რესპუბლიკა წარმოადგენს მართვის სისტემას, რომელიც ეფუძნება შემდეგ რწმენას: ა) ერთი ღმერთი (როგორც ისლამური მოძღვრება ამბობს: „არ არის ღმერთი ალაჰის გარდა“), მისი უზენაესი ძალაუფლება და მისდამი მორჩილება; ბ) გარდაცვალების შემდეგ ღმერთთან დაბრუნების რწმენა, რომელიც ადამინს ამაღლებაში ეხმარება; გ) ქმნილებისა და კანონმდებლობის ღვთიური სმართალი; დ) ღმერთის მმართველობის აღიარება, რაც ისლამური რევოლუციის მუდმივობის უზრუნველყოფაში საკვანძო როლს თამაშობს; ე) ადამიანის, მისი თავისუფლებების, ღმერთისადმის მორჩილების უზენაესი ღირსება“. მე-12 სტატია: „ირანის ოფიციალური რელიგია არის ისლამი, ტორმეტი იმამის ტრადიციის თანახმად. ისლამის სხვა მიმდინარეობები... ასევე პატივისცემას იმსახურებს“, მე-13 სტატია: „ზოროასტრიზმის, იუდაიზმის და ქრისტიანობის მიმდევარი ირანელები ერთადერთ აღიარებულ რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენენ“. მე-10 სტატია ისლამის კანონისა და ეთიკის საფუძველზე ოჯახის სიწმიდისა და ოჯახური ურთიერთობების სტაბილურობის დაცვას ადგენსმიუხედავად იმისა, რომ ირანის კონსტიტუცია სახელმწიფოებრიობის საფუზვლად ისლამს ასახელებს, მე-3 სტატიის მე-3 პუნქტი და 30 სტატია

[212] ბარკოვსკაია ე. ი. სახელმწიფო და ისლამი ინდონეზიაში. გვ. 314-315.

ყველასათვის თავისუფალი განათლების უფლებას იძლევა ყველა დონეზე (საერო საშუალო და უმაღლესი განათლება)[213].

ლიბანის რესპუბლიკის 1926 წლის 23 მაისის კონსტიტუციის მე-10 სტატია: „სწავლება თავისუფალია, თუ ის არ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და კეთილ ზნეს და სახელმწიფოში არსებული რელიგიების და აღმსარებლობების ღირსებას არ ლახავს. რელიგიური თემებს სკოლების გახსნის უფლება ეძლევათ იმ პირობით, რომ ისინი სახალხო განათლებაში სახელმწიფოს მიერ დადგენილ ზოგად დებულებებს დაიცავენ“[214].

ტუნისის სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მუსლიმური რელიგიური განათლება სავალდებულოა. რელიგიური განათლება როგორც ყურანის შესწავლის, ისე მუსლიმურ სულიერ-ზნეობრივ ფასეულობებზე დაფუძნებული ჰუმანიტარული საგნების სწავლების ფორმით ხორციელდება. საგნების დაახლოებით ნახევარს მოსწავლეები არაბულ ენაზე სწავლობენ, ნახევარს - ფრანგულად.

თურქეთის სახელმწიფო სკოლებში რელიგიური განათლება („რელიგიური კულტურის ადა ეთიკის სწავლება“) სავალდებულოა. თურქეთის რესპუბლიკის 1982 წლის 7 ნოემბრის კონსტიტუციის 24 სტატია: „ყველას აქვს სინდისის, აღმსარებლობისა და რელიგიური შეხედულებების თავისუფლების უფლება... არავის უნდა აიძულონ რელიგიურ რელიგიური კულტების შესრულება ან რელიგიურ ცერემონიებისა და წესებში მონაწილეობა, თავისი რწმენის გაცხადება ან არ უნდა გაასამართლონ თავისი რელიგიური შეხედულებების გამო. რელიგიისა და ეთიკის სწავლება სახელმწიფო კონტროლისა და მეთვალყურეობის ქვეშ ხროციელდება. რელიგიური კულტურისა და ეთიკის სწავლება დაწყებითი და სასუალო სკოლების სასწავლო გეგმის სავალდებულო ელემენტია. რელიგიური აღზრდისა და განატლების მიღება პიროვნების სურვილზეა დამოკიდებული, ხოლო თუ ის არასრულწლოვანია - მისი კანონიერი წარმომადგენლების მოთხოვნაზე. არავის აქვს რელიგიის ან რელიგიური გრძნობების, წმინდა ნივთების ბოროტად გამოყენების

[213] მსოფლიოს ქვეყნების კონსტიტუცია. CD.

[214] რელიგია და კანონი: სინდისის, აღმსარებლობის და რელიგიური გაერთიანებების საქმიანობის თავისუფლების საკონსტიტუციო-სამართლებრივი საფუძვლები. გვ. 37.

უფლება პირადი ან პოლიტიკური გავლენის მოსაპოვებლად ან, თუნდაც ნაწილობრივ, სახელმწიფოს ძირითადი საფუძვლების, სოციალური, ეკონომიკური სამართლებრივი და პოლიტიკური წყობის რელიგიურ პრინციპებზე დაფუძნება“[215].

აზერბაიჯანი. აზერბაიჯანში განათლების საერო სისტემაა დაფუძნებული. აზერბაიჯანის რესპუბლიკის 1995 წლის 12 ნოემბრის კონსტიტუციის მე-7 სტატიის I ნაწილი: „აზერბაიჯანული რესპუბლიკა არის დემოკრატიული, სამართლებრივი, საერო, უნიტარული რესპუბლიკა“[216]; მე-18 სტატიის III ნაწილი: „განათლების სახელმწიფო სისტემა საერო ხასიათს ატარებს“[217].

აზერბაიჯანის რესპუბლიკის 1992 წლის 20 აგვისტოს „აღმსარებლობის თავისუფლების“ შესახებ კანონის მე-6 სტატია „რელიგიისა და სკოლის ურთიერთობა“ (07. 06. 1996 №117-I ГД, 05. 11. 1996 № 188-I ГД, 27. 12. 1996. 10. 10. 1997 № 380 – I ГД შესწორებებითა და ჩამატებებით): „აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სახელმწიფო განათლების სისტემა რელიგიისგან გამოყოფილია. თეოლოგიური, რელიგიურ-გნოსეოლოგირი, რელიგიურ-ფილოსოფიური დისციპლინები, წმინდა საკულტო წიგნების საფუძვლების გაცნობა შეიძლება შეტანილი იყოს სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამებში...“[218].

მთავრობა რელიგიურ ორგანიზაციებს სასწავლო საგანმანათლებლო პროცეში მონაწილეობის ნებას არ რთავს, თუმცა ისეთ საგნებში, როგორებიცაა ლიტერატურა, გეოგრაფია და სხვა ჰუმანიტარული საგნები, ისლამის ფასეულობებს 130-მდე თემა ეთმობა[219]. აზერბაიჯანის რესპუბლიკის 07. 10. 1992 „განათლების შესახებ“ №324 კანონის პრეამბულაში წერია: „აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანმანათლებლო სისტემა ეროვნულ ნიადაგს ეფუძნება“[220]. ამავე კანონის მე-2 სტატიის მე-6 პუნქტი

---

[215] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუციები. ტ. 3. გვ 228.
[216] ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუციები. ტ. 1. გვ 132.
[217] იქვე. გვ. 134.
[218] რელიგია და კანონი: დსთ-სა და ბალტიის ქვეყნებსი სინდისისა და რელიგიური გაერთიანებების მოღვაწეობის თავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები. გვ. 62.
[219] სალიმოვა კ. კულიევი მ. პ. რ. აზერბაიჯანი // მსოფლიოს ხალხთა პედაგოგიკა: ისტორია და თანამედროვეობა. მ.: რუსეთის პედაგოგიური საზოგადოება, 2110. გვ. 67-68.
[220] ლაზუტოვა მ. ნ., სელეზნევა ნ. ა., სუბეტო ა. ი. დსთ-სა და ბალტიის ქვეყნების განათლების შესახებ კანონების შედარებითი ანალიზი. გვ. 102.

განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ პრინციპად „ეროვნული ნიადაგის გამყარებას“ ასახელებს[221].

1996 წლის 2 თებერვლის ახალგაზრდობის I ფორუმზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა თავის გამოსვლაში განაცხადა: „ყოველი აზერბაიჯანელი სწორად უნდა იყენებდეს იმ სიმდიდრეს, რომელიც კაცობრიობას ისლამის რელიგიამ აჩუქა, განსაკუთრები კი საზოგადოებაში ქცევისას ისლამის ნორმებს უნდა იცავდეს... ამიტომ მიმაჩნია, რომ სკოლებში ისლამის რელიგიის სწავლება დღევანდელობის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს და განათლების სამინისტრომ და შესაბამისმა ორგანიზაციებმა უნდა იფიქრონ ამის თაობაზე და შესაბამისი ზომები მიიღონ“[222].

აზერბაიჯანში ოფიციალური სტატუსის მქონე უმაღლესს სასწავლო დაწესებულებებს, რომლებიც თეოლოგიის სპეციალისტებს ამზადებენ, წარმოადგენენ: ისლამის უნივერსიტეტი, ბაქოს უნივერსიტეტის თეოლოგიური ფაკულტეტი, უნივერსიტეტ „კავკასიის“ თეოლოგიური ფაკულტეტი (ეს უნივერსიტეტები ერთობლივად წელიწადში ორასამდე თეოლოგიის სპეციალისტს უშვებენ). 1997 წელს რესპუბლიკის ახალგაზრდული ორგანიზაციების ეროვნული საბჭოს მხარდაჭერით რექსპუბლიკის რელიგიური კვლევების ცენტრმა საშუალო სკოლების მე-5-6 კლასების მოსწავლეთათვის გამოუშვა წიგნი „ჩვენ ვსწავლობთ ისლამს“ - ისლამთმცოდნის, ვ. მამედალიევის ხელმძღვანელობით და აზერბაიჯანის წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით. 1998 წლის იანვარში ეს წიგნი აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სამეცნიერო-პედაგოგიურ საბჭოზე განიხილეს, წიგნი რეკომენდირებულ იქნა, როგორც დამატებითი სასწავლო სახელმძღვანელო მოსწავლეებისათვის, ხოლო 198 წლის მარტში ის კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს სამეცნიერო-რელიგიურმა საბჭომ განიხილა და მიზანშეწონილად სცნო მისი სახელმძღვანელოს სახით გამოყენება. აზერბაიჯანელი სპეციალისტების აზრით, ამ საგნის სწავლება ფაკულტატიური უნდა იყოს, განათლების სამინისტროს სასწავლო გეგმის სესაბამისად, რომელიც „ინტერესების

[221] იქვე.
[222] რელიგიური განათლება საშუალო სკოლებში. პოლიტიკური გადაწყვეტილება და რეალიზაციის გზები // http://www.islam.az/statyi/teh2.htm.

მიხედვით სწავლებას“ ითვალისწინებს. აღნიშნული რედაქციის ხელმძღვანელობით თითოეული კლასისათვის ცალკე მომზადდა სახელმძღვანელოები, რომლებიც „აზერბაიჯანის რეალობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით შეადგინეს და ისინი დღევანდელობის მოთხოვნებს პასუხობენ“[223].

ყირგიზეთი. ყირგიზეთის რესპუბლიკის 16. 12. 1991 №656 - XII „აღმსარებლობისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მე-6 სტატია „რელიგიური ორგანიზაციების სკოლის გამოყოფა“ (ყირგიზეთის რესპუბლიკის 19.11.1997 კანონის №79 რედაქცია): „ყირგიზეთის რესპუბლიკაში განათლების სახელმწიფო სისტემა რელიგიური ორგანიზაციებისგან გამოყოფილია. მოქალაქეებს განათლებისადმი წვდომა რელიგიისადმი დამოკიდებულების მიუხედავად აქვთ. მოქალაქეებს შეუძლიათ რელიგიური მოძღვრება შეისწავლონ და რელიგიური განათლება საკუთარი ნებით არჩეულ ენაზე ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად მიიღონ... ბავშვებისათვის რელიგიური მოძღვრების ოგანზაციული სწავლება მშობლების ან მათი შემცვლელი პირების თანხმობით ხორციელდება... რელიგიური მოძღვრებების მასწავლებლებს სპეციალური სასულიერო განათლება უნდა ჰქონდეთ და თავიანთ საქმიანობას რელიგიური სამმართველოს, ცენრტის, ნებართვით უნდა ანხორციელებდნენ. მოზარდი თაობის ზნეობრივი, სულიერი აღზრდის აუცილებლობის გათვალისწინებით, სკოლებში, შეძლებისდაგვარად, დაშვებულია სულიერების, ზნეობის გაკვეთილების ჩატარება. მასწავლებლებს სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები ირჩევენ“[224].

უზბეკეთი. უზბეკეთის რესპუბლიკის 1991 წლის 14 ივნისის „სინდისისა და რელიგიური ორგანიზაციების თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-7 სტატია „განათლების სისტემა და რელიგია“ (უზბეკეთის ერსპუბლიკის კანონის 1998 წლის 1 მაისის რედაქცია № 618 - I): „უზბეკეთის რესპუბლიკაში განათლების სისტემა რელიგიისგან გამოყოფილია. განათლების სისტემის სასწავლო პროგრამებში რელიგიური დისციპლინების შეტანა დაუშვებელია“. ამასთან, რელიგიის შესახებ

[223] იქვე.
[224] რელიგია და კანონი: დსთ-სა და ბალტიის ქვეყნებსი სინდისისა და რელიგიური გაერთიანებების მოღვაწეობის თავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები. გვ. 106.

ცოდნა უზბეკეთის სახელმწიფო სკოლებში ჰუმანიტარული საგნების მეშვეობით მიეწოდება[225].

2.3 სხვა სახელმწიფოების კანონმდებლობა რელიგიური განათლების შესახებ

ავსტრალია. ავსტრალიის სახელმწიფო სკოლებში რელიგია სავალდებულო საგანს წარმოადგენს[226]. ავსრტალიის კერძო სკოლებშიც რელიგიური განათლება სავალდებულოა. ავსრტალიაში გოგონების სკოლების რეიტინგში Kambala School-ს პირველი ადგილი უკავის. ამ სკოლაში რელიგიის საფუძვლები სავალდებულო საგანია, მე-6 კლასიდან მოსწავლეები დადიან ეკლესიაში, მე-11-ში კი რელიგიის ისტორიის გამოცდას აბარებენ. ავსტრალიის ყველაზე პრესტიჟულ ბიჭების სკოლაში - The Scotts College - მკაცრი ქრისტიანული ტრადიციებია, ყოველ კვირას მოსწავლეები სკოლის ეკლესიაში სადღესასწაულო მესას ესწრებიან[227]. სახელმწიფო კერძო კათოლიკურ და პროტესტანტულ სკოლებს დახმარებას უწევს[228].

ამერიკის შეერთებული შტატები. ა.შ.შ.-ს კონსტიტუციის პირველი შესწორება ადგენს: „კონგრესმა არც ერთი ისეთი კანონი არ უნდა გამოსცეს, რომელიც ამა თუ იმ რელიგიას დააკანონებს ან აკრძალავს მის თავისუფალ გაცხადებას ან სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებს შეზღუდავს...“[229] და სახელმწიფო სკოლებში რელიგიურ განათლებას ზღუდავს.

---

[225] იქვე. გვ. 171.

[226] კაზანსკაია ო. რა დროს სწავლაა ასეთ სიცხეში? // კარიერა, 1999 წ. 1 მარტი.
სელეკ რ. ავსტრალია // მსოფლიოს ხალხთა პედაგოგიკა. ისტორია და თანამედროვეობა. მ.: რუსეთის პედაგოგიური საზოგადოება, 2001. გვ. 40-41.

[227] კაზანსკაია ო. რა დროს სწავლაა ასეთ სიცხეში?

[228] სელეკ რ. ავსტრალია. გვ 40.

[229] ამერიკის შეერთებული შტატები: კონსტიტუცია და საკანონმდებლო აქტები / ბგლ. თარგმ. / შეადგ. ფ. ი. ლაფიტსკიმ. რედ. და შეს. ო. ა. ჟიდკოვი. მ.: Прогресс, Универс, 1993. გვ. 40.

ზოგადი წესით, რელიგიური განათლება ა. შ. შ. -ში დაშვებულია ფაკულტატიური წესით, თავისუფალ დროს (ანუ მოსწავლეებს ასეთი გაკვეთილების დროს ათავისუფლებენ მეცადინეობისგან) იმ პირობით, თუ ასეთი მეცადინეობები სახელმწიფო სკოლის შენობის ფარგლებს გარეთ ტარდება. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით სასკოლო გეგმაში დაუშვებელია ლოცვისა და ბიბლიის კითხვის შეტანა. ამასთან ერთად, სახელმწიფო სკოლებში დასაშვებად მიიჩნევა ბიბლიის შესწავლის კულტუროლოგიური კურსის („ბიბლია, როგორც ლიტერატურა“) გავლა. უზენაესმა სასამართლომ თავდაპირველად განაჩინა, რომ სკოლადამთავრებულთა გამოსაშვებ საღამოზე ლოცვის კითხვა ანტიკონსტიტუციურია, თუმცა შემდგომში მოსწავლეთა სურვილის შემთხვევაში ასეთი ლოცვის ნებართვა გასცა. სახელმწიფო უნივერსიტეტებში რელიგიური განათლების მიღების გაცილებით მეტი საშუალებაა, ვიდრე სკოლაში. შეზღუდვები აქ იგივეა, რაც ბევრ სხვა ქვეყანაში. მაგალითად, სახელმწიფო უშუალოდ არ აფინენსებს უნივერსიტეტების იმ შენობებს, რომლებიც უშუალოდ რელიგიურ მიზნებს ემსახურება. პრობლემატურია თელოგიური სემინარიების სახელმწიფო ფინანსირება[230]. თუმცა სახელმწიფოს მხრიდან არაპირდაპირი ხელშეწყობის საშუალებაც აარსებობს, მაგალითად, საგადასახადო შეღავათების სახით.

2001 წელს ჩრდილოეთ კაროლინის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო კანონპროექტი, რომელიც ამ შტატის სკოლებში ათი მცნების ტექსტის გამოკვრის ნება დართო. თავისი გადაწყვეტილება კანონმდებლებმა იმით ახსნეს, რომ ამ დოკუმენტმა ა.შ.შ.-ს ჩამოყალიბებაში უდიდესი ისტორიული როლი ითამაშა. კანონის სკოლებში ათი მცნებისა და სხვა ტექსტები გამოკრობის ნებას რთავს, „რომლებსაც რელიგიასთან აქვთ შეხება, ასევე ისტორიული მნიშვნელობის მქონე სხვა დოკუმენტებისა, რომლებმა ჩამოაყალიბეს და გავლენა იქონიეს შეერთებული შტატების იურიდიულ და პოლიტიკურ სისტემაზე“[231]

ბრაზილია. ბრაზილიის ფედერატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის 210 სტატია ადგენს: „დაწყებითი განათლების მიღებისათვის ცოდნის გარკვეული

[230] დურემ. უ. კ. რელიგიის თავისუფლება: ა. შ. შ. - ს მოდელი. გვ. 42-43.
[231] ჩრდილოეთი კაროლინა: სკოლებში ათი მცნების ტექსტის გამოკვრა შეიძლება // რელიგია და სამართალი. 2001. № 3. გვ. 37.

მინიმუმი მყარდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ზოგადი საბაზო სწავლება და მხატვრული, კულტურული, რელიგიური და ეროვნული ფასეულობებისადმი პატივისცემის ჩამოყალიბება. ფაკულტატიური ჩანაწერით რელიგიური განათლება წარმოადგენს დისციპლინას, რომელიც ჩვეულებრივი ცხრილის ფარგლებში ისწავლება სახელმწიფო სკოლებში, რომლებიც დაწყებით განათლებას იძლევიან"[232]; სტატია 213: „სახელმწიფო სახსრები სახელმწიფო სკოლებისთვისაა გამიზნული, ამასთან მათი მიმართვა კანონით ნებადართული თემის, რელიგიური, ფილანტროპული სკოლებისკენაც შეიძლება, რომლებმაც: I - დაამტკიცეს, რომ მოგებას არ იღებენ და განათლების საჭიროებისათვის დამატებით ფინანსირებას იყენებენ, II - თავისი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში გარანტიას იძლევიან, რომ თავის ქონებას სხვა თემის, რელიგიურ, ფილანტროპულ სკოლებს ან სახელმწიფოს გადასცემენ. § 1. სახსრები, რომლებზეც ამ სტატიაშია საუბარი, შეიძლება იმ მოსწავლეთა სტიპენდიაზე დაიხარჯოს, რომლებიც, კანონის თანახმად, დაწყებით და საშუალო განათლებას იღებენ და რომლებსაც საკუთარი სახსრები არ ჰყოფნით მათი სწავლების ადგილას სახელმწიფო საგანმანათლებლო ქსელში ვაკანტური ადგილებისა და რეგულარული კურსების უკმარისობისას , სახელმწიფო, ამ დროს, ვალდებულია იმ ადგილმდებარეობაში აღნიშნული ქსელი გაფართოვებისათვის კაპიტალი დააბანდოს. § 2. უნივერსიტეტების კვლევით სფეროში საქმიანობა და მათი გაფართოება შესაძლოა სახელმწიფოს მიერ ფინანსდებოდეს"[233].

სომხეთი. 2002 წლის სექტემბრიდან ახალი სასწავლო საგანი - „სომხეთის ეკლესიის ისტორია" - შევიდა სომხეთის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ამის თაობაზე შეთანხმება მიღწეულ იქნა ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ა. არკარიანსა და ყოველთა სომეხთა კათოლიკოს გარეგინ II შორის. ამით სომხეთის სახელმწიფომ ხაზი გაუსვა სომხეთის სამოციქულო ეკლსიასთან ურთიერთობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. სომხეთის მთავრობის მეთაურის პრეს-სამსახურში ამ შეთანხმებაზე

[232] უცხო ქვეყნების კონსტიტუცია. გვ. 369-370.
[233] იქვე. გვ. 370-371.

შემდეგი კომენტარი გააკეთეს: „სრულფასოვანი სულიერი ცხოვრების გარეშე ჭეშმარიტად სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება შეუძლებელია“[234].

ისრაელი. ისრაელის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ისრაელის განათლების სამინისტროს გენერალური დირექტორის, რონიტ ტიროშის[235] თქმით, იუდაიზმის სწავლება დამატებით გაკვეთილებზე, გაღრმავებული კურსით, ხორციელდება. იუდაიზმის შესახებ ცოდნის მიღება ჰუმანიტარული საგნების გაკვეთილებზეც ხდება (ისტორია, ლიტერატურა და ა. შ.). განათლების სფეროში რაბინატი მნისვნელოვან როლს თამაშობს. რელიგიური საგანმანათლებლო დაწესებულებები (სახელმწიფო და კერძო) ისრაელის საშუალო განათლების დაწესებულებათა დაახლოებით 30%-ს შეადგენენ, სადაც მოსწავლეთა 36% სწავლობს. როგორც ე. ც. საფრონოვა წერს, სახელმწიფო სკოლები ორ დამოუკიდებელ შტოდ იყოფა: ზოგადი და რელიგიური. თითოეულ მათგანს ცალკე ინსპექტურა, პროგრამა და სასწავლო გეგმები, სხვადასხვა სახის სახელმძღვანელოები აქვს, მასწავლებელთა კონტინგენტიც განსხვავებულია. სწავლების ენა ივრითია. სახელმწიფო სკოლებში სავალდებულო საგნებია შეტანილი: ივრითი, ლიტერატურა, ძველი აღთქმა და სხვ. სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებზე სახელმწიფო კონტროლის გავრცელება 1953 წელს, სახელმწიფო განათლების შესახებ კანონის მიღებით დასრულდა. კანონის თანახმად სასწავლო დაწესებულებები დაიყო სახელმწიფოდ და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად. განათლებისა და კულტურის სამინისტროს კომპეტენციის მიღმა მხოლოდ უკიდურესად ორთოდოქსული იუდაიზმის სკოლები დარჩა. ისრაელში, ფორმალურად, ნაციონალურ-რელიგიურ უმცირესობებს უფლება ეძლევათ, შექმნან სკოლები, სადაც მასწავლებელთა ეროვნული, მშობლიურ ენის მატარებელი კადრები ეყოლებათ, აგრეთვე მათ უფლება აქვთ, სასწავლო გეგმაში სპეციალური საგნები შეიტანონ, რათა ამ რელიგიურ-ეთნიკური ჯგუფის ისტორიისა და კულტურის შესწავლა მოხდეს. ისლამის საფუძვლები ზოგადსაგანმანათლებლო არაბულ სკოლებში ისწავლება, ხევრონში

[234] სომხეთის სკოლებში ეკლესიის ისტორიას ასწავლიან // საინფორმაციო სააგანეტო „Пресс-центр.ру“. 2002 წ. 26 აგვისტო

[235] რონიტ ტიროში, ისრაელის განათლების სამინისტროს გენერალური დირექტორი: „ჩვენს შვილებს არ სჭირდება სამხედრო მომზადება - ამისათვის ჯარი არსებობს“ // Известия. 2002 წლის 10 ივნისი. № 98.

გაიხსნა რელიგიური ისლამური კოლეჯი. ქრისტიანულ თემებს თავიანთი დაწყებითი და საშუალო სკოლები აქვთ: სახელმწიფო ქრისტიანული რელიგიის სწავლებას იმ სახელმწიფო სკოლებში აფინანსებს, რომლებშიც ქრისტიანი მოსწავლეები სწავლობენ[236].

ინდოეთი. ინდოეთის რესპუბლიკის 1949 წლის 26 ნოემბრის კონსტიტუციის 28-ე სტატიის 1 ნაწილი (შემდგომი ცვლილებებით) სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლების სრულ სახელმწიფო დაფინანსებაზე არიან, რელიგიური განათლების რეალიზაციას კრძალავს: „რელიგიის სწავლებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი იმ სასწავლო დაწესებულებებში, რომლებიც სრულად ფინანსდებიან სახელმწიფო ხარჯებით“. ამასთან 28-ე სტატიის მე-2 ნაწილი აღნიშნავს სასწავლო დაწესებულებებს, მათ შორის ისეთებსაც, რომლებსაც სახელმწიფო მართავს: „1 პუნქტში არაფერი ეხება სახელმწიფოს მიერ მართვად სასწავლო დაწესებულებებს, რომლებიც საჩუქრის ან ნაბოძები საკუთრების სახით არიან დაარსებულნი, იმ პირობით, რომ ასეთ დაწესებულებებში ჩატარდება რელიგიის გაკვეთილები“, რომლებშიც რელიგიური სწავლება დაშვებულია 28-ე სტატიის მე-3 ნაწილში მოყვანილი პირობების თანახმად: „არ შეიძლება არც ერთი პირის, რომელიც სახელმწიფოს მიერ აღიარებულ, ან სახელმწიფოს მხრიდან დახმარების მიმღებ სასწავლო დაწესებულებაში სწავლობს, იძულება, რომ დაესწროს რელიგიის გაკვეთილებს, რომლებიც ასეთ დაწესებულებაში ტარდება, ან დაესწროს ღვთისმსახურებებს, რომელიც ასეთ დაწესებულებებში შეიძლება შესრულდეს ან მათ კუთვნილ ნებისმიერ ნაგებობაში, თუ ასეთ პირს ან მის მზრუნველ, თუკი ის თავად არასრულწლოვანია, არ მიუციათ ამაზე თანხმობა“[237].

ინდოექთის კონსტიტუციის 29-სტატია „უმცირესობათა ინტერესების დაცვა“: „1. მოქალაქეთა ნებისმიერ ჯგუფს, რომელიც ინდოეთის ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში ცხოვრობს და განსაკუთრებული ენა, დამწერლობა და კულტურა გააჩნია, მისი შენარჩუნების უფლება აქვს. 2. არც ერთ მოქალაქეს არ შეიძლება რომელიმე სახელმწიფო ან სახელმწიფოსგან დახმარების მიმღებ საგანმანათლებლო

[236] საფრონოვა ე. ს. სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთოები ისრაელში. გვ. 265-268.
[237] ინდოეთის კონსტიტუცია (1955 წლის 1 მაისის ცვლილებებით) / ბნგლ/ თარგმ. ი. მ. კ. ვ. ა. დოზორცევა. რედ. ი. მ. დ. ი. დ. ლევინა და ი. მ. კ. ვ. ა. მამაევა. მ.: უცხოური ლიტერატურის გამომც., 1956. გვ. 69.

დაწესებულებაში მიღებაზე უარი ეთქვას მხოლოდ რელიგიური, რასობრივი, კასტური კუთვნილების, ენის ან ნებისმიერი ამ მოტივის საფუძველზე“. ინდოეთის კონსტიტუციის 30 სტატია „უმცირესობების უფლება, დააარსონ და მართონ სასწავლო დაწესებულებები“: „1. ყველა უმცირესობას, რელიგიურსა თუ ლინგვისტურს აქვს უფლება თავისი არჩევანისამებრ დააარსოს და მართოს სასწავლო დაწესებულება. 2. სახელმწიფო, უწევს რა დახმარებას სასწავლო დაწესებულებებს, არ უნდა ახდენდეს სასწავლო დაწესებულებების მიმართ დისკრიმინაციას იმის საფუძველზე, რომ ისინი რელიგიური ან ლინგვისტური უმცირესობის მიერ იმართება“[238].

იაპონია. იაპონიის კონსტიტუციის მე-20 სტატია (ძალაში შევიდა 03. 05. 1947) ადგენს: „სახელმწიფო და მისი ორგანოები რელიგიური სწავლების და სხვა სახის რელიგიური საქმიანობისგან თავს უნდა იკავებდნენ“[239].

სახელმწიფო რელიგიის სწავლებას არ უშვებს და მინიმუმამდე დაჰყავს რელიგიის შესახებ ცოდნის მიწოდება, ამავე დროს - აქტიურად ანხორციელებს ჰუმანიტარულ განათლებას ნაციონალურ-კულტურული ტრადიციების ნიადაგზე (რომლებიც თავისი ფესვებით რელიგიურ ტრადიციებამდე მიდის), რომელთა სწავლებაზეც ძირითადი აქცენტი კეთდება. იაპონური სკოლა იაპონელების ეროვნულ სულისკვეთებას ზრდის, თავის აღსაზრდელებს მორალის სესაბამის ნორმებსა და ეროვნული ხასიათს უყალიბებს. ასეთი აღზრდა იაპონელის გონებზე წარუშლელ კვალს ტოვებდა. იაპონიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტანაკა ამის თაობაზე ამბობდა: „ახლაც კი, როდესაც ზრდასრული ვარ, როდესაც ვფიქრობ, თუ როგორ უნდა ვიცხოვრო, ჩემი ამოსავალი წერტილი ის საფუძვლებია, რომლებიც სკოლაში ჩამინერგეს“. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმაზე საუბრისას ტანაკა ზნეობრივი ასპექტის გაძლიერებისაკენ მოუწოდებდა, რომელიც იაპონიის ზოგადსაგანმანათლებლო სისტემას დასავლურისგან განასხვავებს. ომის წინა პერიოდში იაპონურ სკოლაში „სუსინის“ სისტემა ბატონობდა, რომელიც მასწავლებლებს ქულებს უწერდა, რათა მათ სკოლის მოსწავლეებში ნაციონალისტური ფასეულობების მთელი სისტემა - იმპერატორისადმი ერთგულება,

[238] ინდოეთის კონსტიტუცია (1955 წლის 1 მაისის ცვლილებებით). გვ. 69.
[239] უცხო ქვეყნების კონსტიტუციები. გვ 432.

ეროვნული უპირატესობა, ბურჟუაზიული სახელმწიფოს უანგარო სამსახური - აღეზარდათ. კაპიტულაციის შემდეგ „სუსინის“ სისტემა გაუქმდა, მაგრამ 1957 წელს იგი „დოტოკუს“ სახელწოდებით აღორძინდა. წინა სისტემიდან მხოლოდ აშკარა ულტრანაციონალისტური მოტივები ამოიღეს, მისი კონფუციანური საფუძველი კი შეინარჩუნეს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან მიმართებაში ეს რის მორალური აღზრდა, ინტესნიური სწავლება და უწყვეტი გამოცდები. დასახელებული იდეები იაპონიის მთელ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას განმსჭვალავენ. იაპონურ დაწყებით სკოლას ოჯახური აღზრდის პრინციპები თანდათან სკოლის ატმოსფეროში გადააქვს[240].

გვატემალა. გვატემალის რესპუბლიკის 1956 წლის კონსტიტუციი 97 სტატია ადგენს: „სწავლებისა და სასწავლო მეთოდების თავისუფლება გარანტირებულია. კანონი ყველაფერს არეგულირებს, რაც სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში რელიგიურ სწავლებას შეეხება. სახელმწიფო რელიგიურ განათლებას არავის ავალდებულებს და მას ფაკულტატიურად აცხადებს“. 96 სტატია მშობლებს აზლევს უფლება, თავად განსაზღვრონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილების აღზრდის ფორმა. 42 სტატია უკანონოდ აცხადებს ყოველგვარ დისკრიმინაციას რასის, კანის ერის, სქესის, რელიგიის დაბადების, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის ან პოლიტიკური იდეების საფუძველზე, 51 სტატია კი რელიგიის თავისუფლების გარანტიას იძლევა: „რელიგიის თავისუფლება გარანტირებულია ყველა პირს უფლება აქვს, გაავრცელოს თავისი რელიგია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, საზოგადოდ ან კერძოდ, პროპაგანდის, კულტის ან რიტუალის შესრულების გზით, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, გარდა შეზღუდვებისა, რომლებიც საზოგადოებრივი წერსიგისა და სიმშვიდის დაცვის მიზნით არის დაწესებული. რელიგიუი ასოციაციებს და დაჯგუფებებს, კულტის მსახურებს არ აქვთ პოლიტური მოღვაწეობის უფლება“. ამასთან, განათლების სისტემაში იკრძალება კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდა, რასაც ამტკიცებს 23 სტატიაში დაფიქსირებული ისეთი ორგანიზაციების შექმნის აკრძალვა, რომლებიც ოკმუნისტურ იდეოლოგიას იცავენ:

[240] პრონიკოვი ვ. ა., ლადანოვი ი. დ. იაპონელები: ეთნოფსიქოლოგიური ნარკვევები. გამოც. მე-2, შესწ. და შევს. მ.: აღმ. ლიტ. გამომც. მთ. რედ. «Наука», 1985. გვ. 267-268.

„იკრძალება ისეთი ორგანიზაციის შექმნა და საქმიანობა, რომლებიც კომუნისტურ იდეოლოგიას ან სხვა რომელიმე ტოტალიტარულ სისტემას იცავენ“[241].

მონღოლეთი. მონღოლეთის 1993 წლის 30 ნოემბრის „სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობების შესახებ“ კანონის 8.2 სტატია ადგენდა : „...სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებში რეიგიური განათლების კურსებისა და რელიგიური შეკრებების ორგანიზება იკრძალება“. ამასთან, ამავე კანონის 4.2 სტატია ადგენდა: „... სახელმწიფო მონღოლეთში ბუდისტური რელიგიის გაბატონებულ მდგომარეობას უზრუნველყოფს“, ხოლო 7.5 სტატია: „...იკრძალება მონღოლი ხალხის ტრადიციებისა და ადათ-წესებისათვის უცხო ან არაჰუმანური საქმიანობის განხორციელება“[242]. ამგვარად, სკოლაში იკრძალება რელიგიის პირდაპირი სწავლება, მაგრამ აქცენტი განათლების კულტუროლოგიურ ასპექტზე, მის შინაარსზე კეთდება.

მონღოლეთის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში მონღოლური ცივილიზაციის დაცვას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მონღოლეთის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის 47 სტატია მონღოლური ცივილიზაციის შენარჩუნების გზად და საშუალებად შემდეგ ღონისძიებებს სახავს: „მონღოლეთმა უნდა მოიმოქმედოს შემდეგი: 1) მომთაბარე ცივილიზაციის ძირითადი თავისებურებების გაძლიერებისა და გამდიდრების აქტიური პოლიტიკა შეიმუშავოს და განახორციელოს; შეინარჩუნოს მონღოლური ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი, მატერიალური და ინტელექტუალური კულტურისა და ტრადიციების ყველა ფასეული და პროგრესული ელემენტი და მსოფლიო ცივილიზაციის ფაეულობებთან ჰარმონიაში განავითაროს ისინი...3) შექმნას მონღოლური განმანათლებლობის და თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი განათლების სისტემა; დაიცვას და გააართოვოს ეროვნული ინტელექტუალური პოტენციალი. 4) ხალხის ისტორიის, კულტურის, მენტალიტეტისა და მშობლიური ბუნების გაგებისა და შესწავლის პირობები შექმნას; შთააგონოს ყოველ მოქალაქეს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობას, პატრიოტიზმის გრძნობა და სამშობლოს სახელი სიყვარული; მონღოლური

[241] მსოფლიოს ქვეყნების ონსტიტუციები. CD.

[242] რელიგია და კანონი: სინდისის, აღმსარებლობის და რელიგიური გაერთიანებების საქმიანობის თავისუფლების საკონსტიტუციო-სამართლებრივი საფუძვლები. გვ. 56.

ისტორიის, რელიგიისა და კულტურის შესწავლა, სწავლება და პოპულარიზაცია მთავრობის მუდმივი ზრუნვისა და მხარდაჭერის ობიექტად აქციოს...6) დაიცვას და დაეყრდნოს მონღოლებისათვის შინაგანად დამახასიათებელ ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრების უნარს, სახელმწიფოებრიობისადმი მათ ტრადიციულ ტრადიციულ პატივისცემას, აზრსა და საქმეში მათ მიერ გამოვლინებად ცონდასა და ნიჭს და მათთივის დამახასიათებელ ერთობის გამძაფრებულ გრძნობას... 8) პატივი სცეს სინდისისა და რელიგიური რწმენის თავისუფლებას, თავის შეიკავოს საეკლესიო საქმეებში სახელმწიფოს ჩარევისაგან; შესაძლებლობა მისცეს ეკლესიას, თავისუფლად ჩაატაროს თავისი მსახურება; გააკონტროლოს ღვთისმსახურების ჩატარების ადგილთა რაოდენობა, მათი მდებარეობა და ღვთისმსახურთა ფაქტობრივი რაოდენობა. 9) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს კონფესიათშორის ურთიერთობებს და მოახდინოს კრიზისებისა და კონფლიქტების პრევენცია; ნებისმიერი ეკლესიის ურთიერთობა კანონის ფარგლებში შეინარჩუნოს, ეროვნული, კულტურის, ადათ-წესებისა და ტრადიციისათვის ზიანის მიყენების პრევენცია მოახდინოს“[243].

ამგვარად, უცხოეთის სახელმწიფოთა გამოცდილება მოწმობს იმას, რომ მოქალაქეთა თავისუფალი მსოფლმხედველობრივი არჩევანის და თავისი მსოფლმხედველობრივი არჩევანის, კულტურული და სულიერ-ზნეობრივი შეხედულებების შესაბამისი განათლების, მათ შორის რელიგიური განათლების, მიღების უფლება უდავოა და მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაშია დაფიქსირებული და ამ ქვეყნების განათლების საერო მიმართულებას არ ეწინააღმდეგება. რელიგიური განათლების უფლება მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის წვდომის უფლების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ამასთან, საუბარია ადამიანისათვის მისთვის შესაბამისი აღმსარებლობის რელიგიურ განათლების მიღებაზე.

[243] მონღოლეთის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია.

2.4 საერთაშორისო და რეგიონული რეკომენდაციები რელიგიურ განათლებასთან დაკავშირებით

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2005 წელს მიიღო რეკომენდაცია № 1720 ,,განათლება და რელიგია''. ამ რეკომენდაციაში საპარლამენტო ასამბლეა ადასტურებს, რომ ყოველი პირის რელიგია, მათ შორის, არარელიგიურობა, მკაცრად განსაზღვრული პირადი საკითხია. თუმცა აღნიშნული არ ეწინააღმდეგება ხედვას, რომ რელიგიის ზოგადი ცოდნა და მისი თანმდევი ტოლერანტობის განცდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დემოკრატიული საზოგადოებისთვის. რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ ოჯახს გადამწყვეტი როლი აკისრია ბავშვის აღზრდაში, მათ შორის, რელიგიის არჩევაში. თუმცა მრავალი ოჯახი რელიგიის საკითხებით დაინტერესებას არ იჩენს. ამის გამო ბევრ ახალგაზრდას არ გააჩნია საჭირო ცოდნა და ინფორმაცია, რომ შეიცნოს ის საზოგადოება, რომელშიც ცხოვრობს, რასაც ასამბლეა პრობლემურ საკითხად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ამ კუთხით მედიას (ბეჭდური და აუდიოვიზუალური) შეუძლია, უაღრესად დადებითი როლი ითამაშოს.

ზოგადად, პოლიტიკა და რელიგია ერთმანეთისაგან გამიჯნული უნდა იყოს. თუმცა დემოკრატია და რელიგია არ უნდა იყოს შეუთავსებელი. პირიქით, ორივე მათგანი ერთობლივად მყარად უნდა ემსახურებოდეს საერთო სიკეთისთვის ბრძოლას. სოციალური პრობლემების მოგვარებით საჯარო ხელისუფლებას შეუძლია, განმუხტოს სიტუაციები, რომლებიც შესაძლოა, რელიგიურ ექსტრემიზმში გადაიზარდოს. განათლება აუცილებელია რელიგიური საკითხების თაობაზე უცოდინრობის, სტერეოტიპული აზროვნებისა და გაუგებრობის აღმოსაფხვრელად. მთავრობებმა უნდა გააკეთონ მაქსიმუმი, რათა რელიგიისა და სინდისის თავისუფლება გარანტირებული იყოს. მათ ხელი უნდა შეუწყონ რელიგიურ განათლებას, წაახალისონ რელიგიათაშორისი დიალოგები და აამაღლონ რელიგიათა კულტურული და სოციალური თვითგამოხატვის შესაძლებლობა.

ასამბლეა ამახვილებს ყურადღებას, რომ სკოლა არის განათლების ძირითადი კერა, რომლის მეშვეობითაც ხდება მომავალ მოქალაქეთა სულის ფორმირება და, შესაბამისად, კულტურათაშორისი დიალოგის უზრუნველყოფა. იგი საფუძველს

უყრის ტოლერანტულ დამოკიდებულებას რაც ეფუძნება თითოეული ადამიანის ღირსების პატივისცემას. ბავშვებისათვის ძირითადი რელიგიების ისტორიისა და ფილოსოფიის ობიექტური სწავლებით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ღირებულებათა პატივისცემის ჩანერგვით, შესაძლებელია რელიგიურ ფანატიზმთან ეფექტური ბრძოლა. ამ მიზნით, რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი კონფლიქტების ისტორიის გაგებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. რელიგიის ცოდნა კაცობრიობისა და ცივილიზაციათა ისტორიის ცოდნის განუყოფელი ნაწილია. ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც დომინირებს ერთი კონკრეტული რელიგია, უნდა ისწავლებოდეს ყველა ძირითადი რელიგიის წარმომავლობა და უპირატესობა არ უნდა მიენიჭოს ერთადერთ რელიგიას. დაუშვებელია მხარდაჭერილი იყოს პროზელიტიზმი.

ევროპაში რამდენიმე მოდელი გვხვდება - ძირითადად სახელმწიფოები არ გამოყოფენ საკმარის სახსრებს ძირითადი რელიგიების სწავლებისათვის მიუხედაავად იმისა, რომ სახელმწიფო რელიგია და რელიგიურ სასწავლო დაწესებულებებში რელიგიის სწავლება ფოკუსირებულია მხოლოდ ერთ რელიგიაზე. ზოგიერთი ევროპული ქვეყნის სკოლებში აკრძალულია რელიგიური სიმბოლოების ტარება. ეს დებულება უკვე შეფასებულია, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან შესაბამისი. სამწუხაროდ, ევროპაში ისეთი კვალიფიციური მასწავლებლების დეფიციტია, რომელთაც შეეძლებათ, ასაწავლონ რელიგიების შედარებითი ანალიზი. ამ მიზნით, საჭიროა მასწავლებელთა გადამზადების ევროპის ინსტიტუტის დაფუძნება, რომელიც გაიზიარებს წევრი ქვეყნების ინსტიტუტებისა და შესაბამისი ფაკულტეტების გამოცდილებას შედარებითი რელიგიის საგნის სწავლების კუთხით.

ევროსაბჭო განათლებას გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნევს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისთვის და აღნიშნავს, რომ სკოლებში რელიგიების სწავლებას არ ეთმობა სათანადო ყურადღება. ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ სამ მონოთეისტურ ბიბლიურ რელიგიას საერთო წარმომავლობა (აბრაამისეული) აქვს, ფასეულობები, რომელთაც მხარს უჭერს ევროპის საბჭო, მათგან მოდის და ასევე, სხვა რელიგიების თანაზიარია.

შესაბამისად, ასამბლეა რეკომენდაციას უწევს მინისტრთა კომიტეტს:

1. განიხილოს შესაძლო ფორმები რელიგიის საფუძვლების სწავლებისა განათლების დაწყებით და საშუალო დონეზე, მაგალითად- საბაზისო მოდულების საშუალებით, რაც ადაპტირებული იქნება სხვადასხვა საგანმანათლებლო სისტემასთან;

2. ხელი შეუწყოს რელიგიის საფუძვლების სწავლებას როგორც დაწყებით დონეზე, ასევე, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში.;

3. შექმნას მასწავლებელთა მომზადების ევროპის ინსტიტუტი შედარებითი რელიგიის სწავლების მიზნით;

ასამბლეა მიმართავს მინისტრთა კომიტეტს რეკომენდაციით, რომ მოუწოდონ წევრ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ სახელმწიფო განათლების დაწყებით და საშუალო დონეზე რელიგიის სწავლება შემდეგი კრიტერიუმების დაცვით:

1. ამგვარი სწავლების მიზანი უნდა იყოს, მოსწავლეებს გააცნონ იმ რელიგიების შესახებ, რომელთაც აღიარებენ საკუთარი და მეზობელი ქვეყნების მცხოვრებლები, რომ ყველა ადამიანს აქვს თანაბარი უფლება რწმენისა, რომ სწორედ მისი რელიგია არის „ჭეშმარიტი“ და, ამასთან, სხვა რელიგიის მიმდევრები ან ათეისტები მათგან არაფრით განსხვავდებიან;

2. სწავლება უნდა მოიცავდეს მსოფლიოს ძირითადი რელიგიების ისტორიის სრულად და მიუკერძოებლად შესწავლას და, ამასთანავე, უშვებდეს ათეისტად ყოფნის შესაძლებლობას;

3. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ახალგაზრდების შესაბამისი განათლებით აღჭურვა, რაც მათ რელიგიური ფანატიზმის ზეგავლენისაგან დაიცავს;

4. განათლებამ არ უნდა დაარღვიოს ზღვარი კულტურასა და რელიგიას შორის ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც კონკრეტული რელიგია სახელმწიფოებრივ დონეზეა აღიარებული. ეს არ ნიშნავს რაიმე სახის რწმენის დაძალებას, არამედ არის მცდელობა, მიეცეს საშუალება ახალგაზრდობას, გაიაზრონ, თუ რატომ არის რელიგია მილიონობით ადამიანის რწმენის წყარო;

5. რელიგიის მასწავლებლებმა უნდა გაიარონ სპეციალური ტრენინგები. ისინი უნდა იყვნენ ჰუმანიტარული დისციპლინის მასწავლებლები. თუმცა სხვა საგნის სპეციალისტებსაც შეიძლება დაეკისროს რელიგიის სწავლების პასუხისმგებლობა;

6. სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს მასწავლებელთა გადამზადება და შეადგინოს სპეციალური სილაბუსები, რაც ადაპტირებული იქნება ცალკეული ქვეყნების სპეციფიკასა და მოსწავლეთა ასაკთან. ამ პროგრამის დაგეგმვის პროცესში ევროსაბჭო კონსულტაციას გაუწევს ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის, ცალკეული რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებს.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ №1202 რეკომენდაციით - ,,რელიგიური შემწყნარებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში'' მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს, რათა ისინი დაარწმუნოს, რომ სხვადასხვა რელიგიის უკეთ და ღრმად გაგებისათვის აუცილებელია რელიგიისა და ეთიკის სწავლება შევიდეს სასკოლო პროგრამებში. ასევე, მათ უნდა იმუშაონ, რომ რელიგია დიფერენცირებულად და ზომიერად იყოს წარმოდგენილი სასკოლო სახელმძღვანელოებში, მათ შორის, ისტორიის წიგნებში და მთლიანად სასწავლო პროცესში.

სახელმწიფოებმა აქცენტი უნდა გადაიტანონ იმაზე, რომ საკუთარი რელიგიისა და ეთიკური პრინციპების ცოდნა აუცილებელი პირობაა ტოლერანტული გარემოს შექმნისა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ინდიფერენტიზმისა და ცრურწმენის წინააღმდეგ. რეკომენდებულია, დაფუძნდეს ,,კონფერენცია რელიგიის ისტორიის სახელმძღვანელოსათვის'' რათა შესაბამისი კომპეტენციის ავტორების მიერ მომზადდეს ტექსტები და კომენტარები სასკოლო წიგნებისათვის. ძირიდათი რელიგიების შესახებ ტექსტები და შესაბამისი ლიტერატურა ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო ბიბლიოთეკებში. ხელი უნდა შეეწყოს ახალგაზრდების შეხვედრებს რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლებთან, ასევე ინტერრელიგიურ შეხვედრებს და ყველა აღიარებული რელიგიის სასწავლო დაწესებულებებს.

№1396 რეზოლუციაში ,,რელიგია და დემოკრატია'' ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიუთითა, რომ ბევრი კონფლიქტი სტერეოტიპების არსებობითაა განპირობებული. რელიგიური ექსტრემიზმი, მიუღებლობა, ცრურწმენა დემოკრატიული საზოგადოებისათვის საფრთხის შემცველია და მასთან ბრძოლა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც ხელისუფლებები რეალურად დაკავდებიან საზოგადოების პრობლემების მოგვარებით.

განათლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სტერეოტიპებთან და სხვათა შეხედულებების უგულებელყოფასთან ბრძოლაში. სასკოლო და საუნივერსიტეტო პროგრამები მოდერნიზებული უნდა იყოს იმ მოთხოვნის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოს სხვადასხვა რელიგიის სიღრმისეული აღქმა და შეცნობა.

დემოკრატიული პრინციპებისა და ეთიკის ნორმების ჩართვა კი საგანმანათლებლო სისტემაში უზრუნველყოფს რელიგიის, როგორც ფასულობათა სისტემის, სწავლებას, რომლის მიმართაც ახალგაზრდებს უნდა ჩამოუყალიბდეთ შემწყნარებლური დამოკიდებულება.

ხელი უნდა შეეწყოს სხვადასხვა რელიგიის შედარებითი ისტორიის სწავლებას, რა დროსაც გამოიკვეთება მათი წარმოშობა, საერთო ფასეულობები, ტრადიციათა და ჩვეულებათა მრავალფეროვნება და ა.შ.

თეოლოგიის სწავლებასთან ერთად, ხელი უნდა შეეწყოს რელიგიის ისტორიისა და ფილოსოფიის შესწავლას და კვლევას ამ სფეროში.

სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ რელიგიურ გაერთიანებებთან რათა მათ თავიანთი სასწავლო დაწესებულებების პროგრამებში ჩართონ ისტორიის, ფილოსოფიისა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები.

2007 წელს *ეუთოს* მიერ მიღებულ იქნა ,,ტოლედოს სახელმძღვანელო პრინციპები რელიგიისა და რწმენის სწავლებაზე საჯარო სკოლებში''. ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ: კონფლიქტების პრევენციაში ეუთო-ს როლის და ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების კულტურის ხელშეწყობის შესაბამისად, ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა მრჩეველთა საბჭოს ექსპერტებმა რელიგიის თავისუფლებისა და რწმენის საკითხებში, სხვა ექსპერტებთან და სწავლულებთან ერთად, 2007 წლის მარტში

ესპანეთში, ქალაქ ტოლედოში განიხილეს ეუთოს რეგიონის 56 სახელმწიფოს საჯარო სკოლებში რელიგიისა და რწმენის სწავლების მიდგომები. ექსპერტებად მოწვეულნი იყვნენ სხვადასხვა სფეროს წამყვანი მეცნიერები, პოლიტიკოსები, პედაგოგები, ადვოკატები და მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ტოლედოს სხდომაზე დაიწყო ინტენსიური პროცესი, რომლის ფარგლებშიც შემდეგი სხდომები გაიმართა ბუქარესტსა და ვენაში და, ასევე, მრჩეველთა საბჭოს, დიდი კომისიის წევრებსა და სხვა ექსპერტებს შორის თანამშრომლობა, რის შედეგადაც მოხდა ,,ტოლედოს სახელმძღვანელო პრინციპების'' ჩამოყალიბება საჯარო სკოლებში რელიგიისა და რწმენის სწავლების შესახებ.

,,ტოლედოს სახელმძღვანელო პრინციპები'' მომზადდა იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს მსოფლიოში მზარდი რელიგიური მრავალფეროვნების უკეთესად შეცნობას იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ეს მრავალფეროვნება სულ უფრო მეტად იჩენს თავს საჯარო სფეროში. მათი შემუშავება ორი ძირითადი პრინციპითაა განპირობებული: პირველი, ძალზედ მნიშვნელოვანია იმის სწავლა და გათავისება, რომ პატივი უნდა ვცეთ ყველა ადამიანის რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უფლებას და მეორე, რომ რელიგიისა და რწმენის სწავლებას შეუძლია, შეამციროს ზიანის მომტანი გაუგებრობა და სტერეოტიპები.

,,ტოლედოს სახელმძღვანელო პრინციპების'' უმთავრესი მიზანია, დახმარება გაუწიოს ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებს, როდესაც ისინი გადაწყვეტენ რელიგიისა და რწმენის შესახებ ცოდნის შეძენისა და სწავლების ხელშეწყობას სკოლებში, განსაკუთრებით, რელიგიური თავისუფლების გაზრდის მიზნით. ,,პრინციპები'' ფოკუსირებულია მხოლოდ ისეთ პედაგოგიურ მიდგომაზე, რომელიც უზრუნველყოფს სწავლებას სხვადასხვა რელიგიისა და რწმენის შესახებ, განსხვავებით კონკრეტული რელიგიისა თუ რწმენის სწავლებისგან. სწავლების პროცესში ყოველთვის გათვალისწინებული უნდა იყოს ამ ,,პრინციპებით'' შეთავაზებული კრიტერიუმები.

,,ტოლედოს სახელმძღვანელო პრინციპები'' რელიგიისა და რწმენის სწავლების შესახებ იყოფა ხუთ თავად:

პირველი თავი უზრუნველყოფს ,,პრინციპების'' არსის, მიზნისა და მოქმედების ფარგლების, აგრეთვე სხვა მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივების გაცნობას, რაც კავშირშია რელიგიისა და რწმენის სწავლებასთან. ეს თავი მიმოიხილავს ეუთო-ს მნიშვნელობას რელიგიისა და რწმენის თავისუფლების ხელშეწყობისა და ეუთოს ფარგლებში სხვადასხვა ფორმის ინსტიტუციური მხარდაჭერის კუთხით მათ შორის, ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრისა და ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა მრჩეველთა საბჭოს ექსპერტების მხრიდან რელიგიის თავისუფლებისა და რწმენის საკითხებში. მოცემულ თავში, ასევე, განსაზღვრულია ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა მრჩეველთა საბჭოს ექსპერტების წვლილი რელიგიისა და რწმენის სწავლების შემოწმებაში რელიგიური თავისუფლებისა და ადამიანთა უფლებების დაცის თვალსაზრისით, რაც ეყრდნობა ეუთოს ვალდებულებებსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს. თავი I, ასევე, განსაზღვრავს პრინციპების მოქმედების ფარგლებს. განათლების ჭრილში ბევრი რელიგიური საკითხი იკვეთება, მრჩეველთა საბჭო კი დარწმუნებულია, რომ თავისი წვლილი ყველაზე ეფექტური მაშინ იქნება, თუ ძალისხმევას რელიგიისა და რწმენის სწავლებისკენ მიმართავს, და არა ყველა იმ საკითხზე, რომლებიც ეხება რელიგიას, რწმენასა და განათლებას ეუთოს წევრ ქვეყნებში.

მეორე თავში განხილულია ადამიანის უფლებების სისტემა და იურიდიული საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს მასწავლებელთა ტრენინგებისას, რელიგიისა და რწმენის შესახებ სწავლების პროგრამის დამუშავებისა და განხორციელებისას, რაც უზრუნველყოფს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებასა და მათ სათანადო პატივისცემას მიმდინარე პროცესში. ამ მიზნით ხდება მშობლის, შვილის და მასწავლებლის უფლებების, ასევე, უმცირესობისა და რელიგიური საზოგადოებების ზოგადი ინტერესების შესწავლა.

მესამე თავი ასახავს რელიგიისა და რწმენის სწავლების პროგრამების მომზადების მეთოდებსა და კონცეფციას. განიხილულია სასწავლო პროგრამების საჭიროება, რათა დაცული იქნეს რამდენიმე პრინციპი: დაიცვას აღიარებული

პროფესიული სტანდარტები; უნდა იყოს ინკლუზიური და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მნიშვნელოვან ისტორიულ და თანამედროვე მოვლენებს, რომლებიც ეხება რელიგიისა და რწმენის საკითხებს; მგრძნობიარე იყოს რეალობის სხვადასხვა ინტერპრეტაციის და მრავალ-პერსპექტიულობის პრინციპის მიმართ; რეაგირება მოახდინოს სხვადასხვა რელიგიურ თუ საერო ადგილობრივ გამოვლინებებზე სკოლებსა და საზოგადოებებში. ასევე, წარმოდგენილია სხვადასხვა სახის სასწავლო გეგმები და პროგრამები რელიგიისა და რწმენის სწავლების შესახებ (მათ შორის, საგნობრივი, ინტეგრირებული და ჯვარედინი სასწავლო პროგრამები), პედაგოგიური მეთოდები (მასწავლებელზე ორიენტირებული და მოსწავლეზე ორიენტირებული).

მეოთხე თავში ყურადღება გამახვილებულია მასწავლებლის განათლების მნიშვნელობაზე, რათა ასწავლოს რელიგიისა და რწმენის საკითხები მათი მაღალი მოთხოვნის გამო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ფარგლებში, რაც მასწავლებლისაგან მოითხოვს ცოდნას, საკითხისადმი სწორ დამოკიდებულებასა და კომპეტენციას. მოცემულია მასწავლებელთა მომზადების კონკრეტული ასპექტები, მათ შორის, წინასწარ მომზადება ან გადამზადება. ასევე, წარმოდგენილია შემაჯამებელი უნარები და ცოდნა, რაც მათ მოეთხოვება რელიგიისა და რწმენის სწავლებისას. აღნიშნულია მასწავლებლის პრეზენტაციის, დახასიათების და შეფასების მნიშვნელობა.

მეხუთე თავში ასახულია ადამიანის უფლებების ზოგადი სისტემის პრაქტიკული გამოყენება რელიგიისა და რწმენის სწავლებისას და აქცენტი გადატანილია ძირითად სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას რელიგიისა და რწმენის სწავლების პროცესში. მოცემულ თავში განხილულია შემდეგი საკითხები: სწავლების ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავება; მზაობა წინასწარგანზრახული პრეტენზიების მიმართ; სახელმწიფო ნეიტრალიტეტი და მონაწილეობაზე უარის თქმის უფლება; რელიგიასა და რწმენასთან დაკავშირებული არსებული და პოტენციური პრობლემების გადაჭრა.

რელიგიისა და რწმენის შესახებ სწავლება შეიძლება ადაპტირებული იქნას ეროვნულ და ადგილობრივ სასკოლო სისტემებსა და ტრადიციებთან. ,,ტოლედოს

სახელმძღვანელო პრინციპები" ეფუძნება შემდეგ საერთო დასკვნებს, რომლებიც მხარდაჭერილია იურისტებისა და პედაგოგთა მიერ მზარდი კონსენსუსით და უნდა გაითვალისწინოს ეუთოს ყველა წევრმა ქვეყანამ რელიგიისა და რწმენის სწავლების სქემების შემუშავებისას.

დასკვნები

1. რელიგიისა და რწმენის შესახებ ცოდნას შეუძლია გააძლიეროს იმის შეცნობა და აღიარება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, პატივი ვცეთ ყველა ადამიანის რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უფლებას, ასევე ხელი შეუწყოს დემოკრატიული მოქალაქეობის დამკვიდრებას, სოციალურ მრავალფეროვნებას და, ამავე დროს, სოციალურ ინტეგრაციის გაზრდას;

2. რელიგიისა და რწმენის შესახებ ცოდნას გააჩნია ღირებული პოტენციალი იმისთვის, რომ შემცირდეს კონფლიქტები, რომლებიც გამოწვეულია სხვისი რწმენის გაგების ნაკლებობით და დიდი პოტენციალი აქვს ასეთი დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად;

3. რელიგიისა და რწმენის შესახებ ცოდნა ხარისხიანი განათლების არსებითი ნაწილია. ის საჭიროა ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების სიღრმისეულად გაგებისათვის და სასარგებლოა პიროვნების კულტურული ჰორიზონტის გაფართოებისა და ცოდნის გაღრმავებისთვის წარსულსა და აწმყოში არსებული სირთულეების შესახებ;

4. რელიგიისა და რწმენის სწავლება განსაკუთრებით ეფექტურია მაშინ, როცა სწავლება შერწყმულია სხვათა უფლებების დაცვისა და პატივისცემის ძალისხმევასთან თუნდაც მაშინ, როდესაც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა რელიგიისა და რწმენის შესახებ. რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უფლება საყოველთაო უფლებაა, რაც წარმოქმნის ვალდებულებას, დაცული იქნეს სხვების უფლებები, ყველა ადამიანის ღირსების პატივისცემის ჩათვლით;

5. პირადი რელიგიური (ან არარელიგიური) რწმენა არ იძლევა საკმარის საფუძველს იმისთვის, რომ პირი არ იქნეს დაშვებული რელიგიისა და რწმენის სწავლების პროცესზე. ამ კუთხით ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია

პროფესიული კომპეტენცია, ასევე, დამოკიდებულება, ზოგადად, ადამიანის უფლებების დაცვისა და, კერძოდ, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების მიმართ;

6. შეიძლება საჭირო გახდეს პოლიტიკის გონივრული ადაპტაცია, განსხვავებული რელიგიური მოთხოვნილებიდან გამომდინარე, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უფლების დარღვევების თავიდან ასაცილებლად მაშინაც კი, როდესაც არსებული კანონმდებლობის მხრივ ამის აუცილებლობა არ არსებობს, მსგავსი ადაპტაცია და მოქნილობა ხელს შეუწყობს შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის კლიმატის დამკვიდრებას;

7. როდესაც სავალდებულო კურსები, რომლებიც მოიცავს რელიგიისა და რწმენის შესახებ სწავლებას, საკმარისად ნეიტრალური და ობიექტურია, მსგავს კურსებში მონაწილეობის მოთხოვნა თავისთავად არ არის რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დარღვევა (თუმცა ამგვარ პირობებში სახელმწიფოებს შეუძლიათ, დაუშვან კურსებზე ნაწილობრივი დასწრება ან სრული არდასწრება).

რეკომენდებულია, რომ ეუთოს წევრმა ქვეყნებმა:

1.,,ტოლედოს სახელმძღვანელო პრინციპები'' გაავრცელონ მასწავლებლებს, სკოლის ადმინისტრაციულ პერსონალს, მოსწავლეთა ასოციაციებს, მშობელთა ორგანიზაციებს, განათლების პოლიტიკის შემქმნელებსა და ყველა მხარეს შორის, რომლებიც შეიძლება დაინტერესდნენ რელიგიებისა და რწმენის სწავლებით და დაეყრდნონ ამ პრინციპებს, როცა შეიმუშავებენ პროგრამებს და განახორციელებენ მსგავს სწავლებას;

2.ამ პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისას გამოიყენონ საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი სტანდარტები და რეკომენდაციები, მათ შორის, ეუთოს ვალდებულებები, როგორც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენაციები №1202 ,,რელიგიური შემწყნარებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში'' (1993წ.), №1396 ,,რელიგია და დემოკრატია'' (1999წ.), და №1720 ,,განათლება და რელიგია''(2005წ.);

3. შეაფასონ საჯარო სკოლებში რელიგიისა და რწმენის სასწავლო პროგრამები; განსაზღვრონ უწყობს თუ არა ხელს რელიგიური თავისუფლების უფლების პატივისცემას და არის თუ არა მიუკერძოებელი, დაბალანსებული, ინკლუზიური,

ასაკთან შესაბამისი, ტენდენციურობისგან თავისუფალი და აკმაყოფილებს თუ არა პროფესიულ სტანდარტებს;

4.შეაფასონ რელიგიისა და რწმენის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესი, რათა დარწმუნდნენ, რომ ეს პროცესი მგრძნობიარეა სხვადასხვა რელიგიისა და რწმენის საზოგადოებების საჭიროების მიმართ და რომ ყველა მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარეს ეძლევა საშუალება, მოუსმინონ;

5. შეამოწმონ, რამდენად შეუძლიათ არსებულ პედაგოგიურ სასწავლებლებს, უზრუნველყონ აუცილებელი პროფესიული მომზადება იმგვარად, რომ რელიგიის და რწმენის სწავლების პროცესმა ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების დაცვას და, კერძოდ, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას;

6.განსაზღვრონ, ცოდნის რა დონეს, ხარისხს უზრუნველყოფენ პედაგოგიური ინსტიტუტები ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, საზოგადოებაში რელიგიური და არარელიგიური მრავალფეროვნების არსებობის პირობებში, სხვადასხვა სასწავლო მეთოდებით (განსაკუთრებით კი რომლებიც დაფუძნებულია კულტურათაშორის მიდგომაზე) და რამდენად ერკვევიან იმ მეთოდების არსში რომელთა მეშვეობითაც მიუკერძოებლად და პროფესიულად შეუძლიათ ასწავლონ რელიგია და რწმენა ურთიერთპატივისცემის პრინციპის დაცვით;

7.ხელი შეუწყონ ორგანიზაციებს, რედაქტორებსა და გამომცემლობებს, რომლებიც გამოსცემენ რელიგიისა და რწმენის სწავლების შესახებ მასალებს, მთელ ამ პროცესს იმგვარად, რომ მათი გამოცემები შეესაბამებოდეს ,,ტოლედოს სახელმძღვანელო პრინციპებს’’;

8.ისარგებლონ რელიგიისა და რწმენის თავისუფლების შესახებ ეუთოს/ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა მრჩეველთა საბჭოს საექსპერტო პოტენციალით რელიგიებისა და რწმენის შესახებ სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელებისას ან როცა აარსებენ ან აფასებენ მასწავლებელთა გადასამზადებელ დაწესებულებებსა და პროგრამებს.

საბოლოო დასკვნებსა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით, განისაზღვრა და შეთავაზებული იქნა შემდეგი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები ეუთოს

წევრი სახელმწიფოებისთვის თავიანთ სკოლებში რელიგიებისა და რწმენის სწავლების ხელშეწყობისთვის.

ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები:

1. რელიგიისა და რწმენის სწავლება უნდა განხორციელდეს კანონიერად, მართებულად და გამჭვირვალედ. მოსწავლეებმა რელიგიისა და რწმენის შესახებ ცოდნა უნდა მიიღონ ადამიანის უფლებების, ფუნდამენტური თავისუფლების და სამოქალაქო ღირებულებების პატივისცემის ატმოსფეროში;

2.მათ, ვინც ასწავლიან რელიგიასა და რწმენას, უნდა ჰქონდეთ აღმსარებლობის თავისუფლების შინაგანი კულტურა, რაც უზრუნველყოფს იმგვარი სასკოლო გარემოსა და პრაქტიკის შექმნას, რაც ხელს უწყობს სხვათა უფლებების დაცვას, ურთიერთ პატივისცემისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას სკოლის, საზოგადოების წევრებს შორის;

3. რელიგიისა და რწმენის სწავლება სკოლებს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს, მაგრამ რა ფორმითაც უნდა მიმდინარეობდეს სწავლება, იგი არ უნდა უგულებელყოფდეს ოჯახისა და რელიგიური ორგანიზაციების როლს მომავალი თაობებისთვის ღირებულებების (ფასეულობების) გადაცემაში;

4. ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული იმისკენ, რომ სხვადასხვა დონეზე შეიქმნას სათათბირო ორგანოები, რომლებიც შეიმუშავებენ კომპლექსურ მიდგომას, რათა დაინტერესებული პირები ჩაერთონ სასწავლო პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და მასწავლებელთა მომზადების პროცესში;

5. როცა სავალდებულო პროგრამა, რომელიც მოიცავს რელიგიისა და რწმენის სწავლებას, არ არის საკმარისად ობიექტური, მაშინ ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული იმისკენ, რომ მოხდეს მისი გადახედვა, რათა იგი უფრო დაბალანსდეს და უფრო მიუკერძოებელი გახდეს. მაგრამ სადაც ეს შეუძლებელია, ან შეუძლებელია მისი დაუყოვნებლივ გადამუშავება, მაშინ მოსწავლეებისა და მშობლებისათვის გამოსავალი შეიძლება იყოს სწავლებაზე უარის თქმა (განთავისუფლება) იმ პირობით, რომ ეს ნაბიჯი არ გამოიწვევს მგრძნობელობის გაზრდასა და დისკრიმინაციას;

6. მასწავლებლები, ვინც ასწავლიან რელიგიასა და რწმენას, აუცილებლად უნდა ფლობდნენ შესაბამის განათლებას, ისეთ ცოდნას, პედაგოგიურ ალღოსა და უნარებს, რომ რელიგიისა და რწმენის სწავლება შეძლონ სამართლიანად და დაბალანსებულად. მხოლოდ თავიანთ საგანში კომპეტენცია საკმარისი არ არის, არამედ აუცილებელია სათანადო პედაგოგიური მიდგომა, რათა შეეძლოთ მოსწავლეებთან ურთიერთობა და დაეხმაროს მათ შორის ურთიერთპატივისცემის გარემოს შექმნას;

7. რელიგიისა და რწმენის სასწავლო გეგმების, სახელმძღვანელოებისა და საგანმანათლებლო მასალების მომზადებისას აუცილებელია რელიგიური და არარელიგიური შეხედულებების გათვალისწინება ინკლუზიური, სამართლიანი და ურთიერთპატივისცემის პრინციპებით. ყურადღება უნდა მიექცეს, რომ არ მოხდეს მცდარი და ტენდენციური მასალის გამოყენება, რასაც შეუძლია, გააძლიეროს ნეგატიური სტერეოტიპები;

8. სასწავლო გეგმები უნდა მომზადდეს აღიარებული პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს დაბალანსებული მიდგომა რელიგიისა და რწმენის სწავლების მიმართ. სასწავლო გეგმების შემუშავება და განხორციელება, ასევე, უნდა მოიცავდეს ღია და სამართლიან პროცედურებს, რაც ყველა დაინტერესებულ მხარეს საშუალებას მისცემს, გამოთქვან რჩევები და შენიშვნები;

9. რელიგიისა და რწმენის თუნდაც სრულყოფილ სასწავლო პროგრამებს ,,ტოლედოს სახელმძღვანელო პრინციპების'' საგანმანათლებლო მიზნებისთვის ხელშეწყობა შეუძლიათ მხოლოდ მაშინ, თუკი მასწავლებლები პროფესიულად იქნებიან მომზადებულები იმისთვის, რომ გამოიყენონ სასწავლო გეგმები და მუდმივად გაიღრმაონ ცოდნა და კომპეტენცია ამ საგანში. მასწავლებლების ნებისმიერი საბაზისო მომზადება უნდა მოხდეს დემოკრატიული და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპების შესაბამისად და საზოგადოებაში არსებული კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნების გათვალისწინებით;

10. სასწავლო პროგრამებში რელიგიისა და რწმენის საკითხებზე, გათვალისწინებული უნდა იყოს მნიშვნელოვანი ისტორიული და თანამედროვე

მოვლენები, რომლებიც ეხება ამ სფეროს და უნდა ასახავდეს გლობალურ და ადგილობრივ საკითხებს. ისინი მგრძნობიარე უნდა იყოს სხვადასხვა ადგილობრივი რელიგიური და სეკულარული გამოვლინებების მიმართ, რომლებიც არსებობს სკოლებსა და საზოგადოებაში. ასეთი სენსიტიურობა ხელს შეუწყობს სტუდენტების, მშობლებისა და სხვა დაინტერესებული პირების პრობლემების გათვალისწინებას განათლების სფეროში.

ავტორის სტილი დაცულია

III თავი

რელიგიასთან დაკავშირებული საგნების სწავლების საკითხი და შესაბამისი ანალიზი

სკოლებში რელიგიასთან დაკავშირებული საგნების სწავლების მიზეზები

ლინდა კ. ვერთაიმერის[244] მოსაზრებათა ანალიზი

ბევრი ადამიანი რელიგიას, როგორც ტაბუდადებულ საკითხს უყურებს - ისინი არ ემხრობიან ამერიკის საჯარო სკოლებში რელიგიის სწავლებას. 2010 წლის გამოკითხვის შედეგების თანახმად, რომელიც Pew Research Center-მა ჩაატარა, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ფიქრობდა, რომ მასწავლებლებს კლასში რელიგიების სწავლება ეკრძალებოდა და მხოლოდ 36%-ს მიაჩნდა, რომ კლასისთვის რელიგიის სწავლების შეთავაზება იურიდიულად გამართლებულია.

ამერიკელთა უმეტესობამ იცის, რომ 1963 წლის უზენაესი სასამართლოს დადგენილებამ მასწავლებლებს კლასში ლოცვის ჩატარება აუკრძალა. მაგრამ აქ მხედველობიდან გამორჩებათ დადგენილების დანარჩენი ნაწილი, რომელიც ხასგასმით აღნიშნავს, რომ მასწავლებლებს რელიგიის შესახებ აკადემიური სწავლების უფლება აქვთ.

უკვე ათ წელზე მეტია, რაც შტატების უმეტესობა მოითხოვს რელიგიის სწავლებას სოციალური საგნებისა და გეოგრაფიული სტანდარტის ნაწილის სახით. თუმცა, ზემოთ აღნიშნული მაგალითები იშვიათად გვხვდება. სკოლები, როგორც წესი, რელიგიის შესახებ ასწავლიან მოკლედ, საშუალო კლასების სოციალური საგნების პროგრამაში.

გთავაზობთ შვიდ მიზეზს იმისა, რომ რელიგიის სწავლება სკოლებში დაწყებითი კლასებიდან დაიწყოს და უფრო ღრმა ხასიათს ატარებდეს:

1. რელიგიური განსხვავების გამო დაცინვა საბავშვო ბაღიდან იწყება.

უამრავი ფაქტია ქვეყნის მასშტაბით, თუ როგორ ჩაგრავენ ბავშვებს მათი სარწმუნოების გამო. მაგ. პატარა სიქჰი ბიჭი ამბავი, თუ როგორ დაუხიეს

[244] -ავტორი წიგნისა „რელიგიის სწავლება არაშემწყნარებლურ ეპოქაში“ (Linda K. Wertheimer, “Teaching about Religion in an Age of Intolerance”) -მწერალი, პუბლიცისტი-წერს რელიგიის, განათლების და სხვ. მომიჯნავე სფეროებზე

თანატოლებმა საბავშვო ბაღში პატკა (რელიგიური თავსაბურავი). მეოთხე კლასელი მუსლიმი ბიჭი იდგა გასახდელში და კლასელმა უთხრა, „ჯიბეში ბომბი ხომ არ გიდევს?“.

საშუალო კლასების იუდეველი მოსწავლეები ყვებიან, თუ როგორ ესროდნენ მათ თანატოლები ხურდა ფულს, რითიც დასცინოდნენ მათ ებრაელების ფულის მიმართ დამოკიდებულებასთან დაკავშირებულის სტერეოტიპების გამო. უფროს კლასელი გოგონა ყვება, რომ თანატოლებმა კითხეს მას - ის და მისი ოჯახი სექტას ხომ არ განეკუთვნებოდნენ, რადგან ისინი იეჰოვას მოწმეები არიან.

2. რელიგია თამაშობს როლს ისტორიაში, ლიტერატურასა და მიმდინარე მოვლენებში

რთული იქნებოდა ნათანიელ ჰავთორნის *მეწამული წერილის* სწავლება პურიტანელებზე საუბრის გარეშე ან ელი ვიზელის *ღამის* განხილვა იუდაიზმისა და ჰოლოკოსტის შესახებ სწავლების გარეშე. სხვადასხვა რელიგიებსა ან ერთი რელიგიის მიმდინარეობებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის შესახებ ახალ ამბებში გვესმის. როგორ შეიძლება გავიგოთ, თუ რახდება მსოფლიოში რელიგიის შესახებ ელემენტარული ცოდნის გარეშე?

3. შეერთებული შტატების რელიგიური სტრუქტურა იცვლება

Pew-ს მიერ წელს ჩატარებული დემოგრაფიული კვლევის თანახმად 2007-2014 წლებში მოსახლეობის ქრისტიანულმა წილმა კლება განიცადა 81%-დან 71%-მდე, ხოლო სხვა სარწმუნოების წარმომადგენლების ან მათმა რიცხვმა, ვინც თავს არც ერთ რელიგიას არ განუკუთვნებს - იმატა. ყველაზე მეტად მუსლიმებისა და ინდუისტების რიცხვი იზრდება. ბავშვებმა უნდა ისწავლონ თავის ქვეყანაში მზარდი რელიგიური მრავალფეროვნების შესახებ.

4. ამერიკელები საშინელ უმეცრებას ამჟღავნებენ რელიგიასთან დაკავშირებით

ბევრი მოსწავლე საშუალო ან უფროს კლასებში ისე გადადის, რომ არ იცის, რომ კათოლიკებიც ქრისტიანები არიან. უფრო ფართო მასშტაბით, Pew-ის მიერ 2010 წელს ჩატარებული კვლევა შეერთებულ შტატებში რელიგიურ ცოდნასთან დაკავშირებით აჩვენებს, რომ მსოფლიო რელიგიების შესახებ გამოკითხვაში ზრდასრულებმა ცუდი შედეგები აჩვენეს. უმეტესობამ არ იცოდა, რომ პარასკევს საღამოს იუდეველური

შაბათი იწყება ან რომ დალაი ლამა ბუდისტია. ამერიკელების ნახევარზე მეტმა იცის, რომ ყურანი მუსლიმების წმინდა წიგნია, მაგრამ მესამედზე ნაკლებს შეუძლია პასუხის გაცემა შემდეგ კითხვაზე: რომელ რელიგიას მისდევს ინდონეზიის მოსახლეობის უმეტესობა? პასუხია: ისლამი.

5. სკოლებს უკეთ უნდა ესმოდეთ განსხვავება დღესასწაულსა და განათლებას შორის.

ზოგიერთი სკოლა შობის აღნიშვნის ძველ ტრადიციას მისდევს - ისინი მართავენ საშობაო კონცერტებს, სადაც რელიგიური მუსიკა ჟღერს, საკლასო ოთახების კარებზე საშობაო დეკორაციებს აკრავენ. მოდესტოში, სავალდებულო მსოფლიო რელიგიების კურსის პირველმა მასწავლებლებმა, პირველი შესწორების ცენტრის ტრენინგი გაიარეს - მრავალი მათგანი თავიანთ სკოლებში პირველი შეწორების განხორციელების მომხრედ მიიჩნევს თავს.

მასწავლებლების ნაწილი კონფლიქტში აღმოჩნდა სკოლის ადმინისტრაციასთან, რომელიც სკოლის საშობაო კარავში „ბედნიერი შობის“ პოსტერებს განათავსებდა. მასწავლებლებმა იჩივლეს და სკოლამ პასუხად ოფისში გააკრა წარწერა „ბედნიერი ჰანუქა“, მაგრამ „ბედნიერი შობა“ მაინც დატოვა კარავზე. მასწავლებლებმა სკოლის ადმისტრაციას შეახსენეს, თუ რას ამბობდა მათი წესდება - მასწავლებლებს არ აქვთ უფლება უპირატესობა მიანიჭონ ამა თუ იმ სარწმუნოებას.

6. მსოფლიო რელიგიების შესახებ ბავშვებსაც შეიძლება ვასწავლოთ მარტივი მეთოდებით

მასაჩუსეტსის შტატის ქალაქებში - ვიჩიტასა და მოლდენში ასწავლიან მასწავლებლები 6-7 წლის მოსწავლეებს რელიგიის შესახებ სიმღერების, ხელოვნების, საკითხავების და სხვა ღონისძიებების მეშვეობით. მხოლოდ ერთ გაკვეთილში ბავშვებმა ყველა რელიგიის სიმბოლო ისწავლეს.

7. სკოლებს შეუძლიათ ეფექტური პრაქტიკის დანერგვა, რათა რელიგიის სწავლება წარმატებული გახდეს

საშუალო და უფროსი კლასების მსოფლიო ისტორიის მასწავლებლები კოლეჯში სწავლისას რელიგიას სწავლობენ ისტორიის შემადგენელი ნაწილის სახით. დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის კი ვითარება უფრო რთულად

გამოიყურება - რადგან მათი რელიგიური განათლება დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი კოლეჯი აქვთ დამთავრებული. მასწავლებს საჯარო სკოლაში რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით შეუძლიათ ინსტრუქციების მიღება პირველი შესწორების ცენტრსა და ამერიკის რელიგიის აკადემიაში. ზოგიერთი უნივერსიტეტი და ორგანიზაცია საგანმანათლებლო პროგრამებსა და კურსებს სთავაზობს - ველესლის, მოდესტოსა და ქორ ნოულეჯის სკოლები კი ამ კუთხით სანიმუშო სკოლებს წარმოადგენენ.

ადამ ბლუმერის მოსაზრებათა ანალიზი

ადამ ბლუმერმა, ველესლის საშუალო სკოლის სოციალური საგნების დეპარტამენტის უფროსმა, იცოდა, რომ რელიგიის სწავლება ქვეყნის ყველაზე სეკულარული შტატის ლიბერალურ ქალაქშიც კი წინააღმდეგობრივი იქნებოდა. ადამმა წერილი დაწერა და რელიგიის კურსის დაწყებამდე მასწავლებლებს წერილის მშობლებისთვის გადაცემა დააბარა.

წერილში ადამი ორ საკითხს შეეხო: „რატომ უნდა ისწავლებოდეს რელიგია?“, „რატომ უნდა ისწავლებოდეს რელიგია საშუალო სკოლაში?“ მან რამოდენიმე მიზეზი დაასახელა, მათ შორის რელიგიის როლი კულტურაში და რელიგიის მცდელობა - ახსნას აუხსნელი, ასევე, სასკოლო სისტემის მიზანი - ვასწავლოთ მოსწავლეებს მრავალფეროვნებისადმი პატივისცემა. და რატომ საშუალო სკოლა? - იმიტომ რომ ბავშვები ზუსტად ამ ასაკში ცდილობენ გაერკვიონ ისეთ საკითხებში, რომლებსაც რელიგია განიხილავს: „ვინ ვარ მე? რატომ ვარ უნიკალური? ჩემი ადგილი საზოგადოებაში; როგორ იქცევიან კეთილი ადამიანები? რა არის ცუდი? რატომ ხდება, ერთი შეხედვით, აუხსნელი მოვლენები?“

რატომ უნდა ისწავლებოდეს რელიგია უფრო ინტენსიურად საჯარო სკოლაში? - იმიტომ რომ რელიგია ადგილს იმკვიდრებს ამერიკისა და მსოფლიოს ცხოვრებაში, მიუხედავად იმისა, მიაკუთვნებს თუ არა თავს ესა თუ ის ადამიანი რომელიმე სარწმონოებას.

ოთხი მიზეზი, თუ რატომ უნდა ისწავლებოდეს რელიგია სკოლაში

ენტონი ჯექსონის, მარკ ფოულერის და მარისა ფაშიანოს მოსაზრებათა ანალიზი - 2014 წ.

სხვადასხვა ადამიანების, კულტურების და ფილოსოფიური მიმართულებების მსოფლმხედველობის გააზრება მნიშვნელოვან უნარს წარმოადგენს, რომელსაც ყველა მოსწავლე უნდა ფლობდეს.

მასწავლებლები, სხვადასხვა გასაგები მიზეზების გამო, ერიდებიან კლასში რელიგიის თემის წამოჭრას; მათ არ სურთ, რომ აწყენინონ მოსწავლეს, მცდარად განმარტონ ტრადიცია ან რომელიმე სარწმუნოებას მიანიჭონ უპირატესობა. თუ კარგად არ იცნობთ სკოლაში რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებულ იურიდიულ ნორმებს, მაშინ ეკლესიისა და სახელმწიფოს გაყოფის პრინციპს პირდაპირი მნიშვნელობით გაიგებთ და საერთოდ აარიდებთ თავს აღნიშნულ საკითხს.

აღნიშნული პრობლემის მოგვარება არსებითად მნიშვნელოვანია შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნისათვის, რომელიც მოსწავლეებს მრავალფეროვანი სამყაროსთვის მოამზადებს. რელიგიის *შესახებ* მიუკერძოებლად და აკადემიურად სწავლება არა მხოლოდ იურიდიულად არის გამართლებული, არამედ მასწავლებლები ამაზე პასუხისმგებელნიც კი არიან. აღნიშნულის ოთხ მიზეზს შემოგთავაზებთ:

1. რელიგიურად მოტივირებული სიძულვილის დანაშაულის რიცხვი მატულობს

შეერთებული შტატების იუსტიცის დეპატამენტის სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის გამოძიების ანგარიშის თანახმად 2012 (28%) წელს რელიგიური შუღლის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა თითქმის სამჯერ მაღალი იყო 2004 (10%) წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. სუძულვილის ნიადაგზე დანაშაულს, ხშირს შემთხვევაში, სკოლის ასაკის მოზარდები სჩადიან: 2012 წელს, ყოველი მეხუთე დამნაშავე 18 წლამდე ასაკის იყო. მოსწავლეებისათვის განსხვავებული რწმენის მქონე ადამიანებისათვის პატივისცემის სწავლებით ჩვენ შევძლებს ამ საგანგაშო სტატისტიკასთან ბრძოლას და უსაფრთხო მსოფლიოს ჩამოყალიბებაში წვლილს შევიტანთ.

2. მოსწავლეთა კონტინგენტი მრავალფეროვანია

1970 წელს შეერთებული შტატების მოსახლეობის მხოლოდ 5%-ზე მეტი წარმოადგენდა უცხოეთში დაბადებულ პირს; მათი უმეტესობა ქრისტიან ევროპელებს წარმოადგენდა, რომელთა კულტურული და რელიგიური ტრადიციები

ადვილად ადაპტირდებოდა. 2010 წლისთვის საზღვარგარეთ დაბადებული მოსახლეობის რაოდენობა გასამმაგდა, ლათინური (54%) და აზიური (28%) წარმოშობის მოსახლეობამ კი რაოდენობით ევროპული (13%) წარმოშობის მოსახლეობას მნიშვნელოვნად გაუსწრო.

მასწავლებლებმა ყველა მოსწავლეს უნდა მისცენ შესაძლებობა, რომ მათ თავიანთი უნიკალური იდენტურობა გამოამჟღავნონ და განსხვავებული რელიგიისა და თუ ტრადიციების მქონე მოსწავლეებმა სასწავლო გარემოში ინტეგრირებულად იგრძნონ თავი; როდესაც მათი თანაკლასელები ინფორმირებულნი იქნებიან ამ განსხვავებულობის შესახებ, გარიყულობა და ჩაგვრა იკლებს.

3. რელიგიური განსწავლულობა ყოველმხრივი განათლებულობის საწინდარია

იმისათვის, რომ მოსწავლეები მსოფლიოს კომპეტენტურ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ, საჭიროა, რომ მათ კარგად ესმოდეთ რელიგიის ღრმა გავლენა ისტორიაზე, პოლიტიკაზე, საზოგადოებასა და კულტურაზე. მოსწავლეებმა ძირითადი რელიგიური ფაქტები და პრინციპები უნდა იცოდნენ და გააცნობიერონ ის მრავალფეროვნება, რომელიც ამა თუ იმ რელიგიური სისტემის შიგნით არსებობს. ძირითადი რელიგიური ტექსტების ზოგადი ცოდნაც ძალიან მნიშვნელოვანია და ამგვარი ტექსტების საჯარო სკოლაში სწავლება იურიდიულად გამართლებულია იმდენად, რამდენაც აღნიშნულის მიზანი საგანმანათლებლოა და არა პიროვნული. მაგალითად, ბიბლია შეიძლება ისწავლებოდეს ლიტერატურის სახით, რომელმაც მრავალ კლასიკურ ნაწარმოებზე მოახდინა გავლენა.

4. პირველი შესწორების თანახმად მოსწავლეებს სკოლაში რელიგიური გრძნობების გამოხატვის უფლება აქვთ

შეერთებული შტატების კონსტიტუცია შეიცავს ორ მუხლს, რომლებიც რელიგიურ მუხლებად არიან ცნობილნი; მუხლები რელიგიასა და საჯარო სკოლებს შორის ურთიერთობას არეგულირებენ.

პუნქტი, რომელიც კონგრესს სახელმწიფო რელიგიის დაწესების კანონების მიღებას უკრძალავს (დაწესების მუხლი): „კონგრესს არ აქვს უფლება დააკანონოს სახელმწიფო რელიგია...“

გამოხატვის თავისუფლების მული: „...ან აკრძალოს რელიგიის გამოხატვა“.

საჯარო სკოლების მასწავლებლები და ადმინისტრაციის თანამშრომლები, როგორც საჯარო მოხელეები, დაწესების მუხლს ემორჩილებიან და ამგვარად, თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას რელიგიის მიმართ ნეიტრალურნი უნდა იყვნენ. დაწესების მუხლი სკოლის თანამშრომლებს უკრძალავს

- ლოცვის დავალდებულებას ან ორგანიზებას
- მოსწავლეთა თანდასწრებით ლოცვას
- მოსწავლეებისთვის კონკრეტული რელიგიური მოძღვრების სწავლებას
- რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნას
- სკოლის ტერიტორიაზე რელიგიური სიმბოლოების აღმართვას
- რელიგიური ლიტერატურის გავრცელებას ქადაგების მიზნით ან
- რელიგიურობის არარელიგიურობაზე ან პირიქით უპირატესობის გამოვლენას

გამოხატვის თავისუფლების მუხლი, მეორეს მხრივ, ამტკიცებს, რომ საჯარო სკოლებში გარკვეული რელიგიური აქტივობა დაცულია. თუ მოსწავლეები თავისი თანატოლების უფლებებს არ არღვევენ, მაშინ მათ აქვთ უფლება

- ილოცონ კერძოდ სასწავლო დღის მანძილზე
- გამოხატონ თავიანთი რელიგიური გრძნობები საშინაო დავალებაში, ხელოვნებაში ან სხვა რომელიმე ზეპირ თუ წერილობით აქტივობაში, რომელიც საგანმანათლებლო მიზნებს შეესაბამება და
- რელიგიური მიზეზების გამო თავი აარიდონ გარკვეულ საკლასო განხილვებსა და ღონისძიებებს

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დირექტივები ცხადი და ცალსახა ჩანს, მათი რეალურ ცხოვრებაში გადმოღება ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და სასამართლო გადაწყვეტილებასაც კი მოითხოვს. მასწავლებლებისთვის შეიძლება რთული არმოჩნდეს წონასწორობის დაცვა დაწესების მუხლს, მოსწავლეებისთვის რელიგიის თავზე მოხვევისგან დაცვის სურვილსა და თავისუფალ გამოხატვას შორის. აღნიშნული გამოწვევისათვის უკეთ რომ მოემზადონ, მასწავლებლებმა სკოლებში უნდა შექმნან პირობები, რომლებიც რელიგიურ საკითხებზე რეგულარული და სენსიტიური კომუნიკაციის საშუალებას მისცემენ. ამგვარად, თუ

რელიგიური დაძაბულობა წარმოიქმნება, მისი მოხსნა უფრო ეფექტურად იქნება შესაძლებელი.

დოქტორი ჯეიმს ბენქსი, სოციოლოგიისა და მულტიკულტურული განათლების ცნობილი ექსპერტის კვლევების ანალიზი კი შემდეგია : „მსოფლიოში ყველაზე დიდი პრობლემები წერა-კითხვის უცოდინრობისგან არ წარმოიქმნება. პრობლემების მიზეზია სხვადასხვა კულტურების, რასების, რელიგიებისა და ერების ერთმანეთის გაუტანლობა - მათ არ გააჩნიათ უნარი, ერთად გადაწყვიტონ მსოფლიოს ყველაზე საჭირბოროტო პრობლემები“. თუ მასწავლებლები რელიგიის გარშემო წარმოქმნილი შფოთს სწავლების გონივრული სტრატეგიით ჩანაცვლებენ, ამით უკეთესი მსოფლიოსკენ გადადგამენ ნაბიჯს.

ინტერვიუების ანალიზი „რელიგიის სწავლების“ საჭიროებისა და აუცილებლობის შესახებ საჯარო სკოლებში“

(მიტროპოლიტი იოანე გამრეკელი, ლევან ბუკია)

რელიგია ცხადდება ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების წესში. საზოგადოების არც თანამედროვე მდგომარეობის და არც მომავლის განჭვრეტაა შესაძლებელი რელიგიასთან კავშირის გარეშე. თუკი მივიჩნევთ, რომ რელიგია და რელიგიურობა არის უმთავრესი განმსაზღვრელი ნიშანი ადამიანთა ცხოვრებისა, მაშინ ის აუცილებლად საჭიროდ, უნდა იმყოფებოდეს აღზრდის ცენტრში. ამ საკითხზე მსჯელობისას ეკლესიის პასუხი იყო და არის შემდეგი:

საჭიროა რელიგიის გაკვეთილები მოსწავლეთათვის, რადგანაც აქ მოსწავლეები იძენენ ცოდნას ისეთ ღირებულებებზე, ეთიკურ საწყისებზე, ზნეობრივ ნორმებზე, რომლებიც არ ისწავლება სხვა გაკვეთილებზე და რომლებიც ცხადიამნიშვნელოვანია მოზარდის მართებულად ჩამოყალიბებისათვის.

თუკი მოზარდს რომელიმე რელიგია აკავშირებს ადგილობრივ კულტურასთან მაშინ, სკოლაში აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს რელიგია, სადაც კულტურის უმთავრესი ელემენტები იყრის თავს. თუკი სწავლა-აღზრდის მიზანია მშვიდობისა და ტოლერანტობისათვის მებრძოლი მომავლის აღზრდა, მაშინ მოზარდებმა აუცილებლად უნდა მიიღონ ცოდნა სხვადასხვა რელიგიაზე, რაც არის წინაპირობა განსხვავებულის გაგებისათვის. უმთავრესი რელიგიური ძეგლების გაცნობით მათ მიეცემათ საშუალება, უკეთ გაიგონ რელიგიის საზოგადოებრივი როლის შესახებ. მართლაც შეუძლებელია ადამიანი განათლებულად იწოდებოდეს თუკი „არა აქვს ცოდნა იმ როლზე, რომელიც რელიგიამ შეასრულა კულტურის ჩამოყალიბებაში.“

რთულია ბავშვის ფენომენი და უფრო რთულია მასთან პედაგოგიური გამკლავება. ყველა მათგანს აქვს რელიგიურობის ინდივიდუალური გამოცდილება. ბავშვი არის აღვსილი კითხვებით ღმერთზე. ყოველი ბავშვი არის „თეოლოგი“, რელიგიური კითხვებით და საკუთარი პასუხებით. არ გავქვს უფლება ირონიულად შევხვდეთ მათ მოსაზრებებსა და შევზღუდოთ ამ კითხვებში, თუკი სკოლას სურს, რომ დარჩეს როგორც ადგილი სადაც მიდის ღრმა

ფსიქოლოგიურ–ანალიტიკური მუშაობა. დღეს როდესაც არის საშიშროება, რომ „ბავშვის ბავშვური ასაკი გაქრეს“ რელიგიური განათლება ვალდებულია, დაეხმაროს მოზარდს ბავშვური ფსიქიკის შენარჩუნებაში. პრობლემა მათი რელიგიური დატვირთვა კი არ გახლავთ, არამედ რელიგიურ გამოცდილებისა და რელიგიური აღზრდის არ ქონა.

სკოლა ვალდებულია მისცეს ბავშვს რელიგიური აღზრდა, რადგანაც ის საჭიროა მისი პიროვნულიზრდისკენ, მისი მომწიფებისათვის, მისი ეთიკური და საზოგადოებრივი განვითარებისათვის. იმისათვის, რომ ცხოვრების აზრი შეიცნოს, მოემზადოს იმ გამოწვევების დასაძლევად რასაც მას დრო და ეპოქა შესთავაზებს და დაიმკვიდროსადგილი საზოგადოებაში. ეს ისეთი აღზრდაა სადაც ბავშვი აღმოაჩენს რელიგიას და მას არ გააიგივებს სიბნელესთან და კონსერვატიზმთან.დაუშვებელია სკოლა იყოს რელიგიური ცოდნის იძულებით გადაცემის ადგილი.

რელიგიის გაკვეთილზე მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ არა რელიგიურობის ძალით თავსმოხვევა, არამედ რელიგიური განათლება. მოზარდი უნდა გაეცნოს ადგილობრივ რელიგიურ ტრადიციებს, სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობებს, რაც მისცემს საშუალებას აწარმოოს დიალოგი საკუთარ თავთან. დღეს როდესაც მოზარდებს უწევთ მრავალფეროვან და მულტირელიგიურ გარემოებებში ცხოვრება, სწორედ რელიგიური აღზრდა–განათლება ამზადებს მას იმისათვის, რომ გაუმკლავდეს თანამედროვეობის პრობლემებს, ამასთან ჰქონდეს ღიაობა და კრიტიკული აზროვნება.

რელიგიის გაკვეთილის მიზანია:

- სარწმუნოებრივ ჭეშმარიტებათა სწავლება,
- რწმენის თეოლოგიურ-მეცნიერული ანალიზი (რეფლექსია),
- საკუთარი რელიგიურობისათვის შესაძლებლობების მიცემა (განცდა),
- ინფორმაციები მსოფლიო რელიგიებისა და აღმსარებლობების შესახებ,
- მორალური და რელიგიური შეხედულებების სწავლება და გათავისება,
- სწავლება იმისა, რომ მოზარდი ცნობიერად ჩაერთოს აქციებში მსოფლიოს გაუმჯობესებისათვის (მორალი, ეთიკა, ეკოლოგია. . .).

რწმენა არა თუ კეტავს ადამიანის განვითარების ჰორიზონტს, არამედ ის აღებს ჭეშმარიტად მის გონებას და ფიქრობს და განსჯის სისტემატიურად. „არ მწამს“ ჩვეულებრივ ნიშნავს, რომ არ შემიძლია, რომ ვირწმუნო, არ ვეძებ არაფერს სარგებლის გარდა, არ მაქვს იმედი.

რელიგიის როგორც საგნის სწავლებასთან დაკავშირებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მასწავლებლის საკითხი.

ვინ უნდა იყოს ის ვინც ასწავლოს რელიგიას? მასწავლებელი, რომელსაც საკუთარი სარწმუნოებრივი პოზიცია არ გააჩნია, ვერ შეძლებს მოსწავლეებისათვის იმის მიცემას, რაც მას ამ სფეროში ევალება. რელიგიის მასწავლებლისათვის შესაბამისი განათლების მისაცემად საჭიროა, შეიქმნას შესაბამისი მიმართულება- რელიგიის პედაგოგიკა, სადაც თეოლოგიასთან ერთად ჯეროვანი ადგილი დაეთმობა ანთროპოლოგიურ, სოციოლოგიურ და განათლებისა და დიდაქტიკის საგნებს. ამისათვის საჭიროა როგორც ეკლესიის, ასევე სახელმწიფოს ძალისხმევა. მასწავლებლებს, საკვალიფიკაციო
სემინარებზე უნდა განემარტოთ რელიგიის სწავლების მნიშვნელობა და მათთან ერთ ად უნდაშემუშავდეს სწავლების ფორმა. უპირველესად ყურადღება უნდა გამახვილდეს რელიგიის სწავლების დასაბუთებაზე და მის მიზანმიმართულებებზე, მასწავლებლის მოსწავლისადმი სწორ დამოკიდებულებაზე, რელიგიის სწავლების მრავალმხრივობაზე. ასევე საჭიროა მშობლებმა გააცნობიერონ რელიგიის სწავლების საჭიროება. რელიგიის გაკვეთილი ვერ მოუხსნის მშობლებს შვილის
რელიგიურად აღზრდის მოვალეობას.

ისეთი სიტუაციები, როგორიცაა დაბადება, გარდაცვალება, იმედი, სიყვარული, მეგობრობა, შიში, ბედნიერება, დანაშაული, მიტევება, ტანჯვა, შემთხვევითობა, ნდობა, პასუხისმგებლობა, ზრუნვა, მარცხი, ექსტაზი, ხიბლი, ზეიმი ადამიანისათვის გარკვეული სახის გამოწვევაა, რომელიც მას მოვალეობებს აკისრებს. თუკი სკოლას ადამიანის ყოველმხრივ განვითარება სურს, მან მოსწავლეს ყოველი უმნიშვნელოვანესი ადამიანური გამოცდილების შესახებ უნდა ასწავლოს მსჯელობა. სასკოლოსახელმძღვანელოები და მასაწავლებელი უნდა იყოს ის, რომელ იც მიაწოდებს ელემენტებსმსჯელობისთვის, იმისათვის რომ ნათლად გაიგონ ვინ რას

ამბობს. სახელმძღვანელო უნდა იყოს საწყისი დიალოგისთვის. არ უნდა შეიცავდეს ქადაგებისა და სხვისი კულტურის დაკნინების ელემენტს.

ეთიკის ჩამოშორება ეკლესიისგან და მისი ავტონომიურად ჩამოყალიბება დასავლეთის საეკლესიო განხეთქილების შედეგია. ქრისტიანული ეთიკა ეს არის შედეგი „საერთო“ რწმენისა, რომელიც აღსრულდება ეკლესიაში. მისი გამოცდილების გარეშე შეუძლებელია ვინმემ შეძლოს ეთიკური რჩევებისა თუ მითითებების ცხოვრებაში განხორციელება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეთიკა ეს არ არის რაღაც ავტონომიური რამ ქრისტიანობაში, სადაც საზოგადოების ეთიკურ მისწრაფებებს თავისთავად კი არა აქვთ ღირსება, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ემთხვევა ქრისტიანული ცხოვრების წესს და მისი გამოვლინება ხდება საქმეებით.

თუკი ძალაშია მოსაზრება, რომ ეკოლოგიური კრიზისის საფუძველი საძიებელი ა რელიგიურობაში,მაშინ ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება შეუძლებელია არსე ბითად მოხდეს რელიგიის გარეშე.რელიგიის გაკვეთილი შეიძლება იყოს უპირველესი გაკვეთილი ეკოლოგიურ პასუხისმგებლობაზე. ამისათვის საჭიროა მოსწავლეს გაკვეთილზე განემარტოს ევქარისტიული კავშირი ბუნებასთან, რომელიც წარმოადგენს დიდი იმედს ამ ეკოლოგიური კრიზისიდან გამოსვლისათვის. კულტურა პიროვნებისა მოიცავს, გამოხატავს თეოლოგიურ ეკოლოგიას და ამიტომაც აუცილებელია სასკოლო რელიგიურ აღზრდა.

ეკლესია საუკუნეების მანძილზე იყო და არის უმთავრესი საშუალება და გზა ადამიანის აღზრდისა. დღევანდელი კრიზისი სისტემებისა, მიმართულია ახალგაზრდის სულისათვის იაფფასიანი, მომხმარებლური სიკეთეების შემოთავაზებებით, რითაც ახალგაზრდებს უბიძგებენ და მიმართავენ იმედგაცრუებისაკენ. ეკლესია, თავისი წმინდა მსახურებით ცდილობს და იღვწის, რომ შექმნას ადამიანთა სულებში ღიაობის ატმოსფერო და ცდილობს მორწმუნეებს გადასცეს გამომხსნელობითი უწყება. ამდენად საზოგადოებაში ეკლესია დაკავებულია და ახორციელებს, თავისი მადლით, მაღალ აღმზდრელობით გავლენას მორწმუნეთა სულებზე.

და ბოლოს **დასკვნის** სახით, თუკი რელიგიის გაკვეთილები ორგანიზებული იქნება და ისწავლება სწორად, შეიძლება მოგვცეს დადებითი შედეგები:

▪ შემოგვთავაზოს სწავლება ზოგადად ადამიანური ფენომენის შესახებ;

▪ ასწავლოს მოსწავლეს, რომ არ გაუიგივოს რელიგია კონსერვატიზმს და სიბნელეს;

▪ დაეხმაროს მოსწავლეს, რომ გაუმკლავდეს თანამედროვე, ფსევდო რელიგიურ აზროვნებას, გაარჩიოს ჭეშმარიტი რწმენა რელიგიური ფანატიზმისგან;

▪ უბიძგოს მოსწავლეს, სხვადასხვა რელიგიური რწმენის შესახებ სწავლის შემდეგ, პატივისცემა გამოავლინოს „განსხვავებულის“ მიმართ, ჰქონდეს მზაობა კულტურათა შორისი დიალოგისათვის;

▪ მოამზადოს ახალგაზრდობა ისეთი დიდი სოციალური, საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებისთვის, როგორიცაა სოციალური უსამართლობა, ეკოლოგიური კრიზისი, ომი;

▪ ხელი შეუწყოს ახალგაზრდებში იყოს მზაობა ადამიანის უფლებებზე ზრუნვისა და დაცვისათვის;

დაეხმაროს მოსწავლედა ბოლოს დასკვნის სახით, თუკი რელიგიის გაკვეთილები ორგანიზებული იქნება და ისწავლება სწორად, შეიძლება მოგვცეს დადებითი შედეგები:

▪ შემოგვთავაზოს სწავლება ზოგადად ადამიანური ფენომენის შესახებ;

▪ ასწავლოს მოსწავლეს, რომ არ გაუიგივოს რელიგია კონსერვატიზმს და სიბნელეს;

▪ დაეხმაროს მოსწავლეს, რომ გაუმკლავდეს თანამედროვე, ფსევდო რელიგიურ აზროვნებას, გაარჩიოს ჭეშმარიტი რწმენა რელიგიური ფანატიზმისგან;

▪ უბიძგოს მოსწავლეს, სხვადასხვა რელიგიური რწმენის შესახებ სწავლის შემდეგ, პატივისცემა გამოავლინოს „განსხვავებულის“ მიმართ, ჰქონდეს მზაობა კულტურათა შორისი დიალოგისათვის;

▪ მოამზადოს ახალგაზრდობა ისეთი დიდი სოციალური, საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებისთვის, როგორიცაა სოციალური უსამართლობა, ეკოლოგიური კრიზისი, ომი;

▪ ხელი შეუწყოს ახალგაზრდებში იყოს მზაობა ადამიანის უფლებებზე ზრუნვისა და დაცვისათვის;

▪ დაეხმაროს მოსწავლეებს, რომ განვითარდნენ და განავითარონ გზა პიროვნული სრულყოფისაკენ;

▪ დაეხმაროს მოსწავლეებს და ახალგაზრდებს ჰქონდეთ კრიტიკული აზრი და მიმართოს ისინი ფილოსოფიური-ანალიტიკური აზროვნებისკენ, კრიტიკულ კითხვებზე საფიქრელად, რომელიც შეეხება ადამიანურ არსებობას;

▪ ასწავლოს მოსწავლეებს რომ არ დაემონონ დამმონებელ მექანიზმებს თანამედროვე საზოგადოებაში.

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მოსაზრება აღნიშნულ საკითხზე - ვასწავლოთ თუ არა საქართველოს ეკლესიის ისტორია სკოლაში

უცხოეთში გასული ქართველობა ხდება მრევლი არაქართული ეკლესიებისა. ქართველობა არ ქმნის ეროვნულ-სარწმუნოებრივ სამრევლოებს, ეროვნულ ეკლესიებს, ეს მაშინ, როცა თითქმის ყველა მართლმადიდებელ ერს უცხოეთში საეპისკოპოსოებიც გააჩნიათ მსოფლიოს თითქმის ყველა დიდ ქალაქში. მაგალითად, ნიუ-იორკში რეზიდენცია აქვს მართლმადიდებელი და "აღმოსავლური" ეკლესიების ათ ეპისკოპოსს, მათ შორის კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ჰყავს – 4 ეპისკოპოსი, რუსულ ეკლესიას – 2, სომხებს – 4 ეპისკოპოსი. პარიზში ზის რუმინული ეკლესიის 2 ეპისკოპოსი, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს – 3 ეპისკოპოსი, სომხური ეკლესიის – 2 ეპისკოპოსი. ლონდონში რუსულ ეკლესიას ჰყავს ერთი ეპისკოპოსი, კონსტანტინეპოლს – 5, სომხებს ერთი ეპისკოპოსი. იერუსალიმშია კოპტური ეკლესიის ერთი ეპისკოპოსი, სომხური ეკლესიის 6 ეპისკოპოსი, ეთიოპიის – 2, სირიის ეკლესიის ერთი ეპისკოპოსი, ბეირუთში სომხებს ჰყავთ 5 ეპისკოპოსი, ანტიოქიის საპატრიარქოს – 3, სირიის ეკლესიას ერთი (ცნობები ამოღებულია წიგნიდან "ORTHODOXIA, 1982, ostkirchliches Institut, Regensburg, გვ. 134, 135, 137, 138, 139).

ეს მაშინ, როცა არა თუ საეპისკოპოსოები, ქართველებს უცხოეთში დამოუკიდებელი ეკლესიებიც კი არ გააჩნიათ (პარიზის წმ. ნინოს ეკლესია არა ქართულ საეკლესიო ცენტრს, არამედ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ექვემდებარება).

მაინც რაა მიზეზი ქართველების საოცარი სულიერ-საეკლესიო ნაკლოვანებისა საერთაშორისო ასპარეზზე?

მიზეზი ალბათ არის შემდეგი: – ყველა ჩვენს მეზობელ მართლმადიდებელ ერს აქვს ნაციონალურ-ეკლესიური თვითშემეცნება. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ეს თვისება დღევანდელ ქართველობას თითქმის არ გააჩნია. უცხოეთში გასული ქართველი, როგორც წესი, ხდება მრევლი სხვა რომელიმე, უფრო ხშირად რუსული, ანდა ბერძნული ეკლესიისა, მაშინ, როცა რუმინელი, სერბი, რუსი თუ ბერძენი მართლმადიდებელი ქრისტიანები უცხოეთში არ იქცევიან მრევლად სხვა ერის მართლმადიდებლური ეკლესიისა. ისინი მხოლოდ ეროვნულ-მართლმადიდებლურ ეკლესიებს აყალიბებენ უცხოეთშივე (ე. ი. უცხოეთში ქრისტიანები ქმნიან საეკლესიო სამრევლოებს ეროვნული ნიშნის მიხედვით, ხსნიან ეროვნულ ეკლესიებს, ხოლო შემდეგ კი – საეპისკოპოსოებსაც). რევოლუციის შემდეგ უცხოეთში გასულმა რუსმა მოსახლეობამ შექმნა რუსული სამრევლოები, რის საფუძველზეც შეიქმნა უცხოეთის რუსული საეპისკოპოსოები. მაგალითად, მოსკოვის საპატრიარქოს უცხოეთში აქვს ეპარქიები და ჰყავს ეპისკოპოსები – სამხრეთ ამერიკაში (არგენტინაში), გერმანიაში (ბავარიასა და ბერლინში), ბელგიაში, ავსტრიაში, ნიდერლანდებში და სხვაგან (იხ. Православный церковный Календарь, 1991).

ხოლო ე. წ. "სინოდალურ" რუსულ ეკლესიას, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოსგან დამოუკიდებლად არსებობს, საეპისკოპოსო ეპარქიები აქვს აშშ-ში (ნიუ-იორკში, ბოსტონში, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოში – 2), კანადაში, არგენტინაში, ვენესუელაში, ბრაზილიაში, გერმანიაში (მიუნხენში – 2), ავსტრალიაში. უცხოეთშივე აქვს მონასტრებიც. (იხ.Russich-Octhoxe im Ecxil˜. ORTHODOXIA. გვ. 90-92). ჩვენმა მეზობელმა სომხებმა უცხოეთში მრავალი ეპარქია და საეპისკოპოსო დააარსეს, მათ შორის, როგორც აღინიშნა, პარიზში, მარსელში, ლონდონში,

ბუქარესტში, ნიუ-იორკში, ლოს-ანჟელესში, მონრეალში, ბუენოს-აირესში, იერუსალიმში, კაიროში, ბეირუთში, სტამბულში, სირიაში, ათენში, ნიქოზიაში, თეირანში, ჯულფაში, სან-ფრანცისკოში (იხ.ORTHODOXIA. გვ. 13-17). ბულგარელმა მოსახლეობამ ორი საეპისკოპოსო დააარსა ამერიკაში – დასავლეთ ევროპაში. იუგოსლავიის სერბიელმა მოსახლეობამ სამი საეპისკოპოსო დააარსა ამერიკაში, ერთი ავსტრალიაში, ერთი დას. ევროპაში, ხოლო მაკედონიელებმა ეროვნული საეპისკოპოსოები დააარსეს კანადასა და ავსტრალიაში (იხ. იქვე, გვ. 70, გვ. 96). უცხოეთში გასულმა რუმინელებმა საეპისკოპოსოები დააარსეს ამერიკასა და საფრანგეთში (იხ. იქვე, გვ. 79). ცნობილია, რომ ბერძნულენოვან მართლმადიდებლებს მსოფლიოში რამდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ეკლესია გააჩნიათ (კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმის საპატრიარქოები, ელადისა და კვიპროსის ეკლესიები) და ერთ მათგანს "მსოფლიო" (ეკუმენური) საპატრიარქოც კი ეწოდა და მაინც მათ თავიანთი ეკლესიების ფარგლებს გარეთ სამრევლოები და საეპისკოპოსოები აქვთ. ანტიოქიის საპატრიარქოს საეპისკოპოსოები აქვს არგენტინაში, ჩრდილოეთ ამერიკაში, მექსიკაში, ავსტრალიაში, ბრაზილიაში (იხ. იქვე, გვ. 10-11) ელადის ეკლესიას – ამერიკაში. თვით უცხოეთში მცხოვრებმა უკრაინელებმა დააარსეს დამოუკიდებელი ეკლესია საეპისკოპოსოებით აშშ, დას. ევროპასა და კანადაში (Ukrainion Autocephalous ortodox church im Exile).

მაშასადამე, უცხოეთში მცხოვრები მართლმადიდებლები არ ხდებიან მრევლი სხვა ერის თუნდაც მართლმადიდებლური ეკლესიისა. ისინი თავიანთ ეროვნულ ეკლესიებს აარსებენ. ჩვენი ქართველები კი, არა თუ უცხოეთში გასულნი, თვით საქართველოშივეც კი გაუცნობიერებელნი არიან, არ იციან, არის თუ არა საჭირო ეკლესიათა მსგავსი შერჩევა, უფრო მეტიც, მეტმა ნაწილმა არ იცის, რას წარმოადგენს ეპარქია, საეპისკოპოსო, სამრევლო და თვით საპატრიარქოც კი, აქედან გამომდინარე, არც ის იცის, საერთოდ საჭიროა თუ არა ერთგულება ნაციონალური ეკლესიისა. ე. ი. არა აქვს ეკლესიური თვითშემეცნება. ეს რომ არ ჰქონდეს ჩვენს მეზობელ ერებს, ცხადია, ისინი უცხოეთში საეპისკოპოსოებს ვერ დააარსებდნენ. როგორ ინერგება მათში ნაციონალურ-ეკლესიური თვითშეგნება? ცხადია ოჯახის, სკოლის მეშვეობით,

ეკლესიური აღზრდით. სკოლის როლი ამ სფეროში წარმმართველია. სკოლას კი მხოლოდ მშობლიური ეკლესიის ისტორიის შესწავლით თუ შეუძლია ყმაწვილში აღძრას ნაციონალური ეკლესიისადმი ერთგულება.

და მაინც, რა საჭიროა ნაციონალური ეკლესიისადმი ერთგულება? ხშირად ვხედავთ ჩვენი თვალით: არა თუ უცხოეთში, რუსეთში გასული ქართველი ხშირად უკვე მესამე – მეოთხე თაობის შემდეგ კარგავს ქართველობას და რუსდება. XVIII საუკუნეში ვახტანგ VI-ს მრავალრიცხოვანი ინტელიგენციისა და დიდებულების ნაღები გაჰყვა რუსეთში. არა თუ დღეს, ერთი საუკუნის წინათაც კი მათი შთამომავლები გარუსებულნი იყვნენ. XIX და XX საუკუნეებში მრავალი ქართველი გადასახლდა რუსეთში. დღეს ძირითადად ისინი განშორებულნი არიან ჩვენი ერისაგან. უცხოეთში გასული სხვა ერის ადამიანები ათასი წლობითაც კი ინარჩუნებდნენ ეროვნებას, მაგალითად, არც თუ დიდი ხნის წინ აღინიშნა ბალკანეთში (რუმინეთსა თუ ბულგარეთში) სომეხთა დასახლების ათასი წლისთავი. ცნობილია, რომ იქ მცხოვრებმა სომხებმა ამ ათასი წლის მანძილზე შეძლეს ეროვნების შენარჩუნება, ასევეა სხვა ერებიც. მაინც როგორ ხდება ეს? როგორც აღინიშნა ეროვნულ-ეკლესიური თემების შექმნით, ეროვნულ-სარწმუნოებრივი სამრევლოების დაარსებით. მაგალითად, ბაქოში, თბილისში, მოსკოვში, როსტოვში თუ სხვა ქალაქებში მცხოვრებ სომხებს აქვთ საკუთარი ეკლესიები, სკოლები, საზოგადოებანი და ეროვნული სასაფლაოებიც. ეს იმით მიიღწევა, რომ ამ უცხო ქალაქებში მათ ეროვნულ-სარწმუნოებრივი სამრევლოები შექმნეს. მის გარშემო გაერთიანდნენ არა ფორმალურად, არამედ მთელი არსებით. სწორედ იქ გამოხატავენ ღვთისადმი თავიანთ სიყვარულს. ეკლესია მათი ნაციონალური სიწმინდეც და საყრდენიც არის. თავის მხრივ ნაციონალურმა ეკლესიამ მრავალრიცხოვანი საშუალებებით დაიცვა თავისი ერი. მსგავსადვე იყო ძველ საქართველოშიც, ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს არსებობისას (XV-XVI საუკუნეებამდე). ძალზედ მაღალი იყო მაშინ ნაციონალურ-ეკლესიური თვითშემეცნება, რომელიც განსაკუთრებით დაკნინდა XVII-XVIII საუკუნეებში, ხოლო XIX საუკუნეში ქართული ეკლესიის თავისთავადობის გაუქმებამ და ქართველ ქრისტიანთა სულებზე რუსული ეკლესიის გაბატონებამ სასტიკად დასცა ქართველთა ნაციონალურ-ეკლესიური

თვითშემეცნება. არა თუ უცხოეთში, თვით საქართველოშივე ქართველები გაუუცხოვდნენ მშობლიურ ეკლესიას, ხოლო რუსულ-ბოლშევიკური ბატონობისას ამ ბოლო 70 წლის მანძილზე ჩვენი ეროვნულ-ეკლესიური თვითშემეცნების დონე შემზარავია.

არა და ისტორიულად, ბოლო საუკუნეთა მანძილზე, "ქართველს" სწორედ საქართველოს სამოციქულო (მართმალიდებლური) ეკლესიის წევრს უწოდებდნენ. XVII-XVIII საუკუნეებში, ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის, საქართველოს სპარსეთისა და ოსმალეთის გავლენის სფეროში მოქცევის შემდგომ, ქართველთა შორის გავრცელება დაიწყო არაეროვნულმა სარწმუნოებებმა. ქართველი მართლმადიდებლები იძულებული გახდნენ მიეღოთ მაჰმადიანობა, გრიგორიანობა, კათოლიკობა. ხალხში ამ სარწმუნოებათა მიღების შემდგომ მხოლოდ და მხოლოდ ქართველ მართლმადიდებლებს უწოდებდნენ "ქართველს", ქართველ მაჰმადიანებს – "მუსულმანებს", ქართველ კათოლიკეებს – "ფრანგებს", ქართველ გრიგორიანებს კი – "სომხებს".

უცხო ეკლესიათა მრევლად გადაქცევისა და ეროვნულ-ქართული ეკლესიისაგან განდგომის შემდგომ მრავალი ქართველი განშორდა ჩვენს ერს, დაკარგეს ეროვნული თვითშემეცნება, შეემატნენ "თათრებსა" თუ "სომხებს" (ქართველი კათოლიკებიც მრავლად გასომხდნენ), უფრო მეტიც, საქართველოს მთიანი კუთხეების ქართველები (აღმოსავლეთ კახეთში (დღევანდელ საინგილოში), შიდა ქართლის მთიანეთსა და აფხაზეთში) ჩრდილო კავკასიელი ტომების – ლეკების, ოსებისა და აფსარების ჩამოსახლების შემდგომ მოწყდნენ ქართულ ეკლესიას, გაწარმართდნენ ან გამაჰმადიანდნენ, ამის შედეგად კი ეროვნულადაც გადაგვარდნენ, ნაწილობრივ აღნიშნული სარწმუნოებრივი მომენტითაც აიხსნება მეცნიერთა მიერ დადასტურებული ქართველთა გაოსების, გააფხაზებისა და გალეკების პროცესი. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ სამხრეთ საქართველოს ოსმალთა მიერ დაპყრობის შემდეგ ბასიანის, თორთუმის ხეობებში, გიუმიშხანესა, ლაზეთსა თუ არზრუმში დარჩენილი მრავალრიცხოვანი ქართველი მართლმადიდებლები იქცნენ მრევლად ბერძნული ეკლესიისა, რამეთუ ოსმალო ხელისუფლების მიერ ოსმალეთის იმპერიაში ბერძნული ეკლესია ოფიციალურად იყო აღიარებული, ხოლო ქართული

ეკლესია დევნილი. ბერძნული ეკლესიის მრევლად გადაქცევის შემდეგ მრავალი ქართველი გაბერძნდა.

სპარსეთ-ოსმალეთი ებრძოდა არა ზოგად ქრისტიანობას, არამედ ძირითადად ქართულ ეკლესიას, ამ ეკლესიის წევრ ქრისტიანებს. ამ აზრს ადასტურებს უამრავი მაგალითი. ოსმალეთსა და სპარსეთის მტრობა ქართული ეკლესიისადმი გამოწვეული იყო რუსეთის მართლმადიდებელი სახელმწიფოს სიძლიერით, რომელიც აღნიშნული საუკუნეებისათვის ზედიზედ იპყრობდა ტერიტორიებს, უახლოვდებოდა კავკასიას, განადგურებით ემუქრებოდა მაჰმადიანურ სამთავროებსა და ოსმალეთ-სპარსეთის სახელმწიფოებს. ასეთ ვითარებაში მაჰმადიანთა აზრით ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და სამეფო-სამთავროები პლაცდარმს უქმნიდნენ რუსეთის აგრესიულ სახელმწიფოს მახლობელი აღმოსავლეთის დასაპყრობად. ამიტომაც სამხრეთ საქართველოს (მესხეთის) დაპყრობის შემდეგ "…ქართველობას შეურიგებელი ბრძოლა გამოეცხადა. მტრის პირველი დარტყმები პირველ რიგში ქართული ეკლესიის ზურგს ხვდებოდა. ოსმალებმა კარგად იცოდნენ, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დათრგუნვის გარეშე მათ მიერ დაწყებული საქმე შეიძლებოდა წარმატებით ვერ დაგვირგვინებულიყო" (შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, 1979 წ. გვ. 35). "აღნიშნულ საუკუნეებში ოსმალები და სპარსელები ქრისტიან გრიგორიანებსა და ქრისტიან კათოლიკებს არ ებრძოდნენ, პირიქით მათ საეკლესიო ცენტრებს შეღავათებსა და უპირატესობას ანიჭებდნენ, ხოლო ქართული ეკლესიის წევრებს კი ყოველგვარ პირობებს უქმნიდნენ, რათა მათ უარეყოთ "ქართველობა" (ანუ ქართული მართლმადიდებლობა) სამაგიეროდ კი ქართული ეკლესიის ყოფილ წევრებს აიძულებდნენ მიეღოთ გრიგორიანული ანდა კათოლიკური აღმსარებლობანი, უფრო ხშირად კი აიძულებდნენ მიეღოთ მაჰმადიანობა. ისიცაა აღსანიშნავი, რომ ოსმალეთი საერთოდ მართლმადიდებლობას კი არ ებრძოდა, არამედ მხოლოდ ქართულ ეკლესიას და ქართულ მართლმადიდებლობას, ოსმალეთში სარწმუნოებრივი ავტონომია ჰქონდათ იმ მართლმადიდებლებს, რომლებიც კონსტანტინეპოლის პატრიარქს ექვემდებარებოდნენ, მათ განურჩევლად ეროვნებისა

“ბერძნებს” უწოდებდნენ (იხ. ა. ჯაფარიძე, “საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია”, ტ. III, გვ. 351).

ქართველ მართლმადიდებლებს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, XVII-XVIII საუკუნეებში გარკვეულ მიზეზთა გამო უწოდებდნენ “ქართველს” რადგანაც ისინი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მრევლს შეადგენდნენ. ხოლო იმ ქართველებს, რომელნიც განშორდნენ ქართულ ეკლესიას და აღიარეს უცხო სარწმუნოება “ქართველებად” არ მიიჩნევდნენ, მაგალითად ქართველ გრიგორიანებს, ქართველ მაჰმადიანებს და ასე შემდეგ.

მაჰმადიან სახელმწიფოთა მიერ შექმნილი მიზეზების გამო “ქართველად ყოფნა გაუსაძლისი გახდა… გლეხკაცობაც ავბედს დაემორჩილა… მესხთა ნაწილი პილიგრიმული სიჯიუტით მაინც არ ტოვებდა ქრისტიანობას და ზოგჯერ კათოლიკობასა და გრიგორიანობას ღებულობდა, უმეტეს შემთხვევაში თავის ერს მაინც ეკარგებოდა, მესხთა შორის მეტად უმცირესმა ნაწილმა შეინარჩუნა მართლმადიდებლური სარწმუნოება, როგორც ზემოთ ვთქვით, ყარსის, არზრუმის, ვალაშკერტის და ნაწილობრივ არტაანის მხარის ქართველობის დიდი ნაწილი გაგრიგორიანდა, როგორც ჩანს, მათი გაგრიგორიანება XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისში უნდა მომხდარიყო” (შ. ლომსაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 46). ოსმალეთში ისტორიულ მიწა-წყალზე მცხოვრები და ასევე სპარსეთში მცხოვრები ქართველები მასობრივად კარგავდნენ ეროვნებას საქართველოს სამოციქულო ეკლესიასთან კავშირის გაწყვეტის გამო, ანუ რაც იგივეა, მათ ადგილებზე ვერ შეძლეს ნაციონალური სამრევლოებისა და საეპისკოპოსოების შექმნა, ხოლო მსგავს (მაჰმადიანურ) გარემოში მცხოვრებმა სხვა ქრისტიანმა ერებმა, მაგალითად, სომხებმა და ბერძნებმა, შეძლეს ნაციონალური სარწმუნოებრივი თემების, სამრევლოებისა და საეპისკოპოსო ცენტრების დაარსება, რაც მათ ეროვნებას ანარჩუნებინებდა მაჰმადიანურ ოკეანეში.

ჩვენში რატომღაც მიჩნეულია, რომ ქართველები საქართველოს არ ტოვებდნენ და ნაკლებად გადიოდნენ უცხოეთში, მაშინ, როცა ასეულ ათასობით ქართველმა დატოვა საქართველო XVII-XVIII საუკუნეებში (საქართველოს მთელი მხარეები, ჩვენი სამშობლოს თითქმის ერთი მესამედი – მესხეთი, კახეთის თითქმის ნახევარი

(ჭარ-ბელაქანი), ქვემო ქართლისა და დასავლეთ საქართველოს მთელი მხარეები უცხო სახელმწიფოთა ნაწილებად იქცნენ მრავალრიცხოვანი ქართული მოსახლეობით). XIX საუკუნეშიც ქართველების არამცირედი ნაწილი გადასახლდა რუსეთსა და უცხოეთში, სად გაქრნენ ისინი? ვინ არიან მათი შთამომავალნი? თითქმის ყველანი ასიმილირდნენ უცხო ტომებსა და ერებში, დაეკარგნენ საქართველოს, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ მათ ვერ შეძლეს უცხოეთში ეროვნული ეკლესიების დაარსება, რამეთუ მათ არ გააჩნდათ ნაციონალურ-ეკლესიური თვითშემეცნება. იქცნენ უცხო ეკლესიათა მრევლად, რის შედეგადაც სწორედ იმ ერებს შეემატნენ, რომელთა ეკლესიათა წევრებადაც იქცნენ (არსებობდა უმნიშვნელო გამონაკლისი).

ევროპელ მისიონერთა, ასევე თურქულ-სპარსულ წყაროებში არსებული ცნობების თანახმად XVII-XVIII საუკუნეებში ქართველების კოლოსალურმა რაოდენობამ დატოვა საქართველოს ქრისტიანული ნაწილი. პიეტრო დელა ვალეს გადმოცემით – "არა იპოვება არც ერთი სახლი მთელ სპარსეთში, რომელიც სავსე არ იყოს ქართველი დედაკაცებით და მამაკაცებით" (მ. რეხვიაშვილი "დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში". 1976 წ. გვ. 14). ასევე ქართველები დიდი რაოდენობით იმყოფებოდნენ ოსმალეთის იმპერიაში. XV საუკუნის ერთი იტალიური ქრონიკის თანახმად საქართველო იმ დროისათვის წარმოადგენდა "ვრცელ ქვეყანას მრავალრიცხოვანი მოსახლეობით", ამ ცნობის სისწორე იქიდანაც დასტურდება, რომ თვით XIX საუკუნის დასაწყისშიც კი ქართველები ამიერკავკასიის მოსახლეობის უმრავლესობას – 44% შეადგენდნენ. საქართველო დაიცალა მოსახლეობისაგან XVII-XVIII საუკუნეებში. "როგორც დონ ჯუსტი პრატო, ასევე სხვა კათოლიკე მისიონერები აღნიშნავდნენ, სპარსელები და თურქები ყველა საშუალებას მიმართავდნენ, რათა საქართველოდან წაეყვანათ ახალგაზრდები. ისინი მათ იყენებდნენ პირველ რიგში თავიანთი ლაშქრის გასაძლიერებლად და ასევე ამით დიდ ზიანს აყენებდნენ საქართველოს… რის გამოც საქართველო განუწყვეტლივ იცლებოდა და ნადგურდებოდა" (ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, 1987, გვ. 191). მისიონერების დაკვირვებიდან ჩანს, რომ ჩვენი ქვეყნიდან მოსახლეობა მასობრივად

გაჰყავდათ ქრისტიანობისა და ქართველობის აღმოფხვრის მიზნით. თურქეთისა და სპარსეთის არა მარტო ცენტრალური ოლქები, არამედ პროვინციებიც (ეგვიპტე, ერაყი და სხვ.) მრავალრიცხოვანი ქართველების საცხოვრისი იყო. ქალაქებში ქართველობა ვაჭრობის ობიექტს წარმოადგენდა. მაგალითად, ევლი ჩელებს ქართველი ტყვეები შეუძენია თავის მოგზაურობისას: თავრიზში, ახალციხეში, ყარსში, არზრუმში, ბაქოში, ერევანში და სხვაგან.

ყველგან, არა მარტო უცხოეთში, არამედ თვით საქართველოშიც კი ამ პერიოდში ქართველები ეროვნებას კარგავდნენ ქართულ ეკლესიასთან კავშირის გაწყვეტისთანავე, მაგალითად, 1628 წელს გორში მისულმა ავგუსტინელმა ბერმა პატრი ამბროზიმ 1640 წელს რომში გაგზავნა მოხსენება, რომელშიც კერძოდ წერს: "ამ ქრისტიანების ქვეყანაში კვალად შეიძლება ბევრი კეთილის ქმნა რამდენიმე მამულ-სოფლების ყიდვით, როგორადაც შვრებიან სომხები, რომლებისაც თუმცა დიდი სიმძულვარე აქვთ ქართველებს სარწმუნოების საქმეში, მაგრამ რაკი მათი ხელქვეითი გახდებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხების წესზეც. ამაზე უარესიც ვნახეთ – ზოგიერთმა საქართველოში მცხოვრებმა მდიდარმა ურიებმა გააურიავეს რამდენიმე თავიანთი ყმა და მოსამსახურე" (მ. თამარაშვილი, პასუხი სომხის მწერლებს, გვ. 237). როგორც ევროპელი მისიონერების დაკვირვება უჩვენებს, ქართველები ეროვნული გადაგვარებისაგან დაცულნი არ იყვნენ თვით საქართველოში, მით უფრო უცხოეთში. "განსაკუთრებით სპარსეთში ბევრი იყო ქართველი: "დღეს მთელი სპარსეთი სავსეა ქართველებით, რჯულგანდგომილებით – წერს დონ ჯუსტი პრატო – მათ ხელშია ყველა დიდი თანამდებობაც კი სახელმწიფოში" (ი. ტაბაღუა, გვ. 111). "სპარსელთა სისხლი გაკეთილშობილებულია ორი ეროვნების – ქართველებისა და ჩერქეზების სისხლით, რომლებიც ყველა სხვა ხალხზე ლამაზები არიან. სპარსეთში თითქმის არ არის არც ერთი წარჩინებული, რომლის დედა ქართველების ან ჩერქეზების შთამომავალი არ იყოს (იქვე).

საქართველოში ტყვეთა ყიდვა ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, რის გამოც, ჟარ შარდენის ცნობით, სამეგრელოს 40000-იანი მოსახლეობა 1640-იანი წლებიდან მოყოლებული სულ რაღაც 30 წლის განმავლობაში 20000-მდე შემცირდა. უცხოეთში ქართველების ტყვეთა სახით გასვლის გარდა, საქართველოს

მოსახლეობას ძალზე ამცირებდა ქართველების გადასახლებაც. შაჰ-აბას I-მა საქართველოში ზედიზედ სამი ლაშქრობის შედეგად ასეულ-ათასობით კაცი გადაასახლა უცხოეთში. ქართველების ეროვნული ცნობიერება ირყეოდა თვით საქართველოშივე. მაკარი ანტიოქიელი ასახავს XVII საუკუნის 60-იან წლებში არსებულ ვითარებას დასავლეთ საქართველოში: "მთელი ვაჭრობა ქართველთა ხელქვეითი სომხების, ებრაელებისა და ზოგიერთი ბერძნის ხელთაა… ეს სომხები და ებრაელები წარმოადგენდნენ მდიდართა კლასს საქართველოში და მათ წინაშე ყველა ქართველი დავალებულია განურჩევლად წარჩინებულობისა და მმართველობისა. ყოველ ამ ვაჭართაგანს ოჯახში ჰყავს ქართველი გოგო-ბიჭები მსახურად, რომელთაც როგორც უნდათ ისე ექცევიან" (შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. II, 1983 წ. გვ. 316). სწორედ მსგავს არამართლმადიდებელ ("არაქართველ") მებატონეთა ხელში მოხვედრილი ქართველები კარგავდნენ ეროვნებას.

ასე რომ, ჩვენში მიღებული თვალსაზრისი, თითქოს და ქართველებმა ისტორიულად ნაკლებად დატოვეს სამშობლო, არასწორია, სწორია ის, რომ ისინი ასიმილირდნენ.

ჩვენში ახლახან გამოქვეყნდა ევგენი დალეჯიო დ, ალესიოს წიგნი "ქართველები კონსტანტინეპოლში". ამ ევროპელსაც შეუმჩნევია, რომ ქართველები უცხოეთში განიცდიან დენაციონალიზაციას და ეკარგებიან ჩვენს ერს. ის წერს უცხოეთში მცხოვრები ქართველების შესახებ: "სამწუხაროდ, ბევრმა ქართველმა და მათმა ოჯახმა დაივიწყეს თავიანთი მშობლიური ენა და უარყვეს თვით ქართველობაც", ავტორი დაასკვნის "ქართველი ერის ისტორიაში ეს ხშირი და დასაგმობი მოვლენაა". დალეჯიო წერს: "ჩვენ კიდევ გვესმის, როდესაც რომელიმე ქართველი მუსულმანი ივიწყებს თავის ენას და ეროვნებას, რადგანაც მისი რჯული თურქულ-პოლიტიკურია და ასე თუ ისე, გარეშე პირობებიც იძულებულს ჰყოფს მას გადაგვარდეს. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გამოგვიკვლევია რამ აიძულა კონსტანტინეპოლის ქრისტიანი ქართველების ნაწილი, რომელთაც უარყვეს ქართველობა. მათ შორის უმრავლესობამ სომხებად აღიარეს თავი და თვით თავიანთი გვაროვნობის სახელწოდებაც დაივიწყეს. ამ გადაგვარებულთა შორის შედარებით ცოტანი არიან, რომელთაც თავიანთი გვარი კიდევ ახსოვთ. სხვათა შორის დავასახელებ ლიკონტას (ცხადაიას),

გურჯიანების (ქართველიშვილების), აზიზიანების, თუმანიანების, ზურაბიანების ოჯახებს, რომლებიც, თუმცა უარს არ ყოფენ, რომ ქართველების შთამომავალნი არიან, მაგრამ დღეს თავიანთ თავს ქართველებად აღარ აღიარებენ. სასურველია, ქართველმა საზოგადოებამ პრაქტიკული ყურადღება მიაპყროს არა მარტო ოსმალეთის და კონსტანტინეპოლის ქართველ მუსულმანებს, არამედ თვით ქართველ ქრისტიანებსაც, რომელთაც კულტურული დაწესებულებაც კი არა აქვთ, სადაც ყველა რწმენისა და მისწრაფების ქართველსაც თავისუფლად შეეძლება მისვლა და პრაქტიკულად მუშაობა, როგორც ეს აქვთ სხვა ხალხთა ახალშენებს" ("ქართველები კონსტანტინეპოლში და სპარსეთში" თბ. 1990 წ. გვ. 20). ამ 70-დე წლის წინ დაწერილი ევროპელის ეს სიტყვები ისე ჟღერს, თითქოს დღეს იყოს ნათქვამი. ფაქტიურად ქართველმა საზოგადოებამ ვერ შეძლო უცხოეთში ეროვნულ-კულტურულ სარწმუნოებრივი დაწესებულებების შექმნა და ამის გამო უცხოეთში მცხოვრები ქართველები დენაციონალიზაციას განიცდიან. როგორც ცნობილია, უკვე მიღებულია და რამდენიმე წელში მოქმედებას შეუდგება კანონი, რომლის ძალითაც მოქალაქეებს უფლება მიეცემათ უცხოეთში გასვლისა. ამ კანონის ძალით, ალბათ, ქართველობა, როგორც სხვა ქვეყნების შრომისუნარიანი მოსახლეობა, მასობრივად გავა უცხოეთში სამუშაოდ, სასწავლებლად თუ საცხოვრებლად. მაგრამ, როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, ჩვენ ვიცით, რომ უცხოეთში გასული ქართველები სამი-ოთხი თაობის შემდეგ უკვე დენაციონალიზაციას განიცდიან, იმის გამო, რომ მათ არა აქვთ ეროვნულ-კულტურულ-სარწმუნოებრივი დაწესებულებები.

როგორც აღინიშნა, ჩვენი მეზობელი ერები უცხოეთში გასვლისთანავე ქმნიან ეროვნულ სამრევლოებს, ეკლესიებს და საეპისკოპოსოებსაც კი, რომლებიც იქცევიან ხოლმე ცენტრებად მათი ეროვნულ-კულტურული დაწესებულებებისა. ამის მიღწევა მათ შეაძლებინა იმან, რომ სამშობლოშივე უკვე გამომუშავებული ჰქონდათ ნაციონალურ-ეკლესიური თვითშემეცნება: უცხოეთში გასვლისთანავე ისინი მხოლოდ ეროვნული ეკლესიის მრევლად იქცევიან ხოლმე, რაც ხელს უწყობს მათ ეროვნების შენარჩუნებაში არა ასეული, არამედ ათასეული წლების მანძილზეც კი. მაშასადამე, იმისათვის, რათა ქართველი ადამიანი ყოველთვის და ყველა პირობებში

თავის თავს თვლიდეს ქართული ეკლესიის წევრად, საჭირო არის ქართველ ყმაწვილში სკოლის ასაკიდანვე ჩაინერგოს ნაციონალურ-ეკლესიური თვითშემეცნება, ანუ შვილური ერთგულება მხოლოდ და მხოლოდ ქართული ეკლესიისადმი. ამისათვის კი საჭიროა სკოლებში ისწავლებოდეს ქართული ეკლესიის ისტორია.

შეიძლება ითქვას, რომ ძველ საქართველოშიც წიგნი, რომლითაც ყმაწვილი იზრდებოდა – "ქართლის ცხოვრება", უხვად შეიცავდა ცნობებს ქართული ეკლესიის ისტორიიდან. წმ. სახარება "ქართლის ცხოვრებასთან" ერთად ყმაწვილის უმთავრეს სახელმძღვანელოს წარმოადგენდა. პირველი მასში ნერგავდა სარწმუნოებისა და ღვთისადმი სიყვარულს, ხოლო მეორე კი სიყვარულს მშობლიური ერისა და ეკლესიისადმი. სწორედ მშობლიური ეკლესიის ისტორიის მეოხებით ქართველი ყმაწვილი იგებდა, თუ როგორ იქცა მისი სამშობლო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანად, ხოლო უფალი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე კი მუდმივ მფარველად და პატრონად ქართველი "საზეპურო" ერისა.

ამჟამად თუკი ჩვენ გვსურს, რომ ქართველი საზოგადოება დაუბრუნდეს თავის უკვდავ საწყისებს, უთუოდ საჭირო არის სკოლებში ისწავლებოდეს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია უნდა ისწავლებოდეს როგორც დისციპლინის ერთი დარგი, მიუხედავად ყმაწვილის მშობელთა სარწმუნოებრივი აღმსარებლობისა. საქართველოს ეკლესიის ისტორია ისეთივე განყენებული და სავალდებულო შესწავლის საგანი უნდა იყოს როგორც, ვთქვათ, საქართველოს გეოგრაფია ან საქართველოს ისტორია.

დასკვნა

1. სეკულარული სახელმწიფოს განათლების პრინციპები არ გამორიცხავს რელიგიური საგნების სწავლებას ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებებში.
2. სეკულარული სახელმწიფო უზრუნველყოფს და იცავს მოქალაქეთა ეროვნულ-კულტურულ და რელიგიურ იდენტობას და შესაბამის რელიგიურ განათლების უფლებას.
3. კულტურულ ფასეულობებისადმი წვდომის, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა და კულტურული განვითარების უფლება უზრუნველყოფილია როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, ასევე მთელი რიგი საერთაშორისო კონვენციებით.
4. განათლების სეკულარული ხასიათი გულისხმობს საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებების პირდაპირ რელიგიური (კონფესიური) ზეწოლისგან თავისუფლებას, განათლების სეკულარული ხასიათი მოქალაქეთა სინდისის თავისუფლებას ეფუძნება. მიუხედავად ამისა, თუ რელიგიის სწავლება სახელმწიფო სტანდარტით მიმდინარეობს, მაშინ ეს მაინც სეკულარულ განათლებას წარმოადგენს.
5. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ ცოდნის მიწოდების ორი ძირითადი ფორმა განისაზღვრება: რელიგიის სწავლება და რელიგიის შესახებ ცოდნის მიწოდება.
6. დღევანდელ საქართველოში რელიგიური საგნების სწავლების პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სავალალოა. რელიგიის სწავლება არც ერთი ფორმით ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებული არაა. შესაბამისად, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა ცივილიზებულ სამყაროში, სადაც რელიგიური სწავლება აბსოლუტურად სტერილურია.
7. რელიგიური განათლების უფლება აზრის, სინდისის და რელიგიის აღმსარებლობის თავისფულების ელემენტია. ეს უკანასკნელი დაბადებიდანვე ადამიანის ბუნებრივი უფლებაა და ამიტომ, ვერც სახელმწიფო და ვერც

საზოგადოება ვერ მიანიჭებს მას ამ უფლებას - სახელმწიფომ ეს უფლება უნდა აღიაროს, რაც აღიარებულია მრავალი ევროპული ქვეყნის კონსტიტუციაში.

8. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით, როგორც ევროკავშირის ქვეყნების, მუსლიმური ქვეყნების და სხვა ქვეყნების ,როგორიცაა ავსტრალია, ა.შ.შ., ბრაზილია, სომხეთი, ისრაელი, ინდოეთი, იაპონია, გვატემალა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში რელიგიური საგნების სწავლება სხვადასხვა სახით ყველგან უზრუნველყოფილია.
9. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ასევე ეუთოს მრავალი რეკომენდაციით - სხვადასხვა რელიგიის უკეთ და ღრმად გაგებისათვის აუცილებელია რელიგიისა და ეთიკის სწავლება შევიდეს სასკოლო პროგრამებში. ასევე, რელიგია დიფერენცირებულად და ზომიერად იყოს წარმოდგენილი სასკოლო სახელმძღვანელოებში, მათ შორის, ისტორიის წიგნებში და მთლიანად სასწავლო პროცესში.
10. საერთაშორისო სივრცეში რელიგიური განათლების სფეროში მოღვაწე ექსპერტების მოსაზრებების შესწავლის ანალიზმა გვაჩვენა რელიგიის სწავლების აუცილებლობა მთელი რიგი პრობლემების დასარეგულირებლად. „მსოფლიოში ყველაზე დიდი პრობლემები წერა-კითხვის უცოდინრობისგან არ წარმოიქმნება. პრობლემების მიზეზია სხვადასხვა კულტურების, რასების, რელიგიებისა და ერების ერთმანეთის გაუტანლობა - მათ არ გააჩნიათ უნარი, ერთად გადაწყვიტონ მსოფლიოს ყველაზე საჭირბოროტო პრობლემები“. თუ მასწავლებლები რელიგიის გარშემო წარმოქმნილი შფოთს სწავლების გონივრული სტრატეგიით ჩანაცვლებენ, ამით უკეთესი მსოფლიოსკენ გადადგამენ ნაბიჯს.
11. საქართველოში რელიგიური განათლების სფეროში მოღვაწე ექსპერტების მოსაზრებების შესწავლა და გაანალიზება ცხადყობს რელიგიური საგნების სწავლების სურვილს, რადგან ისეთი სიტუაციები, როგორიცაა დაბადება, გარდაცვალება, იმედი, სიყვარული, მეგობრობა, შიში, ბედნიერება, დანაშაული, მიტევება, ტანჯვა, შემთხვევითობა, ნდობა, პასუხისმგებლობა, ზრუნვა, მარცხი, ექსტაზი, ხიბლი, ზეიმი ადამიანისათვის გარკვეული სახის

გამოწვევაა, რომელიც მას მოვალეობებს აკისრებს. თუკი სკოლას ადამიანის ყოველმხრივ განვითარება სურს, მან მოსწავლეს ყოველი უმნიშვნელოვანესი ადამიანური გამოცდილების შესახებ უნდა ასწავლოს მსჯელობა.

12. საქართველოში რელიგიური საგნების სწავლასთან დაკავშირებით განსხვავებული ხედვა დააფიქსირა მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ, რომელიც საქართველოს ეკლესიის ისტორიის სწავლებაში გამოიხატა.

რეკომენდაციები:

1. საქართველოს სწრაფვა ევროატლანტიკური სივრცისკენ არა ერთხელ დადასტურდა ბოლო წლების განმავლობაში. შესაბამისად, ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზასთან ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო სივრცის უნიფიცირება უნდა გულისხმობდეს ასევე საგანმანათლებლო სისტემის ევროკავშირის ქვეყნების სტანდარტთან იგივეობრიობას, რაც რელიგიური საგნების სწავლებას გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. აუცილებელია განათლების სამინისტრომ გაითვალისწინოს ევროპული გამოცდილება და ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაითვალისწინოს რელიგიური საგნების სწავლება.
2. ევროპის და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში რელიგიის სწავლების მოდელების ანალიზის და მათი ქართული რეალობასთან შედარების პრინციპის მიხედვით, ვასკვნით, რომ ადგილობრივი მულტიკულტურული, მულტირელიგიური, მულტიეთნიკური რეალიების გათვალისწინებით, რელიგიის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა ხორციელდებოდეს რელიგიის ისტორიის საგნის სახით, შესაბამისად რეკომენდაციას ვუწევთ განათლების სამინისტროს სწორედ ეს საგანი ჩართოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტები.
2. ალექსანდროვი ი. ა. სპარსეთის ყურის მონარქიები: მოდერნიზაციის ეტაპი. გვ. 215-218. 2003წ.(რუს. ენ.)
3. ამერიკის შეერთებული შტატები: კონსტიტუცია და საკანონმდებლო აქტები / ბგლ. თარგმ. / შეადგ. ფ. ი. ლაფიტსკიმ. რედ. და შეს. ო. ა. ჟიდკოვი. მ.: Прогресс, Универс, 1993. გვ. 40.(რუს. ენ.)
4. ასკეროვი ე. *სკოლა და ზნეობა. მსოფლიო პრაქტიკა* //http://www.islam.az/statyi/teh3.htm.
5. ბალოდისი რ. *რელიგიური გაერთიანებები და ლატვიის სახელმწიფო.* 2007წ.(რუს.ენ.)
6. ბარკოვსკაია ე. ი. *სახელმწიფო და ისლამი ინდონეზიაში.* 2005წ. (რუს.ენ.)
7. ბერიაშვილი მ. *„სეკულარიზაციის არსის გაგებისათვის“,* კრებული სეკულარიზაცია: კონცეპტი და კონტექსტები : თბ. : ილიას სახელმწ. უნ-ტის გამ-ბა, 2009.
8. ბისბერველდი სან ს. *თავისუფლება და რელიგია ნიდერლანდებში* // სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობების მსოფლიო გამოცდილება. 2008წ.(რუს.ენ.)
9. ბობერო ჟ. *საეროობა: ფრანგული გამონაკლისი, თუ უნივერსალური ღირებულება?* 2004წ.(რუს.ენ.)
10. ბობერო. ჟ. *სახელმწიფოს საერო ხასიათი.* 2001წ.(რუს.ენ.)
11. მორენო კ. პ. *აღმსარებლობის თავისუფლება საფრანგეთში // სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობების მსოფლიო გამოცდილება.* 2005წ. (რუს.ენ.)
12. ბრუნეი: ისტორია, ეკონომიკა, პოლიტიკა / ა. ი. ივანოვის რედაქციით. მ.: Наука, 1984. გვ. 101-102.(რუს.ენ.)
13. გამოსვლები „მრგვალ მაგიდასთან“ // სახელმწიფო, რელიგია, ეკლესია რუსეთსა და საზღვარგარეთ: საინფორმაციო-ანალიტიკური ბიულეტენი РАГС. 2000. № 2 (23). გვ. 19.(რუს.ენ.)

14. დაწყებითი და საშუალო განათლება საფრანგეთში. მ., 1994, (საინფორმაციო და სასწავლო მასალების რუსეთ-საფრანგეთის სერია, № 34). (რუს.ენ.)
15. დოზორცევი პ. ნ. *რუსეთში საერო სახელმწიფოებრიობის განვითარება: ისტორია და თანამედროვეობა.* 2003წ. (რუს.ენ.)
16. დრუზენკო გ. *ნიადაგის ძებნაში,* 2004 წ.(რუს.ენ)
17. დურემ. უ. კ. *რელიგიის თავისუფლება: ა. შ. შ. - ს მოდელი.* 2001წ.(რუს. ენ.)
18. ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუცია. ტ. 1. / ლ. ა. ოკუნკოვის საერთო რედაქციით. M.: НОРМА, 2001. (რუს.ენ.)
19. ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუცია. ტ. 1.
20. ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუციები. ტ. 2.
21. ევროპის სახელმწიფოთა კონსტიტუციები. ტ. 3.
22. ესპანური თვალსაზრისი: საუბარი პროფესორ გლორია მორანთან // რელიგია და ადამიანის უფლებები: სინდისის თავისუფლებისკენ გზაზე. გამ III. შეად. ლ. მ. ვორონცოვამ, ა. ვ. პჩელინცევმა, ც. ბ. ფილატოვმა. ს.ბ. ფილატოვის საერთო რედ. M.: Наука, 1996.გვ. 91. (რუს.ენ.)
23. ვ. ა. დოზორცევა. რედ. ი. მ. დ. ი. დ. ლევინა და ი. მ. კ. ვ. ა. მამაევა. მ.: უცხოური ლიტერატურის გამომც., 1956. (რუს.ენ.)
24. ვრუბლოვსკი გ. ა., ბაშიროვი ლ.ს. *სახელმწიფო და რელიგიური ორგანიზაციები ისლამის ტრადიციული გავრცელების ქვეყნებში.* 1999წ. (რუს.ენ.)
25. ინდოეთის კონსტიტუცია (1955 წლის 1 მაისის ცვლილებებით) / ბნგლ/ თარგმ. ი. მ. კ.
26. კაზანსკაია ო. *რა დროს სწავლაა ასეთ სიცხეში? //* კარიერა, 1999 წ. 1 მარტი.(რუს.ენ.)
27. კაზანსკაია ო. *რობინზონების კუნძული* // კარიერა. 1988 წლის 1 დეკემბერი.(რუს.ენ.)
28. კამპერ პ. *რელიგიური თავისუფლება დიდ ბრიტანეთში.* 2004წ.(რუს. ენ.)

29. კვირკველია ო. რ. *მრავალღმერთიანობა საერო სკოლაში. როგორ ვუზრუნველყოთ მორწმუნეთა და ათეისტების უფლებების თანასწორობა?* 2003წ. (რუს.ენ.)

30. კლოჩკოვი ვ. ვ. *რელიგია, სახელმწიფო, სამართალი.* 2004წ.(რუს. ენ.)

31. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო, ავტოკეფალურ, მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, გამოქვეყნებული :„საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კალენდარი 2006“, საქართველოს ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზიის დეპარტამენტი.

32. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო, ავტოკეფალურ, მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, გამოქვეყნებული :„საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კალენდარი 2006“, საქართველოს ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზიის დეპარტამენტი, გვ. 206, იხილე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური საიტი: www.mes.gov.ge

33. კოსტიკოვა მ. ნ. *სკოლა და ეკლესია გერმანიის ფედერატიულ რესპუბლიკაში; ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირების გამოცდილება // სახელმწიფო, რელიგია და ეკლესია რუსეთსა და უცხოეთში:* საინფორმაციო ანალიტიკური ბიულეტენი РАГС. 1998. № 3-4(15-16). გვ. 131-137; (რუს. ენ.)

34. კოსტიკოვა მ. ნ., კუდრინა ტ. ს. *სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობები განათლების სფეროშიგერმანიაში: საკანონმდებლო-სამართლებრივი ასპექტები // სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობების მსოფლიო გამოცდილება.* გვ. 271-291. (რუს.ენ.)

35. პაპასტასისი ჰ. კ. *სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობები საბერძნეთში // სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობების მსოფლიო გამოცდილება.* 2008წ. (რუს.ენ.)

36. კოჩკოვი ვ. ვ. *რელიგია და სახელმწიფო, სამართალი.* გვ 232.2005წ. (რუს.ენ)

37. ლაზუტოვა მ. ნ., სელეზნევა ნ. ა., სუბეტო ა. ი. *დსთ-სა და ბალტიის ქვეყნების განათლების შესახებ კანონების შედარებითი ანალიზი.* 2007წ.(რუს.ენ.)

38. ლიზლოვი ნ. *რელიგიური განათლება უცხოეთში* // http://www.state-religion.ru. საღვთისმეტყველო ფაკულტეტი - http://bgru.net/intr/education/sun_f.htm#S15.
39. ლინდჰოლმ ტორე. *კონფესიათშორისი დიალოგის წარმოშობა: ნორვეგიული გამოცდილება.* გვ. 64-71.2009წ.(რუს.ენ.)
40. მაიორეკ ჩ. მაისნერ ა. *პოლონეთი //მსოფლიოს ხალხთა პედაგოგიკა: ისტორია და თანამედროვეობა.* მ.: რუსეთის პედაგოგიური კავშირი. 2001. გვ. 287-288.(რუს.ენ.)
41. მონღოლეთის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია.
42. მსოფლიოს ქვეყნების კონსტიტუციები. CD.
43. ოვსიენკო ფ. გ. *სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში // სახელმწიფო-საეკლესიო ურთიერთობების მსოფლიო გამოცდილება.* გვ. 179. 2009წ.(რუს.ენ.)
44. პონკინი ი. ვ. საეროობა: *კონსტიტუციურ სამართლებრივი კვლევა / სახელმწიფო-კონფესიური ურთიერთობებისა და სამართლის ინსტიტუტი.* მ., 2002. (რუს.ენ)
45. პრონიკოვი ვ. ა., ლადანოვი ი. დ. იაპონელები: *ეთნოფსიქოლოგიური ნარკვევები.* გამოც. მე-2, შესწ. და შევს. მ.: აღმ. ლიტ. გამომც. მთ. რედ. «Наука», 1985. (რუს. ენ.)
46. რელიგია და კანონი: *დსთ-სა და ბალტიის ქვეყნებში რელიგიური გაერთიანებების საქმიანობისა და სინდისის თავისუფლების სამართლებრივი საფუძვლები.*
47. რელიგიური განათლება საშუალო სკოლებში. პოლიტიკური გადაწყვეტილება და რეალიზაციის გზები // http://www.islam.az/statyi/teh2.htm.
48. რონიტ ტიროში, *ისრაელის განათლების სამინისტროს გენერალური დირექტორი: „ჩვენს შვილებს სამხედრო მომზადება არ სჭირდებათ - ამისათვის არსებობს ჯარი“//*Известия. 2002 წ. 10 ივნისი. № 98.
49. სალიმოვა კ. კულიევი მ. პ. რ. ა *ზერბაიჯანი // მსოფლიოს ხალხთა პედაგოგიკა: ისტორია და თანამედროვეობა.* მ.: რუსეთის პედაგოგიური საზოგადოება, 2010. გვ. 67-68. (რუს.ენ.)

50. საუდის არაბეთი სამეფოს ძალაუფლების სისტემის საფუძვლები (1992 წ.) // იქვე. გვ. 466. (რუს.ენ.)
51. საუდის არაბეთს უცხოეთის სკოლებში თავისი კანონები შემოაქვს // НГ – религии. 19 ივნისი 2002 წ.(რუს. ენ.)
52. საფრონოვა ე. ს. *სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთოები ისრაელში.* გვ. 265-268. (რუს.ენ.)
53. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური საიტი: www.mes.gov.ge
54. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობლივი კომისიის ურთიერთგაგების მემორანდუმი.. გამოქვეყნებული საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალურ საიტზე: www.patriarchate.ge/ne/xronika.htm 6/17/2005.
55. საქართველოს კონსტიტუცია, სახელმწიფოს უზენაესი კანონი, მიღებულია 1995 წ. 24 აგვისტოს, გამოქვეყნებული ჟურნალში „ადვოკატი-მეოხი", თბილისი, 2001, . 27-28, 2001.
56. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებლური კულტურის სწავლების სამართლებრივი საფუძვლები კითხვა-პასუხის სახით. მ., 2003.
57. სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართლმადიდებლური კულტურის სწავლების სამართლებრივი საფუძვლები. მ., 2003.9(რუს.ენ.)
58. სელეკ რ. *ავსტრალია // მსოფლიოს ხალხთა პედაგოგიკა. ისტორია და თანამედროვეობა.* მ.: რუსეთის პედაგოგიური საზოგადოება, 2001. გვ. 40-41.(რუს.ენ.)
59. სმისლოვა ე. ა. *რელიგიური პლურალიზმი: თანასწორობა გათანაბრების გარეშე // რელიგია და სამართალი.* 1998. № 1-2 (4-5). გვ. 49(რუს.ენ.)
60. სომხეთის სკოლებში ეკლესიის ისტორიას ასწავლიან // საინფორმაციო სააგანეტო „Пресс-центр.ру". 2002 წ. 26 აგვისტო(რუს.ენ.)
61. უცხო ქვეყნების კონსტიტუციები.

62. ფერარი ს. *ეკლესია და სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში: იტალიური მოდეილ // სახელმწიფო სა და ეკლესიის ურთიერთობების მსოფლიო გამოცდილება.* გვ. 126-127. 2003წ.(რუს.ენ.)
63. შკატულა . ი. *საგანმანათლებლო სამართალი.* მ.: НОРМА (НОРМА-ИНФРА-М), 2001. გვ. 200. (რუს.ენ.)
64. ჩერნიშოვა ო. ვ. და კომაროვი ი. დ. *ეკლესია სკანდინავიის ქვეყნებში.* 2001წ.(რუს.ენ.)
65. ჩერნიშოვა ო. ვ. ეკლესია და დემოკრატია: *შვედეთის გამოცდილება /* საყოველთაო ისტორიის ინსტიტუტი РАН. მ.: Наука, 1994. 190 გვ.(რუს.ენ)
66. ჩრდილოეთი კაროლინა: სკოლებში ათი მცნების ტექსტის გამოკვრა შეიძლება // რელიგია და სამართალი. 2001. № 3. გვ. 37. 9რუს.ენ.)
67. ზედანია გ. *"სეკულარიზაცია თუ დესეკულარიზაცია?",* კრებული სეკულარიზაცია: კონცეპტი და კონტექსტები : თბ. : ილიას სახელმწ. უნ-ტის გამ-ბა, 2009.
68. Belorgey J. M. *Laicite et democratie*. LA laicite dans une societe ouverte''Istanbul. 25-26 novembre 1999.
69. Debray Regis. *Raport a Monsieur le Ministre d l'Education nationale "L'eneignement du fait religieux dans l'Ecolelaique*". Praris. Fevrier. 2002.
70. Debray, R., *L'enseignement du fait religieux dans l' école laique. Rapport au ministre de l' Éducation nationale,* Ed. Odile Jacob, Paris. (2002)
71. Falk Z. *Jewish Family law//International Encyclopedia of Comparative Law*. L.: 1983. P. 52.
72. Irina Horga, Educaţia Religioasă în şcoală – Abordări şi Tendinţe Europene, în „Învăţământul Religios şi Teologic în România", Ministerul Culturii şi Cultelor, Secretariatul de Stat pentru Culte, Ediţie îngrijită de Lect. Dr. Adrian Lemeni şi Bogdan Dedu, Editura „Techno Media", Sibiu, 2006.
73. Linda K. Wertheimer, "*Teaching about Religion in an Age of Intolerance;*
74. Prof. Dr. Silvio Ferrari, *Predarea Religiei în Uniunea Europeană: Abordarea Juridică,* în « Libertatea Religioasă în Context Românesc şi European », Editura Bizantină, Bucureşti, 2005.
75. *Religion and Environmental Crisis* / Ed. by E. C. Hargrove. Athens. University of Georgia, 1986.

76. Suchocka H. Nauczanie religii w szkole w swietle kostitucij i ustawodawstwa wybranych panstw europejskich // Nauczanie religii w szkole w panstwie demokratycznym. Lublin, 1991. S. 58-99.
77. The Muslim News. 26 January 1996; The Independent. 25 January 1996.
78. *Viaţa Religioasă din România,* Ediţia a II-a, Ministerul Culturii şi Cultelor, Secretariatul de Stat pentru Culte, Coordonator Dr. Adrian Lemeni, Editura "Bizantină", Bucureşti, 2005.
79. Blackburn, S. *Being Good* (Oxford, Oxford University Press). 2001
80. Brown, C. *The Death of Christian Britain* (London, Routledge). 2001
81. Cox, E. *Changing Aims in Religious Education* (London, Routledge & Kegan Paul). 1966
82. Cox, E. & Cairns, J. (Eds) *Reforming Religious Education: the Religious Clauses of the 1988*.1989
83. Education Reform Act (London, Kogan Page).
84. DfEE/QCAThe National Curriculum Handbook for Primary/Secondary Teachers in England, (two versions) (London, HMSO). 1999
85. Hand, M. *Is compulsory religious education justified?* in: J. White (Ed.)Rethinking the, 2003
86. School Curriculum (London, Routledge/Falmer).
87. Harrison, R. *Democracy*(London, Routledge). 1993
88. HMSO *Social Trends 30*(London, Her Majesty's Stationery Office). 2000
89. Loukes, H. *New Ground in Christian Education*(London, SCM Press). 1965
90. Niblett, R. *The religious education clauses of the 1944 Act,* in: A. G. Wedderspoon (Ed.) 1966
91. Religious Education 1944–1984(London, Allen & Unwin).
92. Plato Euthyphro.
93. Qualifications and Curriculum Authority (QCA) Religious Education: Non-statutory Guidance on RE(London, QCA). 2000
94. School Curriculum and Assessment Authority (SCAA) (1994) Model Syllabuses 1, 2(London,SCAA).
95. Inger Dubeck, in: *European Consortium for State-Church Research* (ed.), Marriage and Religion in Europe, Milano, 1993.
96. Inger Dubeck, in: *Gerhard Robbers (ed.), State and Church in the European Union*. Baden-Baden, 1996.
97. Mavrakis A., *The Law of Marriage and Divorce in the Church of England and the Church of Greece in Recent Times*, 1850-1980, Athens 1992.
98. Laferia A. V., *British Malta*, 2 tomi, Aguiline& co., malta 1938. s
99. Doe N., *Canon Law in the Anglican Communion*, Oxford University Pres, 1998;
100. Hill M., *Ecciesiastical Law* (2 ed), Oxford University Pres, 2001;

ავტორის სტილი დაცულია

101. *Доклад Народного Защитника Грузии,* опубликовано в: http:www.regnum.ru/news/569444.html 13:43 07.01.2006

102. *Рекомендации по анализу законодательства о религии или вероисповедании,* Опубликовано Бюро ОБСЕ по демократическим институтам и правам человека (БДИПЧ).